გურამ ძაგანია

ოლიმპიური თამაშები

გამომცემლობა
გლობალ-პრინტი
თბილისი, 2003

ISBN 99928-64-66-4

ამ წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა
საქართველოს ოლიმპიური ფონდის, პირადად მისი პრეზიდენტისა
და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის,
ბადრი პატარკაციშვილის ძალისხმევითა და მხარდაჭერით.

© 2003, გურამ ძაგანია
დაიბეჭდა თბილისში

წინათქმა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მრავალმხრივი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სპორტისა და ოლიმპიზმის პოპულარიზაციაა. ამაზე მეტყველებს ბოლო წლებში სეოკ-ის ეგიდით და დაკვეთით, საქართველოს ოლიმპიური ფონდის ფინანსური ხელშეწყობით გამოცემული ათეულობით წიგნი, სხვადასხვა ინფორმაციული მასალები.

ამჯერად, თქვენ ხელთ გაქვთ ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში "შინაური" კაცის — სპორტსმენისა და რეფერის, პროფესორ გურამ ძაგანიას წიგნი.

ავტორი მეტად რთულ და შრომატევად საქმეს შეეჭიდა, რათა სპორტის გულშემატკივრებისათვის მოეთხრო ძველი და თანამედროვე ოლიმპიური თამაშების შესახებ. მან ერთ, უხვად ილუსტრირებულ წიგნში შეძლო თავი მოეყარა ოლიმპიური თამაშების მდიდარი ისტორიისათვის, რომელიც მოიცავს ვრცელ სტატისტიკურ და საცნობარო მასალას, ოლიმპიზმის მოღვაწეთა ბიოგრაფიებს. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველ ოლიმპიელთა მიღწევებს.

გურამ ძაგანიას წიგნი — "ოლიმპიური თამაშები" — მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო სპორტისა და ოლიმპიზმის მკვლევართათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ჯანო ბაგრატიონი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტის პრეზიდენტი

ემზარ ზენაიშვილი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტის გენერალური მდივანი

ავტორისაგან

ოლიმპიური მოძრაობა მუდმივი და უნივერსალურია, ხოლო ოლიმპიური თამაშები მსოფლიოს სპორტული მოძრაობის მწვერვალი, რომელიც საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც. მრავალფეროვანია ოლიმპიური თემატიკაც, რომელიც მრავალ ენაზე არაერთ საისტორიო, პუბლიცისტურ თუ საცნობარო კრებულშია გაშუქებული.

წინამდებარე წიგნში შევეცადეთ გადმოგვეცა ოლიმპიური თამაშების ისტორია, თავი მოგვეყარა მეტნაკლებად ღირებული ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემებისათვის.

წიგნში განხილულია ოლიმპიური სპორტის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. აქ თავმოყრილია ინფორმაცია ანტიკურ და თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე, საერთაშორისო და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებზე, მოთხრობილია თვალსაჩინო სპორტულ მოღვაწეთა და ოლიმპიურ ჩემპიონთა შესახებ. საუბარია სპორტის ოლიმპიურ სახეებზე, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშებზე და მათ შედეგებზე, ოლიმპიური მოძრაობის საინტერესო მოვლენებსა და თარიღებზე. ცალკე თავები ეძღვნება საქართველოს სპორტმენების მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით შეგულიანებული შევეჭიდე ამ შრომატევად საქმეს და თუ სპორტის მოყვარულებისა და სპეციალისტების ცნობისმოყვარეობას წიგნი რაიმე სამსახურს გაუწევს, ეს იქნება გაწეული შრომის საუკეთესო გამართლება.

რედაქტორი ემზარ ზენაიშვილი
დიზაინი ლევან ბანძელაძე
კორექტორი ნანა ბალავაძე

წიგნში დასტამბულია ფოტორეპროდუქციები გამოყენებულ ლიტერატურაში დასახელებული გამოცემებიდან.

ზოგიერთი ტერმინისა და შემოკლებათა განმარტება

ოლიმპო - მთის მასივი საბერნეთში. ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების ადგილსამყოფელად იყო მიჩნეული.

ოლიმპია ძველი ბერძნული ქალაქი ელადაში. ანტიკური სამყაროს კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. მთელი თორმეტი საუკუნის მანძილზე (ჩ.წ. აღრიცხვამდე 776 წლიდან ჩ.წ. აღრიცხვის 394 წლამდე) ოლიმპიური თამაშები მხოლოდ ოლიმპიაში იმართებოდა.

ოლიმპიადა - ანუ ოთხწლიანი ციკლი ბერძენთათვის ითვლებოდა ფაქტთა და მოვლენათა ქრონოლოგიურ სისტემაში მოქცევის ყველაზე ზუსტ საზომად. ჩ.წ. აღრიცხვამდე 776 წლიდან თითქმის მთელმა ბერძნულენოვანმა სამყარომ დაიწყო თავისი "ახალი წელთაღრიცხვა".

თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობაშიც "ოლიმპიადას" თამაშებს შორის ოთხწლიან პერიოდს უწოდებენ. ამ პერიოდების აღრიცხვა (რიგითი ნომრების მონაცვლეობა) ხდება იმის და მიხედვით, მოეწყო თუ არა ოთხწლიან პერიოდში ოლიმპიური თამაშები. XX საუკუნეში პირველი და მეორე მსოფლიო ომების გამო არ ჩატარდა ოლიმპიური თამაშები 1916, 1940 და 1944 წლებში, მაგრამ მათი რიგითი ნომრები — VI, XII და XIII შენარჩუნებულ იქნა.

საერთოდ, პოპულარულ ოლიმპიურ თუ სხვა ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში, "ოლიმპიურ თამაშებს" "ოლიმპიადის თამაშების" მნიშვნელობით ხმარობენ, რაც ზოგადად სწორი არ არის, მაგრამ არც დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ოლიმპიადაში" მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს გულისხმობენ. ზამთრის თამაშებს კი "ზამთრის ოლიმპიური თამაშები" ჰქვია.

ოლიმპიონიკი - ოლიმპიადის გამარჯვებული.
სოკ-ი - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.
ეოკ-ი - ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.
აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები.
სსრკ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.
გფრ - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.
გდრ - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.
კსდრ - კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.
დქგგ - დამოუკიდებელი ქვეყნების გაერთიანებული გუნდი.



ანტიკური ოლიმპია (თანამედროვე მაკეტი)

თავი I

ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში

1.1. მითები და ლეგენდები

ოლიმპიური თამაშები ერთ-ერთი უპირველესი და გამორჩეული მოვლენა იყო ძველ საბერძნეთში. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი პანელინური ცივილიზაციის ეს საოცარი მოვლენა, ჯერ კიდევ დაუზუსტებელია ოლიმპიური თამაშების წარმოშობის საყოველთაოდ დადგენილი ვერსია.

ოლიმპიური თამაშების ჩასახვის თაობაზე ბერძნულმა ტრადიციამ მრავალი წერილობითი წყაროები შემოინახა. თითქმის სამიათასწლოვანი ასპარეზობის დასაბამი მითებისა და ლეგენდების პოეტურ სამყაროში იკარგება, რომლებსაც ზევსის, ჰერაკლეს, ჰელოპსის, იფიტესა და ლიკურგეს სახელებს უკავშირებენ.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, უსასრულოდ ძლიერი და სასტიკი იყო ღმერთების პირველი მბრძანებელი — კრონოსი. მან ცოლად თავისი და — რეა შეირთო. დედამიწის ქალღმერთმა გეამ კრონოსს უწინასწარმეტყველა — საკუთარი შვილი დაგამხობსო, ამიტომ კრონოსი ახალშობილ შვილებს ყლაპავდა, რომ თავისი ბატონობა უზრუნველეყო. ასე შთანთქა ყველანი, ზევსის გარდა, რომელიც რეამ ცბიერებით გადაარჩინა. მან კრონოსს ახალშობილი ბავშვის ნაცვლად ჩვრებში გახვეული ქვა შეუგდო პირში, ყრმა კი გადამალა იდას მთაგრეხილზე, დიქტეს გამოქვაბულში, სადაც მას თხა — ამალთეა კვებავდა, რეას ქურუმები იცავდნენ და ნიმფები (პირველქმნილი ბუნების კეთილი დემონები, ღმერთქალები) უვლიდნენ. ზევსმა, დავაუკაცებისთანავე სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა თავის საშინელ მამას და დაამარცხა იგი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად დააარსა ოლიმპიური თამაშები.

მეორე ლეგენდა თამაშების ჩასახვას თავის უპირველეს ეროვნულ გმირს-ჰერაკლეს სახელს უკავშირებს. ბერძენთა უდიდესი ლირიკოსის პინდარეს ერთ-ერთ ოდაში ნათქვამია, რომ ოლიმპიური თამაშების დაბადება დაკავშირებულია ჰერაკლეს სახელთან. ჩ.ნ. აღრიცხვამდე 1253 წელს ელიდის მეფე — ავგეამ, რომელსაც ურიცხვი საქონლის ჯოგი ჰყავდა, ჰერაკლეს შესთავაზა გაეწმინდა საქონლის ნაკელისაგან უზარმაზარი ბოსელი, რომელიც



ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში

ოცდაათი წელი არავის გახსენებია. ჰერაკლე დათანხმდა ავგეას წინადადებას და პირობა დადო, რომ ერთ დღეში მოათავებდა ამ საქმეს, სამაგიეროდ ის ჯოგის მეათედს ითხოვდა. ავგეამ თანხმობა განაცხადა რადგან დარწმუნებული იყო, რომ ერთ დღეში ამ დავალების შესრულება შეუძლებელი იყო. მეფის ამ უზარმაზარ ბოსელს ორი მხრიდან ჩაუდიოდა მდინარეები — აფეოსი და პენეოსი. ჰერაკლემ ბოსელის კედლები მოპირდაპირე მხარეებში გაარღვია, მდინარეებს კალაპოტი უცვალა, წყალი მიუშვა ნაკელს და ერთ დღეში განმინდა ბოსელი. ავგეამ პირობა დაარღვია, ჰერაკლეს უარი უთხრა საქონლის მეათედზე და გმირი მუქარით გააბრუნა ტირინთოში. რამოდენიმე წლის შემდეგ ჰერაკლემ შური იძია მეფე ავგეაზე. მან ჯარი შეაგროვა, ააოხრა ქალაქი და მუხანათი მეფე ისრით განგმირა. ამ ომში მოპოვებული ნადავლი ჰერაკლემ მსხვერპლად შესწირა ოლიმპოს ღმერთებს და მათ საპატივსაცემოდ დააარსა ოლიმპიური თამაშები. თამაშები იმართებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ჰერაკლეს მიერ დარგულ ზეთისხილიან წმინდათაწმინდა ვაკეზე.

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის შეჯიბრება იმართებოდა მხოლოდ ერთ სახეობაში-სირბილში ერთ სტადიაზე. ჰერაკლემ დისტანცია თავად გადაზომა და იგი 600 ტერფს, ანუ დღევანდელ 192 მეტრსა და 27სმ უდრიდა. მრავალი წლის მანძილზე ათლეტები მხოლოდ ამ სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შემდგომში, როდესაც ასპარეზობას სხვა ვარჯიშებიც დაემატა, მასში თვით ჰერაკლემაც მიიღო მონაწილეობა და ორ სახეობაში-ჭიდაობასა და პანკრატიონში (ჭიდაობისა და კრივის ნაერთი) გაიმარჯვა. მომდევნო წლებში ამ სახეობაში გამარჯვებულებს "ჰერაკლეში" გამარჯვებულებს უწოდებდნენ და მათ სახელად "მეორე ჰერაკლეს არქმევდნენ.

შემდგომი ლეგენდა მოგვითხრობს ზევსის შვილიშვილის პელოპსის გამარჯვებაზე ქალაქ პისის მეფე — ენომაოსზე. პელოპსი, სახელგანთქმული ლიდიელი გმირი, სულ მცირე ხანს მეფობდა თავის ქალაქში. ტროას ძლიერმა მეფე ილოსმა ომი გამოუცხადა, სძლია და განდევნა იგი. პელოპსმა მცირე აზია მიატოვა და დასახლდა შორეულ ნახევარკუნძულზე. ერთხელ ელიდაში თვალი მოჰკრა პისის მეფის ენომაოსის ასულს — მშვენიერ ჰიპოდამიას და განიზრახა მისი ცოლად შერთვა. ეს არ იყო იოლი საქმე. ომის ღმერთის არესისა და მდინარის ღმერთი ასოპოსის ასულ ჰარპინოას ძე — მრისხანე ენომაოსი თავის ასულს მიათხოვებდა მხოლოდ მას, ვინც ეტლით რბო-

ლაში დაამარცხებდა. მეფეს მამის ნაჩუქარი მერნები ჰყავდა, ქარის უსწრაფესად დაჰქროდა მისი ეტლი, სასიძოებს დაეწეოდა, ზურგში შუბს სცემდა და სიცოცხლეს ასალმებდა. მოასპარეზეთ ეტლით უნდა გაევლოთ გრძელი გზა პისიდან ისთმოს პოსეიდონის საკურთხეველამდე, მაგრამ ბევრ ვაჟკაცს არ ეწერა ისთმომდე მისვლა. ენომაოსი არავის ინდობდა, რადგან მისანს ნათქვამი ჰქონდა. სიძის ხელით დაიღუპებიო. პელოპსის საქმე რთულად იყო, რამეთუ, უკვე თორმეტი სასიძო განეგმირა შუბით პისის მბრძანებელს. მართალია, თავისმა მფარველმა პოსეიდონმა პელოპსს რჩეული რაშები აჩუქა, მაგრამ ენომაოსის მერნები მათზე გაცილებით სწრაფნი იყვნენ. პელოპსიც გააფრთხილა, გზა გრძელი და საბედისწერო იქნებაო, მაგრამ ჭაბუკმა სასიძომ ანუგეშა. იმედი მაქვს ღმერთები დამეხმარებიანო. ენომაოსის სახეზე ასპიტივით გაიელვა გესლიანმა ღიმილმა. მერე შუბლი შეკრა და უთხრა: "შაშ იჩქარე, პელოპს! მე ჯერ წესისამებრ ზეგსს ზვარაკს დავუკლავ და მერე დაგედევნები, ვინძლო გამასწრო" პელოპსმა იცოდა, ვერაფერი იხსნიდა, თუ არა მზაკვრობა. ამიტომ წინასწარ ენომაოსის მეეტლე მირტილე მოისყიდა, რომელსაც მდიდრული საჩუქრები და სამეფოს ნაწილი აღუთქვა. იმანაც ენომაოსის ეტლის ღერძში ჭილები არ ჩასვა (ბორბალს რკინის მანების ნაცვლად ცვილისა გაუკეთა), რითაც უზრუნველყო პელოპსის გამარჯვება. დამშვიდებით შესწირა მეფემ ზევსს თავისი უკანასკნელი მსხვერპლი, ჩაჯდა ეტლში და დაწინაურებულ სასიძოს დაედევნა. ის იყო უნდა წამოსწეოდა, შუბიც მოუღერა, რომ ბორბალი ტრიალა ტარს მოწყდა, დაიშალა, ეტლი გადაბრუნდა და მეფე სასიკვდილოდ დაშავდა. პელოპსმა შეირთო მისი ასული ჰიპოდამია და ხელთ იგდო ელიდის ტახტი. ღმერთების საპატივსაცემოდ და მადლობის ნიშნად პელოპსმა ოლიმპიაში ააგო ტაძარი და დააფუძნა თამაშები. ამ თამაშებზე ყველაზე მეტი პოპულარობით ეტლებით რბოლა სარგებლობდა და მასში გამარჯვებულს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ლეგენდის მიხედვით, პელოპსის წყალობით, თამაშებმა ტრადიციული ხასიათი მიიღო. ითვლება, რომ ეს თამაშები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 884 წელს დაიწყო.

კიდევ ერთი ლეგენდა გვაუწყებს, თუ როგორ გადაიქცა თამაშები საერთო ბერძნულ დღესასწაულად. დელფიურმა მისანმა იწინასწარმეტყველა, რომ ელიდის მეფე — იფიტე და სპარტას მბრძანებელი — ლიკურგე შეთანხმდებოდნენ, რომ თამაშებში ყველა ბერძნული ქალაქების ათლეტები მიიღებდნენ მონაწილეობას. მოლაპარაკების თანახმად თამაშების ჩატარების დროს უნდა დამყარდეს საყოველთაო მშვიდობა, შეწყდეს ყოველგვარი საომარი მოქმედებები, მოისპოს ჭირი, შიმშილი, ავადმყოფობები და ბერძენი ხალხის სხვა უბედურებები. მოლაპარაკება იფიტესა და ლიკურგეს შორის საბოლოოდ მართლაც შემდგარა, რადგან ნაპოვნი იქნა მეტალის ბადრო, რომელზედაც ამოტვიფრულია შეთანხმების ტექსტი და იგი ინახება ოლიმპიის ტერიტორიაზე აგებულ ჰერას ტაძარში. ამ ტექსტში ეწერა: "ოლიმპია წმინდათა წმინდა ადგილად ითვლება და ის ვინც გაბედავს აქ შემოსვლას იარაღით ხელში, შერაცხულ იქნება როგორც ღვთისმგმობელი, ასევე უღმრთო პიროვნებად ჩაითვლება ის, ვისაც ხელეწიფება და მას არ გადაუხდის სამაგიეროს ამ ბოროტმოქმედებისათვის" ეს უკვე ისტორიული ფაქტია და იგი რა თქმა უნდა ლეგენდად აღარ აღიქმება.

ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ოლიმპიური თამაშები იმართებოდა მოსავლის აღების ზეიმის აღსანიშნავად. მათი აზრით ამიტომაც აჯილდოებდნენ გამარჯვებულებს ზეთის ხილის ტოტით და გვირგვინით. თამაშების ჩატარების დრო აგვისტო, სექტემბერი როგორღაც ამაგრებენ ამ ვერსიას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეისათვის რამოდენიმე ვერსია არსებობს ძველი ოლიმპიური თამაშების ჩატარების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ. ავტორთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ძველბერძნული ოლიმპიური თამაშები იმართებოდა მთა ოლიმპოს მისადგომებთან, სადაც ასევე ხდებოდა ოლიმპიური ჩირაღდანის ანთება. უკანასკნელი წლების გამოკვლევათა ანალიზი უჩვენებს, რომ ეს ვერსია არასწორია. ცნობილია, რომ მთა ოლიმპო მდებარეობს საბერძნეთის ჩრდილოეთით. თამაშები კი ტარდებოდა მისგან 350 კმ-ის დაშორებით, პელოპონისის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ქალაქ ელადას ტერიტორიაზე, მდინარე ალფეას ხეობაში მთის — კრონოსის ძირას. ამ ადგილს ოლიმპია ერქვა. დღეს სწორედ აქ ინთება ოლიმპიური ჩირაღდანი და აქედან იწყება მისი ესტაფეტა ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილამდე.

მიუხედავად არსებული ლეგენდებისა, არსებობს პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარების უტყუარი ცნობა, რომ იგი ჩატარდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს და სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს უძველესი ოლიმპიური თამაშების ისტორია. ეს თარიღი მთელ მსოფლიოში იმიტომ არის მიღებული საფუძვლად, რომ შესაძლებელი გახდა თამაშებში გამარჯვებულის ვინაობის დადგენა. იმხანად საბერძნეთში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ოლიმპიური ჩემპიონის სახელებს ამოტვიფრავდნენ მარმარილოს სვეტებზე, რომლებიც ალფეის სანაპიროზე იდგმებოდა. სწორედ ასეთ სვეტზე იქნა აღმოჩენილი პირველი გამარჯვებულის ვინაობა. ეს იყო ქალაქ — პოლისის ელიდის მკვიდრი, პროფესიით მზარეული — კოროიბოსი, რომლის გვარის გასწვრივ ეწერა თარიღი —776 წელი.

რბენა

ბადროს ტყორცნა



ეტლებით რბოლა

1.2. ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია და პროგრამა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პირველ ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა მხოლოდ ერთ სახეობაში ერთ სტადიაზე რბენაში იმართებოდა. სირბილის ეს სახეობა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (13 თამაშებში) ერთადერთი შეჯიბრება იყო ელინთა ზეიმზე. მეთოთხმეტე ოლიმპიურ თამაშებზე (724 წელი ჩვენ.წ.აღრიცხვამდე) პროგრამაში შეაქვთ რბენა ორ სტადიაზე (384,54 მეტრი), მე-15 თამაშებიდან მოყოლებული კი შეჯიბრებები უფრო გრძელ დისტანციაზე, ჯერ 8, შემდეგ 10,12 და 14 სტადიებზე იმართება.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 708 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩნდება პენტატლონი, რომელშიც ხტომა, სირბილი, ბადრო, შუბი და ჭიდაობა შედიოდა. 688 წლის თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა შეჯიბრება კრივში. 680 წლიდან კი შეჯიბრებები ეტლებით რბოლაში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნის შუა პერიოდიდან (648 წ.) ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის პანკრატიონი (ჭიდაობისა და კრივის ნაერთი). 520 წლის 65-ე თამაშებიდან რბენა საჭურველით. 396 წლიდან, 96-ე

პანკრატიონი

თამაშებიდან ოლიმპიადის პროგრამაში შეაქვთ მესაყვირეთა და მაცნეთა რბენა. ამის შემდეგ ოლიმპიური თამაშების პროგრამისათვის სხვა სპორტის სახის დამატების შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

632 წლის ოლიმპიურ თამაშებზე უკვე ახალგაზრდებიც ღებულობენ მონაწილეობას, რადგან აქამდე ასპარეზობაზე მხოლოდ 18 წელს მიღნეული სრულუფლებიანი მოქალაქეები დაიშვებოდნენ, თანაც ისეთები, რომლებსაც სისხლი არ ემართათ და წინასწარ გავლილი ჰქონდათ ერთთვიანი ნვრთნა ოლიმპიაში. მონაწილეთა უსაფრთხოება მგზავრობისა და თამაშის მიმდინარეობისას კანონით იყო დაცული.

ძველბერძნული ცივილიზაციის გასაოცარ მონაპოვართა შორის, რომლებიც დაკავშირებული იყო ოლმპიურ თამაშებთან, უნდა აღინიშნოს ტრადიცია იმის შესახებ, რომლის თანახმადაც ქალაქ-სახელმწიფოებს ეკრძალებოდათ საომარი მოქმედებების წარმოება ოლიმპიური თამაშების ჩატარების პერიოდში. სავარაუდოდ ელადაში საყოველთაო ზავი ანუ "ეკეხერია" სამ თვემდე გრძელდებოდა. ეს დრო საჭირო იყო ათლეტების მოსამზადებლად, თამაშებში მონაწილეობის მისაღებად და მგზავრობაზე ოლიმპიადაზე და უკან. ამ ტრადიციას ბერძნები მკაცრად იცავდნენ — მაშინაც კი როდესაც ქალაქ-სახელმწიფოებს უმძიმესი ჟამი ედგათ.

ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე აღწერს: 480 წელს ჩ.ნ. აღრიცხვამდე საბერძნეთს თავს დაესხა სპარსეთი, ზუსტად იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა ოლიმპიური თამაშები. მიუხედავად ამისა, თამაშები არ შეწყვეტილა და იგი ჩატარდა დადგენილ ვადებში. როდესაც სპარსთა მეფემ მათ მხარეს გადასულ ბერძენ მეომრებს ჰკითხა — რას აკეთებენ ელინები, მათ უპასუხეს, რომ ისინი ოლიმპიურ ზეიმს იხდიან, უყურებენ ტანვარჯიშულ და სხვა შეჯიბრებებსო. სპარსებს ეს ამბავი უცნაურად ეჩვენათ, მაგრამ მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყვეს, რომ ბერძნები ოლიმპიაში ზეთისხილის გვირგვინისათვის იბრძოდნენ. შეიტყო რა, რომ ელინები ჯილდოდ მიიჩნევდნენ უბრალო გვირგვინს და არა ფულს, ერთ-ერთმა წარჩინებულმა სპარსმა თავის მხედართმთავარს მიმართა — ვის წინააღმდეგ მიგყავართ საომრად? ეს ხალხი ასპარეზობენ არა ფულისათვის, არამედ დიდებისათვისო.

მიუხედავად ყველაფრისა, ბერძნები არ არღვევენ და მკაცრავდ იცავენ ტრადიციას. ოლიმპიადებში გამარჯვებულებს — ოლიმპიონიკებს ჯილდოდ ზეთისხილის რტოს გვირგვინი ეძლეოდათ. რტო ოქროს დანით უნდა მოეჭრა ბავშვს, რომელსაც მშობლები ცოცხალი ჰყავდა. გამარჯვებულებს ასევე დამატებით ეძლეოდათ საჩუქრები და ძლევის სიმბოლო-პალმის რტო. წმინდა ჭალაში მათი ძეგლი იდგმებოდა, უმართავდნენ ნადიმს, ოდებში ადიდებდნენ ისეთი უპირველესი პოეტები, როგორებიც იყვნენ პინდარე და სიმონიდე. მშობლიური მხარე მათ ცალკე უწყობდა ზეიმს. გენიალური პინდარეს თითქმის მთელი შემოქმედება გმირთა დიდებაა, ოლიმპიურ და სხვა ასპარეზობათა მონაწილეების, გამარჯვებულთა ხოტბაა. ძველბერძნულ ოლიმპიურ ასპარეზობებზე ჩამოდიოდნენ შორეული კოლონიებიდან, მცირე აზიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ეწყობოდა სახელმწიფოთა ელჩების საზეიმო მიღება. იმართებოდა პაექრობა მუსიკაში, ლექსების კითხვაში, მხატვართა ნამუშევრების გამოფენა — ბაზრობები.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე 444 წელს, 84-ე თამაშებიდან მოყოლებული ოლიმპიური თამაშების ნაწილად იქცა კონკურსები ხელოვნებაში, ბერძნები დიდად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან ხელოვნებაში, თუ სპორტში დაოსტატება-დახელოვნებას. ოლიმპიაში თალესის, ჰერაკლიდეს, პლატონის, სოკრატეს და დიოგენეს ფილოსოფიური აზრები და სიბრძნე ჟღერდა, იკითხებოდა სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიები, პინდარეს ოდები. 84-ე თამაშებზე წაიკითხა ჰეროდიტემ თავისი ისტორიის ნაწილები, რისთვისაც პირველობის დაფნის გვირგვინი და ოქროს მედალი მიიღო. სახელოვანმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა პითაგორამ ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა ჭიდაობაში. პითაგორა გამორჩეული მწვრთნელი — დამრიგებელიც ყოფილა. როგორც ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი გვამცნობს, პითაგორას აღზრდილი იყო სახელოვანი კროტონელი ფალავანი, ნახევრად ლეგენდარული მოჭიდავე მილონი, რომელმაც ექვსჯერ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება ჭიდაობაში. მისი სახელი უკვდავყოფილია არა მარტო ოლიმპიური თამაშების ლეგენდებსა და მითებში, არამედ ხელოვნებაში. საფრანგეთის ორმა გამოჩენილმა სკულპტორმა პიერ პიუჟემ და მორის ფალკონემ შთამომავლობას კროტონელ მილონზე დაუტოვეს შესანიშნავი ქმნილებები მარმარილოში.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე 228 წლიდან ოლიმპიურ თამაშებში ბერძნებთან ერთად ასპარეზობენ რომაელებიც. როდესაც რომაელმა დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ბერძნების დამოუკიდებლობას, რომის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ ძველბერძნული ოლიმპიადები გადაექციათ იმპერიულ თამაშებად. ჩვენ წელთაღრიცხვამდე 80 წელს რომის დიქტატორმა ლუციუს კორნელიუს სულამ, რომელიც ცნობილი იყო თავისი სისასტიკით (სულას დიქტატორობის პერიოდში მოხდა სპარტაკის აჯანყების განადგურება), ბრძანა, რომ რიგით 175-ე ოლიმპიური თამაშები გადმოეტანათ რომში. ამ იდეას მხარდამჭერები არ გამოუჩნდნენ და თამაშები კვლავ ძველ ადგილას — ოლიმპიაში გაიმართა.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე 67 წელს 211 ოლიმპიადის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობას იღებდა იმპერატორი ნერონი. ცნობილია, რომ იგი თავის წინამორბედებისაგან ამკარად გამოირჩეოდა ხასიათის თავგასულობით და ავადმყოფური პატივმოყვარეობით. ნერონი თავის თავს უდიდეს მსახიობად და მომღერლად თვლიდა. სწორედ ამ მიმართულებით იქნა "სრულყოფილი"ოლიმპიადის პროგრამა. თამაშების შედეგები განსაცვიფრებელი იყო. ყველა ასპარეზობაში გამარჯვებულად ნერონი გამოცხადდა. საინტერესო იყო მისი გამოსვლა ეტლებით რბოლაში. ის შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე იყო. ეტლში ოთხის ნაცვლად ათი ბედაური იყო შებმული. მიუხედავად იმისა, რომ ნერონი რბოლის დროს ეტლიდან გადმოვარდა და დისტანცია ვერ დაამთავრა, ის მაინც გამარჯვებულად გამოაცხადეს და გვირგვინით შეამკეს. ისტორიაში ეს თამაშები შევიდა როგორც ცრუ თამაშები.

მიუხედავად ოლიმპიურ თამაშებზე ასეთი უარყოფითი ზეგავლენისა, რომაულმა პერიოდმა ზოგი სასიკეთო რამ მისცა ამ ასპარეზობას. იგი იქცა მრავალეროვნულ თამაშებად. თუ მთელი შვიდი საუკუნის მანძილზე მასში მხოლოდ ბერძნები მონაწილეობდნენ ახლა უკვე გზა ხსნილი ჰქონდათ სხვადას-

ხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც რომის იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო დასახლებული. თამაშებში უკვე გამოჩდნენ ათლეტები სირიიდან, ალექსანდრიიდან, ბაბილონიდან, მომავალი საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიებიდან.

ძველ ოლიმპიადებს ჰყავდა თავისი გმირები, ადამიანები, რომლებმაც რამოდენიმეჯერ მოიპოვეს უმაღლესი ჯილდოები.

ათლეტებს შორის ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია კუნძულ როდოსის მკვიდრმა — ლეონიდემ, რომელმაც თორმეტი უმაღლესი ჯილდო ოთხ ოლიმპიადაზე მოიპოვა ჩვენსწელთაღრიცხვამდე 164-152 წლებში. ლეონიდეს შემდეგ ასახელებენ კროტონელ — ასტილოსეს და ათლეტს კრანფადან — გერმოგენეს. მათ რვა-რვა უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს პირველმა 488-476 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო მეორემ 81-29 წლებში. მილონის დარად ექვსი გვირგვინის მფლობელი იყო ხიონისე ლაკონიიდან, რომელმაც იმარჯვა 664-656 წლების ოლიმპიურ თამაშებზე, სპარტანელმა გიპოსფენემ ჭიდაობაში ხუთჯერ გაიმარჯვა 624-656 წლებში ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

უნდა აღინიშნოს ერთი ოჯახური დინასტიის შესახებაც. ვინმე დიაგორემ კუნძულ როდოსიდან, მისმა შვილებმა და შემდეგ შვილიშვილებმა, თითქმის ოთხმოცი წელი იასპარეზეს ოლიმპიადებზე და ოც თამაშებში მიიღეს მონაწილეობა. საერთო ჯამში ამ დინასტიის წარმომადგენლებმა თავიანთ მზიურ კუნძულს ცხრა უმაღლესი ჯილდო მოუპოვეს.

ოლიმპიონიკების უდიდეს პატივისცემაზე მოგვითხრობს ერთი ლეგენდა. ერთ-ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ბერძენმა ქალმა-კალიფატერიამ მოისურვა საკუთარი თვალით ენახა შვილის ფინალური ორთაბრძოლა კრივში. მან კაცურად შეიჭრა თმები, მოიცვა მწვრთნელის მანტია და შეიპარა სტადიონზე (ძველ ოლიმპურ თამაშებზე კატეგორიულად აკრძალული იყო ქალების დასწრება მაყურებლადაც კი). როდესაც ორთაბრძოლა დასრულდა და მისი ვაჟი გამარჯვებულად გამოაცხადეს, ქალი გაექანა შვილისაკენ მისალოცად, მაგრამ მოულოდნელად მას მანტია ჩამოძვრა და გამოააშკარავა თავისი ვინაობა. მიუხედავად იმისა, რომ ქალს გარდაუვალი სიკვდილი ელოდა, მას აპატიეს, რადგან ის იყო ჩემპიონის დედა, დიოგენეს რძალი და ოლიმპიური ჩემპიონის ცოლი. ამ ამბის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე როგორც მონაწილეები, ისე მწვრთნელები და მსაჯებიც აბსოლუტურად შიშვლები იყვნენ.

მაგრამ ეტყობა ყველა უდიდეს წამოწყებას აქვს დასასრული და ეს ოლიმპიურ თამაშებსაც შეეხო. რომის იმპერატორის გრაციანეს გარდაცვალების შემდეგ, მის ადგილს წარმოშობით ესპანელი — თეოდოსიუს I იკავებს, რომელიც რომის იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი ხდება. მან საბოლოოდ განამტკიცა ორთოდოქსული ქრისტიანობის ბატონობა, დაანგრია ტაძრები, დაწვა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა და ჩვენ წელთაღრიცხვის 394 წელს აკრძალა ოლიმპიური თამაშები, როგორც წარმართული დღესასწაული. ოლიმპიას სხვა მრავალი უბედურებაც დაატყდა თავს. 395 წელს მდინარე ალფეოსის ნაპირზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეებენ ერთმანეთს ბიზანტიელები და გოთები, რის შედეგადაც დაინგრა ოლიმპიის სპორტული ნაგებობები და სხვა ობიექტები. 426 წელს იმპერატორ

თეოდოსიუს II ბრძანებით საბოლოოდ იქნა განადგურებული წარმართულ ტაძართა ნანგრევები, მათ შორის ზევსის ტაძრის ნარჩენები. ფიდიასის უკვდავი ქმნილება, ზევსის ქანდაკება კი, რომელიც სამყაროს ერთ-ერთ საოცრებადაა მიჩნეული, კონსტანტინეპოლში იქნა გადატანილი. ოლიმპიის საბოლოო განადგურებას წერტილი დაუსვა დამანგრეველმა მიწისძვრამ და უდიდესმა წყალდიდობამ.

როგორც ცნობილია ძველბერძნული ოლიმპიადები სულ 293-ჯერ ჩატარდა. იგი 1169 წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ იმართებოდა. ალბათ მსოფლიოში არ მოიძებნება ანალოგი კაცობრიობის მიერ ჩაფიქრებულ რომელიმე სხვა საქმეს რომ ასეთი ხანგრძლივი და დიდებული ისტორია ჰქონდეს.

თავი II

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები

2.1. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების წინაპირობები

ვაანალიზებთ, რა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად გადაიქცა.

ოლიმპიზმის იდეების განვითარებამ, მისმა მნიშვნელობამ და როლმა ისეთ მწვერვალებს მიაღწია, რომ იგი ამა თუ იმ ქვეყნის საერთო კულტურული დონის განმსაზღვრელად მიიჩნევა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება თვალსაჩინო ფრანგი განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ლიტერატორი და სოციოლოგი ბარონი პიერ დე კუბერტენი. მისმა დაუღალავმა შრომამ და მიზანმიმართულმა მოღვაწეობამ არა მარტო განაპირობა ოლიმპიური თამაშების აღორძინება, იგი მსოფლიო თანამეგობრობის საზოგადოებრივი ცხოვრების წესად აქცია.

თუმცა, სპორტის ისტორიაში ცნობილია, რომ პიერ დე კუბერტენამდე კარგა ხნით ადრე, ოლიმპიური თამაშების საზოგადოებრივ აზროვნებაში დამკვიდრებას ცდილობდნენ შუა საუკუნეების გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები. ერთ-ერთი პირველთაგანია აღორძინების ხანის ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი და სახელმწიფო მოღვაწე მათეო პალმიერი, რომელმაც 1450 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში საზოგადოებრიობას შეახსენა ანტიკური ოლიმპიური თამაშების შესახებ და მოუწოდა მისი აღდგენის აუცილებლობისაკენ.

ანტიკური ოლიმპიური თამაშების მსგავს შეჯიბრებას აწყობს 1561 წელს იურისტი იოჰანეს აკვალა. ბადენში გამართულ ასპარეზობას მან "საჩვენებელი ოლიმპიური გამოსვლები" დაარქვა.

ძველბერძნულ ოლიმპიადებზე და მათ მნიშვნელობაზე მოგვითხრობს ფრანგი სწავლული პეტრეს ფაბერი თავის "აგონისტიკაში", რომელიც პარიზში გამოდის 1592 წელს.

ოლიმპიზმის იდეების მომხრეთა რიცხვს განეკუთვნება ინგლისელი სამეფო პროკურორი რობერტ დოვერი, რომელმაც XVII საუკუნის დასაწყისში, ინგლისის მეფის იაკობ პირველის მხარდაჭერით, წმინდა სამების დღეებში თავის მამულში მოაწყო "ოლიმპიური თამაშები" მის პროგრამაში შედიოდა ჭიდაობა, ფარიკაობა, ბალახის ჰოკეი, შეჯიბრებები ხტომაში, მეტალის ურoს და შუბის ტყორცნაში. აღნიშნული თამაშები აღწერილია მ. დრაიტონისა და ბ. ჯონსონის პოემებში (1636 წ), რომლებშიც ძალოსანი კ. დოვერი გვეელინება, როგორც მეორე ჰერაკლე. ოლიმპიზმის იდეებს ქადაგებდნენ ცნობილი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი და ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი კომპოზიტორი და განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო.

XVII საუკუნეში ინგლისში ხშირად ჩატარებულ სპორტულ ფესტივალებზე (რომლებსაც "ოლიმპიურ თამაშებს" ეძახდნენ) იუწყება ა. რობინსი პუბლიკაციაში "ოლიმპიელები ინგლისში" (1908 წ). მომდევნო პერიოდში მოვლენები უფრო სწრაფად ვითარდება და უფრო კონკრეტულ სახეს იღებს.

ძველბერძნული ოლიმპიური სპორტის პირველ მკვლევარად მიიჩნევენ ინგლისელ ჯილბერტ ბესტს (1700-1756), რომელმაც თავისი სადოქტორი დისერტაცია მიუძღვნა ოლიმპიური თამაშების ისტორიას. მან საკმაოდ საფუძვლიანად და ყოველმხრივ გააშუქა ოლიმპიზმის იდეები და მოუწოდა ოლიმპიადების აღდგენისაკენ. ჯ. ბესტი მიესალმებოდა და მოითხოვდა გაეგრძელებინათ 1604 წელს რობერტ დოვერის მიერ დაწყებული შეჯიბრება, რომელსაც "ოლიმპიური თამაშები" ერქვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიური თამაშების აღორძინების მცდელობა რამდენიმეჯერ იყო სამხრეთ ამერიკის კონტინენტზეც. 1779 წელს ამერიკელმა კონგრესმენმა უ. დრაიტონმა წამოაყენა წინადადება დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩაეტარებინათ სპორტული ზეიმი, ისეთი, როგორსაც ატარებდნენ ძველ საბერძნეთში. მაგრამ დრაიტონს გამოუჩდნენ მოწინააღმდეგეებიც. კონგრესმენი გ. ლოურენსი ასეთი თამაშების ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, იგი აღნიშნავდა, რომ — "ოლიმპიურმა თამაშებმა და სხვა სისულელეებმა განაპირობეს ბერძნების დაცემაო"

საკმაოდ შთამბეჭდავი კვალი დატოვა სპორტის ისტორიაში ამერიკელმა დოქტორმა უილიამ ბრუკსმა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა "ოლიმპიური თამაშები" დაბა ვენლოკში. აღსანიშნავია, რომ ხუთჭიდში გამარჯვებული დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით - ვერცხლის სასალათით, რომელიც ამ მიზნისათვის საბერძნეთის მეფემ პირადად გაუგზავნა ორგანიზატორებს.

ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა არაერთხელ წამოიჭრა XIX საუკუნეში. რიგ ქვეყნებში (კანადა, შვეცია და სხვა) იყო მცდელობა ჩაეტარებინათ სპორტული შეჯიბრებები " ოლიმპიური თამაშების" სახელწოდებით. 1834 და 1836 წლებში შვეციის ქალაქ რამლესში ორჯერ ჩატარდა სკანდინავიური "ოლიმპიური თამაშები" ამ ასპარეზობის პროგრამაში იყო რბენები მოკლე და გრძელ დისტანციებზე, სიმაღლეზე და ჭოკით ხტომა, ჭიდაობა. თამაშების ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ლენდსის უნივერსიტეტის პროფესორი გუსტავ იოჰან შარატაუ, რომელმაც 1833 წელს შექმნა ორგანიზაცია "ოლიმპიური კავშირი" ამ ორგანიზაციის წესდების თანახმად, მთავარი ამოცანა იყო გაეღვივებინათ ხალხის ინტერესი უძველესი ოლიმპიური თამაშებისადმი და ჩაეტარებინათ ასპარეზობები ოლიმპიური ტრადიციების შე-

საბამისად. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ი. შარატაუ ამბობდა — "მართალია ოლიმპიური თამაშები ძალზე დიდი ხნით იყო დამარხული საუკუნეებში, მაგრამ არის იმედი, რომ სკანდინავიის შვილები განიმსჭვალებიან ოლიმპიური იდეების კეთილშობილური სულისკვეთებით".

ოლიმპიური თამაშების აღდგენის მცდელობა იყო თვით საბერძნეთშიც. თურქეთის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ, 1832 წელს იყო წინადადებები აღედგინათ ოლიმპიადები, როგორც ბერძნული ნაციონალური თამაშები.

1858 წელს საბერძნეთის არმიის მაიორმა ევანგელის ცაპასმა (1800-1865), რომელსაც დიდი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნდა, საბერძნეთის მეფეს შესთავაზა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა. მან საკუთარი სახსრებით შექმნა ოლიმპიელების ფონდი და ააშენა დიდი სპორტული დარბაზი. მეფის ბრძანებულებით შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი და 1859 წელს ათენში ჩატარებულ იქნა თამაშები, რომელსაც "პანელინური ოლიმპიადა" უწოდეს. თამაშების პროგრამაში შედიოდა სპრინტერული და სტაიერული რბენები, ხტომები, ჭიდაობა, ბადროსა და შუბის ტყორცნა, ცხენოსნობა, ბაგირზე ცოცვა და ბაგირის გუნდური გადაძალვა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბერძნები მცირე აზიიდან, ეგვიპტიდან და კვიპროსიდან. გამარჯვებულებს დაფნის გვირგვინს და ფულად ჯილდოს თავად საბერძნეთის მეფე — ოტონ I გადასცემდა. მომდევნო თამაშები, რომელიც 1863 წელს უნდა გამართულიყო, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო (რაც მეფის სიკვდილით იყო გამოწვეული) არ ჩატარებულა. თუმცა მოგვიანებით ასეთი სახის თამაშები კიდევ ოთხჯერ გაიმართა 1870, 1875, 1888 და 1889 წლებში.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ოლიმპიური იდეების ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტის ა. კუპერის მოღვაწეობას, რომელმაც 1891 წელს წამოაყენა წინადადება ჩაეტარებინათ "ანგლოსაქსური ოლიმპიადა", რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ამერიკისა და ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნები. ამ იდეამ მხარდაჭერა ჰპოვა ინგლისში, ავსტრალიაში, კანადაში და სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ ყველაფერი სურვილის ფარგლებში დარჩა.

როგორც დავინახეთ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ოლიმპიური თამაშები ვერ იქცა ნაციონალური და მით უმეტეს საერთაშორისო შეჯიბრებად. მოგვიანებით პ. კუბერტენი წერდა: "ეს იყო ოლიმპიური თამაშების აღდგენის ნაადრევი და წარუმატებელი მცდელობა".

ოლიმპიზმის იდეებს ხორცს ასხამდნენ ისტორიული და არქეოლოგიური კვლევა ძიებებიც. 1707 წელს ბენედექტელი ბერი, ფრანგი დონ ბერნარ დე მონფოკონი აქვეყნებს წიგნს სათაურით "საბერძნეთის პალეოგრაფია", რომელშიც პირველადაა გამოთქმული მოსაზრება ოლიმპიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების წარმოების აცილებლობის შესახებ.

1763 წელს ანტიკური ისტორიისა და ხელოვნების ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა იოჰან იოჰაიმ ვინკელმანმა წარმოადგინა ოლიმპიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების გეგმა. იგი შეუდგა კიდეც სახსრების შეგროვებას ამ საქმისათვის, მაგრამ არ დასცალდა. მეცნიერი მოკლეს ყაჩაღებმა, როცა საბერძნეთიდან შინ ბრუნდებოდა

1766 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა რიჩარდ ჩანდლერმა დეტალურად აღწერა ზევსის ტაძარი ოლიმპიაში და ამით საფუძველი ჩაუყარა ოლიმპიზმის მეცნიერულ შესწავლას.

ცნობილი ინგლისელი არქეოლოგიის, ლორდ სტანჰოფის ხელმძღვანელობით 1824 წელს მდინარე ალფეოსის სანაპიროზე იწყება გათხრები. ოდნავ მოგვიანებით, 1829 წელს ფრანგების ექსპედიცია წარმატებით ასრულებს არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებმაც აღმოაჩინეს შენობებისა და სპორტული ნაგებობების ნარჩენები და ექსპონატები. მთელ რიგ ექსპედიციებს აწყობდნენ ცალკეული პირები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო, მათ მაინც მიიქციეს საზოგადოების ყურადღება და კიდევ უფრო გააღვივეს უძველეს ეპოქაში ჩატარებული ოლიმპიური თამაშების ისტორიის შესწავლისადმი ინტერესი.

ოლიმპოს მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა ოლიმპიზმის იდეებით გატაცებულმა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ანტიკური ხანის უთვალსაჩინოესმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა, ბერლინისა და ჰეტინგენის უნივერსიტეტების პროფესორმა ერნსტ კურციუსმა (1814-1896). სხვადასხვა დროს (განსაკუთრებით 1875-1881 წლებში) მის მიერ აღმოჩენილ იქნა მნიშვნელოვანი განძეულობა, რომელმაც საგრძნობლად შეავსო ჩვენი ცოდნა არა მხოლოდ უძველეს ოლიმპიურ თამაშებზე, არამედ ანტიკური ხანის ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე, ქანდაკებაზე, საერთოდ კულტურაზე. მდინარე ალფეოსის სანაპიროზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა 130-ზე მეტი ანტიკური ეპოქის ქანდაკება, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნივთი, 10 ათასამდე ფილა უძველესი წარწერებით. ასეთი სახის სამუშაოები და თავად ე. კურციუსის გამონათქვამები ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ უფრო აღვივებდნენ ოლიმპიური იდეების განვითარებას. ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში ის ამბობდა: "იმ შემთხვევაშიც, კი თუ ღმერთს დედამიწაზე გავრცელებული აქვს სხვა მცნებები, რომლებშიც გაცხადებულია უფრო მეტად დიადი რამ, ვიდრე ოლიმპიური დაზავება, მაშინაც კი ოლიმპია ჩვენთვის წმინდა მიწად დარჩება და უთუოდ ჩვენს დროში უნდა გადმოვიტანოთ ის შეუპოვარი პატრიოტიზმი, ხელოვნებისათვის თავგასაწირად მზადყოფნა და შეჯიბრებებით გამოწვეული სიხარული, რომლებიც ყველა ცხოვრებისეულ ძალას აჭარბებს".

გათხრების შედეგებზე პუბლიკაციები სულ უფრო და უფრო ხშირად ქვეყნდებოდა ევროპის იმდროინდელ პრესაში. ცოცხლდებოდა ლეგენდები, მითები, გამოცემები, რასაც ამყარებდა არქეოლოგთა ნაპოვნის მატერიალური საფუძველი. კურციუსის აღმოჩენებმა ერთიორად გაზარდა ანტიკურობისადმი და ოლიმპიური თამაშების აღორძინებისადმი ინტერესი, რომელიც კიდევ უფრო გააღვივა 1882 წელს. მის მიერ გამოცემულმა წიგნმა "ოლიმპიის საკურთხეველი".

ერნსტ კურციუსი 88 წლის გარდაიცვალა და ეს 1896 წელს მოხდა, სწორედ იმ წელიწადს, როცა მისი ოცნება რეალობად იქცა და გაიმართა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები.

XVIII-XIX საუკუნეებში სხვადასხვა ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მოძრაობის ნაციონალური სისტემების ფორმირებამ და ჩამოყალიბებამ უდაოდ დიდი როლი შეასრულა ოლიმპიური თამაშების აღდგენის საქმეში. პირველ რიგში უნდა გამოიყოს გერმანული (ი. გუსტმუტსი, გ. ფიტი. ფ. ანი, ლ. იანი და სხვა), ინგლისური (დ. ლოკი, ჩ. კინგლი, ტ. არნოლდი, გ.

სპენსერი), ფრანგული (ჟ.ჟ. რუსო, დ. ამოროსი, გ. დემენი), შვედური (პ. და ი. ლინგები, პ. ლიდბეკი), ჩეხური (მ. ტირში, ი. ფუგნერი) და რუსული (ე. პოკროვსკი, ე. დემენტიევი, პ. ლესგაფტი) სისტემები.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინებას დიდად შეუწყო ხელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სხვადასხვა სპორტის სახეების განვითარებამ და უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარებამ. ჯერ კიდევ 1846 წელს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში 440 იარდის დისტანციაზე. ამ დისციპლინაში იმარჯვა ამერიკელმა უ. რედმენმა. 1858 წელს ასევე ავსტრალიაში ჩაატარეს მსოფლიო ჩემპიონატი 100 იარდზე, რომელშიც ინგლისელ ჩარლზ სტადმენთან დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა ავსტრალიელმა ჯო ბენეტმა.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებიდან ჰოლანდიაში იმართება დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ციგურებით სწრაფრბენაში. ასპარეზობაში, რომელსაც 20-30 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, დანიის, ნორვეგიის, ინგლისის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

ამ პერიოდისათვის შეჯიბრებები ტარდებოდა სპორტის სხვა სახეობებშიც. 1871 წელს უნგრეთის ქალაქ ბუდაში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი სროლაში, რომელშიც ავსტრო-უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, გერმანიისა და შვეიცარიის უძლიერსი მსროლელები მონაწილეობდნენ. 1877 წლიდან იღებს სათავეს ცნობილი უიმბლდონის ტურნირი. პირველად ბალახის კორტებზე ასპარეზობდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჩოგბურთელები. 1889 წელს ამსტერდამში ჩატარდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. 1891 წელს ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი მძლეოსნობაში, ხოლო 1893 წელს ნიჩბოსნობაში.

ოლიმპიური თამაშების ჩატარების აუცილებლობას დიდი ბიძგი მისცა ნაციონალური და საერთაშორისო სპორტული გაერთიანებების კავშირების, ფედერაციების, ლიგებისა და კლუბების ჩამოყალიბებამ. 1858 წელს შეიქმნა "ამერიკის შეერთებული შტატების ბეისბოლის ნაციონალური ფედერაცია". 1863 წელს ჩამოყალიბდა ინგლისის ფეხბურთელთა ლიგა. მოგვიანებით ყალიბდება ნაციონალური ფედერაციები ტანვარჯიშში, ცურვაში, საციგურაო და საიალქნო სპორტში, ნიჩბოსნობაში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში და ძალოსნობაში.

1881 წელს შეიქმნა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია. 1882 წელს ნიჩბოსნობისა და მოციგურავეთა საერთაშორისო ფედერაციები.

გარდა ფედერაციებისა და კავშირებისა იქმნებოდა ნაციონალური და საერთაშორისო სპორტული გაერთიანებები, რომელთა საქმიანობაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ სახელმწიფოებრივი ინტერესები, პოლიტიკური მდგომარეობა და რელიგიური შეხედულებები. მიუხედავად ამისა ამ ორგანიზაციების უმრავლესობა ისწრაფოდა ფართო საერთაშორისო კავშირებისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ასეთი ლტოლვის შედეგი ყოფილიყოს ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა, რომელიც XIX საუკუნის დამლევს თითქმის მთელი მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობას მოედო.

2.2. პიერ დე კუბერტენი

როგორც აღვნიშნეთ 394 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით ძველბერძნულმა ოლიმპიურმა თამაშებმა არსებობა შეწყვიტა. თანამედროვეობის პირველი თამაშების ჩატარება მხოლოდ 1500 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. იგი XIX საუკუნის ბოლოს, 1896 წელს, ახალ ისტორიულ პირობებში გაიმართა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლად სამართლიანად მიიჩნევენ ფრანგ ბარონს, პიერ დე კუბერტენს, რომელმაც ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეა ოფიციალურად 1893 წელს წამოაყენა.

პიერ დე კუბერტენი დაიბადა 1863 წლის 1 იანვარს პარიზში, არისტოკრატულ ოჯახში. წინაპრები მეფის კარზე მსახურობდნენ. მამამისი თავისუფალი მხატვარი იყო. ბავშვობაში პატარა პიერი ხშირად თავს ირთობდა ცხენით ჯირითში, ვარჯიშობდა ფარიკაობასა და ნიჩბოსნობაში. მშობლებს სურდათ იგი სამხედრო გამოსულიყო, მაგრამ მან სულ სხვა გზა აირჩია. ჯერ კიდევ ბავშვობაში კუბერტენმა მშობლებთან ერთად იმოგზაურა იტალიაში, გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში. რამოდენიმეჯერ იყო ინგლისში, სადაც მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია ფიზიკური აღზრდის ინგლისური სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლის - თომას არნოლდის ფილოსოფიას.

პ. კუბერტენი, იურიდიული კოლეჯისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის დამთავრების შემდეგ შედის სორბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. აქ იგი საფუძვლიანად ეცნობა ფრანგული ფილოსოფიისა და ინგლისის განათლების ისტორიას.

სორბონაში სწავლის დროს იგი ისტორიითა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობით დაინტერესდა. შემდეგ გაიტაცა განათლებისა და ფიზიკური აღზრდის პრობლემებმა, რაშიც თავი გამოიჩინა, როგორც ჭეშმარიტმა რეფორმატორმა.

1886-1887 წლებში პიერ და კუბერტენი აქვეყნებს სტატიების ციკლს, რომლებშიც ფიზიკური აღზრდის საკითხებს ეხება. იგი, თავისი თანამედროვეებისაგან განსხვავებით, ყველას მოუწოდებდა არ მოეხდინათ საზღვარგარეთული სპორტის კოპირება, არამედ მათ საფუძველზე შეექმნათ ახალი. მაგალითად უარი ეთქვათ გერმანულ ტანვარჯიშზე დაფუძნებულ ახალგაზრდობის გასამხედროებულ აღზრდაზე.

XIX საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთის მთავრობა, რომელიც შეშფოთებული იყო ერის ფიზიკური მდგომარეობით, სკოლებში სავალდებულოს ხდის ტანვარჯიშული პროგრამებით სწავლებას და ძირითადად გერმანელების გამოცდილებაზე იღებს ორიენტაციას. რეფორმატორები უკმაყოფილონი არიან პრობლემისადმი ასეთი მიდგომისა და მთავრობისაგან მოითხოვენ სხვაგვარ დამოკიდებულებას. ამ მიზნით პ. კუბერტენს დაევალა საფუძვლიანად შეესწავლა მოწინავე ქვეყნების განათლების სტრუქტურები და მათი ანალიზის საფუძველზე შეემუშავებინა ფიზიკური აღზრდის ფრანგული მოდელი. უნდა აღინიშნოს, რომ პ. კუბერტენმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ დავალებას და წამოაყენა ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც კარდინალურად ცვლიდნენ განათლებისა და აღზრდის სისტემას.

პიერ დე კუბერტენი

საფრანგეთის ახალგაზრდობის აღზრდის სისტემის სრულყოფის ძირითად რეზერვს პ. კუბერტენი ფიზიკური აღზრდისადმი დამოკიდებულების შეცვლაში ხედავდა, რადაგან ფიზიკური აღზრდა მიაჩნდა ერის ჯანმრთელობის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. მან უარყო ფიზიკური აღზრდის გერმანული სისტემა, როგორც უხეში და გასამხედროებული და რეკომენდაცია მისცა აღზრდის ინგლისური სისტემის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რომელიც ორიენტირებული იყო თამაშებზე და რეკრეაციულ სახეებზე.

სხვადასხვა ქვეყნების ხალხის ჯანმრთელობაზე, კულტურაზე, განათლებაზე და აღზრდაზე სპორტის ზეგავლენის შესწავლის წყალობით პ. კუბერტენმა ჩამოაყალიბა საკუთარი დამოკიდებულება სპორტის მიმართ არა მხოლოდ როგორც აღზრდისა და განათლების საშუალებაზე, არამედ როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ფაქტორზე.

სპორტის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების ფორმირებაში პ. კუბერტენს არა მხოლოდ XIX საუკუნისათვის არსებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სისტემების სრულყოფილი შესწავლა დაეხმარა, არამედ ის ისტორიული გამოკვლევები, რომლებიც მან ჩაატარა მრავალი ქვეყნის ხალხთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სისტემების განვითარების საქმეში.

პიერ დე კუბერტენმა საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეაც, ამ წინადადებას მთავრობის წევრები ძალზე ცივად შეხვდნენ. თუმცა პ. კუბერტენს უკან არ დაუხევია და მან ამ იდეის აქტიური პროპაგანდა დაიწყო ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროექტი, რომლის საფუძველი ოლიმპიური თამაშების აღდგენა იყო, მრავალი ქვეყნის ნაციონალური სპორტული ფედერაციებისათვის მიმზიდველი და მისაღები აღმოჩნდა. მათ მიაჩნდათ, რომ ეს ხელს შეუწყობდა სპორტის სახეების შემდგომ განვითარებას. ამასთან იგი საჭირო იქნებოდა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომლებსაც დამატებითი მექანიზმები უჩნდებოდათ სახელმწიფო პოლიტიკისა და ნაციონალური პრესტიჟის ამაღლებისათვის.

თავად პ. კუბერტენის სიტყვებიდან გამომდინარე, ოლიმპიური თამაშების აღდგენის კომპანია მან 1887 წლის 30 აგვისტოს დაიწყო, როცა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ის ფრანგების ყურადღებას ამახვილებდა სკოლებში ბავშვების ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებასა და ფიზიკური აღზრდის ლიგის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. 1888 წელს გამოდის პ. კუბერტენის წიგნი "აღზრდა ინგლისში", ერთი წლის შემდეგ კი მეორე წიგნი — "ინგლისური აღზრდა საფრანგეთში", რომელშიც იგი თავის ჩანაფიქრზე მოგვითხრობს. 1888 წლის 1 ივლისს საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ შექმნილ ფიზიკური ვარჯიშების დანერგვის საგანგებო კომიტეტის სხდომაზე, პ. კუბერტენმა წარადგინა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეის ძირითადი პრინციპები. კუბერტენმა, როგორც განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა, გაითვალისწინა ბერძნების მიერ 1859-1889 წლებში ჩატარებული თამაშების წარუმატებელი გამოცდილება და გადაწყვიტა ოლიმპიური თამაშების აღდგენის ორგანიზებისათვის მოეზიდა სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო სპორტული მოღვაწეები, რათა თავიდანვე მიე-

ცა ოლიმპიური მოძრაობისათვის საერთაშორისო ხასიათი. ამ მიზნით 1889-1890 წლებში ის აწარმოებს ინტენსიურ მიმოწერას უცხოეთის სპორტის დარგის მუშაკებთან, აწყობს სხვადასხვა სახის საერთაშორისო შეჯიბრებებს, ახორციელებს საქმიან ვიზიტებს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი პირველად აშშ-ს 1889 წელს ეწვია, როგორც სპორტული წვრთნის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილე. 1890 წელს პ. კუბერტენის თაოსნობით პარიზში იმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი, რომელიც ასევე წვრთნის პრობლემებს მიუძღვნა. ამ კონგრესის მაღალ დონეზე ჩატარებამ საგრძნობლად აამაღლა პ. კუბერტენის ავტორიტეტი და პოპულარობა. ინგლისისა და ჩრდილოეთ ამერიკის სპორტულ ორგანიზაციებთან მყარდება მჭიდრო კავშირი. ამავე პერიოდში საფრანგეთში იქმნება სპორტულ საზოგადოებათა კავშირი, რომლის პირველ გენერალურ მდივნად პიერ დე კუბერტენს ირჩევენ.

1892 წელს ახლადდაარსებული კავშირის ანსამბლეაზე, რომელიც სორბონის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ჩატარდა, გაიმართა ისტორიული დისკუსია სპორტის თემატიკაზე. პ. კუბერტენმა გააკეთა მოხსენება — "ფიზიკური ვარჯიშები თანამედროვე მსოფლიოში", რომელიც ფაქტიურად მისი პირველი ნაბიჯი იყო სპორტის ინტერნაციონალიზაციიის გზაზე. აქ უკვე საჯაროდ გაისმა მოწოდება ოლიმპიური თამაშების აღორძინების შესახებ. თავისი ვრცელი მოხსენების დასკვნით ნაწილში მან აღნიშნა: "არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ ომის თავიდან აცილების შესახებ. ისინი რომლებიც ასეთ ადამიანებს მეოცნებეებად თვლიან, ცდებიან. მაგრამ არიან სხვები, რომლებიც ამბობენ ომის გაჩაღების შანსების პროგრესულ შემცირებაზე, და მე ამაში საერთოდ ვერავითარ უტოპიას ვერ ვხედავ. გასაგებია, რომ ტელეგრაფმა, რკინიგზამ, ტელეფონმა, ჩატარებულმა სამეცნიერო კონგრესებმა და გამოფენებმა მსოფლიოსათვის მეტი გააკეთეს, ვიდრე ყველა სახის მოლაპარაკებებმა და დიპლომატურმა შეთანხმებებმა და მე ვფიქრობ, რომ სპორტი კიდევ უფრო მეტს გააკეთებს. მან ვინც ნახა, თუ როგორ მიაბიჯებს ოცდაათი ათასი კაცი, წვიმის მიუხედავად, ფეხბურთის მატჩის საყურებლად, იციან, რომ მე არ ვაჭარბებ. მოდით მოვახდინოთ ჩვენი მორბენლებისა და მოფარიკაველების ექსპორტირება, ეს იქნება მომავლის თავისუფალი ვაჭრობა. როდესაც ეს დღე მოვა და შევა ძველი ევროპის ადათწესებში, პროგრესი მშვიდობის საკითხში მიიღებს ახალ, მძლავრ იმპულსს. ყველაფერი ეს მიგვიყვანს იქამდე, რომელსაც ჩვენი პროგრამის მეორე ნაწილს ვეძახით. ვიმედოვნებთ, რომ თქვენ დაგვეხმარებით მომავალშიც ისე, როგორც გვეხმარებოდით წარსულში, რომ განვახორციელოთ ეს ახალი პროექტი. მე მხედველობაში მაქვს, რომ ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ავაღორძინებთ უდიდეს და საუცხოო ინსტიტუტს - ოლიმპიურ თამაშებს."

ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს პ. კუბერტენი დაუახლოვდა და მჭიდრო კავშირი დაამყარა ოლიმპიური თამაშების აღორძინების ისეთ აქტიურ მომხრეებთან, როგორებიც იყვნენ დოქტორი უილიამ პენი ბრუქსი, ოლიმპიური საზოგადოებისა და ნაციონალური ოლიმპიური ასოციაციის ფუძემდებლები მაჩ ვანლოკსი და უილიამ

სლოენი. ეს სამივე დიდი პიროვნება პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების პროფესორები იყვნენ და საუნივერსიტეტო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათ სახელთან არის დაკავშირებული სპორტის განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში. პ. კუბერტენი ასევე დაუახლოვდა ინგლისელ ჩარლზ ჰერბერტს - XIX საუკუნის 70-იანი წლების მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულს რბენსა და ნიჩბოსნობაში. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ ჰერბერტი სპორტის ერთ-ერთ გამორჩეულ მოღვაწედ და მისი განვითარების ორგანიზატორად იქცა. იგი მხურვალედ უჭერდა მხარს საერთაშორისო ფედერაციების შექმნას და ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეას. პ. კუბერტენი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ამ ადამიანების მოღვაწეობას. კერძოდ, დოქტორ ბრუქსის შესახებ იგი წერდა, რომ სპორტს და ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეას არ ჰყავს ისეთი მტკიცე და დაჯერებული ადამიანი, როგორიც დოქტორი უილიამ ბრუქსია. მიუხედავად 82 წლის ასაკისა, იგი მხნე და აქტიურია და უდიდეს საქმეს აკეთებს სპორტული კავშირების განვითარებისათვის. პ.კუბერტენის აზრით ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეის გავრცელების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა პროფესორმა უ. სლოენმა. 1894 წელს პარიზში გამოცემული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველ ბიულეტენში პ. კუბერტენი წერდა: "1893 წლის შემოდგომაზე მე წარუშლელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ჩიკაგოში ვიყავი არაჩვეულებრივ სპორტულ კლუბში, სან-ფრანცისკოში — ოლიმპიურ კლუბში. მე ასევე მიმილეს აშშ-ს ყველა უნივერსიტეტში და არსად ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეას არ ხვდებოდნენ ისეთი ენთუზიაზმით, როგორც აქ. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა უილიამ სლოენი, რომელმაც ნიუიორკის უნივერსიტეტის კლუბში დიდი ბანკეტი მოაწყო. აქ დამსწრე საზოგადოება დიდი ინტერესით ხვდებოდა სპორტისა და ოლიმპიზმის იდეებს"

პ. კუბერტენი, დაბეჯითებით მიიწევდა თავისი მიზნის მისაღწევად,იგი აქტიურად ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობასაც. 1892 წლის ოქტომბერში მან საფრანგეთში მიიწვია ინგლისის ნიჩბოსანთა გუნდი. შემდეგ დაიწყო ფრანგი სპორტსმენების მომზადება ჰენლის სანიჩბოსნო რეგატისათვის. 1890-1892 წლებში პ. კუბერტენი და მისი მომხრეები აქტიურად იღწვიან საფრანგეთის სკოლებში ფიზიკური აღზრდის დანერგვისათვის.

როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ჯონ ლუკასი აღნიშნავს, 1892 წლის საფრანგეთის სპორტული საზოგადოებების კავშირის ანსამბლეის შემდეგ პ. კუბერტენი საბოლოოდ დარწმუნდა ოლიმპიური იდეების განვითარების აუცილებლობაში და უკვე არა ნაციონალური, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. ამერიკისა და ინგლისის ათლეტური კავშირების დახმარებით პ. კუბერტენმა შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა დამფუძნებელი კონგრესის მომზადება. პ. კუბერტენის მრავალწლოვანმა დაუღალავმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

2.3. ოლიმპიური თამაშების აღორძინების კონგრესი

1894 წლის 16 ივნისს პარიზის სორბონის უნივერსიტეტის დიდ სხდომათა დარბაზში ორიათასამდე კაცმა მოიყარა თავი. პ. კუბერტენმა შეგნებულად აირჩია კონგრესის ჩასატარებლად მეცნიერების ეს ტაძარი, რადგან ყველასათვის გასაგები ყოფილიყო, რომ საქმე გვქონდა გაცილებით უფრო დიდ და მასშტაბურ მოვლენასთან, ვიდრე უბრალო სპორტულ თათბირთან. ფორუმს ესწრებოდა 12 ქვეყნის 49 სპორტული ორგანიზაციის 79 დელეგატი. მოსაწვევ ბარათებზე ეწერა "ოლიმპიური თამაშების აღორძინების კონგრესი" მოგვიანებით ეს კონგრესი ისტორიაში შევა, როგორც პირველი ოლიმპიური კონგრესი. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფორუმის მონაწილეებზე ძველბერძნულ ენაზე წაკითხულმა "აპოლონის ჰიმნმა", რომელიც ამ კონგრესის დაწყებამდე რამოდენიმე თვით ადრე იქნა აღმოჩენილი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამაარსებლები

კონგრესზე პერსონალური მოწვევა ჰქონდათ ამერიკელ პროფესორ უ. სლოენს, ინგლისელ ჩ. ჰერბერტს, შვედ ვ. ბლანკას და უნგრელ ფ. კამენის. დიდი ქვეყნებიდან მხოლოდ გერმანიამ განაცხადა უარი კონგრესის მუშაობაში მონაწილეობაზე. გერმანიის სამხედრო წრეები მტრულად განეწყვნენ ორგანიზატორების მიერ გამოცხადებული ოლიმპიური თამაშების პაციფისტური იდეებისადმი.

კონგრესის დელეგატები ორ სექციაში მუშაობდნენ და ძირითადად იმ საკითხებს განიხილავდნენ, რომელიც პ. კუბერტენმა კონგრესის დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე გამოაქვეყნა სტატიაში "ოლიმპიური თამაშების აღორ-

ძინება", სადაც მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ოლიმპიზმის იდეალები და პრინციპები. განსაკუთრებული სიმწვავით მიდიოდა კამათი სამოყვარულო და პროფესიული სპორტის საკითხებზე. საბოლოოდ გაიმარჯვა პ. კუბერტენის წინადადებამ, რომელიც ყოველთვის გამოდიოდა უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენების საცირკო შემსრულებლებად გადაქცევის წინააღმდეგ.

კონგრესზე გადაწყდა, რომ როგორც ძველბერძნული ტრადიცია, თანამედროვე ოლიმპიური თამაშები გაიმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რომ თამაშები (ძველი ოლიმპიადებისაგან განსხვავებით) იქნება თანამედროვე და საერთაშორისო, რომ მის პროგრამაში შევა სპორტის ის სახეები, რომლებიც XIX საუკუნეში არის კულტივირებული, რომ თანამედროვე ოლიმპიური თამაშები რიგრიგობით ჩატარდება სხვადასხვა კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნაში.

პარიზის პირველი ოლიმპიური კონგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი უსათუოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) შექმნა იყო. ეს 1894 წლის 23 ივნისს მოხდა. სოკ-ის შემადგენლობაში ინგლისის, აშშ-ს, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, შვეციის, უნგრეთის, ჩეხეთის, ბელგიის, არგენტინის და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები შევიდნენ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა სია პირადად პიერ დე კუბერტენის მიერ მომზადდა, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

თანამედროვეობის პირველი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები გახდნენ: ლორდი ამპტჰილი და ჩარლზ ჰერბერტი (ინგლისი), პროფესორი უილიამ სლოენი (აშშ), გენერალი ალექსეი ბუტოვსკი (რუსეთი), დემეტრიუს ვიკელასი (საბერძნეთი), ბარონი პიერ დე კუბერტენი და ერნე კალო (საფრანგეთი), გენერალი ვიქტორ ბალკი (შვეცია), ფერენც კემენი (უნგრეთი), იურისტი ირჟი გუტ იაროვსკი (ბოჰემია), დოქტორი ხოსე ბენჯამინ სუბიერი (არგენტინა), ლეონარდ კაფი (ახალი ზელანდია), გრაფი ლუკეზი პალი და დიუკ ანდრია კარაფა (იტალია) და გრაფი მაქსიმ დე ბუსიე (ბელგია).

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივნად ბარონ პიერ დე კუბერტენი იქნა არჩეული. ხოლო პირველ პრეზიდენტად ბერძენი დემეტრიუს ვიკელასი.

კონგრესზე დამტკიცებულ იქნა ოლიმპიური ქარტია, რომელიც სოკ-ის საწესდებო დოკუმენტების კრებულს წარმოადგენდა. ქარტია განსაზღვრავდა ოლიმპიური მოძრაობის ამოცანებს და მიზნებს, პრინციპებს, დებულებებს, ოლიმპიური თამაშების ჩატარების წესებს. დროთა განმავლობაში ოლიმპიური ქარტიის სხვადასხვა პუნქტებში შეჰქონდათ დამატებები, დაზუსტებები, აუცილებელი განმარტებები.ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პირვანდელ დებულებებში ბევრი ანტიდემოკრატიული ხასიათის მატარებელი პუნქტები იყო. პირველ რიგში ეს ეხებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფორმირების პრინციპებს, რომლის თანახმადაც მისი წევრები უვადოდ ირჩეოდნენ, ხოლო ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლობა შეზღუდული იყო.

დღევანდელი გადასახედიდან შესამჩნევი ლაფსუსის მიუხედავად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიური ქარტია, რომლის ძირითადი კონცეფცია პ. კუბერტენის მიერ იყო შემუშავებული ემსახურებოდა და ემსახურება ოლიმპიურ მოძრაობას, როგორც თავისებური კონსტიტუცია.

თავდაპირველად კონგრესზე პ. კუბერტენმა წამოაყენა წინადადება, რომ ოლიმპიური თამაშები ჩაეტარებინათ XX საუკუნის პირველ წელს პარიზში. მაგრამ საბერძნეთის დელეგაციის დაჟინებული მოთხოვნის გათვალისწინებით და საბერძნეთის ბრწყინვალე წარსულის პატივისცემის ნიშნად გადაწყდა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები 1896 წელს ათენში ჩაეტარებინათ. ამ გარემოებამ განაპირობა ისიც, რომ ბერძენი პოეტი და მთარგმნელი ბეკილას დიმიტრიოსი ათენის ოლიმპიური თამაშების პრეზიდენტად აირჩიეს.

1894 წლის 23 ივნისს კონგრესმა თავისი მუშაობა დაასრულა.

2.4. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი)

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, როგორც საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაცია, განუსაზღვრელი ვადითაა შექმნილი და მისი იურიდიული სტატუსი შვეიცარიის ფედერალური საბჭოს 1981 წლის 17 სექტემბრის დადგენილებითაა აღიარებული. 1915 წლიდან ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინის მუდმივი ადგილსამყოფელია ქ. ლოზანა. სოკ-ი არის თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ორგანო. იგი როგორც უმაღლესი ოლიმპიური ინსტანცია,იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ) და სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების (სსფ) აღიარების შესახებ, განსაზღვრავს ოლიმპიური თამაშების პროგრამებს, ირჩევს თამაშების ჩამტარებელ ქალაქს, აწესებს და ანიჭებს ოლიმპიურ ჯილდოებს. სოკ-ი გადამწყვეტ და საბოლოო სიტყვას ამბობს



სოკ-ის შტაბბინა ლოზანაში

ოლიმპიური თამაშების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. სოკ-ის უმაღლესი ორგანოებია სესია და აღმასკომი, რომელსაც სათავეში პრეზიდენტი უდგას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავის წევრებს კვალიფიციურ და ავტორიტეტულ პიროვნებათა რიგებიდან ირჩევს. ისინი უნდა იყვნენ იმ ქვეყნის მუდმივი მაცხოვრებლები, სადაც არსებობს სოკ-ის მიერ აღიარებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. გარდა ამისა ისინი უნდა ფლობდნენ იმ ენათაგან ერთ-ერთს, რომელიც მიღებულია სესიის ოფიციალურ ენად (ინგლისური, ან ფრანგული). საზეიმო ვითარებაში სოკ-ის ახლადარჩეული წევრები ადასტურებენ თანხმობას მათზე დაკისრებულ ვალდებულებებზე და დებენ ფიცს, რომ პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ ოლიმპიური ქარტიისა და სოკ-ის დებულებების შესრულებას, თავისუფალი იქნებიან ნებისმიერი პოლიტიკური, თუ კომერციული გავლენისაგან, რელიგიური და რასობრივი შეხედულებებისაგან, იმოქმედებენ ოლიმპიური მოძრაობის ინტერესების შესაბამისად ჩვეულებრივ ერთი ქვეყნიდან ირჩევენ ერთ წევრს, მაგრამ იმ ქვეყნებიდან სადაც ჩატარდა ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, დასაშვებია სოკ-ის ორი წევრის არჩევა.

სოკ-ი თავის შეხედულებებით თავად ირჩევს ახალ წევრებს. თვითშევსების პრინციპმა უნდა უზრუნველყოს სოკ-ის სრული დამოუკიდებლობა. სოკ-ის წევრები ითვლებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებად თავიანთ ქვეყნებში და არა დელეგატებად ამ ქვეყნებიდან. სოკ-ის წევრს უფლება არ აქვს მიიღოს მთავრობის, ორგანიზაციის, ან კერძო პირის ისეთი წინადადებები, რომლებიც შებოჭავენ მის მოქმედებას და დამოუკიდებლობას ხმის მიცემის პროცესში. პ. კუბერტენი დარწმუნებული იყო, რომ ამგვარი მიდგომით აბსოლუტურად დაცული იქნებოდა ოლიმპიური იდეები, ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გამოირიცხებოდა ყოველგვარი ზეწოლის მცდელობა და ეროვნული ინტერესები საერთო პრინციპიალურ მითითებებს დაექვემდებარებოდა.

სესია არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ორგანო. სესია იმართება წელიწადში ერთხელ მაინც. რიგგარეშე სესია შეიძლება მოწვეულ იქნას პრეზიდენტის ინიციატივით, ან სოკ-ის წევრთა ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მორიგი სესიის გამართვის ადგილს განსაზღვრას სოკ-ი, ხოლო რიგგარეშესას — პრეზიდენტი.

სესია ღებულობს ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. საჭიროების შემთხვევაში შესწორება შეაქვს ოლიმპიურ ქარტიაში, განსაზღვრავს ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ირჩევს ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ქალაქ ორგანიზატორებს, ამტკიცებს თამაშების პროგრამებს. აღმასკომის წინადადების საფუძველზე ირჩევს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს. სესიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში გარდა პრეზიდენტისა, ოთხი ვიცე-პრეზიდენტი და ათი წევრი შედის. აღმასკომის ყველა წევრი აირჩევა სესიაზე ფარული კენჭისყრით. პრეზიდენტის გარდა ყველა წევრს ირჩევენ ოთხი წლით. აღმასკომი ხელმძღვანელობს სოკ-ის საქმიანობას და ყუ-

რადღებას აქცევს ოლიმპიური ქარტიის დაცვას, პასუხს აგებს სოკ-ის ადმინისტრაციის საქმიანობაზე და ფინანსურ მოღვაწეობაზე. სესიას წარუდგენს სოკ-ის წევრობის კანდიდატებს, ნიშნავს დირექტორებს, ინახავს სოკ-ის არქივს და ა.შ.

საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ სოკ-ის წევრთაგან რვა წლის ვადით მომდევნო ოთხი წლით ხელახალი არჩევის უფლებით.

ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს კონგრესი. 1894 წლიდან 1930 წლამდე მოეწყო ცხრა კონგრესი, რომელთაგანაც რვის ორგანიზატორი პიერ დე კუბერტენი იყო. შემდგომში მთელი 43 წლის განმავლობაში იგი არ გამართულა და მხოლოდ 1973 წელს ბულგარეთის ქ. ვარნაში ჩატარდა X კონგრესი. განახლებული ქარტიის თანახმად და პრეზიდენტის თაოსნობით ოლიმპიური კონგრესი ყოველ რვა წლიწადში ერთხელ მოიწვევა და იგი საკონსულტაციო ხასიათს ატარებს. ქ. ვარნის შემდეგ მეთერთმეტე ოლიმპიური კონგრესი ჩატარდა 1981 წელს ბადენ-ბადენში, ხოლო მეთორმეტე კონგრესი გაიმართა 1994 წელს პარიზში.

2.5. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (ეოკი)

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თავის ქვეყანაში, როგორც ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტებთან და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან ერთად, ოლიმპიური სპორტის საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურაა. თუ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არ ცნო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, მაშინ ამ ქვეყნის სპორტსმენები ვერ მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ცნო რიგი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები: საბერძნეთი და საფრანგეთი-1894 წელს, ავსტრალია, უნგრეთი და აშშ - 1895 წელს, ჩილე -1896წელს. სსრკ-ს ოლიმპიური კომიტეტი სოკ-ის წევრი გახდა 1951 წელს. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები მიღებულ იქნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებად. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1989 წელს და იგი სოკ-მა სცნო 1992 წლის 9 მარტს დროებით და პირობით, ხოლო 1993 წლის იანვრიდან მუდმივად.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიზანია ოლიმპიური ქარტიის დებულებების საფუძველზე თავის ქვეყანაში განავითაროს და დაიცვას ოლიმპიური მოძრაობა. ეოკ-ები სპორტული საქმიანობით ავრცელებენ ოლიმპიზმის ძირითად პრინციპებს თავიანთ ქვეყნებში მკაცრ ზომებს იყენებენ სპორტში დისკრიმინაციის, ან ძალადობის გამოვლინების წინააღმდეგ. იბრძვიან სოკ-ის და საერთაშორისო ფედერაციების მიერ აკრძალული ნებისმიერი პრეპარატისა და პროცედურების გამოყენების წინააღმდეგ, კერძოდ, მიმართავენ თავიანთი ქვეყნის ხელისუფლებას, რათა სამედიცინო კონტროლი ოპტიმალურ პირობებში იქნას დაცული.

ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს განსაკუთრებული უფლებები გააჩნიათ თავიანთი ქვეყნის წარმომადგენლებისათვის ოლიმპიურ თამაშებში და რეგიონალურ საკონტინენტთაშორისო და სხვა სპორტულ შეჯიბრებებში, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობით ან მათი პატრონაჟობით ტარდება. ეოკ-ები იცავენ თავიანთ ავტონომიას და წინააღმდეგობას უწევენ ნებისმიერი სახის პოლიტიკურ და რელიგიურ თუ ეკონომიკურ ზეწოლას, რაც ხელს უშლის მათ ქარტიის დებულებათა შესრულებაში. გარდა ამისა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს უფლება აქვთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე დააყენონ ოლიმპიურ ქარტიასთან და ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებული წინადადებები, რომლებიც შეეხება ოლიმპიური თამაშების ორგანიზებასა და მათ ჩატარებას. ეოკ-ები ხელს უწყობენ ოლიმპიური კონგრესების მომზადებას, აქტიურად თანამშრომლობენ თავიანთი ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ოლიმპიური მოძრაობის განვითარების საკითხებში. მათ თავის მხრივ, არ უნდა აწარმოონ ისეთი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება ოლიმპიური ქარტიის პრინციპებს. ოლიმპიური ქარტიის დებულებების დარღვევისათვის დაწესებული ზომებისა და სანქციების გარდა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უფლება აქვს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ შეაჩეროს, ან გააუქმოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღიარება თუ: 1) ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობას ხელი ეშლება ქვეყანაში არსებული ნორმატიული აქტების დებულებებისა და წესების მოქმედებით, ან ქვეყანაში არსებული სპორტული, თუ სხვა გაერთიანებების ქმედებით; 2) თუ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან დაკავშირებული ეროვნული სპორტული ფედერაციებისა და სხვა გაერთიანებათა ნებას ეწინააღმდეგება კანონის, დებულებებისა და წესების მოქმედება, ან ქვეყანაში არსებული სპორტული, თუ სხვა სახის გაერთიანებათა ქმედება.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები, რომლებიც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობაში არიან და მათ ეძლევათ ხმის მიცემის უფლება, როგორც აღმასრულებელ ორგანოში, ასევე გენერალურ სესიებზე.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში, შერჩევის წესით, ასევე უნდა შედიოდნენ აქტიური და ყოფილი სპორტსმენები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიურ თამაშებში; მთავრობებს, ან სხვა საზოგადოებრივ ორგანოებს არ გააჩნიათ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრთა დასახელების უფლება, თუმცა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია თავად გადაწყვიტოს მისი სურვილის მიხედვით ასეთი ორგანოებიდან წარმომადგენლების არჩევა. სოკ-ი აღიარებს მხოლოდ იმ ეოკ-ებს, რომელთა იურისდიქცია შეესატყვისება იმ ქვეყნისას, რომელშიც იგი დაარსდა და სადაც აქვს შტაბბინა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური ასამბლეა უნდა ჩატარდეს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. აღმასრულებელი ორგანოს ხელახალი არჩევნები ან განახლება ახალი წევრებით ხდება, სულ მცირე, ყოველ ოთხ წელიწადში, ეს მოხდება გენერალური ასამბლეის საარჩევნო სხდომაზე, რომლის დღის წესრიგიც ასეთ ცვლილებას ითვალისწინებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაციით ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიური მოძრაობის განვითარების მიზნით რეგულარულად უნდა მოაწყოს ოლიმპიური დღე ან კვირა. თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყოს სპორტისა და ოლიმპიზმის დარგში კულტურისა და ხელოვნების დაწინაურებას, მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამებში, ეძებოს ფინანსური რესურსები, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ ყველა დარგში შეინარჩუნოს თავიანთი ავტონომია.

უყენებს, რა მკაფიო მოთხოვნებს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს მათი მოვალეობებისა და უფლებამოსილების შესახებ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ ზღუდავს მათ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები. სოკ-ი არ თხოულობს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების უნიფიცირებულ დასახელებას, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. მაგალითად - ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაცია, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი, უკრაინის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ა.შ.

2003 წლის 1 იანვრისათვის საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა და სცნო 200 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ოლიმპიური სპორტის შემდგომი განვითარების კოორდინაციის მიზნით ეოკ-ბი გაერთიანებული არიან ასევე სხვადასხვა ასოციაციებში, რომლებიც მსოფლიო, ან კონტინენტურ დონეზეა ჩამოყალიბებული. დღეისათვის მსოფლიო დონის ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს- -ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია (ACNO), რომელიც 1968 წელს შეიქმნა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აღიარებს აგრეთვე ეოკ-ბის კონტინენტალურ გაერთიანებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ოლიმპიური სპორტის განვითარებას. მათ მიეკუთვნება: აფრიკის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია (ANOCA), აზიის ოლიმპიური საბჭო (OCA), პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია (ODEPA), ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია(EOC) და ოკეანიის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტები (ONOC).

2.6. ოლიმპიური დროშა

ოლიმპიურ დროშას აქვს თეთრი ფონი საზღვრის გარეშე. მის ცენტრში მოთავსებულია ოლიმპიური სიმბოლო თავის ხუთ ფერში (ლურჯი, ყვითელი, შავი, მწვანე და წითელი). დროშა პიერ დე კუბერტენის წინადადების საფუძველზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ 1913 წელს იქნა დამტკიცებული.

პირველად ოლიმპიური დროშა აფრიალდა პარიზის 1914 წლის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე, რომელიც ოლიმპიური თამაშების აღდგენის 20 წლისთავს მიეძღვნა.

საინტერესოა, რომ ოლიმპიური დროშა ოლიმპიადამდე 1914 წლის 5 აპრილს პანეგვიპტურ თამაშებზე იქნა აღმართული. ეს თამაშები გაიმართა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟით.

ოლიმპიური დროშის პირველი ოფიციალური აღმართვის ცერემონიალი გაიმართა 1920 წლის 20 აპრილს ანტვერპენის VII ოლიმპიურ თამაშებზე.

ამ დროშას საინტერესო ისტორია აქვს. ანტვერპენის თამაშებზე ამერიკელმა წყალში მხტომელმა ჰარი პრისტმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და მას სამახსოვროდ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად აფრიალებული ოლიმპიური დრომაც გააყოლა. მხოლოდ 80 წლის შემდეგ, სიდნეიში სოკ-ის 111-ე სესიაზე, სადაც 103 წლის ჰარი პრისტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მონვევით ჩავიდა, დროშა უკან დააბრუნა. აღსანიშნავია ისიც. რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად 99 წლის ასაკისა, იგი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის საჩირაღდნო ესტაფეტაშიც მონაწილეობდა

დღეისათვის ეს დროშა ინახება ოლიმპიურ მუზეუმში - ლოზანაში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური დროშის ნიმუშად ითვლება ის, რომელიც 1914 წელს პარიზის საზეიმო კონგრესზე იქნა აღმართული. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეს დროშა 1920 წლის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ბელგიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საჩუქრად გადასცა. ასე მოხდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროშის ირგვლივაც. 1952 წელს ნორვეგიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საჩუქრად გადასცა იგი სოკ-ს.

აღსანიშნავია, რომ მთავარ ოლიმპიურ სტადიონებზე ეს დროშები არ აღიმართება. ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე, წინა ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქალაქის წარმომადგენელი ოფიციალურ დროშას გადასცემს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, რომელიც თავის მხრივ მას მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის მერს გადასცემს. ეს დროშა ოთხი წლის მანძილზე ინახება ქალაქის მთავარ შენობაში — მერიაში. დროშებს, რომლებიც ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე აღიმართება, ამზადებენ ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქალაქები.

2.7. ოლიმპიური დევიზი და სიმბოლო

ოლიმპიური სიმბოლო ხუთი გადაჯაჭვული რგოლი გამოხატავს ხუთი კონტინენის ერთობას.

ოლიმპიური დევიზი "Citius, Altius, Fortius" (უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად), გამოხატავს ოლიმპიურ მისწრაფებას და სულისკვეთებას.



ამ დევიზის ავტორია პიერ დე კუბერტენის მეგობარი, ფრანგი მღვდელი ანრი დიდონი. დევიზი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ 1913 წელს იქნა მოწონებული და დამტკიცებული.

ოფიციალური ოლიმპიური ემბლემა დამტკიცებული იქნა 1920 წელს და წარმოადგენს ოლიმპიური რგოლებისა და სხვა ელემენტების ერთიან გამოსახულებას. თავიანთ ოლიმპიურ ემბლემებს ქმნიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და ოლიმპიური თამაშების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტები.ნებისმიერი ოლიმპიური ემბლემის გამოსახულება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ საბჭოს. ასეთი დამტკიცება აუცილებელი წინაპირობაა ემბლემის ნებისმიერი გამოყენებისათვის.

2.8. ოლიმპიური ცეცხლი

ოლიმპიური ცეცხლი ოლიმპიური თამაშების ტრადიციული ატრიბუტია, რომელიც ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. ოლიმპიური ცეცხლის მზის სხივებით (სპეციალური ლინზების მეშვეობით დანთების იდეა ეკუთვნის პიერ დე კუბერტენს. ეს იდეა მან 1912 წელს წამოაყენა.

ტრადიციისამებრ ოლიმპიაში, ღმერთქალ ჰერას ტაძრის ნანგრევებში ანტიკურ სამოსელში გამოწყობილი მანდილოსნები გამადიდებელი შუშის საშუალებით მზის სხივებისაგან ანთებენ ცეცხლს და შემდეგ ოლიმპიურ ჩირაღდანს. ოლიმპიური ჩირაღდანი ესტაფეტის საშუალებით მიაქვთ იმ ქალაქამდე, სადაც ტარდება ოლიმპიური თამაშები. ჩირაღდნის მოგზაურობის ბოლო ეტაპზე მას გადასცემენ ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენს, რომელიც მთავარ სტადიონზე აღმართულ ვეება ფიალაში ცეცხლს ანთებს.

ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე დანთებული ცეცხლი თამაშების ბოლომდე უნდა ენთოს.

პირველად ოლიმპიური ცეცხლი 1928 წელს ამსტერდამის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე აინთო. თუმცა იგი ჩირაღდნის ესტაფეტის გარეშე მოხდა. ოლიმპიურ ცეცხლთან დაკავშირებული ცერემონიალი პირველად 1936წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმართა.

ოლიმპიური ცეცხლის დანთება ტრადიციად იქცა ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ 1952 წელს ესტაფეტამ სტარტი აიღო არა ოლიმპიაში, არამედ ნორვეგიის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ მორგედალში.

ჩირაღდანი ანთებული იქნა იმ სახლის ბუხარში, სადაც ცხოვრობდა თანამედროვე სათხილამურო სპორტის ფუძემდებელი ს. ნორდჰეიმი (1825-1897ნ). სწორედ მორგედალიდან იქნა ჩატანილი ცეცხლი 1952 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ ოსლოში, 1956 წელს კორტინა დ' ამპეცოში და 1960 წელს სკვო-ველში.

ოლიმპიუპი ცეცხლის დანთება

1964 წლიდან, ზამთრის ყველა ოლიმპიურ თამაშებზე ცეცხლი საბერძეთიდან, კერძოდ ოლიმპიიდან ნამოღებული ჩირაღდნით ინთება.

1976წელს მონრეალის თამაშებზე ოლიმპიური ცეცხლის მიტანა კანადის დედაქალაქ ოტავში ანთებული ჩირაღდნით მოხდა. კოსმოსური თანამგზავრის საშუალებით ლაზერის სხივით ოტავაში გადაიცა იმპულსი, რომელმაც აანთო ჩირაღდანი და შემდეგ ესტაფეტის მონაწილეებმა მონრეალში ჩაიტანეს.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე ჩირაღდნები მიიტანეს და ცეცხლი აანთეს:

1936 წელს ბერლინში — ფრიც შილიგენმა;
1948 წელს ლონდონში — ჯონ მარკმა;
1952 წელს ჰელსინკში — პაავო ნურმიმ;
1956 წელს მელბურნში — რონ კლარკმა,
სტოკჰოლმში — ჰანს უიქნიმ;

1960 წელს რომში — ჯანკარლო პერისმა;
1964 წელს ტოკიოში — იოშინორი საკაიმ;
1968 წელს მეხიკოში — ენრიკეტა ბასილიო დე სოტელომ;
1972 წელს მიუნხენში — გიუნტერ ზანიმ;
1976 წელს მონრეალში — სტივენ პროფონტეინმა;
1980 წელს მოსკოვში — სერგეი ბელოვმა;
1984 წელს ლოს-ანჯელესში — რეფერ ჯონსონმა, ჯინა ჰემფილმა;
1988 წელს სეულში — სონ კი ჩონგმა;
1992 წელს ბარსელონაში — ანტონიო რებელომ;
1996 წელს ატლანტაში — მოჰამედ ალიმ;
2000 წელს სიდნეიში — კეტი ფრიმენმა;

ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე ჩირაღდნები მიიტანეს და ცეცხლი აანთეს:

1952 წელს ოსლოში — ეიგილ ნანსენმა;
1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში — გვიდო კაროლმა;
1960 წელს სკვო-ველში — კენეტ ჰენრიმ;
1964 წელს ინსბრუკში — ჯოზეფ რაიდერმა;
1968 წელს გრენობლში — ალან ქალმათიმ;
1972 წელს საპოროში — ჰიდეკი ტაკადამ;
1976 წელს ინსბრუკში — კრისტ ჰაასიმ და ჯოზეფ ფაისტმანტლიმ;
1980 წელს ლეიკ-პლესიდში — ჩარლზ მორგან კერიმ;
1984 წელს სარაევოში — სანდრა დუბროვჩიკმა;
1988 წელს კალგარიში — რობინ ჰერიმ;
1992 წელს ალბერვილში — მიშელ ჰლატინიმ და ფრანსუა სირილ გრანჟმა;
1994 წელს ლილეჰამერში — პრინც ჰაკონმა;
1998 წელს ნაგანოში — მიდორი იტომ;
2002 წელს სოლტ ლეიკ სიტიში — აშშ-ს ჰოკეისტთა გუნდმა, 1980 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა;

როგორც წესი ჩირაღდნის ესტაფეტის ბოლო ეტაპის და მთავარი სტადიონის ფიალის ანთების პატივი ეძლევათ სახელოვან სპორტსმენებს, ან ახალგაზრდა პერსპექტიულ ათლეტებს. თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, 1964 წელს ტოკიოში ოლიმპიური ცეცხლი აანთო იოშინორი საკაიმ, რომელიც სპორტსმენი არ იყო, მაგრამ იგი დაიბადა 1945 წლის 6 აგვისტოს, ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების დღეს. ეს თავისებური აქცია იყო ატომური ომის წინააღმდეგ. 1952 წელს ოსლოში ოლიმპიური ცეცხლი აანთო ეიგილ ნანსენმა — ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარის ფ. ნანსენის შვილიშვილმა. 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ცეცხლი აანთეს ამერიკელმა მძლეოსანმა — რეფერ ჯონსონმა და ლეგენდარული ჯესი ოუენსის შვილიშვილმა- ჯინა ჰემფილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1968 წლამდე (მეხიკო) ოლიმპიური ჩირაღდნის ბოლო ეტაპზე მიღების და შემდეგ სტადიონის ფიალაზე ცეცხლის ანთების პატივი მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ.პირველად მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებზე ცეცხლი 20 წლის ქალმა — ენრიკეტა ბასილიო დე სოტელომ აანთო. ასეთი პატივი ხვდა წილად 2000 წელს სიდნეიში ავსტრალიელ ქალს — კეტი ფრიმენს.

2.9. ოლიმპიური ფიცი

ფიცი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალია. ფიცის ტექსტი ეკუთვნის პიერ დე კუბერტენს, რომელმაც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს იგი 1913 წელს შესთავაზა.

ოლიმპიური ფიცის ტექსტი პირველად 1920 წელს ანტვერპენის VII ოლიმპიურ თამაშებზე გაჟღერდა. ქარტიის თანახმად, მასპინძელი ქვეყნის სპორტსმენი ადის ტრიბუნაზე, მარცხენა ხელში უჭირავს ოლიმპიური დროშა, მარჯვენა ხელს ზეაღმართავს და საზეიმოდ დებს ფიცს: "ყველა სპორტსმენის სახელით გპირდებით, რომ ჩემი გუნდის სპორტული დიდებისა და ღირსებისათვის, ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით მონაწილეობას მივიღებ ოლიმპიურ თამაშებში, პატივს ვცემ და დავიცავ მის კანონებს"

1968 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ანალოგიური ფიცი მიეღოთ ოლიმპიური თამაშების მსაჯებსაც.

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე
ფიცი წარმოთქვეს:

1920 წელს ანტვერპენში — მოფარიკავე — ვიქტორ ბუანმა;
1924 წელს პარიზში — მძლეოსანმა — ჟორჟ ანდრემ;
1928 წელს ამსტერდამში — ფეხბურთელმა ჰარი დენისმა;
1932 წელს ლოს-ანჯელესში — მოფარიკავე — ჯორჯ კალნენმა;
1936 წელს ბერლინში — მძლეოსანმა — რუდოლფ იზმაირმა
1948 წელს ლონდონში — მძლეოსანმა — დონალდ ფინლიმ;
1952 წელს ჰელსინკში — ტანმოვარჯიშე — ჰეიკი სავოლაინენმა;
1956 წელს მელბურნში — მძლეოსანმა — ჯონ ლენდიმ;
სტოკჰოლმში — ცხენოსანმა — ჰენრი სენ-სირმა;
1960 წელს რომში — მძლეოსანმა — ადოლფო კონსოლინიმ;
1964 წელს ტოკიოში — ტანმოვარჯიშე — ტაკასი ონომ;
1968 წელს მეხიკოში — მძლეოსანმა — პაბლო გარიდომ;
1972 წელს მიუნხენში — მძლეოსანმა — ჰაიდი შულერმა;
1976 წელს მონრეალში — მძლეოსანმა — პიერ სენ-ჟანმა;
1980 წელს მოსკოვში — ტანმოვარჯიშე — ნიკოლაი ანდრიანოვმა;
1984 წელს ლოს-ანჯელესში — მძლეოსანმა — ედვინ მოზესმა;

1988 წელს სეულში — კალათბურთელმა — ჰუ ჯაემ;
1992 წელს ბარსელონაში — აფროსანმა — ლუის დორესტე ბლანკომ;
1996 წელს ატლანტაში —კალათბურთელმა— ტერეზა ედვარდსმა;
2000 წელს სიდნეიში — ბალახის ჰოკეისტსმა ქალმა — რიჩელ ჰოუკსმა.

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე
პირველი ქალი, რომელმაც ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა — იყო გერმანელი მძლეოსანი ჰაიდი შულერი

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ფიცი წარმოთქვეს:

1924 წელს შამონში — სამთომოთხილამურე — კამილ მანდრიონმა;
1928 წელს სანკტ-მორიცში — სამთომოთხილამურე — ჰანს აიდენბენცმა;
1932 წელს ლეიკ-პლესიდში — მოციგურავე — ჯონ შიმ;
1936 წელს გარმიშ-პარტენკირჰენში — სამთომოთხილამურე - ვილჰელმ ბოგნერმა;
1948 წელს სანკტ-მორიცში — ჰოკეისტმა — რიშარ ტორიანიმ;
1952 წელს ოსლოში — მოთხილამურე — ტურბიორნ ფალკანგერმა;
1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში — სამთომოთხილამურე — ჯულიანა კენალ-მინუცომ;
1960 წელს სკვო-ველში — ფიგურულმა მოციგურავე — კეროლ ჰეისმა;
1964 წელს ინსბრუკში — ბეისბოლისტმა — პაულ ასტემ;
1968 წელს გრენობლში — სამთომოთხილამურე— ლეო ლიაკრუამ;
1972 წელს საპოროში — მოციგურავე — კეიტი სუძუკიმ;
1976 წელს ინსბრუკში — ბობსლეისტმა — ვერნერ დელე კარტმა;
1980 წელს ლეიკ-პლესიდში — მოციგურავე — ერიკ ჰეიდენმა;
1984 წელს სარაევოში — სამთომოთხილამურე — ბოჟან კრიჟიჩმა;
1988 წელს კალგარიში — მოთთხილამურე — პიერ ჰარვეიმ;
1992 წელს ალბერვილში — ფიგურულმა მოციგურავემ — სურია ბონალიმ;
1994 წელს ლილეჰამერში — მოთხილამურე — ვიგარდ ულვანგმა;
1998 წელს ნაგანოში — ორჭიდელმა — კენი ოგივარამ;
2002 წელს სოლტ ლეიკ სიტიში — მოციგურავე — ჯიმ შიმ;

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე
პირველი ქალი, რომელმაც ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა — იყო იტალიელი სამთომოთხილამურე - ჯულიანა კენალ-მინუცო.

2. 10. ოლიმპიური ჰიმნი

ოლიმპიური ჰიმნი დაამტკიცეს 1958 წელს ტოკიოში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 55-ე სესიაზე. ჰიმნის პარტიტურა ინახება სოკ-ის შტაბბინაში.



როგორც ოლიმპიური სიმბოლოს, დროშის და დევიზის, ისე ჰიმნის გამოყენების ყველა უფლება ეკუთვნის მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

პირველად ჰიმნი აღელერდა სპირიდონ სამარასის დირიჟორობით (ტექსტის ავტორი იყო კოსტის პალამასი) 1896 წელს.

1932 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე დაუკრეს ამერიკელი მუსიკოსის კოლერის მელოდია.

1933 წელს სოკის ვენის სესიაზე გამოცხადდა კონკურსი ახალი ოლიმპიური ჰიმნის შექმნაზე.

1936 წელს ახალ ოლიმპიურ ჰიმნად აღიარეს რიხარდ შტრაუსის კომპოზიცია. მოგვიანებით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთოდ გააუქმა ოლიმპიური ჰიმნი.

ოცდაათიანი წლებიდან სოკ-ი კვლავ დაუბრუნდა ჰიმნის საკითხს. გამოაცხადდა კონკურსი. მოსმენილ იქნა 387 ნაწარმოები, რომელიც მსოფლიოს 40 ქვეყნის მუსიკოსებმა წარმოადგინეს. გამარჯვებული ამ კონკურსში პოლონელი კომპოზიტორი სპივაკი გამოვიდა, მაგრამ სოკ-ისა და სპივაკის თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა იმ მიზეზის გამო, რომ კომპოზიტორი მისი მელოდიის ყოველ შესრულებაში საკმაოდ დიდ გასამრჯელოს ითხოვდა.

საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1958 წელს ტოკიოში იქნა მიღებული. სესიის გადაწყვეტილებით სპირიდონ სამარასის მელოდია აღიარეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჰიმნად. თავდაპირველად ჰიმნი 2 წუთსა და 38 წამს გრძელდებოდა. 1983 წლიდან შეიქმნა ჰიმნის მოკლე ვარიანტი და ის 63 წამი სრულდება.

2.11. ოლიმპიური ჯილდოები

ცალკეულ შეჯიბრებებში პირველ პრიზს წარმოადგენს ვერცხლის მოოქროვილი მედალი და სიგელი, მეორე პრიზია ვერცხლის მედალი და სიგელი, ხოლო მესამე პრიზი-ბრინჯაოს მედალი და სიგელი. მე-4,5,6,7 და მე-8 ადგილებზე მყოფ სპორტსმენებს გადაეცემათ მხოლოდ სიგელები.

მედლების ზომა არ უნდა აღემატებოდეს დიამეტრით — 60 მმ-ს და სისქით — 3 მმ-ს.

პირველი და მეორე ადგილებისათვის განკუთვნილი ვერცხლის მედლები უნდა იყოს 925-1000 ხარისხის. პირველი ადგილისათვის განკუთვნილი მედალი უნდა შეიცავდეს ექვს გრამ სუფთა ოქროს. მედლის წინა მხარეს, სოკ-ის 1928 წლიდან გადაწყვეტილებით, გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე და იქვე აღნიშნულია თამაშების ჩატარების თარიღი, ნუმერაცია და მასპინძელი ქალაქის სახელწოდება, ხოლო მეორე გვერდზე აღნიშნულია ის სახეობა, რომელშიც სპორტსმენი მონაწილეობდა. მედლების და სიგელების ნიმუშები ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წერილობითი სახით დასამტკიცებლად გადაეცემა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ საბჭოს.

გუნდურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდის ერთი წევრი, რომელმაც ოლიმპიური თამაშების დროს ერთ მატჩში მაინც მიიღო მონაწილეობა, ჯილდოვდება ვერცხლის მოოქროვილი მედლითა და სიგელით, მეორე ადგილზე გასული გუნდის თითო წევრი ვერცხლის მედლითა და სიგელით, ხოლო მესამე ადგილზე გასული გუნდის თითო ნევრი — ბრინჯაოს მედლითა და სიგელით. გუნდის დანარჩენი წევრები ჯილდოვდებიან მხოლოდ სიგელებით. მე-4,5,6,7 და 8 ადგილებზე გასული გუნდები ასევე იღებენ სიგელებს.

რომელიმე სპორტსმენის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მისი სიგელი და მედალი უნდა დაუბრუნდეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

იმ შემთხვევაში, თუ საპრიზო ადგილები რამდენიმე სპორტსმენმა გაიყო, მაშინ თითეული მათგანი ერთნაირი ხარისხის შესაბამისი მედლებითა და დიპლომებით ჯილდოვდებიან. წესის მიხედვით ეს ასე ხდება: თუ სპორტსმენებმა I-II ადგილები გაიყვეს, მაშინ ორივეს გადაეცემა ოქროს მედალი, ხოლო მომდევნო პრიზიორს -ბრინჯაოსი. თუ სპორტსმენები გაიყოფენ II-III, ან II-IV ადგილებს ასეთ შემთხვევაში თითეულს გადაეცემა ვერცხლის მედლები. ბრინჯაო კი გაუცემელი დარჩება.

სპორტის სათამაშო სახეობებში მონაწილე ყველა სპორტსმენი, რომლიც შედიოდა საპრიზო ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში ჯილდოვდება მედლით და დიპლომით. მძლეოსნურ და ცურვის ესტაფეტებში მედლებს და დიპლომებს ღებულობენ მხოლოდ ფინალური შეჯიბრების მონაწილეები.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული წესი ყოველთვის არ მოქმედებდა ოლიპიურ თამაშებზე. 1896 წელს ათენში I ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულები ოქროს ნაცვლად დააჯილდოვეს ვერცხლის მედლებით, მეორე ადგილზე გასულები კი ბრინჯაოსი. მესამე ადგილზე გასულები საერთოდ უმედლოდ დარჩნენ.

1900 წელს პარიზში კი არც ერთი პრიზიორისათვის მედლები არ მიუციათ. თუმცა ყველა სპორტულ ლიტერატურაში ათენისა და პარიზის ოლიმპიური თამაშების პრიზიორები შესაბამისი სინჯის მედლების მფლობელებად აღირიცხებიან.

ოლიმპიური ქარტიის თანახმად ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს შეჯიბრებებს ინდივიდუალურ, ან გუნდურ სახეობებში, სპორტსმენებსა და არა ქვეყნებს შორის, ამიტომ საერთო გუნდური ჩათვლა, რომელსაც მიმართავენ ოლიმპიურ თამაშებზე, არის არაოფიციალური.

2.12. საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია

ძველი ოლიმპიის ტერიტორიაზე სასწავლო ცენტრის შექმნის იდეა 1925 წლის ოლიმპიურ კონგრესზე გამოთქვა საბერძნეთის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა იოანის ხრისტაფისმა. ოლიმპიური თამაშების აღორძინების აღსანიშნავად მიძღვნილი მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად 1926 წელს საბერძნეთს ეწვია პიერ დე კუბერტენი. სხვა საკითხებთან ერთად ვიზიტის დროს განიხილებოდა ოლიმპიაში კულტურული ცენტრის გახსნის საკითხი. ოლიმპიური თამაშების აღორძინების სიმბოლოს — ძეგლის დადგმა ჯერ კიდევ 1914 წელს წამოაყენა საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა. პიერ დე კუბერტენმა გამოთქვა სურვილი, მემორიალური დაფა დაედგათ ოლიმპიაში და ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ მჭიდრო და უწყვეტი კავშირისათვის, რომელიც არსებობდა ძველ ოლიმპიურ თამაშებსა და თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას შორის. 1934 წელს ათენში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგ სესიაზე საფუძვლიანად განიხილეს სასწავლო ცენტრის შექმნის საკითხები. საბერძნეთის ნაციონალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წამოაყენა წინადადება საკუთარი ძალებით ჩაეტარებინათ სტადიონის და იპოდრომის რეკონსტრუქცია ოლიმპიაში, აეშენებინათ არქეოლოგიური მუზეუმი მონაწილე ქვეყნების ხარჯებით, შეენარჩუნებინათ წმინდა ალტისი. ამ საკითხებში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ საბერძნეთის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ჯონ ცეკეასი და გერმანელი პროფესორი კარლ დიემი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ოლიმპიაში ამგვარი ცენტრის შექმნის იდეის რეალიზაციის საქმეში. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ამ განზრახვის განხორციელებას. ასეთმა ვითარებამ აიძულა გერმანელი პროფესორი კარლ დიემი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე დაეყენებინა წინადადება, რომ საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია შეექმნათ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ამის შესახებ მან წერილობით აცნობა იმ პერიოდში სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს ევერი ბრენდეჯს.

ბერძენი ჯონ ცეკეასი კი კვლავინდებურად ძველ პოზიციაზე იდგა და 1947 წელს სოკ-ის მე-4 სესიაზე სტოკჰოლმში წარადგინა საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის შექმნის პროექტი. ამ საკითხის შესწავლის შემდეგ სოკ-ის მომდევნო სესიაზე ქ. რომში ყველა მონაწილემ ერთხმად დაუჭირა მხარი აკადემიის შექმნას და მთელი საორგანიზაციო სამუშაოს ჩატარება დაავალა საბერძნეთის ნაციონალურ ოლიმპიურ კომიტეტს.

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის საზეიმო გახსნის ცერემონიალი გაიმართა 1961 წლის ზაფხულში, რომელიც აღდგენილი ძველი სტადიონის გახსნის ცერემონიალს დაემთხვა. როგორც ცნობილია ძველი სტადიონის ადგილზე არქეოლოგიური გათხრები გერმანელი არქეოლოგიური საზოგადოების ხარჯებით ჩატარდა. შემდეგ ეს სტადიონი გადაეცა საბერძნეთის მთავრობას.

1961-1964 წლებში საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის მუშაობა ძირითადად ყოველწლიური სესიების ჩატარებით შემოიფარგლებოდა. მომდევ-

ნო წლებში აკადემიის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და მისი როლი ოლიმპიური განათლების სისტემაში მკვეთრად გაიზარდა.

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების, ეროვნული ოლიმპიური აკადემიების და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებისათვის სესიების ჩატარება იყო. გარდა ამისა საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია ატარებს სესიებს სპორტული ჟურნალისტების, მწვრთნელების მსაჯების, სპორტული პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას ოლიმპიური აკადემია იმ სტუდენტების განათლებას უთმობს, რომლებსაც სურთ გახდნენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგის სპეციალისტები.

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის სესიების პროგრამებში შედის ოლიმპიური სპორტის ისტორიულ - ჰუმანიტარული, სოციალურ — სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხები. აქ ძირითადი აქცენტები მიმართულია ოლიმპიზმის იდეალების, სპორტში სამართლიანი თამაშებისა და დოპინგის გამოყენების პრობლემების საკითხებისადმი.

1986 წელს ოლიმპიური აკადემიის 25-ე წლისთავზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარნჩმა თავის გამოსვლაში საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია დაახასიათა როგორც "ხალხებისა და კონტინენტების მეგობრობისა და ერთობის სიმბოლო, შესანიშნავი რგოლი, რომელიც აერთიანებს წარსულს და აწმყოს, ტრადიციასა და თანამედროვეობას, ძველ საბერძნეთს და მე-20 საუკუნეს".

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებში ოლიმპიური აკადემიების შექმნაზე და ყოველმხრივ ხელს უწყობს მათ შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას.

1990 წელს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ძალისხმევით შეიქმნა საქართველოს ოლიმპიური აკადემია.

თავისი არსებობის პერიოდში საქართველოს ოლიმპიურმა აკადემიამ შეიმუშავა ოლიმპიური განათლების პროგრამები. 2001 წელს ის გაწევრიანდა ოლიმპიური აკადემიების საერთაშორისო ასოციაციაში.

1997 წლიდან საქართველოს ოლიმპიური აკადემია სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებში, ოლიმპიური სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებში.

2001 წლიდან საქართველოს ოლიმპიური აკადემია არის საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის აკრედიტირებული წევრი და სისტემატურად იღებს მონაწილეობას აკადემიების დირექტორთა საბჭოს სემინარებში.

საქართველოს ოლიმპიური აკადემია, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული ჩამოყალიბდა 2002 წლის 6 მარტს. მას გააჩნია საკუთარი წესდება, საბანკო ანგარიში და ბეჭედი.

2.13. ოლიმპიური მუზეუმი

ოლიმპიური მუზეუმის შექმნის იდეა პიერ დე კუბერტენს ეკუთვნის. ამაზე ნათლად მიუთითებენ ის დოკუმენტები, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის არქივებში ინახება. მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ ხუან ანტონიო სამარანჩის პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეშვიდე პრეზიდენტმა ძალზე დიდი მუშაობა გასწია ამ იდეის ხორცშესასხმელად.



საერთაშორისო ოლიმპიური მუზეუმი

1984 წლის 13 ივლისს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მუზეუმის მშენებლობისათვის ქ. ლოზანის პარკ "ოტელ-ბორივაჟის" აღმოსავლეთით 23200 კვადრატული მეტრი ფართობი მიიღო.

მუზეუმის მშენებლობისათვის გამოიყენეს თეთრი მარმარილო, რომელიც საბერძნეთის მთავრობამ საჩუქრად გადასცა მშენებლებს.

პროექტის ავტორები არიან სოკ-ის ნევრი მექსიკელი პედრო ვასკესი და შვეიცარელი ჟან-პიერ კახენი.

მუზეუმის პროექტის ორიგინალობა განაპირობა ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლის თანამრომლობამ.

არქიტექტორებმა გაითვალისწინეს ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი და მუზეუმის ფასადი გააფორმეს ისე, რომ ზომით არ აღემატებოდა მეზობელი შენობების ფასადებს.

მშენებლობას ხელმძღვანელობდა ჟან-პიერ კახენი. მუზეუმში მუდმივი ექსპონატებისათვის მეორე და მესამე სართულებზე 3100 კვ. მეტრი გამოეყო. დროებითი ექსპონატებისათვის პირველ სართულზე 300 კვ. მეტრი. ჰაერის გამწმენდი სისტემა უზრუნველყოფს ფოტო და კინო ვიდეო არქივებისა და საცავების ტემპერატურის საჭირო დონეს და ტენიანობას. სარდაფის მეორე სართულზე განლაგებულია აუცილებელი ტექნიკური სამსახურები, სარესტავრაციო სახელოსნოები, აუდიო, ფოტო, კინო და ვიდეოარქივები, ფოტოსტუდიები ლაბორატორიებით, ვიდეოსტუდია და ხმის ჩამწერი სტუდია, სამანქანო დარბაზი რობოტისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ვიდეობიბლიოთეკაში კასეტების არჩევას. ვიდეობიბლიოთეკა აღჭურვილია რვა დისპლეით და 25 დიალოგური ტერმინალით, ოთხი კონფერენცდარბაზით.

ოლიმპიური მუზეუმის საზეიმო გახსნა 1993 წლის 23 ივნისს შედგა, რომელიც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების 100 წლისთავს მიეძღვნა.

ოლიმპიურ მუზეუმში ყველა ექსპონატი განლაგებულია სპორტისა და კულტურის შერწყმის პრინციპით. ეს ეხება, როგორც პარკის ტერიტორიას, ისე მუზეუმის დარბაზების ექსპოზიციებს. ოლიმპიურ მუზეუმში წარმოდგენილია ძველი საბერძნეთის ეპოქის უდიდესი ექსპოზიციები, რომლებსაც დიდი ისტორიული ფასეულობა გააჩნიათ.

ოლიმპიური მუზეუმში თავმოყრილია ისეთი ექსპონატები, რომლებიც მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებმა გადასცა. გარდა მუდმივი ექსპოზიციებისა მუზეუმში მოქმედებენ დროებითი გამოფენებიც.

ოლიმპიური მუზეუმის ხუთ სართულზე განლაგებული ექსპონატები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაზე,მის დღევანდელ მდგომარეობასა და მომავლის პერსპექტივებზე. მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები ხაზს უსვამენ მსოფლიო არენაზე ოლიმპიური თამაშების გავლენის ზრდას კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და ისტორიული თვალსაზრისით.

ოლიმპიურ მუზეუმში წარმოდგენილია ოლიმპიური მედალოსნების ავტოგრაფების სრული კოლექცია, ოლიმპიური ცეცხლის ჩირაღდნების, მონეტების, მარკების, ოლიმპიური მედლების, დროშებისა და სხვა სიმბოლიკის უნიკალური კოლექციები. აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხელოვნების ნამუშევრებს: სურათებს, ქანდაკებებს, შავ-თეთრ და ფერად ფოტოსურათებს, ვიდეოკასეტებს, ტანსაცმელს, სპორტულ ინვენტარს, დოკუმენტებს და ა.შ.

მუზეუმის შენობის პირველ სართულზე მოთავსებულია ოლიმპიური კვლევის ცენტრი, რომელშიც შედის ბიბლიოთეკა — 150 000 წიგნით, არქივები და პუბლიკაციების განყოფილება, აუდიო-ვიზუალური და ფოტოდოკუმენტების განყოფილება. ბიბლიოთეკაში გარდა წიგნებისა, წარმოდგენილია ქვეყნების ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პერიოდული გამოცემები და პუბლიკაციები. კვლევით ცენტრში ინახება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უნიკალური არქივები, რომლებიც ათასობით დოკუმენტს შეიცავს. აქ ინახება პიერ დე კუბერტენის კორესპოდენციები, 200 000 მეტი ფოტოსურათი, ასობით ფილმი, 7 000 საათზე მეტი ვიდეო ფილმი. დოკუმენტების დამუშავება მთლიანად კომპიუტერიზებულია.

არ შეიძლება არ ითქვას, სპონსორების შესახებ, რომელთა უშუალო დახმარებით რეალობად იქცა მუზეუმის დაარსება. დაფინანსების თითქმის 50 წყარომ უზრუნველყო მუზეუმის მშენებლობაზე დახარჯული სახსრების 80%. ფასდაუდებელია სპონსორების დახმარება ტექნიკითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფის საქმეშიც. კომპანია "მაცუსიტამ" მუზეუმს უახლესი აუდიო-ვიზუალური მოწყობილობა გადასცა, ფირმა "კოდაკმა" — უახლესი ფოტოტექნიკა, კორპორაცია "აი-ბი-ემ"-მა გამოთვლითი ტექნიკა. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულმა და სხვა კომპანიებმა ითავეს სისტემატურად განაახლონ მუზეუმის მთელი ტექნიკური აღჭურვილობა უახლესი აპარატურით.

ფირმა "სეიკო" მოაწყობს ცალკე გამოფენას სპორტში ქრონომეტრაჟის ტექნიკის განვითარების საკითხებზე. სპორტული ინვენტარის ცნობილი მწარ-

მოებლები, "ადიდასი", "მიზუნო" და "აზიკსი" ჩაატარებენ სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის გამოფენას. მუზეუმის სამომავლო გეგმაში შედის ნუმიზმატების, ფილატელისტების, სპორტის ენთუზიასტების კლასიკური ისტორიისა და ხელოვნების დარგის მოყვარულებსა და სპეციალისტების, მეცნიერ მუშაკებისა და მკვლევარების მოზიდვა და დაინტერესება ოლიმპიური სპორტის ისტორიით, აწმყოთი და მომავლით. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები ვარაუდობენ, რომ ლოზანას და მის შემოგარენს საერთაშორისო ტურისტული მარშრუტების რიცხვში შეიტანენ.

მუზეუმის ხელმძღვანელები გეგმავენ საერთაშორისო კონფერენციების, კინოფესტივალებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების ჩატარებას. მუზეუმი ოლიმპიური სპორტის სფეროში ოლიმპიური განათლებისა და აღზრდის მეცნიერული კვლევის უმნიშვნელოვანესი ცენტრია,რომელიც აერთიანებს მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრების სპეციალისტებს, უპირველეს ყოვლისა კი ოლიმპიური სპორტის ცენტრებს, რომლებიც მოქმედებენ საფრანგეთში (პარიზში), ავსტრალიაში (კანბერაში), გერმანიაში (ბერლინსა და კიოლნში), უნგრეთში (ბუდაპეშტში), უკრაინაში (კიევში), პოლონეთში (ვარშვაში), საბერძნეთში (ათენში), კორეაში (სეულში), აშშში (კოლორადო-სპრინგსა და ლოს-ანჯელესში), კანადაში (ონტარიოში) და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ძალისხმევით შეიქმნა საქართველოს ოლიმპიური მუზეუმი, რომლის საზეიმო გახსნა 1995 წლის 20 ოქტომბერს შედგა. მუზეუმში თავმოყრილი ექსპონატები ნათელ წარმოდგენას იძლევიან, ზოგადად, ოლიმპიური და, კერძოდ, საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაზე და თანამედროვე მდგომარეობაზე, ჩვენი ქვეყნის ათლეტების მონაწილეობაზე 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან დღემდე.

თავი III

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტები

თანამედროვე ოლიმპიური სპორტის განვითარება ბევრად იყო დამოკიდებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტების შეხედულებებზე და მათ პრაქტიკულ მოღვაწეობაზე.

ოლიმპიური მოძრაობის გეგმაზომიერი განვითარება, მისი სტაბილურობა და ავტორიტეტი განაპირობა იმან, რომ ამ ორგანიზაციას დღიდან მისი განახლებისა, ხელმძღვანელობდნენ ისეთი რანგის ავტორიტეტული მოღვაწეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ პროფესიონალიზმითა და მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით. მათ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ სპორტულ სამყაროში, რადგან ყოველი მათგანი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა ოლიმპიზმის იდეების გაღრმავების საკითხს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტები იყვნენ:

1. **დემეტრიოს ვიკელასი** (1984-1896 წ.წ. საბერძნეთი);
2. **პიერ დე კუბერტენი** (1896-1916 წ.წ და 1919-1925 წ.წ საფრანგეთი)[1];
3. **ანრი დე ბაიე-ლატური** (1925-1942 წ.წ. ბელგია);
4. **იუჰანეს ზიგფრიდ ედსტრიომი** (1942-1952 წ.წ შვეცია);
5. **ეგერი ბრენდეჯი** (1952-1972 წ.წ. ა.შ.შ.);
6. **მაიკლ მორის კილანინი** (1972-1980 წ.წ. ირლანდია);
7. **ხუან ანტონიო სამარანჩი** (1980-2000 წ.წ. ესპანეთი);
8. **ჟაკ როგი** (2001-დან, ბელგია);

---

1. 1916 -1919 წლებში სოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა შვეიცარელი გოლფუა დე ბლონიე.

დემეტრიოს ვიკელასი (1894-1896)

დემეტრიოს ვიკელასი დაიბადა 1835 წელს, საბერძნეთის ქ ერმუპოლისში. იგი 1894 წელს პარიზის პირველი საერთაშორისო სპორტული კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად იხილავდა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების მოწყობას. მან ყველაფერი იღონა, რათა 1896 წელს ოლიმპიადისათვის საბერძნეთს ემასპინძლა. ამ კონგრესზე დამტკიცებული ოლიმპიური ქარტიის თანახმად, სოკ-ის პრეზიდენტი, აუცილებლად თამაშების ჩამტარებელი ქვეყნის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რამაც განაპირობა კიდეც 59 წლის ბერძენი მწერლისა და ისტორიკოსის დემეტრიოს ვიკელასის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტად არჩევა.

ვიკელასმა დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციასა და ჩატარებაში, რომლის მზადების პროცესშიც, მას არა ერთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური სიძნელეების გადალახვა მოუხდა. თამაშების დამთავრების შემდეგ იგი გადადგა და თავისი პოსტი პიერ დე კუბერტენს დაუთმო. თავისი ცხოვრების შემდგომ წლებში ვიკელასი ლიტერატურულ ასპარეზზე იღწვოდა.

დემეტრიოს ვიკელასი გარდაიცვალა 1908 წლის 20 ივლისს.

პიე დე კუბერტენი
(1896-1925)

ბარონი პიერ დე კუბერტენი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ცნობილი იყო თავისი შრომებით ისტორიის, ლიტერატურის, სოციოლოგიის და პედაგოგიკის დარგში. მაგრამ იგი ისტორიაში შევიდა, როგორც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღდგენის ინიციატორი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. დაწვრილებით პ. კუბერტენის შესახებ აღწერილია ამ წიგნის პირველ თავში.

პ. კუბერტენმა სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე 1925 წლამდე დაჰყო. ის არის ოლიმპიური რიტუალის, ემბლემის და მონანილეთა ფიცის ტექსტის ავტორი. იგი სტოკჰოლმის V ოლიმპიადის ლიტერატურული კონკურსის ლაურეატია (1912 წ.). მისი ნაწარმოები "ოდა სპორტს" ფარულ კონკურსში ჟორჟ ჰოროდისა და მარტინ ეშბახის ფსევდონიმით მონაწილეობდა, რათა ჟიურის გადაწყვეტილებაზე ზენოლა არ მოეხდინა. ამ გამარჯვებისათვის პ. კუბერტენს ოქროს მედალი გადაეცა.

1925 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრაღის კონგრესზე პიერ დე კუბერტენი ჯანმრთელობის გაუარესების გამო პოსტიდან გადადგა. იქვე პრაღაში უპრეცენდენტო გადაწყვეტილება მიიღეს და იგი საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს.

პიერ დე კუბერტენმა 37 წელი იცხოვრა XIX საუკუნეში და ზუსტად ამდენივე XX საუკუნეში,1937 წელს, 2 სექტემბერს ჟენევის მუნიციპალურ პარკში სეირნობის დროს გარდაიცვალა. დაკრძალულია ლოზანაში. განსვენებულის გული, მისივე ანდერძის თანახმად სამუდამოდ დაასვენეს ოლიმპიის წმინდა ხეივნის შესასვლელთან, მარმარილოს აკლდამაში.

ანრი დე ბაიე-ლატური (1925-1942)

გრაფი ანრი დე ბაიე-ლატური დაიბადა 1876 წელს ბელგიაში. დაამთავრა ლიოვენის უნივერსიტეტი. გატაცებული იყო სპორტით. XX საუკუნის დასაწყისში იყო ბელგიის დიპლომატიური წარმომადგენელი ნიდერლანდებში. 1903 წელს არჩეული იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად. 1906 წელს დააფუძნა ბელგიის ოლიმპიური კომიტეტი. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წამოაყენა წინადადება 1920 წელს ოლიმპიური თამაშების ანტვერპენში ჩატარების შესახებ, რომლის მომზადებისა და ჩატარების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სულის ჩამდგმელიც თვითონ იყო.

პიერ დე კუბერტენის გადაგომის შემდეგ ბაიე-ლატური საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს (1925 წ.). ამ პოსტზე მან სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო. ბაიე-ლატურის პრეზიდენტად არჩევას აქტიურად უჭერდა მხარს პიერ დე კუბერტენი "მისმა დაჟინებულმა აქტიურობამ განაპირობა ბრიუსელის ოლიმპიური კონგრესის ბრწყინვალე ორგანიზაცია და წარმატება. მან წამყვანი როლი ითამაშა და დიდი სამსახური გაუწია ოლიმპიურ მოძრაობას"

ბაიე-ლატური 17 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სოკ-ს და როგორც დასავლეთის სპეციალისტები აღნიშნავენ, ბევრი გააკეთა, ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. თუმცა ზოგიერთი ისტორიკოსი მას ბრალს სდებს 1936 წლის ოლიმპიური თამაშების ბერლინში ჩატარებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოკ-ის პრეზიდენტმა თანხმობა არ მისცა ორგანიზატორებს, რომ ჰიტლერი მისულიყო კვარცხლბეკთან და დაეჯილდოებინა გამარჯვებული გერმანელი სპორტსმენები. მეორე მსოფლიო ომის დროს, ბელგიის ანექსიის შემდეგ ფაშისტებმა ბაიელატურს მოუკლეს შვილი, რამაც უდიდესი ტრამვა მიაყენა მას, ლოგინად ჩაადგო და 1942 წლის 6 იანვარს 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. აღსანიშნავია ბაიე-ლატურის პორტრეტის ერთი შტრიხი. მას წარმოუდგენლად სძულდა ბოლშევიკები. "ბოლშევიკებმა თავიანთი თავი საზოგადოების მიღმა დააყენეს. სანამ მე ვიქნები სოკ-ის პრეზიდენტი საბჭოთა დროშა ვერ გამოჩნდება ოლიმპიურ სტადიონზე"— ამბობდა იგი.

იუჰანეს ზიგფრიდ ედსტრიომი (1942-1952)

იუჰანეს ზიგფრიდ ედსტრიომი შვეციისა და საერთაშორისო სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეა. იგი1870 წლის 21 ნოემბერს გეტებორგში დაიბადა. სპეციალობით ინჟინერ-ენერგეტიკოსი, სწავლობდა აშშ-ი, შვეიცარიასა და შვეციაში. სტუდენტობის პერიოდში იყო შვეციის რეკორდსმენი სპრინტში.

XX საუკუნის დასაწყისში შვედეთის სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აქტიურად მონაწილეობდა სტოკჰოლმის 1912წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზებასა და ჩატარებაში. 1912 წელს ედსტრიომის ინიციატივით შეიქმნა მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაცია (IAAF), რომლის პრეზიდენტიც თვითონ იყო 1912-1946 წლებში. 1920 წლიდან იყო სოკ-ის, 1921 წლიდან კი მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1931 წლიდან იგი სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზეა.

1942 წლიდან, ბაიე-ლატურის სიკვდილის შემდეგ, ედსტრიომი სოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 1946 წელს სოკ-ის სესიაზე პრეზიდენტად იქნა არჩეული. 1952 წელს ედსტრიომი სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა ეეერი ბრენდეჯმა.

გარდაიცვალა ედსტრიომი 1964 წლის 18 მარტს.

ეეერი ბრენდეჯი
(1952-1972)

ეეერი ბრენდეჯი 1887 წლის 28 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატების ქ. დეტროიტში დაიბადა. განათლებით ინჟინერ მშენებელი, მსხვილი საამშენებლო ფირმის მეპატრონე იყო. დაამთავრა ილინოისის უნივერსიტეტი. თამაშობდა კალათბურთს. სამჯერ იყო აშშ-ს ჩემპიონი მძლეოსნურ მრავალჭიდში. 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში V ადგილი დაიკავა მძლეოსნურ ხუთჭიდში. 1928 - 1934 წლებში იყო აშშ-ს სამოყვარულო ათლეტთა კავშირის პრეზიდენტი, 1930 - 1952 წლებში მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის IAAF-ის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1928-1952 წლებში აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

1929 წელს ი. ენდსტრიომი აშშ-ი ყოფნისას შეხვდა ე. ბრენდეჯს, რომელიც უკვე იყო IAAF-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, შესთავაზა სოკ-ის წევრობა. ე. ბრენდეჯი 1936 წელს არჩეული იქნა სოკ-ის წევრად 1946 წელს იგი ხდება ამ ორგანიზაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

1952 წელს, სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე რამდენიმე კანდიდატი იყო. გამარჯვება მოიპოვა ბრენდეჯმა, რომელმაც ხმათა უმრავლესობა მიიღო.

ე. ბრენდეჯმა, რომელიც მთელი 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოკ-ს, ბევრი გააკეთა ოლიმპიური სპორტის განვითარებისა და მისი ავტორიტეტის განმტკიცებისათვის მან სახელი გაითქვა თავისი იდეალისტური და კონსერვატული შეხედულებებით. ის ფანატიკურად იბრძოდა ოლიმპიურ სპორტში "მოყვარულის" სტატუსის შესანარჩუნებლად, დოგმატურად მიყვებოდა სოკ-ის წესებს და კანონებს, კუბერტენის იდეალებს.

ებრენდეჯი ეწინააღმდეგებოდა ოლიმპიურ სპორტში ნაციონალიზმის ელემენტების შემოჭრას. იგი აქტიურად ილაშქრებდა ოლიმპიელების დაჯილდოების დროს ეროვნული დროშის ღმართვისა და ჰიმნის შესრულების წინააღმდეგ. მოითხოვდა ეროვნული ჰიმნის შეცვლას ოლიმპიურით."როდესაც ოლიმპიური სტადიონის თავზე ფრიალებს ოლიმპიური დროშა, ყველა ქვეყნის ეროვნული დროშები დაშვებული უნდა იქნას" - ამბობდა ის. რამოდენიმე წლის დისკუსიის შემდეგ ბრენდეჯის ეს წინადადება კენჭის ყრაზე იქნა დაყენებული სოკ-ის მე-60 სესიაზე, მაგრამ ვერ მოაგროვა ხმათა ორი მესამედი და მოიხსნა დღის წესრიგიდან (აღსანიშნავია, რომ სესიის მონაწილეთა ხმები შუაზე გაიყო). აქტიურად იბრძოდა ბრენდეჯი ასევე საერთო ქულათა გუნდური ჩათვლის ოფიციალური სისტემის წინააღმდეგ.

1972 წელს ე. ბრენდეჯი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა მაიკლ კილანინმა.

ე. ბრენდეჯი 1985 წელს გერმანიის ქ. გარმიშ-პარტენკირჰენში გარდაიცვალა.

მაიკლ მორის კილანინი
(1972-1980)

ირლანდიელი ლორდი მაიკლ მორის კილანინი დაიბადა 1914 წლის 30 ივლისს ლონდონში. ჩინებული მხედარი კრივითა და ნიჩბოსნობითაც იყო გატაცებული. განათლება მიიღო პარიზისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში. 1935-1939 წლებში იყო ლონდონის გაზეთ "დეილი ექსპრესის" და "სანდი დისპატჩის" პოლიტიკური მიმომხილველი და სამხედრო კორესპონდენტი აზიაში. 1938-1945 წლებში ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრის რანგში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 40-ანი წლების ბოლოს და 50-იანის დასაწყისში სხვადასხვა სამრეწველო კომპანიებში ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა.

1950 წელს მ. კილანინი ირლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად იქნა არჩეული. 1952 წლიდან იგი სოკ-ის, ხოლო 1967 წლიდან მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრია. 1968 წელს მას სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1972-დან პრეზიდენტად ირჩევენ. 1983 წელს დაწერილ წიგნში "ჩემი ოლიმპიური წლები" დაწვრილებით აღწერს თავის შეხედულებებს ოლიმპიური მოძრაობის პრობლემებზე.

სოკ-ის, ეოკებისა და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს შორის ურთიერთობების მოგვარებაში, XI ოლიმპიური კონგრესის (ვარნაში, 1973 წ.) ორგანიზებაში და 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩატარების საქმეში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. ძალზე ფაქიზად ეკიდებოდა კილანინი ოლიმპიური სპორტის პროფესიონალიზაციის პრობლემებს. იგი ამბობდა: "ოლიმპიური მოძრაობისათვის სერიოზული საფრთხე იქნება პროფესიონალიზმის უხეში შემოჭრით, რადგან მას შეუძლია კარი გაუღოს სხვადასხვა სახის საქმოსნებს. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გადავხედოთ თუ რა ხდება ჩოგბურთში" მიუხედავად ამისა კილანინი იყო სოკ-ის რეალური პოლიტიკის მომხრე, რომელიც ერთის მხრივ არ დაარღვევდა ოლიმპიურ პრინციპებს და მეორეს მხრივ, გაითვალისწინებდა მსოფლიოში მიმდინარე რეალურ ცვლილებებს. კერძოდ, ეს გამოვლინდა სოკ-ის დამოკიდებულების შეცვლაზე სპორტის კომერციალიზაციისა და "მოყვარული — სპორტსმენის" სტატუსის პრობლემებისადმი.

ლორდ მაიკლ კილანინი იყო ირლანდიის სამეფო აკადემიის წევრი. იგი 1980 წელს ხუან ანტონიო სამარანჩმა შეცვალა.

მაიკლ კილანინი 1999 წელს გარდაიცვალა.

ხუან ანტონიო სამარანჩი (1980-2001)

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეშვიდე პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩ ტორელო 1920 წლის 17 ივლისს ბარსელონაში დაიბადა. განათლებით ეკონომისტი, მუშაობდა ჟურნალისტად, იყო მრეწველი, დიპლომატი. მისი აღმასვლა ოლიმპიურ იერარქიაზე 40-50-იანი წლების მიჯნაზე დაიწყო, როდესაც სპორტის დარგში ქალაქ ბარსელონას მუნიციპალიტეტის მრჩეველი გახდა. მოგვიანებით არჩეული იქნა ესპანეთის გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად. ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ჰოკეით, თხილამურებით, აფროსნობით და კრივით.

სამარანჩი ბარსელონაში ჩატარებული ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების II სპორტული თამაშების (1955 წ.) ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. იგი ხელმძღვანელობდა ესპანეთის ოლიმპიურ დელეგაციას კორტონა დამპეცოში (1956 წ.), რომსა (1960 წ.) და ტოკიოში (1964 წ). 1963 წელს, 43 წლის ასაკში სამარანჩი ხდება ესპანეთის სპორტის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი. 1967 წელს მას ირჩევენ ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად.

დიქტატორ ფრანკოს მმართველობის ბოლო წლებში სამარანჩი იკავებს პროვინცია კატალონიის პარლამენტის პრეზიდენტის პოსტს. 1966 წლიდან იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და სოკ-ის პროტოკოლის შეფისა და პრესის კომისიის თავმჯდომარის პოსტებს იკავებს.

ხ. სამარანჩი 1974-1978 წლებში ხდება სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი. 1977-1980 მუშაობს ესპანეთის ელჩად სსრკ-ში. მისი აქტიური მოღვაწეობა სოკ-ში 1976 წლიდან იწყება, როდესაც კილანინმა განაცხადა, რომ 1980 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ დატოვებდა პრეზიდენტის თანამდებობას.

1980 წელს სოკ-ის 83-ე სესიაზე პრეზიდენტობის კანდიდატები იყვნენ. ხ. სამარანჩი, კანადელი ჯეიმს უფრელი, შვეიცარელი მარკ ჰოდლერი და გერმანელი ვილი დაუმე. პირველივე ტურში ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა სამარანჩმა, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან დაიწყო ზრუნვა სოკ-ის პოზიციების განმტკიცებაზე, ოლიმპიური მოძრაობის ავტორიტეტისა და სტაბილურობის ამაღლებაზე. მისი ძალისხმევით საქმიანი, პარტნიორული და კოლეგიალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა სოკ-სა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს შორის, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით გათვალისწინებული დახმარება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისადმი.

სამარანჩის პრეზიდენტობის პერიოდში შვეიცარიის ფედერალური საბჭოს 1981 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით სოკ-ი ცნობილი იქნა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციად.

სამარანჩმა ყველა ღონე იხმარა, რომ სსრკ-სა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ბოიკოტი არ გამოეცხადებინათ 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშებისათვის. მან სრული გარანტია მიიღო აშშ-ს პრეზიდენტის რ. რეიგანისაგან, რომ უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის სპორტსმენების სრულ უსაფრთხოებას. იგი ცდილობდა შეხვედროდა სსრკ-ს ხელმძღვანელს კ. ჩერნენკოს, დაეყოლებინა იგი თამაშებში მონაწილეობაზე, მაგრამ მისი ყველანაირი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა და სსრკ-ს პოლიტბიუროს გადაწყვეტილება-არ მიეღოთ მონაწილეობა ლოს-ანჯელესის თამაშებში - უცვლელი დარჩა. მომდევნო წლები საკმაო ნაყოფიერი იყო სოკ-ისა და მისი პრეზიდენტისათვის. სამარანჩის თავდაუზოგავმა შრომამ და მიზანმიმართულმა მოღვაწეობამ ოლიმპიური მოძრაობა კიდევ უფრო სტაბილური, მონოლითური და ავტორიტეტული გახადა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა 1988 წელს სეულის, 1992 წელს ბარსელონას, 1996 წელს ატლანტისა და 2000 წელს სიდნეის ოლიმპიური თამაშების უმაღლეს დონეზე ჩატარება. აღსანიშნავია, რომ თავისი 21 წლიანი პრეზიდენტობის პერიოდში სამარანჩმა მოინახულა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი — 197 ქვეყანა, მათ შორის — საქართველო ორჯერ.

საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის და თავისი ქვეყნის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის ხუან ანტონიო სამარანჩ ტორელოს ესპანეთის მეფემ ხუან კარლოს მეორემ მარკიზის ტიტული უბოძა და ესპანეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — კარლოს მესამეს დიდი ჯვარით დააჯილდოვა. იგი აგრეთვე ბარსელონას და კატალონიის ოქროს მედლების კავალერია.

მრავალი ქვეყნის ჯილდოებთან ერთად ხ.ა. სამარანჩის კოლექციაშია საქართველოს უმაღლესი ჯილდო უცხოელთათვის — "ოქროს საწმისის" ორდენი.

ხუან ანტონიო სამარანჩი არჩეულ იქნა სოკ-ის საპატიო პრეზიდენტად.

მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩი 2001 წლის 16 ივლისს ბელგიელმა ჟაკ როგმა შეცვალა.

ჟაკ როგი
(2001 წლიდან)

პროფესიით ორთოპედი-ქირურგი, დოქტორი ჟაკ როგი1942 წლის 2 მაისს ბელგიის ქ. ბრიუსელში დაიბადა. როგორც ბელგიის აფროსანთა ნაკრები გუნდის წევრი იგი 1968 წლის მეხიკოს, 1972 წლის მიუნხენისა და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. იყო მსოფლიოს ჩემპიონი და ორჯერ ვერცხლის მედლის მფლობელი, ბელგიის 16 გზის ჩემპიონი. გარდა აფროსნობისა გატაცებული იყო რაგბით და ათჯერ უთამაშია ბელგიის ეროვნული ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ჟაკ როგი ხელმძღვანელობდა ბელგიის ოლიმპიურ დელეგაციებს ზამთრისა (ინსბრუკი 1976 წ. და კალგარი – 1988) და ზაფხულის (ლოს-ანჯელესი — 1984 წ. და სეული 1988 წ.) ოლიმპიურ თამაშებზე.

1988-1992 წლებში იყო ბელგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. 1989 წელს მას ირჩევენ ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტად, 1991 წელს კი სოკ-ის წევრად.

2001 წლის 16 ივლისს სოკ-ის მოსკოვის სესიაზე გადადგა ხუან ანტონიო სამარანჩი. მომავალი პრეზიდენტის პოსტის დაკავებისათვის სურვილი გამოთქვეს: ამერიკელმა ნიტა დეფრანცმა, ბელგიელმა ჟაკ როგმა, კანადელმა რიჩარდ პაუნდმა, კორეელმა კიმ უნიონგმა და უნგრელმა პალ შმიდტმა. კენჭისყრის პირველი ტურის შემდეგ ბრძოლას ეთიშება ამერიკელი ანიტა დეფრანცი. ჩატარდა კენჭისყრის მეორე ტური.

1980 წლის 16 ივლისს მოსკოვიდან აუწყეს მსოფლიოს ხუან ანტონიო სამარანჩის სოკ-ის პრეზიდენტად აირჩევა. ზუსტად 21 წლის შემდეგ იმავე 16 ივლისს, იმავე მოსკოვის სვეტებიან დარბაზში, ოლიმპიური ჰიმნის შესრულების შემდეგ თავად სამარანჩმა, ამჯერად უკვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ექს-პრეზიდენტმა — საერთაშორისო სპორტულ და ოლიმპიურ მოძრაობას წარუდგინა ახალი პრეზიდენტი, 59 წლის ბელგიელი დოქტორი ჟაკ როგი.

თავი IV

ოლიმპიური თამაშების ჩატარების ორგანიზაცია და პროგრამა

ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი განისაზღვრება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ, რომელიც თამაშების მასპინძელ ქალაქს ასახელებს.

წინადადებები, თუ რომელ პერიოდში ჩატარდება ოლიმპიური თამაშები, წამოყენებული უნდა იქნას კანდიდატი ქალაქების მიერ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რომელიც დაამტკიცებს მას მასპინძელი ქალაქის არჩევამდე.

ოლიმპიური თამაშების ჩაუტარებლობა დადგენილ წელს იწვევს მასპინძელი ქალაქის უფლებათა გაუქმებას.

ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ხანგრძლივობამ 16 დღეს არ უნდა გადააჭარბოს. გახსნის ცერემონიალის დღის ჩათვლით, თუ კვირაობით, ან სახალხო დღესასწაულებზე შეჯიბრებები არ ტარდება, მაშინ ოლიმპიური თამაშების ხანგრძლივობა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის დასტურით, შესაბამისად გაიზრდება.

4.1. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევნები

ნებისმიერი ქალაქის არჩევა მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეროგატივას წარმოადგენს. ორი შემფასებელი კომისიის შექმნა, რომელმაც უნდა განსაზღვროს მასპინძელი ქალაქი, ხდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მიერ. ეს კომისიები შედგება — საერთაშორისო ფედერაციების სამი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოთხი და სპორტმენთა კომისიის ერთი წევრისაგან. ზამთრის ოლიმპიური თამაშების შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაციის ორი წევრის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორი წარმომადგენლის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამი წევრისა და სპორტსმენთა კომიტეტის ერთი წევრისაგან. ამ შემფასებელი კომისიის თავ-

მჯდომარე უნდა იქნეს არჩეული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებიდან. ეს კომისიები შეისწავლიან ყველა პრეტენდენტ ქალაქს, შეამოწმებენ მათ ადგილმდებარეობას და ყველა კანდიდატურის შესახებ წერილობით მოხსენებას წარუდგენენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ეს უნდა მოხდეს სესიის გახსნამდე არა უგვიანეს ორი თვით ადრე. სესიაზე აირჩევა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი.

ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ქალაქს და არა ქვეყანას. განაცხადი ოლიმპიური თამაშების მოწყობის შესახებ, ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტის დასტურის შემდეგ, ქალაქის ოფიციალურმა ორგანოებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უნდა წარუდგინონ. ქალაქის ოფიციალურმა ხელისუფლებამ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა მისცეს იმის გარანტია, რომ ოლიმპიური თამაშები ჩატარდება იმ პირობების გათვალისწინებით, რასაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მოითხოვს. თუ ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად ერთ ქვეყანაში რამოდენიმე ქალაქია პრეტენდენტი, მაშინ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა შეაჩეროს არჩევანი ერთ-ერთ მათგანზე.

ოლიმპიური თამაშების ორგანიზების უფლება ქალაქს არ მიეცემა, თუ ეს უკანასკნელი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე არ წარადგენს ქვეყნის მთავრობის გარანტიებს ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებულ პრიციპების დაცვის შესახებ.

ნებისმიერი ქალაქის შესაბამისმა ორგანოებმა, რომელშიც ოლიმპიური თამაშები იმართება, წერილობითი ფორმით უნდა განაცხადონ, რომ მხარს უჭერენ "კანდიდატი ქალაქებისათვის დაკისრებულ პირობებს, რომელიც შედგენილია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ასეთმა ქალაქებმა, უნდა განაცხადონ, რომ ისინი ამასთან ერთად პატივს სცემენ და დაიცავენ სპორტის თითეულ სახეობაში საერთაშორისო ფედერაციების მიერ მასზე დაკისრებულ ტექნიკურ ნორმებს, რაც ასევე გათვალისწინებულია ოლიმპიური თამაშების პროგრამით. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენს იმ პროცედურებს, რომლებიც კანდიდატმა ქალაქებმა უნდა შეასრულონ.

ნებისმიერი კანდიდატი ქალაქი სოკ-ს სთავაზობს ისეთ ფინანსურ გარანტიებს, რომლებიც სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამაკმაყოფილებლად მიიჩნევა.

მასპინძელი ქალაქის არჩევნები უნდა ჩატარდეს იმ ქვეყანაში, რომელსაც თავის მხრივ ოლიმპიური თამაშების ორგანიზებაზე არ გააჩნია პრეტენდენტი ქალაქი. ეს პროცედურა უნდა ჩატარდეს მას შემდეგ, რაც კანდიდატი ქალაქების შემფასებლი კომისიის მიერ განიხილება მოხსენება. გარდა გამონაკლისის შემთხვევებისა, ეს არჩევანი უნდა ჩატარდეს ოლიმპიური თამაშების გახსნამდე შვიდი წლით ადრე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ხელს აწერს ხელშეკრულებას მასპინძელ ქალაქთან და ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან. ეს ხელშეკრულება დაწვრილებით გამოხატავს მხარეებზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ასეთ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ხდება დაუყოვნებლივ მასპინძელი ქალაქის არჩევის შემდეგ.

ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა და მასპინძელმა ქალაქმა უნდა უზრუნველყონ იმ პირობის დაცვა, რომლის თანახმად ოლიმპიური თამაშების მსვლელობის პერიოდში, მის წინამდებარე, ან მომდევნო კვირაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანხმობის გარეშე, მასპინძელ ქალაქში არ ჩატარდება ეროვნული და საერთაშორისო ხასიათის არც ერთი მნიშვნელოვანი შეკრება ან ღონისძიება.

თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარი იყო ქალაქების მიერ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვების პროცედურა. XX საუკუნის 30-იან წლებამდე პრეტენდენტების რაოდენობა ძალზე მცირე იყო. მაგრამ უკვე 1936 წლის თამაშებისათვის კანდიდატ-ქალაქთა რაოდენობამ 11 მიაღწია. 1940 წლის თამაშებისათვის 10 ქალაქი იბრძოდა. უფრო მაღალი აქტივობა დაფიქსირდა 1956 და 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებებისათვის. ორივე შემთხვევაში კანდიდატების რაოდენობა 16 იყო. ეს მაჩვენებლები ნათლად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ოლიმპიური თამაშების პოპულარობა თანდათან იზრდებოდა და მისი ჩატარების მსურველთა რიცხვიც მატულობდა.

მოგვიანებით, სპორტის ოლიმპიური სახეების რაოდენობის და მონაწილეთა რიცხვის საგრძნობმა ზრდამ გამოიწვია ახალი სპორტული ნაგებობებისა და თანამედროვე ოლიმპიური სოფლების მშენებლობის აუცილებლობა, რამაც 80-იანი წლებისათვის ოლიმპიური თამაშების ჩამტარებელ ქალაქთა რაოდენობის მსურველთა შემცირება გამოიწვია. 1984 წელს, როდესაც თეირანმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, დარჩა მხოლოდ ერთი ლოს-ანჯელესი, რომლის თავკაცებიც ვერ იძლეოდნენ თამაშების ორგანიზაციის და ჩატარების გარანტიას.

მოგვიანებით ოლიმპიური სპორტის ინტენსიურმა კომერციალიზაციამ და ოლიმპიური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებულმა უდიდესმა ფინანსურმა შესაძლებლობებმა მკვეთრად გაზარდა კონკურენცია ქალაქ კანდიდატებს შორის. 1996-2000 და 2004 წლების ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად ექვს-ექვსი ქალაქი აცხადებდა პრეტენზიას. 2008 წლის თამაშებზე კი - 5. 2001 წლის მოსკოვის სესიაზე 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად პეკინი იქნა არჩეული.

4.2. ოლიმპიური თამაშების ჩატარების წესი

ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მასპინძელ ქალაქს და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ეკისრება. ამ მიზნით ეოკ-ი ქმნის საორგანიზაციო კომიტეტს, რომელსაც თავისი ჩამოყალიბების დღიდან უშუალო კავშირი აქვს სოკ-თან.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ოფიციალური სტატუსი გააჩნია. მის აღმასრულებელ ორგანოში შედიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთი, ან რამოდენიმე წევრი ამ ქვეყნიდან.

— ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი;
— მაპინძელი ქალაქის მიერ დასახელებული სულ ცოტა ერთი წევრი. აღმასრულებელი ორგანო ასევე შეიძლება აერთიანებდეს სახალხო მმართველობის ორგანოებისა და სხვა გაერთიანებების წარმომადგენლებს.

თავისი შექმნის დღიდან მის გაუქმებამდე ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს ოლიმპიური ქარტიის და სოკ-ს, ეოკ-სა და მასპინძელ ქალაქს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და ემორჩილება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტს.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უფლებამოსილება ეძლევა დადგენილი წესებისა და ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერ დროს გააუქმოს ოლიმპიური თამაშების ჩატარება მასპინძელ ქალაქში, ასევე გააუქმოს ოლიმპიური თამაშების მომწყობი კომიტეტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მათგან კომპენსაციის სახით იმ ზარალის ანაზღაურების გარეშე, რაც მიაყენეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი და მასპინძელი ქალაქი ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელი არიან ყველა ვალდებულების შესრულებაზე. ისინი თავის თავზე იღებენ სრულ ფინანსურ პასუხისმგებლობას ოლიმპიური თამაშების ორგანიზებაზე, ნებისმიერი მხარისათვის ზარალის მიუყენებლად. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არავითარი ფინანსური პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

თამაშების ორგანიზების ასეთ სქემას იზიარებენ და ახორციელებენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი. მხოლოდ ერთხელ იყო გამონაკლისი, როდესაც 1984 წელს ლას-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ქალაქის მერმა ტ. ბრედლიმ საფინანსო საკითხების გადასაწყვეტად შექმნა კერძო პირებით დაკომპლექტებული სპეციალური კომიტეტი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ასეთი გადაწყვეტილების და უარი განაცხადა კერძო ორგკომიტეტთან ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რადგან ისინი არავითარ ფინანსურ გარანტიებს არ იძლეოდნენ. ეს იყო ოლიმპიური ქარტიის იმ პუნქტის დარღვევა, რომლის თანახმადაც ქალაქმა, რომელიც აცხადებს პრეტენზიას თამაშების მასპინძლობაზე, სოკ-ს უნდა მისცეს ასეთი გარანტიები. მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ასეთი გარანტია გასცა ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურმა კომიტეტმა, რაც ოლიმპიური ქარტიის უხეში დარღვევაა. მიუხედავად ამისა სოკ-ი იძულებული გახდა შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას, რადგან გაჩნდა ოლიმპიური თამაშების ჩაშლის საშიშროება.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი ადგენს კულტურულ ღონისძიებათა პროგრამას, რომელიც ტარდება ოლიმპიურ სოფელში და წარმოაჩენს კაცობრიობის კულტურული მონაპოვრის უნივერსალობას და მრავალფეროვნებას. კულტურული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს ოლიმპიური სოფლის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ოლიმპიური თამაშების ტელეტრანსლიაციის გაყიდვის უფლებას მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ფლობს.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, თავის საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. მისი ყველა კონტრაქტი რეკლამის, ემბლემების ან ოლიმპიური თილისმის ტარების უფლებასთან და ლიცენზიასთან დაკავშირებით კანონიერია. ისინი უნდა ეფუძნებოდეს ოლიმპიურ ქარტიას და ასრულებდეს სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ გაცემულ მითითებებს. იგივე შეეხება იმ კონტრაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია დროის მაჩვენებელი დანადგარების, ქულების დამთვლელი დაფების და სატელევიზიო პროგრამებში ნებისმიერი სიგნალის გამოყენებასთან. ამ დებულებათა დარღვევა უნდა განიხილოს სოკ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა.

ოლიმპიური თამაშებისათვის შექმნილი ნებისმიერი ესკიზი ჩაითვლება ოლიმპიურ ემბლემად ან თილისმად მას შემდეგ, რაც მისი ნიმუში ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დასამტკიცებლად გადაეგზავნება სოკ-ის აღმასრულებელ კომიტეტს. რომელიმე მათგანის გამოყენება ქვეყანაში კომერციული მიზნებისათვის აკრძალულია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წერილობითი დასტურის გარეშე.

ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიის პროგრამებს შეიმუშავებს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი და მას დასამტკიცებლად სოკ-ის აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს.

როგორც ვხედავთ, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი საკმაოდ ფართე უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, თუმცა მნიშვნელოვან საკითხებზე უშუალო კონტროლს სოკ-ი ახორციელებს.

ამასთან ერთად საერთაშორისო სპორტული ფედერაციების შეთანხმებული და კოორდინირებული მოქმედებები სოკ-თან და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან განაპირობებს ოლიმპიური თამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას.

ყოველი საერთაშორისო ფედერაცია პასუხისმგებელია თავისი სპორტის სახეობის ტექნიკურ კონტროლსა და ხელმძღვანელობაზე. ყველა შეჯიბრება და სავარჯიშო ადგილი, ისე როგორც მთელი აღჭურვილობა,უნდა ექვემდებარებოდეს სტანდარტებს. ოლიმპიური თამაშების გახსნამდე სამი წლით ადრე საერთაშორისო ფედერაციებმა, ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს უნდა მოახსენონ იმ სპორტული მოწყობილობების, სპორტული დანადგარების და აღჭურვილობის შესახებ, რომელთა გამოყენებასაც აპირებენ თამაშების მსვლელობისას. საჭრო ტექნიკურ პერსონალს (მსაჯებს, არბიტრებს, ქრონომეტრისტებს, ინსპექტორებს) სპორტის თითეულ სახეობაში ნიშნავს შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია. ამ პირთა საერთო რაოდენობის ზღვარი, შესაბამისი საერთშორისო ფედერაციის რეკომენდაციით, დგინდება სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ეს ტექნიკური პერსონალი თავის ამოცანებს ახორციელებს საერთაშორისო ფედერაციის მითითებათა შესაბამისად ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან კოორდინაციით.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა საერთაშორისო ფედერაციების მიერ დანიშნული ტექნიკური პერსონალისათვის ოლიმპიური სოფლის გარეთ უნდა გამოყოს საცხოვრებელი ადგილები. ტექნიკური პერსონალი და ჟიურის წევრები არ უნდა ცხოვრობდნენ ოლიმპიურ სოფელში, ისინი არ შედიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობაში და მხოლოდ შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებს ემორჩილებიან.

აი ის ძირითადი დებულებები, რომლებიც ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციას და ჩატარებას ეხება. გარდა ამისა ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, საერთაშორისო ფედერაციებს და ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს მრავალი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა უხდება, მათ შორის: სპორტსმენების დაშვება, მონაწილეთა მოქალაქეობის დადგენა, სამედიცინო კოდექსის დაცვა, განაცხადის წარმოდგენა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ თამაშების გაშუქება და მრავალი სხვა. ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა ხორციელდება იმ მკაცრი რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ და აღწერილია ოლიმპიურ ქარტიაში.

4.3. ოლიმპიური თამაშების პროგრამები

ოლიმპიური თამაშების პროგრამა სპორტის ოლიმპიური სულ მცირე თხუთმეტ სახეობას უნდა შეიცავდეს. ეს აუცილებელი მინიმუმი ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის საჭირო არ არის. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აყალიბებს ოლიმპიური თამაშების პროგრამას, რომელიც მხოლოდ სპორტის ოლიმპიურ სახეობებს წარმოადგენს.

ოლიმპიური თამაშების ჩატარების პირველ ხანებში არ იყო თამაშების პროგრამების ფორმირების მკაცრად განსაზღვრული პრინციპები. თამაშების პროგრამებში ხშირად შეჰქონდათ სპორტის ისეთი სახეები, რომლებიც ნაკლებად იყო გავრცელებული მსოფლიოში. ამის გამო თითქმის არ იყო კონკურენცია და შეჯიბრებები ნაკლებად საინტერესო ხდებოდა. მაგალითისათვის, 1900 წელს პარიზის II ოლიმპიური თამაშების პროგრამით შეჯიბრებაში — კრიკეტში მხოლოდ ორი გუნდი (საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი) მონაწილეობდა, ხოლო კროკეტში ყველა მონაწილე, რომლებსაც უნდა გაეთამაშებინათ ადგილები სამ დისციპლინაში, მხოლოდ საფრანგეთის წარმომადგენლები იყვნენ. ანალოგიური სიტუაცია იყო 1904 და 1908 წლის ოლიმპიადებზეც. 1920 წლის ანტვერპენის VII ოლიმპიურ თამაშებზე საიალქნო სპორტის ყველა სახეობაში, მხოლოდ თითო გუნდი ასპარეზობდა. ასეთი სიტუაცია რა თქმა უნდა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო და სოკ-იც იძულებული გახდა გადაეხედა პროგრამისათვის.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თანდათან შეიმუშავა გარკვეული კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სპორტის სახეებისა და ცალკეული დისციპლინების შეტანა ოლიმპიური თა-

მაშების პროგრამაში. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოქმედებდა ოლიმპიური ქარტიის დებულებები, რომლის მიხედვითაც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა სპორტის მხოლოდ ის სახეობა, რომელიც გავრცელებული იყო მსოფლიოს არა ნაკლებ 40 ქვეყანაში და სამ კონტინენტზე მამაკაცებისათვის და 25 ქვეყანასა და ორ კონტინენტზე ქალებისათვის. ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის კი მამაკაცებისათვის დადგენილი იყო არა ნაკლებ 25 ქვეყანა ორ კონტინენტზე, ქალებისათვის - 20 ქვეყანა ორ კონტინენტზე.

ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის სახეობის შეტანა უნდა მოხდეს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სულ მცირე შვიდი წლით ადრე, რომლის შემდეგაც არავითარი ცვლილებები არ მოხდება.

ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესულია სპორტის ისეთი სახეები, რომლებიც გავრცელებული და პოპულარულია მსოფლიოში. მათ შორისაა მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა, ბადმინტონი, ბეისბოლი, კალათბურთი, კრივი. ველოსპორტი, ცხენოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ხელბურთი, ბალახის ჰოკეი, ძიუდო, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა, ცურვა, თანამედროვე ხუთჭიდი, სოფტბოლი, ტაეკვანდო, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, ტრიათლონი, ფრენბურთი, აფროსნობა, ჩოგბურთი, სასტენდო სროლა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარები და კანოე, წყალბურთი, წყალში ხტომა.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კი ჩართულია: ბიატლონი, ბობსლეი, სამთო-სათხილამურო სპორტი, თხილამურები (რბოლები, ტრამპლინიდან ხტომა და ორჭიდი), შაიბიანი ჰოკეი, ფრისტაილი, შორტტრეკი, ციგურებით სწრაფრბენა, ფიგურული ციგურაობა, საციგაო სპორტი, სნოუბორდინგი, ქარლინგი, სკელეტონი.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ოლიმპიური თამაშების პროგრამები საკმაოდ სტაბილურია, თუმცა რიგი საერთაშორისო ფედერაციები ცდილობენ პროგრამების გაფართოებას და ახალი დისციპლინების ჩართვას ოლიმპიურ თამაშებში.

სპორტის სპეციალისტები ოლიმპიური თამაშების პროგრამების შემდგომი სრულყოფის პერსპექტივებს მის დინამიურობაში, სანახაობრიობის ამაღლებაში და ქალების მეტი რაოდენობის მონაწილეობაში ხედავენ. ამისათვის ისინი მოითხოვენ სპორტის სახეობისა და მონაწილეების კვოტების შემოღებას.

საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი გავლენიანი და თვალსაჩინო მოღვაწე გერმანელი ვ. დაუმე საუბრობდა იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება, მოყოლოდა ოლიმპიური თამაშების პროგრამის გადაჭარბებულ გაფართოებას. მისი აზრით ოლიმპიური სპორტის კლასიკური სახეები მუდმივად უნდა იყოს პროგრამაში, დანარჩენები, კი ჩართულ იქნას მორიგეობით. ეს საკითხი დღეისათვის საკმაოდ აქტუალურია, რადგან ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე შეჯიბრების სახეები ერთი მესამედით გაიზარდა, ხოლო მონაწილეთა რაოდენობა ორჯერ. მაგალითისათვის, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე 199 ქვეყნის 11 ათასამდე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. სეულში 1988 წელს 159 ქვეყნის 8473 სპორტსმენი ასპარეზობდა.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეთა დასაშვებ რაოდენობას ადგენს სოკის აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებ-

თან კონსულტაციის შემდეგ, ოლიმპიურ თამაშებამდე ორი წლით ადრე. მონაწილეთა რაოდენობამ ცალკეულ შემთხვევაში არ უნდა გადააჭარბოს მსოფლიო ჩემპიონატებისათვის დანესებულ ნორმას და არ უნდა აღემატებოდეს სამს თითეული ქვეყნისათვის. სოკ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლოა ზამთრის სპორტული სახეობებისათვის დაუშვას გარკვეული გამონაკლისი. სპორტის გუნდურ სახეობებში გუნდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს თორმეტს თითეულ სახეობაში და არ უნდა იყოს რვა გუნდზე ნაკლები.

4.4. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალი სპორტის სახეები

აფროსნობა — შეტანილი იყო 1896 წლის ოლიმპიური თთამაშების პროგრამაში, მაგრამ უამინდობის გამო არ ჩატარებულა. 1900 წლიდან კი იგი მხოლოდ ერთხელ (1904 წ.) არ იყო ოლიმპიადის პროგრამაში.

დღეისათვის ოლიმპიური მედლები თამაშდება რვა სპორტული დისციპლინის 10 სახეობაში (7 მამაკაცების და 3 ქალების).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იყო შვეიცარელი ჰ. დე პურტილე (კლასი 6 მ). გერმანელი მ. ვისნერი (კლასი 10 მ) და ბრიტანელი ეკლსშოუ (კლასი 8 მ).

აფროსნობის საერთაშორისო კავშირი (IYRU) შეიქმნა 1907 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 115 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს აფროსნობის ფედერაცია შეიქმნა 1991 წელს და საერთაშორისო კავშირის წევრი გახდა 1992 წელს. საქართველოს აფროსნობის ფედერაციის პრეზიდენტია გურამ ბიგანიშვილი.

ბადმინტონი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 1992 წელს ბარსელონას თამაშებზე შეიტანეს. ოლიმპიური მედლები თამაშდება ხუთ სახეობაში - ორი ქალთა, ორი მამაკაცთა და შერეულ წყვილთა თანრიგში

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ქალებში ინდონეზიელი ს. სასანტი ჰადიტი, მამაკაცებშიც ინდონეზიელი — ა.კასუმა ვირატანი.

ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაცია (IBF) შეიქმნა 1934 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 130 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ბადმინტონის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 19 ივლისს. 1992 წლიდან არის IBF-ის წევრი.

საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის პრეზიდენტია ანატოლი დავიდოვი.

ბალახის ჰოკეი — კაცების ტურნირი ტარდება სისტემატურად 1908 წლიდან, გარდა 1912 და 1924 წლებისა. ქალები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ 1980 წლიდან.

მამაკაცთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დიდი ბრიტანეთის გუნდი. ქალებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ზიმბაბვეს ნაკრებმა.

ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (FIH) შეიქმნა 1924 წელს.

საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია შეიქმნა 1988 წლის 12 თებერვალს. 1996 წლიდან არის FIH-ს წევრი.

საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტია გიორგი ჩარკვიანი.

ბეისბოლი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1988 წლიდან. მედლები თამაშდება მხოლოდ მამაკაცთა გუნდებისათვის.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ კუბის ნაკრების წევრები.

ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაცია (IBF) შეიქმნა 1921 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 104 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ბეისბოლის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 2 ივლისს. 1992 წლის 18 თებერვლიდან IBF-ს წევრია.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტია რამაზ გოგლიძე.

პლაჟის ფრენბურთი — პირველად ჩართული იქნა ატლანტის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 1996 წელს. მედლები თამაშდება ქალებისა და მამაკაცებისათვის.

ქალებში პირველი ჩემპიონები გახდნენ ბრაზილიელები, მამაკაცებში — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია (FIVB) შეიქმნა 1947 წელს პლაჟის ფრენბურთმა ოფიციალური სტატუსი მიიღო 1986 წ. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია 220 ქვეყანა.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 28 თებერვალს. 1991 წლის დეკემბრიდან FIVB-ს წევრია.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტია ლევან ახვლედიანი.

ველოსპორტი — ფართოდ იყო წარმოდგენილი 1896 წლის პირველ ოლიმპიადაზე. 1896-1924 წლებში ოლიმპიური პროგრამა სისტემატურად იცვლებოდა 1900 და 1904 წლის თამაშებზე, მხოლოდ ტრეკზე გათამაშდა მედლები.1912 წელს მხოლოდ გზატკეცილზე.

დღეისათვის მედლები თამაშდება, როგორც ტრეკზე, ისე საგზატკეცილო რბოლებში. ტრეკზე მედლების რვა კომპლექტი თამაშდება (3 ქალების, 5 მამაკაცების) გზატკეცილზე კი ოთხი (ორი ქალების, ორი კაცების).

1996 წლიდან პროგრამაში ჩართეს ველოკროსი, სადაც მედლების ორი კომპლექტი თამაშდება(თითო ქალებისა და მამაკაცებისათვის).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი სპრინტში გახდა ფრანგი პ. მასონი (1896 წ.) საგზატკეცილო ჯგუფური რბოლა მოიგო ბერძენმა ა. კონსტანდინიდისმა.

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი(UCI) შეიქმნა 1900 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 167 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია დაფუძნდა 1992 წლის 13 მარტს. 1993 წლიდან არის UCI-ის წევრი.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტია ბესარიონ ნადირაძე.

თანამედროვე ხუთჭიდი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად ჩართული იქნა 1912 წელს. 1952 წლამდე თამაშდებოდა მხოლოდ პირადი პირველობა. 1952 წლიდან კი თამაშდებოდა გუნდური პირველობა. 1996 წლიდან კვლავ ამოიღეს გუნდური შეჯიბრება და პროგრამაში მხოლოდ პირადი დარჩა.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი 1912 წელს შვედი გ. ლილიენ-ჰომი გახდა.

პირველი გუნდური ჩემპიონობა კი უნგრელებმა მოიპოვეს.

თანამედროვე ხუთჭიდსა და ბიატლონის საერთაშორისო ფედერაცია (UIPMB) შეიქმნა 1948 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 44 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 30 მაისს. 1992 წლის ოქტომბრიდან UIPMB-ს წევრია.

2003 წელს დამოუკიდებლად დაფუძნდა თანამედროვე ხუთჭიდის და ტრიატლონის ფედერაცია.

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის და ტრიატლონის ფედერაციის პრეზიდენტია ვალერიან როგავა.

კალათბურთი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად მხოლოდ მამაკაცებისათვის ჩართეს 1936 წელს ბერლინში. ქალები 1976 წლიდან მონაწილეობენ ოლიმპიადებში.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები მამაკაცებში გახდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელები. ქალებში პირველი ჩემპიონი გახდა სსრკ-ს ნაკრები.

კალათბურთის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (FIBA) შეიქმნა 1932 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 208 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 4 ივნისს. 1992 წლის 10 ივლისიდან FIBA-ს წევრია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია ბესიკ ლიპარტელიანი.

კრივი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1904 წლიდან. მხოლოდ ერთხელ (1912 წელს) იქნა ამოღებული პროგრამიდან.

დღეისათვის ოლიმპიური მედლები თამაშდება 11 წონით კატეგორიაში. 1904 წელს მედლები გათამაშდა 7 წონით კატეგორიაში. მაშინ ყველა წონით კატეგორიაში ოქროს მადლები ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეებმა მოიგეს.

1946 წელს შეიქმნა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაცია. AIBA აერთიანებს მსოფლიოს 188 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს კრივის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 16 ივნისს. 1992 წლიდან AIBA-ს წევრია.

საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტია გიორგი კანდელაკი.

მშვილდოსნობა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო მხოლოდ მამაკაცთა შორის 1900 - 1904 - 1908 და 1920 წლებში. შემდეგ ამოღებულ იქნა პროგრამიდან.

1972 წელს კვლავ შეტანილ იქნა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, როგორც ქალების, ისე მამაკაცებისათვის.

მამაკაცებში პირველი ჩემპიონი გახდა ავსტრალიელი ს. მაკინტოში. ქალებში კი ამერიკელი დ. უილბერი.

მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FITA) შეიქმნა 1931 წელს.

საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია შეიქმნა 1991 წელს 1 ივნისს.

2002 წელს დაფუძნდა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაცია.

1992 წლის 23 სექტემბრიდან მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია ქეთევან ლოსაბერიძე.

მძლეოსნობა - ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896 წლიდან. 1924 წლის პარიზის ოლიმპიადის ჩათვლით მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ. ქალები ოლიმპიურ თამაშებზე 1928 წლიდან ასპარეზობენ.

ამჟამად ოლიმპიური მედლები თამაშდება 48 დისციპლინაში (24 მამაკაცების და 24 ქალების).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში გახდა ამერიკელი ჯეიმს კონოლი,რომელმაც სამმაგიხტომი მოიგო. ქალებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ელიზაბეტ რობინსონი, რომელმაც 100 მ. სირბილში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF) შეიქმნა 1912 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 211 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 30 აპრილს. 1992წლის 30 მაისიდან IAAF-ის წევრია.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია თამაზ მდინარაძე.

ტყვიის სროლა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896 წლიდან. მხოლოდ ორჯერ (1904 და 1928 წ.) იქნა ამოღებული პროგრამიდან.

1896 წელს, პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მედლები გათამაშდა მხოლოდ მამაკაცებისათვის ხუთ დისციპლინაში.

მამაკაცებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბერძენი ი. ფრანგუდისი.

1900 წელს - ქალებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელი პ. სპერჯინი.

სროლის ნაციონალური ფედერაციებისა და ასოციაციების საერთაშორისო კავშირი (UIT) შეიქმნა 1907 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 148 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს სროლის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს. 1992 წლიდან UIT-ის წევრია.

საქართველოს სროლის ფედერაციის პრეზიდენტია ვახტანგ ქუთათელაძე.

სასტენდო სროლა - ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900 წლიდან. (არ იყო 1904, 1928 - 1948 წლებში). 1952 წელს კვლავ შეიტანეს თამაშების პროგრამაში 1996 წლამდე ასპარეზობდნენ მხოლოდ მამაკაცები.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი 1900 წელს გახდა ბელგიელი ვან დე ლუნდენი. ქალებმა პირველად მონაწილეობა მიიღეს ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებში. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელი კ. როუდი.

ტანვარჯიში - ოლიმპიური თამაშების მუდმივი ბინადარია. I - IV თამაშებზე, 1896 - 1908 წლებში, ტანვარჯიშულ მრავალჭიდში შედიოდა ზოგიერთი მძლეოსნური სახეები (ჭოკით ხტომა, ბაგირზე ცოცვა, ბირთვის კვრა, სიმაღლეზე ხტომა და სხვა). დღეისათვის პროგრამაში 14 დისციპლინაა (8 მამაკაცებში, 6 ქალებში) ქალების ტანვარჯიში ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1928 წლიდან და მხოლოდ გუნდურ ასპარეზობაში. 1952 წლიდან კი თამაშდება პირადი პირველობებიც ცალკეულ იარაღებზე.

ქალთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ნიდერლანდების ტანმოვარჯიშეები. ქალთა მრავალჭიდში ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი გახდა სსრკ-ს წევრი მ.გოროხოვსკაია(1952 წ.). მამაკაცებში კი - გერმანელი ალფრედ ფლატოვი.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია (FIG) შეიქმნა 1881 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 124 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს. 1992 წლის 18 ივლისიდან FIG — ის წევრია. საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის შემადგენლობაში შედის მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა და ბატუტი.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტია ომარ ღონღლაძე.

მხატვრული ტანვარჯიში — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1988 წლიდან და ტარდებოდა მხოლოდ პირადი პირველობა, ხოლო 1996 წლიდან მხოლოდ გუნდური.

1998 წელს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი სსრკ-ს გუნდის წევრი მ. ლობაჩი გახდა. გუნდურში კი პირველი ჩემპიონი გახდა ესპანეთის ნაკრები.

ფარიკაობა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896 წლიდან. პირველ თამაშებზე მედლები პირად პირველობაში რაპირასა და ხმალში გათამაშდა. ასპარეზობდნენ მხოლოდ მამაკაცები. 1900 წლიდან პროგრამას დაემატა შეჯიბრება დაშნაში, ხოლო 1904 წლიდან გუნდური ასპარეზობა რაპირაში.

1896 წელს რაპირაში პირველი ოქრო მოიპოვა ფრანგმა ე. გრაველოტმა, ხოლო ხმალში ბერძენმა - ჟან გეორგია-დისმა. 1900 წელს დაშნაში პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი კუბელმა — რამონ ფონსტმა მოიპოვა. 1904 წელს პირველი ოლიმპიური ჩემპიონის წოდება გუნდურ შეჯიბრებაში კუბის ნაკრებმა მოიგო. ქალები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ 1924 წლიდან რაპირაში. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დანიელი - ელენ ოსიერი. 1960 წლიდან ტარდება გუნდური ასპარეზობა. პირველი ჩემპიონები გახდნენ სსრკ-ს მოფარიკავეები.

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია (FIE) შეიქმნა 1913 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 97 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 27 ივნისს. 1992 წლის 7 ივნისიდან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის FIE-ს წევრია.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი არჩილ გოგელია.

ფეხბურთი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900 წლიდან (მხოლოდ ერთხელ - 1932 წელს ამოღებლ იქნა პროგრამიდან). 1996 წლიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა ფეხბურთი ქალებისათვის.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცთა შორის გახდა დიდი ბრიტანეთის გუნდი - 1900 წელს. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის გახდა აშშ-ს გუნდი - 1996 წელს.

ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIFA) შეიქმნა 1904 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 204 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1990 წლის 15 თებერვალს. 1992 წლის 3 ივლისიდან FIFA-ს წევრია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია მერაბ ჟორდანია.

ფრენბურთი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა გუნდებისათვის არის 1964 წლიდან.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები ქალთა შორის გახდნენ იაპონელი ფრენბურთელები. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი კაცთა შორის სსრ კავშირის ნაკრები გახდა.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია (FIVB) 1947 წელს შეიქმნა და მასში გაერთიანებულია 217 ქვეყანა.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია 1991 წლის 28 თებერვალს დაფუძნდა. 1991 წლის დეკემბრიდან ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტია ლევან ახვლედიანი.

ჩოგბურთი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896 წლიდან მამაკაცებისათვის, 1900 წლიდან კი ქალებიც გამოდიან. 1924 წელს პარიზის მე-8 ოლიმპიური თამაშების შემდეგ ამოღებული იქნა პროგრამიდან. ჩოგბურთი 1988 წლიდან კვლავ შეტანილი იქნა პროგრამაში. ამჟამად თამაშდება მედლების ოთხი კომპლექტი — ორ დისციპლინაში (ორი მამაკაცთა და ორი ქალთა).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცებში 1896 წელს გახდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ჯონ ბოლენდი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის 1900 წელს ასევე დიდი ბრიტანეთის წარმომადგნელი შარლოტა კუპერი გახდა.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) 1913 წელს დაფუძნდა და აერთიანებს მსოფლიოს 190 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია 1991 წლის 7 ივლისს შეიქმნა. 1993 წლიდან ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ITF-ის წევრია.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტია ლეილა მესხი.

მაგიდის ჩოგბურთი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1988 წლიდან ქალებისა და მამაკაცებისათვის. ასპარეზობენ ოთხ სახეობაში (2 - ქალები, 2 - კაცები), თამაშდება ორი ერთეულთა და ორი წყვილთა მედლები.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის გახდა: პირადში — ჩინელი ჩენ ჯანი, წყვილებში - კორეელები პუნ იუნგ ხვა და იანგ იუნი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცთა შორის გახდა: პირადში — კორეელი იუ ნამ კი, წყვილებში — ჩინელები ჩენ ლონციან და ვეი ინგ გუანი.

მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1926 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 116 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოში მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1991 ლის 19 ივლისს. 1992 წლის 15 სექტემბრიდან მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტია კობა ძლიერიშვილი.

ცურვა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 1896 წლიდან არის მხოლოდ მამაკაცებისათვის. ქალები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ

1912 წლიდან. სპორტის ოლიმპიური სახეობებიდან ცურვა მეორეა მძლეოსნობის შემდეგ გათამაშებული მედლების კომპლექტის რაოდენობით. ექვს სპორტულ დისციპლინაში თამაშდება მედლების 32 კომპლექტი (16 ქალებისა და 16 მამაკაცებისათვის).

მამაკაცებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა უნგრელი ალფრედ ჰაიოში. ქალებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ავსტრალიელი ფენი დიურეკი.

მოყვარულ მოცურავეთა საერთაშორისო ფედერაცია (FINA) შეიქმნა 1908 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 155 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქარველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს.1992 წლის 24 ივლისიდან მოყვარულ მოცურავეთა საერთაშორისო ფედერაციის FINA-ს წევრია. საქართველოს სპორტის საწყალოსნო სახეობათა ფედერაციის შემადგენლობაში შედის სინქრონული ცურვა, წყალბურთი და წყალში ხტომა.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია ვლადიმერ გოიაშვილი.

სინქრონული ცურვა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1984 წლიდან. თამაშდებოდა მედლების ორი კომპლექტი ერთეულებსა და წყვილთა შორის. 1996 წლიდან პროგრამაში მხოლოდ ჯგუფური შეჯიბრებაა.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ერთეულთა თანრიგში გახდა ამერიკელი ტ. რუისი. წყვილთა თანრიგში გაიმარჯვეს ასევე აშშ-ს წარმომადგენლებმა კ. კოსტიმ და ტ. რუისმა. 1996 წელს ჯგუფურ შეჯიბრში პირველი ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვეს აშშ-ს წარმომადგენლებმა.

ცხენოსნობა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900 წლიდან (მხოლოდ ერთხელ 1904 წელს იქნა ამოღებული პროგრამიდან). 1900 წელს გათამაშდა მედლები დაბრკოლებათა გადალახვაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში. ამჟამად თამაშდება მედლების ექვსი კომპლექტი. ქალები და მამაკაცები ასპარეზობენ ერთად.

დაბრკოლებათა გადალახვაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბელგიელი — ე. ჰეგემანი, სიგრძეზე ხტომაში ასევე ბელგიელი — კ. ვან ლანგენდონმა, სიმაღლეზე ხტომაში კი იმარჯვა ფრანგმა — დ. გარდერმა.

1912 წლიდან პროგრამაში შეტანილი იქნა სამჭიდი და გუნდური პირველობა. სამჭიდში პირველი ჩემპიონი გახდა შვედი ა. ნურდლანდერი. პირველი გუნდური ჩემპიონობა კი მოიპოვა შვეციის გუნდმა.

ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FEI) შეიქმნა 1921 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 114 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 30 მაისს. 1992 წლის ოქტომბრიდან არის ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის FEI-ს წევრი. 2003 წლიდან თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია გავიდა ცალკე ფედერაციად.

საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია თენგიზ აბულაძე.

ძალოსნობა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896 წლიდან. ამოღებულ იქნა 1900, 1908, და 1912 წლების ოლიმპიადებიდან. 1920 წლიდან კი სისტემატურად არის პროგრამაში. 2000 წლიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა ქალთა ძალოსნობაც. ამჟამად ძალოსნობაში თამაშდება მედლების 15 კომპლექტი (7 ქალებისათვის და 8 მამაკაცებისათვის).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები მამაკაცებს შორის გახდნენ: ცალი ხელით აწევაში —დიდ ბრიტანელი ლაუსესტონ ელიოტი, ხოლო ორი ხელით აწევაში — დანიელი ვიგო იენსენი. ქალთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბულგარელი იზაბელა დრაგნევა.

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IWF) შეიქმნა 1913 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 159 ქვეყნის ეროვნული ფედერაციას.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივლისს. 1993 წლის 1 ივნისიდან ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის IWF წევრია.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია დავით ბეჟუაშვილი.

ძიუდო — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1964 წლიდან. 1968 წელს ამოღებულ იქნა პროგრამიდან, ხოლო 1972 წლიდან კვლავ პროგრამაშია. 1992 წლიდან პროგრამაში შეიტანეს ქალების ძიუდო. ამჟამად ძიუდოში თამაშდება მედლების 14 კომპლექტი (7 ქალების და 7 მამაკაცების).

მამაკაცებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა იაპონელი ისაო ინოკუმა. ქალებში კი - ჩინელი ხ. ჟუანგი.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია (IJF) დაარსდა 1951 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 175 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 3 ივნისს. 1993 წლის მაისიდან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის IJF-ის წევრია.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტია დილარ ხაბულიანი.

წყალბურთი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900 წლიდან, მხოლოდ მამაკაცებისათვის. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დიდი ბრიტანეთის გუნდი.

2000 წლიდან სიდნეის თამაშებზე ჩართული იქნა ქალთა წყალბურთი.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის ავსტრალიის ნაკრები გახდა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896 წლიდან. პირველ ოლიმპიადაზე მედლების ერთი კომპლექტი გათამაშდა. ამჟამად თამაშდება 7 კომპლექტი.

პირველი ჩემპიონი იყო გერმანელი - კარლ შუმანი.

მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაცია (FILA) შეიქმნა 1912 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 132 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 22 მაისს. 1922 წლის 2 აგვისტოს გახდა მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაციის FILA-ს წევრი. 1993 წლის 14 იანვარს შეიქმნა გაერთიანებული ფედერაცია, რომელშიც ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა გაერთიადა.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია გოჩა ზასოხოვი.

თავისუფალი ჭიდაობა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1904 წლიდან, სადაც შვიდ წონით კატეგორიაში თამაშდებოდა მედლები. ამჟამადაც ოლიმპიურ თამაშებზე მედლების შვიდი კომპლექტი თამაშდება.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი რობერტ კერი იყო.

ხელბურთი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1936 წელს. შემდეგ ამოღებულ იქნა პროგრამიდან. 1972 წელს კაცების, ხოლო 1976 წელს ქალების ხელბურთი კვლავ შეტანილ იქნა პროგრამაში.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ გერმანელი ხელბურთელები (ხელბურთი 11:11-ზე). პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცთა შორის ხელბურთში 7:7-ზე გახდა იუგოსლავიის ნაკრები. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის სსრ კავშირის ნაკრები გახდა.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია (IHF) შეიქმნა 1928 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 136 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია შეიქმნა 1990 წლის 5 ივნისს. 1996 წლიდან IHF-ის წევრია.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტია თენგიზ გაზდელიანი.

ბატუტი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 2000 წლიდან. მედლები გათამაშდა ქალების და მამაკაცების ერთეულთა თანრიგში.

პირველი ჩემპიონები გახდნენ რუსეთის გუნდის წარმომადგენლები: ქალებში — ირინა კარავაევა, მამაკაცებში — ალექსანდრე მოსკალენკო.

სოფტბოლი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1996 წლიდან. მედლები თამაშდება მხოლოდ ქალთა გუნდებისათვის.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა აშშ-ს გუნდი.

სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაცია (ISF) შეიქმნა 1952 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 101 ქვეყნას.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 ივლისს. 1992 წლის 18 თებერვლიდან (ISF) სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტია რამაზ გოგლიძე.

ტაეკვანდო - ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 2000 წლიდან. თამაშდება მედლების 8 კომპლექტი (4 ქალების, 4 კაცები).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის კორეელი კორეელი იუნგ ჯაე ეუნი გახდა. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცთა შორის კი ბერძენი მიხალის მურუცოსი გახდა.

ტაეკვანდოს საერთაშორისო ფედერაცია (WTF) შეიქმნა 1973 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 67 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაცია დაფუძნდა 1993 წელს. 1995 წლიდან WTF-ის წევრია.

საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტია კონსტანტინე გედევანიშვილი.

ტრიატლონი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 2000 წლიდან. თამაშდება პირადი პირველობა ქალთა და კაცთა შორის.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონიქალთა შორის გახდა შვეიცარელი - ბრიგიტ მაკმაჰონი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცთა შორის კი კანადელი საიმონ უიტფილდი გახდა.

ტრიატლონის საერთაშორისო ფედერაცია (ITL) შეიქმნა 1995 წელს.

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაცია დაფუძნდა 2003 წლის 26 თებერვალს.

საქართველოს ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაციის პრეზიდენტია ვალერიან როგავა.

წყალში ხტომა — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1904 წლიდან მხოლოდ მამაკაცებისათვის. ასპარეზობა გაიმართა კოშკურიდან ხტომაში. ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონის წოდება აშშ-ს გუნდის წევრმა ჯორჯ შელდონმა მოიპოვა.

1908 წელს პროგრამას დაამატეს ტრამპლინიდან ხტომა. აქ პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ალბერტ ციურნერი გერმანიიდან.

1912 წელს უკვე ქალებიც მონაწილეობენ კოშკურიდან ხტომაში. პირველი ჩემპიონი ქალთა შორის შვედი გრეტა იუჰანსონი გახდა.

1920 წლიდან ქალების პროგრამას ტრამპლინიდან ხტომა დაამატეს. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი აშშ-ს გუნდის წევრი ეილინ რიჯინი გახდა.

ამჟამად წყალში ხტომაში თამაშდება მედლების 8 კომპლექტი (4 ქალების და 4 მამაკაცებისათვის).

4.5. სპორტის სახეობები, რომლებიც სხვადასხვა დროს შედიოდნენ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში

გოლფი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1900 და 1904 წლებში. პარიზში II ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობიდან ქალები და მამაკაცები პირად პირველობაში.ხოლო III ოლიმპიურ თამაშაბზე სენტლუისში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ და თამაშდებოდა, როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობა.

ქალებში პირველი და ერთადერთი ჩემპიონი გახდა ამერიკელი მარგერიტ აბოტი. მამაკაცებში გამარჯვება ასევე აშშ-ს წარმომადგენელმა ჩარლზ სენდსმა მოიპოვა.

გოლფი 1904 წლის შემდეგ იგი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში აღარ გამოჩენილა.

ჟე-დე-პომ — ეს ძველებური თამაში ბურთით ძალზე წააგავს ჩოგბურთს. აქ ჩოგნის მეშვეობით ხდება ბურთის გადაგდება ბადის, ან თოკის ზემოდან.

ჟე-დე-პომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩართული იყო 1908 წლის ლონდონის თამაშებზე მხოლოდ მამაკაცებისათვის.

პირველი ჩემპიონის ტიტული აშშ-ს გუნდის წევრმა - ჯეი გოულდმა მოიპოვა.

კრიკეტი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1900 წელს, შემდეგ იგი ამოღებულ იქნა პროგრამიდან.

პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე კრიკეტში მონაწილეობდა ორი გუნდი (საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი). ჩემპიონობა მოიპოვა საფრანგეთის გუნდმა.

კრიკეტი ძალიან წააგავს ბეისბოლს. გუნდი შედგება 11 მოთამაშისაგან. თამაში მიმდინარეობს ბალახის საფარიან მოედანზე ზომით 80X60 მეტრი, რომლის შუაში იდგმება ორი კარი 20 მეტრის დაცილებით ერთმანეთისაგან.

კროკეტი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1900 და 1904 წლებში. ეს სპორტული თამაშია, რომელშიც ხის ჩაქუჩებით მოთამაშეები ცდილობენ თავიანთი ბუშტები, რაც შეიძლება სწრაფად გაიტანონ მოწინააღმდეგის კარებში.

თამაშები ტარდება მიწის, ან ბალახის მოედანზე ზომით 24—90 მ. სიგრძე და 13,5 — 45 მ სიგანე. ბუშტების დიამეტრი არის 8,2 სმ. შეჯიბრება ოლიმპიურ თამაშებზე ჩატარდა მხოლოდ მამაკაცებისათვის. გუნდი შედგება 2 — 8 მოთამაშისაგან.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა — ერთი ბუშტის თანრიგში ფრანგი ემუა, ორი ბუშტის თანრიგში — ასევე ფრანგი — ვაიდელიკი. წყვილთა თანრიგშიც ფრანგმა — ემუამ და ჟოენმა იმარჯვეს.

1904 წლის შემდეგ კროკეტი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში აღარ შეუტანიათ.

ლაკროსი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო ორ ოლიმპიადაზე 1904 წელს სენტ-ლუისში და 1908 წელს ლონდონში.

ლაკროსი, გუნდური თამაშია ყვანჭით — კროსებით და ბურთით. ბურთს ისვრიან, იჭერენ, გარბიან, ურტყამენ ფეხებით, რომ გაიტანონ მოწინააღმდეგის კარებში. ბურთის დიამეტრი 8 სმ-ია, წონა 160 გრამი. შეჯიბრება ლაკროსში ჩატარდა მხოლოდ მამაკაცებისათვის.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ კანადის გუნდის წევრები. 1904 წელს ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ორი გუნდი (კანადა, აშშ) მონაწილეობდა.

პოლო — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო ხუთჯერ. 1900 წელს პარიზის, 1908 წელს ლონდონის,1920 წელს ანტვერპენის, 1924 წელს პარიზის და 1936 წელს ბერლინის თამაშებზე.

პოლო ქართული ცხენბურთის მაგვარი თამაშია, რომელშიც ორი გუნდის წევრები ცხენებზე ამხედრებულნი ყვანჭით ცდილობენ გაიტანონ ბურთი მოწინააღმდეგის კარში. ყოველი გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება ოთხ-ოთხი მხედრით. ბურთის დიამეტრია 10 სმ. სათამაშო მოედნის ზომაა 150X300 მეტრზე. კარების სიგანე უდრის 4 მეტრს. ოლიმპიურ თამაშებზე შეჯიბრებები ტარდებოდა მხოლოდ მამაკაცებისათვის.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დიდი ბრიტანეთის პირველი გუნდი. სულ ასპარეზობაში მონაწილეობდა სამი ქვეყნის ხუთი გუნდი.

როკი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო მხოლოდ ერთხელ —1904 წელს. როკი წარმოადგენდა კროკეტის ნაირსახეობას. მოწინააღმდეგეები სპეციალური ხის ჩაქუჩებით ცდილობდნენ ორი ბუშტი (დიამეტრით 8,28 სმ) გაეტანათ 10 კარში, რომლის სიგანე 10,82 სმ იყო. თიხის მოედანის ზომები იყო 18X9 მ. ეს შეჯიბრებაც მხოლოდ მამაკაცებისათვის იმართებოდა.

პირველი ჩემპიონი გახდა ამერიკელი ჩარლზ ჯეკობსი.

რეკეტსი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მხოლოდ ერთხელ 1908 წელს იყო. რეკეტსი არის თამაში ბურთით და ჩოგნით კედელთან. თამაშის მსვლელობის დროს მოთამაშეები ბურთს ისე აგზავნიან კედლისკენ, რომ ასხლეტილი ბურთი დაეცეს მოწინააღმდეგის მოედანზე. რეკეტსის სათამაშო კორტის ზომებია 18X9 მ. ბურთის დიამეტრი 2,54 სმ. შეჯიბრება მხოლოდ მამაკაცებისათვის იმართებოდა.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ერთეულთა თანრიგში — ევან ნოელი (დიდი ბრიტანეთი), წყვილთა თანრიგში — ასევე დიდი ბრიტანელები — ვეინ პენელი და ჯონ ასტორი.

რაგბი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო ოთხჯერ - 1900 წელს პარიზის, 1908 წელს ლონდონის, 1920 წელს ანტვერპენის და 1924 წელს პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ფრანგი რაგბისტები.

ბაგირის გადაწევა - ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1912 წელს სტოკჰოლმის და 1920 წელს ანტვერპენის ოლიმპიადებზე. თამაშდებოდა გუნდური მედლები მხოლოდ მამაკაცებისათვის.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა შვედეთის ნაკრები.

წყალ-სამოტორო სპორტი - ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მხოლოდ ერთხელ 1908 წლის ლონდონის თამაშებზე იყო. ასპარეზობა გაიმართა A, B და C კლასებში ცალ-ცალკე

A — კლასში პირველი და უკანასკნელი ჩემპიონი გახდა ფრანგი ე. ტიუბრონი. B და C კლასში კი იმარჯვეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა ტომას ტორნაიკროფტმა და ბილ რედვუდმა.

4.6. ხელოვნების კონკურსები ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის IV კონგრესზე პარიზში. გადაწყდა აღედგინათ ანტიკური ოლიმპიური თამაშების ტრადიცია და განეახლებინათ ხელოვნების კონკურსები. პირველად თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში 1912 წელს სტოკჰოლმის V ოლიმპიურ თამაშებზე იქნა ჩართული კონკურსი ხელოვნების დარგში, რომლის პროგრამა ხუთი ნომინაციისაგან შედგებოდა: არქიტექტურა, ფერწერა, მუსიკა, ლიტერატურა და ქანდაკება.

1912 წლიდან ასეთი სახის კონკურსები სულ შვიდჯერ გაიმართა და უკანასკნელად იგი 1948 წელს ლონდონის XIV ოლიმპიურ თამაშებზე ჩატარდა.

ხელოვნების კონკურსში გამარჯვებულები იგივე მედლებით ჯილდოვდებოდნენ, როგორითაც სპორტულ სარბიელზე გამარჯვებულები.

ოლიმპიური თამაშების პირველი ოქროს მედალოსნები იყვნენ:

არქიტექტურაში: შვეიცარიელები — ანრი მონო და ალფონს ლავერიელი;
ლიტერატურაში: გერმანელები - ჟორჟ ჰოპორდი და მანფრედ ეშბახი;
მუსიკაში: იტალიელი — რიკარდო ბარტელემი;
ფერწერაში: იტალიელი - ჯოვანი პელეგრინი;
სკულპტურაში: ამერიკელი — უოლტერ უაინენსი;

1912 - 1948 წლებში, ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათამაშებულ იქნა მედლების 151 კომპლექტი. ყველაზე მეტი ჯილდო გერმანელებმა მოიპოვეს - 24 (მათ შორის 8 ოქრო, 7 ვერცხლი, 9 ბრინჯაო). 14 - 14 მედალი იტალიელებმა (5ოქრო, 7 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) და ფრანგებმა (5 ოქრო, 4 ვერცხლი, 5 ბრინჯაო) მიიღეს.

ლუქსემბურგელმა ჟან იაკობმა ორჯერ გაიმარჯვა ხელოვნების კონკურსში. იგი პირველი იყო 1924 წელს პარიზის ოლიმპიური თამაშებზე ნომინაციაში "ფერნერა" და 1928 წელს ამსტერდამის IX ოლიმპიადაზე ნომინაციაში "აკვარელი და ნახატები".

1900 წლის პარიზის და 1908 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა "გაქცეულ ირემზე" ორმაგ სროლაში, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა უოლტერ უაინენსმა, 1912 წელს ოქროს მედალი მოიპოვა ნომინაციაში — სკულპტურა.

ლიტარატურის დარგში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოქროს მედალი ხვდა პიერ დე კუბერტენის ნანარმოებს — ოდა სპორტს.

1896 წლის პირველი ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა ალფრედ ჰაიოშმა, რომელმაც 100 და 1200 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვა, 1924 წელს პარიზის VIII ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა არქიტექტურის დარგში. აღსანიშნავია, რომ ამ ნომინაციაში ოქროს მედალი არ გათამაშებულა.

4.7. კონტინენტალური, რეგიონალური, პარაოლიმპიური და სოკ-ის ეგიდით ჩატარებული და სხვა თამაშები

ყველაზე მასშტაბური სპორტული ასპარეზობები, რომლებიც ტარდება ოლიმპიური თამაშების შემდეგ, არის კონტინენტალური, რეგიონალური და პარაოლიმპიური თამაშები. ეს იდეა ჯერ კიდევ კუბერტენის დროს იდგა დღის წესრიგში და იგი მომდინარეობდა ძველი საბერძნეთის ოლიმპიური მოძრაობის ისტორიიდან.

ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში გარდა ოლიმპიური თამაშებისა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვადასხვაგვარი რეგიონალური თამაშები: ისთმიური თამაშები, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 572 წლიდან ტარდება ღმერთ პოსეიდონის პატივისაცემად, ნიმიური თამაშები. ძ.წ. აღრიცხვით 573 წლიდან მითიური გმირის ჰერაკლეს და პანათენური, 589 წლიდან აპოლონის პატივისცემად და ა.შ.

დღეისათვის მსოფლიოში სხვადასხვა სახის მრავალი საერთაშორისო სპორტული თამაშები იმართება. პირველყოვლისა ეს არის კონტინენტალური თამაშები - აზიური, აფრიკული, პანამერიკული. მასში მხოლოდ ერთი მატერიკის ქვეყნები იღებენ მონაწილეობას. შემდეგ მოდის რეგიონალური თამაშები, რომლებშიც მხოლოდ ერთი რეგიონის ქვეყნები იღებენ მონაწილეობას. ასეთებია: ბალკანური, ხმელთაშუაზღვის ქვეყნების, შავი ზღვის, პანარაბული, წყნარი ოკეანის, ინდოეთის ოკეანის, შორეული აღმოსავლეთის, ოკეანიის, ევროპის მცირე ქვეყნების, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების თამაშები და სხვა.

ტარდება ასევე რელიგიური თამაშები — მუსლიმანური თამაშები, რომელშიც მხოლოდ ისლამის მიმდევარი სპორტსმენები მონაწილეობენ. მაკაბიური თამაშები, რომელშიც იუდაიზმის მიმდევარი სპორტსმენები ასპარეზობენ. სპორტსმენ კათოლიკებისა და პროტესტანტების თამაშები და სხვა.

საინტერესოა, რომ 1922 წელს შექმნილმა ქალთა საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ 1922-დან 1934 წლამდე ოთხჯერ ჩაატარა ქალთა მსოფლიო თამაშები, რომლის პროგრამაში მძლეოსნობა, ცურვა, კალათბურთი და სხვა პოპულარული სპორტის სახეები შედიოდა. შემდეგ ეს თამაშები აღარ

ჩატარებულა. სწორედ ამ თამაშების ზეგავლენით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რადიკალურად შეიცვალა პოზიცია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ქალთა შეჯიბრებების შეტანის შესახებ.

სპორტსმენ-ინვალიდების პარაოლიმპიური თამაშების გარდა, მსოფლიოში მრავალი მიმართულების თამაშები ტარდება, რომლებიც გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენენ.. ყრუთა საერთაშორისო სპორტული კომიტეტი 1924 წლიდან რეგულარულად ატარებს ზაფხულისა და ზამთრის თამაშებს სმენადაქვეითებული სპორტსმენებისათვის. ანალოგიური შეჯიბრებები იმართება მუნჯების, უსინათლოებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევების მქონე სპორტსმენებისათვის.

ცალკე ტარდება რკინიგზელების მსოფლიო თამაშები და წყნარი ოკეანის აუზის მეზღვაურთა საერთაშორისო სპორტული კვირეული. საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, რეგულარულად ატარებს ზაფხულისა და ზამთრის მსოფლიო სტუდენტურ თამაშებს-უნივერსიადებს. სტუდენტთა უნივერსიადები ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებაა თანამედროვე სპორტის სისტემაში. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ტარდება შეჯიბრებები ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდებს შორის, რომელთაგან უნდა გამოიყოს 1991 წლიდან დამკვიდრებული ახალგაზრდების ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური დღეები, რომელიც დღეისათვის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალად მოგვევლინა. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა შეჯიბრება განიხილება, როგორც ოლიმპიური სპორტის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ასეთი ღონისძიებები ემსახურება ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენას და შემდგომ დაოსტატების, სპორტის სახეების გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში, მასიურობას, ოლიმპიური სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას და სხვა.

4.7.1. პარაოლიმპიური თამაშები

სპორტულ ასპარეზობებზე ინვალიდების მონაწილეობის იდეა დაკავშირებულია ინგლისელი ნეიროქირურგის ლუდვიგ გუთმანის სახელთან. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის ქალაქ ეილსბერის სთოქ-მანდევილის ჰოსპიტალში მან დააარსა ზურგის ტრავმების სამკურნალო ცენტრი.

მან ზურგისტვინ დაზიანებული ჯარისკაცების რეაბილიტაციის პროცესში ჩართო სპორტი.

1948 წლის 28 ივლისს სთოქ-მანდევილის ჰოსპიტალში პირველად მსოფლიო სპორტის ისტორიაში ჩატარდა შეჯიბრება მშვილდოსნობაში ინვალიდების სავარძელში მჯდომი სპორტსმენებისათვის. ეს თარიღი სიმბოლურად ლონდონის XIV ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს დაემთხვა.

1956 წელს ლუდვიგ გუთმანმა შეიმუშავა ინვალიდ სპორტსმენთა ქარტია. მან ჩამოაყალიბა ის ძირითადი დებულებები, რომლებშიც დასახული იყო ინვალიდთა სპორტის შემდგომი განვითარების გზები.

"სთოქ-მანდევილის თამაშების მიზანია — წერდა ლუდვიგ გუთმანი — გააერთიანოს მსოფლიოს ყველა კუთხის პარალიზებული ქალი და მამაკაცი

საერთაშორისო პარაოლიმპიურ მოძრაობაში, დაე სპორტმა ჩაუნერგოს მათ იმედი, გაამხნეოს ათასობით პარალიზებული"

სიმბოლურია, რომ 1956 წელს მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩატარების დროს, სთოქ-მანდევილის თამაშები დააჯილდოვეს ფერნლეის თასით. ეს საპატიო ჯილდო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნორვეგიელმა წევრმა ტ. ფერნლეიმ დააარსა და იგი გადაეცემა ორგანიზაციას, რომლიც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციის საქმეში.

ლუდვიგ გუთმანმა დაამტკიცა, რომ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებისათვის სპორტი ქმნის წარმატებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხელსაყრელ პირობებს, უხსნის ფიზიკური არასრულყოფილების კომპლექსს და ხელს უწყობს ფსიქიკური წონასწორობის აღდგენას. ფიზიკური ნაკლის მიუხედავად სპორტი უქმნის მათ შესაძლებლობას დაუბრუნდნენ სრულყოფილ ცხოვრებას.

ლუდვიგ გუთმანის ძალისხმევით 1960 წლის რომის მე-17 ოლიმპიური თამაშების დასრულებიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ, იქვე რომში ჩატარდა ინვალიდების საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს 23 ქვეყნის 400 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

ფიზიკურად ჯანმრთელი ათლეტები ოლიმპიურ არენაზე შეცვალეს ვაჟკაცური ხასიათის მქონე ინვალიდებმა, რომლებმაც გზა გაუხსნეს მეტად საჭირო და საინტერესო პარაოლიმპიურ თამაშებს. 1960 წლიდან ეს შეჯიბრებები ოლიმპიური მოძრაობის განუყოფელი ნაწილი გახდა და ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქებში, ან ქვეყანაში. თუმცა გამონაკლისი მაინც მოხდა. 1968 წელს მეხიკოს არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, თამაშები გაიმართა თელავივში, ხოლო 1980 წელს მოსკოვმა ვერ უზრუნველყო პარაოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია და იგი ჰოლანდიის ქალაქ აარნემში მოეწყო.

1960 წლიდან მოყოლებული ყოველი მომდევნო თამაშების მონაწილეთა რიცხვი მატულობდა. მრავალფეროვანი ხდებოდა მონაწილე ქვეყნების გეოგრაფია. იზრდებოდა სპორტული სახეობების რაოდენობა. ზურგის ტრავმების მქონე სპორტსმენებს შეუერთდნენ ინვალიდების სხვა კატეგორიების ჯგუფებიც.

1982 წელს ჩამოყალიბდა — ინვალიდთა სპორტის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი. 10 წლის შემდეგ 1992 წელს, მისი სამართალმემკვიდრე გახდა საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი — სპკ.

დღეისათვის საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი მსოფლიოს 162 ქვეყანას აერთიანებს. სპკ-ში შედიან: ცერებრალური დამბლით დაავადებულთა საერთაშორისო სპორტული და გამაჯანსაღებელი ასოციაცია (CP – ISRA), უსინათლოთა საერთაშორისო სპორტული ასოციაცია (IBSA), გონებრივად შეზღუდულ პირთა საერთაშორისო სპორტული ფედერაცია (INAS–FIMN), სთოქ-მანდევილის პარალიზებულთა საერთაშორისო სპორტული ფედერაცია (ISMWSF), ინვალიდთა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია (ISOD), საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი (SOI).

მსოფლიო პარაოლიმპიური მოძრაობის გრაფიკულ სიმბოლოდ მიიჩნე-

ვენ წითელ, ლურჯ და მწვანე ნახევარსფეროებს, რომლებსაც გონების, სხეულის და გაუტეხავი სულის სიმბოლოდ აღიქვამენ.

დღეს ინვალიდთა სპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განსაცვიფრებელია ფიზიკური ნაკლის მქონე სპორტსმენების მიღწევები. ფაქტობრივად ინვალიდი სპორტსმენები თითქმის სპორტის ყველა ცნობილ და პოპულარულ სახეობებში ღებულობენ მონაწილეობას. სისტემატურად იზრდება პარაოლიმპიური დისციპლინების რაოდენობრივი მაჩვენებლები. მატულობს მონაწილეთა რაოდენობა, ფართოვდება გეოგრაფია.

1992 წელს ბარსელონაში პარაოლიმპიურ თამაშებში 83 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა მონაწილეობდა. 1996 წელს, ატლანტაში უკვე 103 ქვეყნის ათლეტები გამოდიან სპორტულ არენაზე, ხოლო 2000 წელს სიდნეიში მონაწილე ქვეყნების რაოდენობამ 122 მიაღწია.

2000 წლის სიდნეის პარაოლიმპიური თამაშები ყველაზე მასშტაბური იყო. მის პროგრამაში სპორტის 18 სახე იყო ჩართული, რომელთა შორის 14 ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა. სიდნეის პარაოლიმპიურმა თამაშებმა უმასპინძლა 6943 მონაწილეს, რომელთაგან 3824 სპორტსმენი პარაოლიმპიელი, 2315 დელეგაციის ოფიციალური პირი და 804 - ტექნიკური წარმომადგენელი იყო.

პარაოლიმპიური თამაშების მიმდინარეობას თვალს ადევნებდა მილიარდ მაყურებელზე მეტი, რაც ორჯერ აღემატებოდა ატლანტის 1996 წლის თამაშების მაჩვენებელს.

სიდნეის თამაშებზე სპორტის 18 სახეობაში ინვალიდი სპორტსმენების მიერ დამყარებული იქნა 300-ზე მეტი მსოფლიოსა და პარაოლიმპიური თამაშების რეკორდი.

აღსანიშნავია, რომ 1992 წელს ბარსელონას პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარმომადგენლებმაც. ჩვენი ინვალიდი სპორტსმენები, სამი კაცის შემადგენლობით, ასპარეზობდნენ მძლეოსნობაში. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გელა ბაგაური, ზვიად ძამანაშვილი და ნინა კამიშნიკოვა. მათი მწვრთნელი იყო ვალენტინ ლაბუნსკი.

4.1.2. სპეციალური ოლიმპიური თამაშები

1963 წლის ივნისში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დამ, იუნის კენედი-შრაივერმა, მერილენდში, თავის საცხოვრებელ სახლში გახსნა გონებადაქვეითებული და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისათვის საზაფხულო ბანაკი, რათა გამოეკვლია სპორტული წვრთნის ზეგავლენა ფიზიკური ნაკლის მქონე მოზარდების მდგომარეობაზე. გამოკვლევამ ნათელი გახადა ფიზიკური ვარჯიშების უპირატესობა მედიკამენტოზურ მკურნალობასთან. რამდენიმე წლიანი დაკვირვებისა და საკმაოდ ეფექტური შედეგების მიღებამ დღის წესრიგში დააყენა ინვალიდთა ასეთი კატეგორიის ადამიანებისათვის სპეციალური შეჯიბრების ჩაეტარების აუცილებლობა. 1968 წელს ამერიკის ქ. ჩიკაგოში იუნის კენედი-შრაივერის ინიციატივით ჩატარდა ზაფხულის I საერთაშორისო თამაშები, რო-

მელშიც კანადისა და აშშ-ს 1000-მდე ინვალიდმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

1988 წლის თებერვალში, კალგარის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა და იუნის კენედი-შრაივერმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც სოკ-მა აღიარა სპეციალური ოლიმპიური თამაშები და მას მიანიჭა ოფიციალური სტატუსი "სპეციალური ოლიმპიური თამაშები" და მასზე პატრონაჟი აიღო.

საერთაშორისო სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომლის დამაარსებელი და სულისჩამდგმელები არიან იუნის კენედი-შრაივერი და სარჟენტ შრაივერი, დღემდე ჩაატარა ზაფხულის 11 და ზამთრის 7 სპეციალური ოლიმპიური თამაშები.

საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი აერთიანებს 185 ქვეყანას.

საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია 1993 წლიდან და სისტემატიურად მონაწილეობს მისი ეგიდით ჩატარებულ ყველა თამაშებში.

2003 წელს დუბლინის თამაშებზე ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მოიპოვეს ერთი ოქროს, ხუთი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი.

თავი V

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები და მათი სტატისტიკა

თანამედროვეობის ოლიმპიურმა მოძრაობამ თავისი არსებობის 107 წლის მანძილზე განვითარების საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო. უდიდესი ძალისხმევა და შრომა დასჭირდა იმ მასშტაბებისა და პოპულარობის მიღწევას, რომელიც მან უკანასკნელ ხანებში მოიპოვა.

ისტორიისათვის შედარებით ხანმოკლე დროის მიუხედავად, თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის განვითარების შესწავლა უნდა დაეფუძნოს ღრმა მეცნიერულ ანალიზს, რადგან კარგად არის ცნობილი, თუ როგორი პოლიტიკური კატაკლიზმებით იყო აღსავსე კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველა რთული მონაკვეთი - XX საუკუნე. 100 წლის მანძილზე ორი მსოფლიო ომი, გაუთავებელი რევოლუციური თუ სახელმწიფო გადატრიალებები, სსრ კავშირის იმპერიის დაშლა, მთელი რიგი პოლიტიკური ცვლილებები ევროპის, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ნათლად მიუთითებენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების განვითარების რამოდენიმე ეტაპის არსებობაზე.

სპორტის ისტორიკოსები და სოციოლოგები სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ თანამედროვე ოლიმპიური სპორტის განვითარების პერიოდებს. ცნობილი უნგრელი სპეციალისტი ლასლო კუნი მას უკავშირებდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტების მოლვაწეობის ვადებს. რუსი მეცნიერები ვ. სტოლბოვი და ბ. ხავინი საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიას უკავშირებენ სამ ისტორიულ პერიოდს: 1896 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე (1914 წლამდე), მეორე პერიოდს მიაკუთვნებენ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის ვადებს (1920-1936 წწ.), და მესამე პერიოდს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1948 წლიდან). თავისი ხედვა აქვს უკრაინელ მეცნიერს ვ. პლატონოვს. მისი აზრით ოლიმპიური სპორტის პერიოდიზაციის დასადგენად აუცილებელია პოლიტიკური, ეკონომიკური და წმინდა სპორტული ფაქტორების ერთობლიობაში განხილვა. ვ. პლატონოვი ასეთ ვარიანტს გვთავაზობს: 1) 1896 - 1912 წლები (I-V ოლიმპიური თამაშები); 2) 1920 - 1948 წ. (VII-XIV ო.თ.); 3) 1952 - 1988 წ. (XI - XXIVო.თ.) და 4) 1992 წლიდან (XXI ოლიმპიური თამაშებიდან დღემდე).

რა თქმა უნდა, სპორტი და, კერძოდ, ოლიმპიური მოძრაობა ემორჩილება საერთო კანონზომიერებებს და მისი განვითარება უკავშირდება გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთებს, მაგრამ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 107 წლიან მონაკვეთზე რამოდენიმე ეტაპის არსებობა პირობითია, რადგან ოლიმპიური თამაშები, რომელიც თითქმის 12 საუკუნის მანძილზე იმართებოდა, არც ზემოხსენებულ ავტორებს და არც სხვა მეცნიერებს არასოდეს დაუყვიათ ეტაპებად და პერიოდებად. ოლიმპიური თამაშები ისეთი განსაკუთრებული მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, რომ თითოეული მათგანი თავად განიხილება, როგორც პერიოდი. ოლიმპიური თამაშები ერთი მთლიანი ძეგლის ფრაგმენტებია. ამ მძლავრი ნაკადის მთლიან დინებას თავიდან ბოლომდე უნდა მივყვეთ, თუ გვსურს მისი ერთიანობის აზრის შეცნობა.

1896 -2000

ოლიმპიური თამაშები

1896-2000 წლებში ფაქტიურად ჩატარდა 24 ოლიმპიადა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომების გამო ოლიმპიური თამაშები 1916, 1940 და 1944 წლებში არ ჩატარებულა, მათი რიგითი ნომრები - VI, XII, XIII შენარჩუნებულ იქნა. ამიტომ ბოლო ოლიმპიური თამაშები სიდნეიში იყო არა 24-ე არამედ 27-ე.

1896

ათენი

6-15 აპრილი

I ოლიმპიური თამაშები

მსოფლიოს ოცდათოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენელთა ნებით, 1894 წელს პარიზში, პირველ ოლიმპიურ კონგრესზე გადაწყდა, რომ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდებოდა საბერძნეთის დედაქალაქ ათენში 1896 წელს. თამაშებში მონაწილეობის სურვილი თოთხმეტმა ქვეყანამ გამოთქვა. სულ მონაწილეთა რაოდენობა 245 კაცი იყო. ამათგან თითქმის ორი მესამედი ბერძნები იყვნენ. რიცხოვნობით მეორე იყო გერმანიის დელეგაცია (21 სპორტსმენი), შემდეგ ფრანგები (19) და აშშ-ს გუნდი (14). ეს იყო ერთადერთი ოლიმპიადა, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები ღებულობდნენ მონაწილეობას.

თამაშების პროგრამაში იყო ცხრა სპორტის სახე-კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ტყვიის სროლა, ჩოგბურთი, ფარიკაობა და სიმძიმეების აწევა. სულ გათამაშებული იქნა მედლების 43 კომპლექტი.

ჯეიმს კონოლი
პირველი ოლიმპიური ჩემპიონი

მძლეოსნობის თხუთმეტი სახეობიდან ამერიკელებმა იმარჯვეს ცხრაში. თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელი ჯეიმს კონოლი, რომელმაც სამმაგ ხტომაში მოიპოვა გამარჯვება.

ათენის თამაშების დაწყების წინ ცნობილმა ფრანგმა ფილოლოგმა, აკადემიკოსმა მიშელ ბრეალმა, წერილი გაუგზავნა პიერ დე კუბერტენს "თუ საორგანიზაციო კომიტეტი ინებებს და ათენის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩართავს რბენას, რომელიც აღადგენს მარათონელი ჯარისკაცის გმირობას, მე დიდი სიამოვნებით გავიღებ ჯილდოს გამარჯვებულისათვის" კუბერტენმა ეს თხოვნა გაუგზავნა ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს, რომლებიც დიდი სიხარულით დათანხმდნენ და მარათონული სირბილი შეიტანეს თამაშების პროგრამაში.

ბერძნები იმთავითვე "თავიანთ" ორ სახეობაში ბადროს ტყორცნასა და მარათონში გეგმავდნენ გამარჯვებას. საბოლოო ჯამში მათ ეს სურვილი სანახევროდ დაიკმაყოფილეს.

ბადროს ტყორცნაში გამარჯვება ამერიკელმა რობერტ ჰერეტმა მოიპოვა. განსაკუთრებული სიხარული ბერძნებს მარათონულ რბენაში გამარჯვებულმა სპიროს ლუისმა მოუტანა. რბენის სტარტზე სოფელ მარათონთან ოცდახუთი მორბენალი გამოცხადდა. მათ შორის იყო ავსტრალიელი ედვინ ფლეკი, რომელსაც უკვე მოგებული ჰქონდა ორი ოქროს მედალი 800 და 1500 მეტრზე და მას მიიჩნევდნენ უპირველეს პრეტენდენტად. 25 მონაწილე მორბენლიდან 21 ბერძენი იყო. ადვილი ნარმოსადგენია, თუ რა ხდებოდა ათენის ოლიმპიურ სტადიონზე, როდესაც სარბენ ბილიკებზე პირველი, ათენის შემოგარენის მარუხის მკვიდრი, პროფესიით ფოსტალიონი სპიროს ლუისი გამოჩნდა.

სპიროს ლუისი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში

აღსანიშნავია გერმანელი კარლ შუმანის ნარმატება, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა ტანვარჯიშში, შემდეგ კი ჭიდაობაშიც ოქროს მედალი მოიგო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაწილეთა უმრავლესობას ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ბერძნები შეადგენდნენ. მათ საკმაოდ დამაჯერებლად მოიპოვეს გუნდური პირველი ადგილი და თავის ქვეყანას 10 ოქროს,19 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს მედალი მოუტანეს.



თეთრი მარმარილოს სტადიონი, სადაც ჩატარდა
თანამედროვეობის I ოლიმპიური თამაშები

1900

პარიზი

14 მაისი - 28 ოქტომბერი

II ოლიმპიური თამაშები

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის კუბერტენის საპატივსცემოდ II თამაშები პარიზში, 1900 წელს ჩატარდა. ოლიმპიური თამაშების ჩატარების ვადები დაემთხვა მსოფლიო გამოფენის ფუნქციონირებას. ეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ შეგნებულად გაკეთდა, რადგან ისინი ვარაუდობდნენ, რომ იგი წაადგებოდა სპორტს და ოლიმპიურ თამაშებს უფრო შესამჩნევს და პოპულარულს გახდიდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. გამოფენის მომწყობებმა საერთოდ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს, პირიქით, ისინი ყველანაირი ხერხებით ცდილობდნენ მაყურებლები გამოფენით დაეინტერესებინათ ამ ამბავს ისიც დაემატა, რომ თამაშების ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს კუბერტენი და ის ისეთ ჩინოვნიკს, ვინმე - დანიელ მერიდენს გადასცეს, რომელსაც სპორტთან არავითარი საერთო არ ჰქონდა. საბოლოო ჯამში ოლიმპიურმა თამაშებმა მეორე პლანზე გადაიწია. მას განიხილვენ, როგორც მსოფლიო გამოფენის დამატებით პროგრამას. პარიზის 1900 წლის ოლიმპიური თამაშები ისტორიაში შევიდა როგორც "ქაოსის ოლიმპიადა" კუბერტენიც კი ძულებული იყო ელიარებინა, რომ "მსოფლიოში არის ადგილი, სადაც ოლიმპიურ თამაშებს გულგრილად ექცევიან და ეს ქალაქი პარიზია" რა თქმა უნდა ოლიმპიური თამაშების ჩატარების ხანგრძლივობამ (თითქმის 5 თვე) ვერ უზრუნველყო მისი სრულფასოვნად ჩატარება. თამაშებში მონაწილეობდა 19 ქვეყნის 1078 სპორტსმენი, მათ შორის პირველად 19 ქალი, რომლებმაც სპორტის 5 სახეობაში მედლების 86 კომპლექტი გაითამაშეს.

ალვინ კრენცლეინი

მიუხედავად მრავალი ნაკლოვანებისა პარიზის ოლიპიურმა თამაშებმა აჩვენა ოლიმპიური მოძრაობის არა მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობა, არამედ მსოფლიოში სპორტის ინტენსიური განვითარება, რაზედაც ნათლად მეტყველებს მონაწილე ქვეყნების რაოდენობრივი ზრდა და ქალების მონაწილეობა თამაშებში. თუ პირველ თამაშებში 14 ქვეყანა მონაწილეობდა, მეორეში მათი რიცხვი 21-მდე გაიზარდა. პირველად მიიღეს მონაწილეობა ასპარეზობაში ესპანეთმა, იტალიამ, კანადამ, კუბამ, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, ჰაიტიმ.ინდოეთი აზიის კონტინენტიდან პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ოლიმპიურ თამაშებში.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი ქალი გახდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ჩოგბურთელი შარლოტა კუპერი.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ამერიკელმა მძლეოსნებმა, რომლებმაც 17 ოქროს მედალი მოიპოვეს. ოთხი ოქრო მოიგო ალვინ კრენცლეინმა (60მ, 110 მ, თარჯები, 200 მეტრი თარჯები და სიგრძეზე ხტომი), ხოლო სამი - რეი იურიმ (ადგილიდან სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომი და სამმაგი ხტომი).

ფარიკაობა, რომელშიც პროფესიონალებიც მონაწილეობდნენ, ფრანგების ტრიუმფით დასრულდა, მათ შვიდი სახეობიდან ხუთში მოიპოვეს ოქროს მედალი.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ფრანგებმა, რომლებსაც 26 ოქროს, 36 ვერცხლის და 33 ბრინჯაოს მედალი ერგოთ. შემდეგ იყვნენ ამერიკელები (შესაბამისად 20, 15, 16) და დიდი ბრიტანეთი (17, 8, 12).

ოლიმპიური თამაშების რვაგზის ჩემპიონი რეი იური

1904

სენტ-ლუისი

1 ივლისი - 23 ნოემბერი

III ოლიმპიური თამაშები

სენტ-ლუისის ოლიმპიური თამაშები იმით არის საინტერესო, რომ იგი ისევე, როგორც 1900 წელს პარიზში, ჩატარდა მსოფლიო სამრეწველო გამოფენის ჩარჩოებში. თუმცა აქაური დირექცია, პარიზისაგან განსხვავებით ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეწყოთ ოლიმპიური თამაშებისათვის და გამოეყენებინათ იგი რეკლამისათვის. თავდაპირველად ოლიმპიური თამაშების ჩატარება ნავარაუდევი იყო ჩიკაგოში, მაგრამ სენტ-ლუისის მთავრობამ პრეზიდენტ რუზველტის დახმარებით, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეაცვლევინა გადაწყვეტილება და იგი გადმოტანილი იქნა სენტ-ლუისში.

სენტ-ლუისის თამაშებზე საგრძნობლად შემცირდა მონაწილე ქვეყნების რაოდენობა, რაც გზის სიშორითა და დიდ ხარჯებით იყო გამოწვეული. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 13 ქვეყანა, 689 სპორტსმენი (მათ შორის 8 ქალი). 10 სპორტის სახეში გათამაშდა მედლების 89 კომპლექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ 689 მონაწილედან 533 ამერიკის შეერთებული შტატებიდან იყო

პირველად სენტ-ლუისის ოლიმპიადაზე პროგრამაში შეტანილი იქნა კრივი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჭიდაობასა და კრივში შემოღებულ იქნა წონითი კატეგორიები (შვიდ-შვიდი). საოცარ შედეგს მიაღწიეს ამერიკელმა მოკრივეებმა და მოჭიდავეებმა. მათ არა მარტო გაიმარჯვეს ყველა წონით კატეგორიაში, არამედ ყველა საპრიზო ადგილიც მოიგეს. ეს ერთადერთი შემთხვევაა ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, რომ სპორტის ერთ სახეობაში ყველა სინჯის მედალი ნაეღო ერთი ქვეყნის წარმომადგენელს.

აღსანიშნავია ამერიკელების სრული ტრიუმფი მძლეოსნობაში, რომლებმაც 23 ოქროს მედალი მოიპოვეს 25-დან. ამერიკელმა არჩი ხანმა გაიმარჯვა სამ სახეობაში (60, 100 და 200 მეტრზე სირბილი), წინა ოლიმპიადის 3 ოქროს ამჟამადაც სამი მიუმატა რეი იურიმ (სიგრძე, სამმაგი და სიმაღლეზე ხტომა ადგილიდან). სამი ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა ამერიკელმა ფრენკ კანგლერმა სამ სხვადასხვა სახეში — ბაგირის გადაძალვაში, ძალოსნობაში და ჭიდაობაში.

სენტ ლუისის ოლიმპიური თამაშების გმირი გახდა წარმოშობით გერმანელი ანტონ ჰეიდა, რომელმაც ამერიკის გუნდს ხუთი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი შესძინა ტანვარჯიშში.

კუბელმა მოფარიკავემ რამონ ფონსტმა სენტ-ლუისში ორი ოქროს მედალი მოიგო პირად პირველობაზე რაპირასა და დაშნაში. საერთოდ საოცარია ამ კუბელი სპორტსმენის ბედი. 1899 წელს 16 წლის ასაკში პირველად მოიგო ერთ-ერთი მასშტაბური შეჯიბრება — "საფრანგეთში მცხოვრებ საზღვარგარეთელთა მსოფლიო ჩემპიონატი" 1900 წელს 17 წლის გახდა ოლიმპიადის ჩემპიონი. თითქმის ორმოცი წლის შემდეგ 56 წლის ასაკში რამონ ფონსტმა გამარჯვება მოიპოვა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების IV თამაშებში. ამ ლეგენდარულ სპორტსმენს თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე მოპოვებული აქვს 125 მედალი და 25 დიდი პრიზი. გარდა ფარიკაობისა, იგი იყო პარიზის თასის მფლობელი ველოსპორტში, მოგებული აქვს ოქროს მედალი სასტენდო სროლაში და რვა პრიზი სხვადას-

---

1. აქ და ყველგან ციფრობრივი მონაცემები აღებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური ბიულეტენიდან, რომელიც 2002 წელს არის გამოცემული.

ხვა მასშტაბის საერთაშორისო ტურნირებზე კრივში. კუბაში ყოველწლიურად ტარდება რამინ ფონსტის მემორიალი, რომელშიც სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიოს უძლიერესი მოფარიკავეები.

სკანდალით დამთავრდა ოლიმპიადის ბოლო სახეობა მარათონი. აქ გამარჯვებული გახდა ამერიკელი ფრედ ლორცი, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედალი თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ქალიშვილის ხელიდან მიიღო, მაგრამ სულ მალე მას ეს ჯილდო ჩამოართვეს და სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. საქმე იმაში იყო, რომ მეთორმეტე კილომეტრზე ლორცს ფეხი გაუკავდა და სირბილი შეწყვიტა. ერთ-ერთმა მაყურებელმა, რომელიც ავტომანქანით მიყვებოდა მორბენლებს, იგი მანქანაში ჩაისვა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ლორცს კრუნჩხვამ გაუარა, ფინიშამდე სამიოდე კილომეტრით ადრე გადმოვიდა მანქანიდან და გააგრძელა სირბილი. ბუნებრივია, მან გაუსწრო ქანცგამოცლილ მორბენლებს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. შემდეგ ეს ყველაფერი გაირკვა და მოხდა ის, რაზეც ზემოთ ითქვა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა, რომელმაც 70 ოქროს, 75 ვერცხლისა და 64 ბრინჯაოს მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდნენ კუბელები (5 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო), ხოლო მესამეზე გერმანია (4 ოქრო, 4 ვერცხლი და 5 ბრინჯაო).

არჩი ხანი

1908

ლონდონი

27 აპრილი - 31 ოქტომბერი



IV ოლიმპიური თამაშები

IV ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ინგლისმა ითავა. თავდაპირველად გადაწვეტილი იყო რომ ეს თამაშები იტალიაში ჩატარდებოდა, მაგრამ იტალიელებმა უარი განაცხადეს. მიზეზად სპორტული ნაგებობების მშენებლობის გაჭიანურება მოიტანეს. ლონდონის საორგანიზაციო კომიტეტისა და მთავრობის დიდი მონდომების შედეგად დროის მცირე მონაკვეთში აგებულ იქნა სამოცდაათიათასიანი სტადიონი —"უაიტ-სიტი", საცურაო აუზი და ჭიდაობის დარბაზი.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობა მიიღო სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობამ. 22 ქვეყანამ აქ 2035 ათლეტი (მათ შორის 36 ქალი) მოავლინა. მონაწილეთა რიცხობრივი რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სამივე ოლიმპიადაზე ერთად აღებული. როგორც ეს ტრადიციად ჩამოყალიბდა, ყველაზე მეტი წარმომადგენლობა მასპინძლების იყო - 710 სპორტსმენი. ეს ციფრი დღეისათვისაც სარეკორდოა, რადგან ამდენი მონაწილე ერთი ქვეყნიდან არც ერთ შემდგომ ოლიმპიურ თამაშებზე არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია. პირველად ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო რუსეთის გუნდმა, რომელიც ხუთი სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული. სპორტის 24 სახეობაში გათამაშდა მედლების 107 კომპლექტი.

აღსანიშნავია, რომ 1908 წლიდან ოლიმპიური თამაშები არასდროს არ ყოფილა მსოფლიო ბაზრობების შემადგენელი ნაწილი.

პირველად ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი იქნა ასპარეზობა ფიგურულ სრიალში, რომელშიც მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა.

წინა ოლიმპიადებთან შედარებით, ლონდონში საგრძნობლად გაფართოვდა შეჯიბრების პროგრამა, რომელიც სპორტის 20 სახით იყო წარმოდგენილი. ასევე საგრძნობი იყო მონაწილეთა ოსტატობის მაღალი დონე. საინტერესოა, რომ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა თოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენელმა, ხოლო ამერიკელმა რეი იურიმ, რომელსაც უკვე მოგებული ჰქონდა ექვსი ოქრო 1900 და 1904 წლებში, ლონდონში კიდევ ორ დისციპლინაში იმარჯვა.

მძლეოსნობაში კვლავ დომინირებდნენ ამერიკელები, მაგრამ ეს გამარჯვება უკვე არ იყო ისეთი შთამბეჭდავი, როგორც წინა თამაშებზე, სადაც მათ 25 სახეობიდან იმარჯვეს 23-ში. ამჯერად, მძლეოსნობის 27 სახეობიდან, ამერიკელებმა მოიგეს 15 დისციპლინა. გამარჯვებულებს შორის იყვნენ სამხრეთ აფრიკის, კანადის, დიდი ბრიტანეთისა და შვეიცის წარმომადგენლები.

როგორც წინა ოლიმპიადები, ვერც ეს თამაშები გადაურჩა სკანდალს, თუმცა უმნიშვნელოს. 400 მეტრზე ფინალურ გარბენში ამერიკელმა კარპენტერმა ჯერ ხელი შეუშალა ინგლისელ ჰალსუელს, შემდეგ ხელი გაარტყა. მსაჯებმა შედეგი გააუქმეს, დისკვალიფიკაცია მისცეს კარპენტერს და დანიშნეს ახალი გარბენი. პროტესტის ნიშნად ორი ამერიკელი განმეორებით სტარტზე არ გამოცხადდა, ამიტომ სტარტზე მხოლოდ ჰალსუელი დადგა, მარტო გაირბინა დისტანცია და ოქროს მედალიც მას გადაეცა.

ლონდონის ოლიმპიური თამაშები იმ ამბითაც იყო დასამახსოვრებელი, რაც მარათონული რბენის დროს მოხდა. სტადიონის სავსე ტრიბუნების ყურადღება გადატანილ იქნა შემოსასვლელისაკენ, რომელშიც გამოჩნდა მომცრო ტანის ულვაშებიანი მორბენალი 19 ნომრით, იტალიელი დორანდო პიეტ-

რი. ფინიშამდე რამოდენიმე მეტრით ადრე იტალიელი წაიქცა და სირბილი ვერ შეძლო. მსაჯების დახმარებით მაინც მოახერხა ფინიშის ხაზის გადაკვეთა, მაგრამ გამარჯვებულად მეორე ადგილზე გასული ჯონ ჰეისი გამოაცხადეს. მეორე დღეს ჩატარდა გამარჯვებულთა დაჯილდოება. სამეფო ოჯახის ერთ-ერთი წევრი რიგრიგობით იწვევდა გამარჯვებულ ათლეტებს და ჯილდოებს გადასცემდა მათ. ბოლოს გამოიძახეს პიეტროც და გამარჯვებისათვის დაუოკებელი ლტოლვისათვის ოქროს თასი გადასცეს.

იმ დღეს წმინდა პეტრეს ტაძარში პენსილვანელმა ეპისკოპოსმა კათედრიდან წარმოთქვა სიტყვა: "მთავარი ოლიმპიადაში გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა". ლამაზი და შინაარსიანი გამონათქვამია, რომელიც დიდ ხნის მანძილზე შეცდომით პიერ დე კუბერტენის გამონათქვამად მიაჩნდათ.

ამ ოლიმპიადაში გარდა ამერიკელებისა, წარმატებულად გამოვიდნენ ინგლისელი ათლეტებიც. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მათთვის რინგზე გამოსვლა, სადაც ხუთივე წონით კატეგორიაში იმარჯვეს. ველოსპორტში ექვსი სახეობიდან ხუთი ოქრო მოიპოვეს. ხოლო აკადემიურ ნიჩბოსნობაში, საიალქნო სპორტსა და ჩოგბურთში პირველი ადგილი არც ერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენელს არ დაუთმეს და ამ სამ სახეობაში 14 ოქროს მედალი მოიგეს.

საინტერესო იყო ოლიმპიური ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც ხუთი ქვეყნის ექვსი გუნდი მონაწილეობდა. წინასწარ ტურნირებში შეხვედრები საკმაოდ სოლიდური ანგარიშებით დამთავრდა. ინგლისელებმა 12:1 სძლიეს შვედებს, ხოლო დანიამ მოუგო ფრანგებს 9:0. ნახევარ ფინალში ისე მოხდა რომ დანიელები და ფრანგები კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს შეხვედრა ოლიმპიური ტურნირისათვის სარეკორდო შედეგით დასრულდა. დანიელებმა გაანადგურეს ფრანგები 17:1. ფინალურ ორთაბრძოლაში დიდი ბრიტანეთის გუნდმა 2:0 სძლია დანიელებს და მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება.

ლონდონის 1908 წლის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ პრესაში გამოჩნდა არაოფიციალური გუნდური ჩათვლების შედეგები. პირველი ადგილი დაიკავა დიდი ბრიტანეთის გუნდმა, რომელმაც 147 მედალი მოიგო (57 ოქროს, 50 ვერცხლისა და 40 ბრინჯაოსი). მეორე ადგილი დაიკავეს აშშ-ის სპორტსმენებმა 47 მედალი (შესაბამისად 23, 12, 12). მესამე ადგილზე შვეციის ნაკრები გავიდა - 25 მედლით (შესაბამისად 8, 6, 11).

1912

სტოკჰოლმი

5 მაისი - 22 ივლისი

V ოლიმპიური თამაშები

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1904 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ V ოლიმპიური თამაშები გაიმართებოდა შვეიცის დედაქალაქ სტოკჰოლმში. როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, ოლიმპიური თამაშები, ისე როგორც ლონდონში, ღირსეული ხალხის ხელში მოხვდა. შვეცია ის ქვეყანა იყო, სადაც გიგანტური ნაბიჯებით ვითარდებოდა ფიზიკური აღზრდა და სპორტი. თამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას უდაოდ ხელი შეუწყო შვეციის მეფის დახმარებამ.

სტოკჰოლმის თამაშებში მონაწილეობდა 28 ქვეყნის 2437 სპორტსმენი (მათ შორის 57 ქალი). წინა ოლიმპიადებისაგან განსხვავებით თამაშების პროგრამამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. მართალია შემცირებული იქნა სპორტის სახეები, მაგრამ გაიზარდა შეჯიბრების რაოდენობა ცალკეულ ნომინაციებში. სულ გათამაშდა მედლების 102 კომპლექტი.

პროგრამიდან ამოღებულ იქნა ყველა სპორტული თამაში ფეხბურთისა და ჩოგბურთის გარდა. მამაკაცები ასპარეზობდნენ კლასიკურ ჭიდაობაში, წყალბურთში, ველოსპორტში, ცხენოსნობაში, მძლეოსნობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, საიალქნო სპორტში, ფეხბურთში, ფარიკაობაში, ჩოგბურთში, თანამედროვე ხუთჭიდში და ტყვიის სროლაში. ქალების პროგრამაში შედიოდა ცურვა, წყალში ხტომა და ჩოგბურთი.

სტოკჰოლმის ოლიმპიადაზე აშკარა იყო ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა უპირატესობა, რომლებმაც 30 გათამაშებული ოქროს მედლიდან 15 მოიგეს. პირად პირველობაში ყველაზე დიდ ნარმატებას მიაღწია ფინელმა მორბენალმა ჰანეს კოლეხმაინენმა, რომელმაც ოქროს სამი მედალი მოიპოვა 5, 10, და 12 კილომეტრზე სირბილში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამერიკელი ჯიმ ტორპი. ნარმოშობით ინდიელმა ატლეტმა გაიმარჯვა მრავალჭიდის ორ სახეობაში. ათჭიდში ტორპის მიერ ნაჩვენები შედეგით შეიძლებოდა ყველა მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე 1948 წლის ჩათვლით, ოქროს მედლის მოპოვება. მან მთელი 700 ქულით აჯობა თავის ძირითად კონკურენტს ჰუგო ვისლანდერს შვეციიდან. შვეციის მეფემ პირადად გადასცა ოქროს მედლები ტორპს და აღნიშნა, რომ ის იყო ყველა დროის უდიდესი ათლეტი. გამარჯვებულს დიდი ზეიმით შეხვდნენ სამშობლოში. ტორპს გამარჯვება პირადად აშშ-ს პრეზიდენტმა მიულოცა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების რასისტებისათვის ტორპის გამარჯვება ნიშნავდა რასობრივი უპირატესობის თეორიის და პრაქტიკის კრახს და ყველა ღონე იხმარეს რომ ჩამოერთვათ მისთვის ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. იმ სარჩულით, რომ ტორპი სტუდენტობის პერიოდში თამაშობდა ბეისბოლს და იღებდა გასამრჯელოს, მას პროფესიონალობა დასწამეს, ოქროს მედლები ჩამოართვეს და სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. მართალია ოლიმპიური სპორტის ისტორიაში 1912 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონად ათჭიდში მოიხსენიება შვედი ჰუგო ვისლანდერი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან ეს ჯილდოები არ მიიღო, რადგან გამარჯვებულად ის ჯიმ ტორპს ცნობდა.

სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა რასისტული გამოვლინებისა და იგი ისევ აშშ-ის მხრიდან მოდიოდა. 100 მეტრზე ფინალურ გარბენში ექვსი სპორტსმენიდან ხუთი ამერიკელი იყო. მას შემდეგ, როცა ამერიკის გუნდის ხელმძღვანელები დარწმუნდნენ, რომ პირ-

ველ სამ ადგილზე მათი სპორტსმენები გავიდოდნენ მათ ზანგი მორბენალი დრიუ სასტუმროში დატოვეს, რომ ხელი არ შეეშალა დანარჩენი ოთხი თეთრკანიანისათვის მედლების გათამაშებაში.

სტოკჰოლმის ოლიმპიადაზე პირველად ჩატარდა შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. გაიმარჯვა შვედეთის სამეფო გვარდიის ლეიტენანტმა გუსტავ ლილიენჰომმა. მან უკან ჩამოიტოვა 10 ქვეყნის 32 კონკურენტი.

სენსაციად მოინათლა ახალგაზრდა ჰავაელი დიუკ კაჰანამოკუს გამარჯვება 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მან ჯერ წინასწარ გაცურვაში დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი, რომელიც ფინალში გააუმჯობესა და იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი შედეგი-1,04,4წ. უჩვენა.

ყურადღება მიიპყრო შვედმა მსროლელმა ოსკარ სვანმა, რომელმაც მიუხედავად თავისი 64 წლის ასაკისა გაიმარჯვა "გაქცეულ ირმებზე" სროლაში. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ასეთი ასაკის ადამიანს არასოდეს გაუმარჯვია.

ჯიმ ტორპი

სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ოლიმპიადის პროგრამაში ხელოვნების კონკურსის ჩართვა. ეს გადაწყვეტილება სოკ-მა 1906 წელს პარიზის სესიაზე მიიღო. ლიტერატურის კონკურსში გაიმარჯვა ჟორუ ჰოჰროდისა და მარტინ ეშბახის ნანარმოებმა "ოდა სპორტს" შემდეგ გაირკვა, რომ იგი ეკუთვნოდა პიერ დე კუბერტენს, მაგრამ ფსევდონიმებით იმიტომ მონანილეობდა, რომ ჟიურის გადაწყვეტილებაზე ზეწოლა არ მოეხდინა და იგი სამართლიანი და ობიექტური ყოფილიყო.

სტოკჰოლმის თამაშები დამთავრდა შვედი სპორტსმენების ტრიუმფით, რომლებმაც 65 მედალი მოიპოვეს (24 ოქროს, 24 ვერცხლის და 17 ბრინჯაოსი,). მეორე ადგილზე გავიდა აშშ-ს გუნდი 61 მედალი (შესაბამისად 23, 19, 19), მესამე იყო დიდი ბრიტანეთი - 41 მედალი (შესაბამისად 10, 15, 16).

1920

ანტვერპენი

20 აპრილი - 12 სექტემბერი

VII ოლიმპიური თამაშები

სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან ორი წელიც არ იყო გასული, რომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. VI ოლიმპიური თამაშები, რომელიც 1916 წელს ბერლინში უნდა ჩატარებულიყო, ჩაიშალა.

რვაწლიანი პაუზის შემდგ, 1920 წელს ანტვერპენის, რიგით VII ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს 29 ქვეყნის 2607 სპორტსმენი, (მათ შორის 78 ქალი) შეიკრიბა. გათამაშდა მედლების 152 კომპლექტი.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ანტვერპენში აფრიალდა ხუთ რგოლიანი ოლიმპიური დროშა. აქვე პირველად, პიერ დე კუბერტენის მიერ 1913 წ. შემუშავებული ოლიმპიური ფიცის ტექსტი იქნა წარმოთქმული.

იმდროინდელი ბელგიური პრესა წერდა, რომ სპორტში თანდათან ისადგურებს მშვიდობიანი ატმოსფერო და მსოფლიოს ხალხები კვლავ გააგრძელებენ მეგობრულ ურთიერთობებს, რომლებშიც განსაკუთრებული როლი ოლიმპიური თამაშების გაგრძელებას ენიჭებაო. ამ განწყობილებაში სრული დისონანსი შეიტანა ცნობამ იმის შესახებ, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ ომში დამარცხებული ქვეყნები და საბჭოთა რუსეთი. თუმცა ამ თამაშებზე მაინც გამოჩნდა ნათელი წერტილები. ანტვერპენის თამაშებზე თავიანთ ქვეყნის დროშებით გამოვიდნენ ავსტრალია და ახალი ზელანდია, რომლებიც ადრე, როგოც ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნები ავსტრალო-აზიის სახელით ასპარეზობდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, თამაშების სპორტული მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო. ოლიმპიური პროგამიდან საბოლოოდ ამოიღეს ბაგირზე ცოცვა და ბაგირის გადაძალვა. შემცირებული იქნა პროგრამები საიალქნო სპორტსა და მშვილდოსნობაში. ოდნავ გაიზარდა სროლის პროგრამა. კვლავ გამოჩნდა პროგრამაში ბალახის ჰოკეი და რეგბი. ჭიდაობა გაიყო ორ სახედ - თავისუფალი და კლასიკური. კრივში ხუთის ნაცვლად შემოღებული იქნა რვა წონითი კატეგორია. პირველად ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პროგრამაში შეიტანეს შაიბიანი ჰოკეი.

თამაშებზე დამყარებული იქნა 30 ახალი ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან ექვსი მსოფლიო რეკორდი იყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფინელების წარმატება, რომლებმაც ნამდვილად განაცვიფრეს მსოფლიო. მათ ტოლი არ დაუდეს ამერიკელ მძლეოსნებს, რომლებიც დომინირებდნენ წინა ოლიმპიადაზე და ცხრა ოქროს მედალი მოიპოვეს.

ანტვერპენის თამაშებზე პირველად გამოჩნდა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მორბენალი ფინელი პაავო ნურმი, რომელმაც სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიგო. მარათონულ სირბილში კვლავ გაიმარჯვა სტოკჰოლმის 1912 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთმა გმირმა ჰანეს კოლეხმაინენმა.

ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია იტალიელმა მოფარიკავემ ნედო ნადიმ, რომელმაც ხუთი ოქროს მედალი მოიგო (ორი პირადში და სამი გუნდურში). ეს მაჩვენებელი აბსოლუტური რეკორდია ფარიკაობის ისტორიაში.სამი ოქროს მედალი მოიპოვა ნედოს ძმამ ალდომ (გუნდურში).

კვლავ განაცვირფრა მსოფლიო ჰავაელმა დიუკ კაჰანამოკუმ, რომელმაც ისე როგორც სტოკჰოლმში 1912 წელს, აქაც იმარჯვა 100 მეტრზე ცურვაში და კვლავ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი (1, 00, 4 წ.).

უდიდეს წარმატებას მიაღწია ამერიკელმა ქალმა ეტელდა ბლეიბტროიმ, რომელმაც ცურვაში სამი ოქროს მედალი მოიგო.

აღსანიშნავია ბელგიელი მშვილდოსანი ჰუბერტ ვან ინისი, რომელმაც ჯერ კიდევ 1900 წელს პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ორი ოქროს მედალი, ოცი წლის შემდეგ ანტვერპენში მან ოთხი ოქროს მედალი მოიგო.

ტყვიისა და სასტენდო სროლაში წარმოდგენილი იყო 18 ქვყნის 267 სპორტსმენი, რომელთაგან ექვსმა: ამერიკელეთთბმა მორის ფიშერმა, დენის ფონტონმა, ჯოზეფ ჯეკსონმა, კარლ ფრედერიკმა, კარლ ოსბურნმა და ნორვეგიელმა ოტო ოლსენმა სამ-სამი ოქროს მედალი მოიპოვეს. უინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება საიალქნო სპორტში. თვითონ განსაჯეთ, პროგრამის შვიდ სახეობაში მონაწილეობდა თითო ნავი, ხოლო დანარჩენ შვიდში - 2-4.

ამერიკელმა ჯეკ კელიმ ნიჩბოსნობაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა, მოგვიანებით იგი ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახდა.

შაიბიან ჰოკეიში პირველობა კანადის გუნდმა მოიპოვა. ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი გამარჯვება ზაფხულის ოლიმპიადაზე, რადგან 1924 წლიდან დაიწყო ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება.

მოკრივეთა შორის ქვემძიმე წონაში ამერიკელმა ედუარდ იგენმა გაიმარჯვა, რომელმაც თორმეტი წლის შემდეგ 1932 წელს ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო ტურნირი ბობსლეიში (ოთხეული) ეს ერთადერთი შემთხვევაა ვაჟთა ოლიმპიურ სპორტში.

1500 მეტრზე სირბილში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა ინგლისელმა ფილიპ ბეიკერმა - მომავალმა ნობელის პრემიის ლაურეატმა. მას 1959 წელს მშვიდობის დაცვის სფეროში მიენიჭა ნობელის პრემია. აღსანიშნავია, რომ ფ. ბეიკერმა 1980 წელს ქ. თბილისში გახსნა ოლიმპიური სამეცნიერო კონგრესი.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა, რომელმაც 95 მედალი მოიგო (41 ოქრო, 27 ვერცხლი, 27 ბრინჯაო). მეორე ადგილი წილად ხვდა შვედეთს - 64 მედალი (შესაბამისად 19, 20, 25). მესამე იყო დიდი ბრიტანეთის ნაკრები - 43 მედალი (შესაბამისად 15, 15, 13).

1924

პარიზი

4 მაისი - 27 ივლისი

VIII ოლიმპიური თამაშები

უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე პარიზს მეორედ მიეცა უფლება ყოფილიყო ოლიმპიური თამაშების მასპინძელი. მიუხედავად იმისა, რომ თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ ლოს-ანჯელესი, პრაღა და რომი, არჩევანი მაინც პარიზზე შეჩერდა.

მონაწილე ქვეყნებისა და სპორტსმენთა რაოდენობა სარეკორდო იყო. მსოფლიოს 44 ქვეყანამ პარიზის ოლიმპიადაზე 2972 სპორტსმენი (მათ შორის 136 ქალი) მიავლინა, რომლებიც სპორტის 19 სახეობაში მედლების 126 კომპლექტს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

პირველად ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი იქნა რაპირა ქალებისათვის.ჩოგბურთელები, მოყვარულის სტატუსის გაურკვევლობის გამო, ამ თამაშების შემდეგ გამოეთხოვნენ ოლიმპიურ თამაშებს. ჩამოყალიბდა ცურვის კლასიკური პროგრამა, რომელიც თერთმეტი სახეობისაგან შედგებოდა, ჭიდაობაში შემოღებულ იქნა შვიდი წონითი კატეგორია.

პარიზის ოლიმპიური თამაშების სპორტული დონე უაღრესად მაღალი იყო დამყარებულ იქნა 14 ოლიმპიური და 8 მსოფლიო რეკორდი. ოლიმპიური თამაშების მშვენება იყო ლეგენდარული ფინელი მორბენალი ჰაავო ნურმი, რომელმაც ოთხი ოქროს მედალი მოიგო. ნურმის მოგებების ღირებულება მატულობს კიდევ იმიტომ, რომ 1500 მეტრზე ფინალურ გარბენსა და 10 000 მეტრზე სტარტს შორის სხვაობა სულ ერთი საათი იყო. ფინელმა, რომელმაც ახალი ოლიმპიური რეკორდით (3. 53,6 წ.) იმარჯვა ამ დისტანციაზე, ერთი საათის შემდეგ სტარტი აიღო 10 000 მეტრზე კროსში და ისიც ახალი ოლიმპიური რეკორდით დაამთავრა (14. 31,2 წ.)

აღსანიშნავია, რომ ამ დისტანციაზე მეორე ადგილზე გასულ თავის თანამემამულეს ვილე რიტოლას 1,5 წუთით აჯობა. ეს ის რიტოლა გახლავთ, რომელმაც წინა დღით ოლიმპიური ოქროს მედლი მოიგო ასევე 10 კმ-სირბილში, ოღონდ სტადიონის ბილიკებზე.

პარიზის ოლიმპიადაზე პირველად იხილეს ამერიკელი მოცურავე ჯონი ვაისმიულერი, რომელმაც ოლიმპიური რეკორდებით მოიგო 100 და 400 მეტრზე ცურვა. მან მესამე ოქროს მედალი მოიპოვა ესტაფეტაში 4X200 მეტრზე, რომელშიც ამერიკელებმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარეს. ჯონი ვაისმულერმა არანაკლებ გაითქვა სახელი კინემატოგრაფიაში, როგორც ტარზანის როლის მთავარმა შემსრულებელმა ამავე დასახელების გახმაურებულ ფილმში.

აღსანიშნავია აშშ-ის გუნდის ნევრი ჰერტრუდა ედერლე, რომელმაც ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედლის მოპოვების შემდეგ 1926 წელს 6 აგვისტოს მსოფლიოში პირველმა ქალმა გადაცურა ლამანშის სრუტე.

სამივე ოქროს მედალი მოიგეს შვედმა თანამედროვე ხუთჭიდილებმა, ხოლო გუსტავ დიურსენმა 1920 წელს მოპოვებულ ოქროს პარიზში მეორეც დაუმატა.

ფეხბურთში პირველად გაიმარჯვა სამხრეთ ამერკის გუნდმა. ფინალურ მატჩში ურუგვაელებმა დაამარცხეს შვეიცარიის ნაკრები 3:0.

პარიზის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა ალფრედ სვანი. მართალია აქ მან მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ 1912 და 1920 წლებში მან 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ალფრედის მამა, ოსკარიც, სამი ოლიმპიადის მონაწილეა და ვნერდით, რომ მას 1908, 1912 და 1920 წლებში მოგებული აქვს 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

ჯონი ვაისმიულერი

პარიზის 1924 წლის ოლიმპიადაზე საერთო გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა აშშ-ს გუნდმა, რომელმაც 99 მედალი მოიპოვა (45 ოქრო, 27 ვერცხლი, 27 ბრინჯაო), და საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ფრანგებს, რომლებსაც 39 მედალი ერგოთ (შესაბამისად 13, 15, 11). მესამე ადგილზე 37 მედლით (შესაბამისად 14, 13, 10) ფინელები აღმოჩნდნენ.

1928

ამსტერდამი

17 მაისი - 12 აგვისტო

IX ოლიმპიური თამაშები

1928 წლის IX ოლიმპიური თამაშების მოწყობა დაევალა ნიდერლანდეების დედაქალაქ ამსტერდამს. თამაშების პროგრამაში 16 სპორტის 109 სახეობა იყო შეტანილი. ოლიმპიურ ჯილდოებს მსოფლიოს 46 ქვეყნის 2884 (მათ შორის 290 ქალი) ათლეტი ეცილებოდა ერთმანეთს.

თექვსმეტი წლის შემდეგ გერმანია კვლავ ჩაერთო ოლიმპიურ მოძრაობაში.

პირველად ამ თამაშებზე მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში მონაწილეობდნენ ქალები.

პირველად ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე, როგორც მშვიდობის სიმბოლო, გაშვებული იქნა მტრედები.

პირველად თამაშების ცენტრალურ არენაზე აინთო ოლიმპიური ცეცხლი. ოლიმპიაში ანთებული ჩირაღდანი მორბენლებმა საბერძნეთის, იუგოსლავიის, ავსტრიისა და გერმანიის გავლით ჩაიტანეს ამსტერდამში.

ლეგენდარული პაავო ნურმისათვის ამსტერდამის ოლიმპიადა ბოლო იყო. მან აქაც გაიმარჯვა 3000 და 5000 მეტრზე სირბილში. ამ დიდებული მორბენლის კარიერას თამამად შეიძლება ეწოდოს ფანტასტიკური.

რვა წლის მანძილზე მან ცხრა ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო და 24-ჯერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი რბენაში 1500-დან 20000 მეტრამდე. მისი სახელის უკვდავსამყოფად ჰელსინკში ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიაზე დადგმულია ბრინჯაოს სკულპტურა.

100 მეტრზზე ცურვაში კვლავ გაიმარჯვა ჯონი ვაისმიულერმა, რომელმაც მეორე ოქროს მედალი ესტაფეტაში 4X200 მეტრზეც მოიგო.

საგრძნობლად დათმეს პოზიციები ამერიკელმა მძლეოსნებმა. პროგრამის 28 სახეობიდან მათ მხოლოდ ცხრა უმაღლესი ჯილდო მოიგეს. ხუთ სახეში იმარჯვეს ფინელებმა, ოთხში კანადელებმა. დანარჩენი ოქროს მედლები გაინაწილეს დიდი ბრიტანეთის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, გერმანიის, იაპონიის, შვეიცის, ირლანდიისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა.

სამმაგ ხტომაში ყველას იაპონელმა მიკიო ოდამ აჯობა, რომელმაც ამერიკელ ლევი კეისზე 4 სმ-ით უკეთესი შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია კანადელი სპრინტერის პერსი უილიამსის წარმატება, მან ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 100 და 200 მეტრზე რბენაში. საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ამსტერდამის რინგი იტალიისა და არგენტინის მოკრივეებისათვის მათ შესაბამისად სამი და ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. წინა ოლიმპიადის ტრიუმფატორებმა ამერიკელმა და ინგლისელმა მოკრივეებმა წარმატებას ვერც ერთ წონით კატეგორიაში ვერ მიაღწიეს.

გათამაშებული შვიდი დისციპლინიდან, შვეიცარიელმა ტანმოვარჯიშე ვაჟებმა ხუთში მოიპოვეს ოქროს მედლები, ხოლო გუნდის ლიდერმა ჟორჟ მიზმა სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. წყალში ხტომაში ოთხივე ოქროს მედალი (ორი ქალებში და ორი მამაკაცებში) ამერიკის გუნდის წარმომადგენლებმა მოიგეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში კვლავ იმარჯვეს ამერიკელმა ათლეტებმა, მათ ანგარიშზე 56 მედალია (22 ოქროს, 18 ვერცხლის და 16 ბრინჯაოსი) მეორე ადგილზე გავიდნენ გერმანელი სპორტსმენები - 31 მედალი (შესაბამისად (10, 7, 14). 25 მედლით მესამეზე შვედეთის ნაკრები გავიდა (შესაბამისად 7, 6, 12).

ოლიმპიური თამაშების ცხრაგზის ჩემპიონი პაავო ნურმი

1932

ლოს-ანჯელესი

30 ივლისი - 14 აგვისტო

X ოლიმპიური თამაშები

პარიზის შემდეგ ლოს-ანჯელესი მეორე ქალაქი გახდა, რომელმაც ასევე მეორედ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების მასპინძლის უფლება.

პირველად მონანილეთა საცხოვრებლად აშენებული იქნა ოლიმპიური სოფელი, რომელშიც 700 სახლი დაიდგა. თამაშები 37 ქვეყნის 1333 სპორტსმენმა (მათ შორის 127 ქალი) მიიღო მონაწილეობა. პროგრამაში ჩართული იქნა 16 სპორტის სახეობის 117 დისციპლინა.

წინა ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო მონანილეთა რაოდენობა. ისე, სპორტული თვალსაზრისით კი ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპორტული ასპარეზობა. თამაშებზე დამყარებული იქნა 116 ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 21 მსოფლიო რეკორდზე მაღალი აღმოჩნდა.

ყველაზე უხვმოსავლიანი იყო შედეგები მძლეოსნობაში, სადაც გაუმჯობესდა 54 ოლიმპიური და მსოფლიოს რვა რეკორდი მხოლოდ სიგრძეზე ხტომაში ვერ შეძლეს სპორტსმენებმა ამსტერდამის ოლიმპიადის შედეგის გაუმჯობესება.

ცურვაში წინა ოლიმპიური თამაშების ყველა შედეგი გაუმჯობესებული იქნა. სასნაული მოახდინეს იაპონელებმა, რომლებმაც 5 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 1500 მეტრზე გამარჯვებული კუსუო კიტამურა 14 წლის იყო, მაგრამ მის მიერ ნაჩვენები შედეგი. როგორც ოლიმპიური რეკორდი 20 წლის მანძილზე ხელუხლებელი აღმოჩნდა, 15 წლის იყო 100 მეტრზე თავისუფალ სტილში გამარჯვებული იასუი მიაძაკი.

პაავო ნურმი, წინა სამი ოლიმპიადის გმირი, აპირებდა ლოსან-ჯელესში მარათონულ სირბილში გამოსვლას, მაგრამ მას ამის ნება არ დართეს, რადგან ორგკომიტეტმა იგი პროფესიონალად გამოაცხადა.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე მძლეოსნურ სპრინტში პირველად გაიმარჯვა ზაგმა სპორტსმენმა - ედი ტოლანმა, რომელმაც მსოფლიოს ახალი რეკორდით მიირბინა ფინიშთან.

ორი ოქროს მედალი მოიპოვა 18 წლის ამერიკელმა გოგონამ მილდედ დიდრიკსონმა 80 მეტრზე თარჯრბენში და შუბის ტყორცნაში. ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების შემდეგ იგი გადავიდა პროფესიონალ გოლფში, სადაც არნახულ წარმატებას მიაღწია. თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე მან უამრავი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატიც. ამერიკის სააგენტოს "ასოშეიტედ პრესის" მიერ იგი ხუთჯერ იქნა დასახელებული წლის საუკეთესო სპორტსმენად აშშ-ი, პირველად 1932 წელს, როგორც მძლეოსანი, ხოლო შემდეგ 1945, 1946, 1947 და 1950 წლებში, როგორც გოლფის უძლიერესი მოთამაშე.

შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა ფინელმა — მატი იარვინენმა. მის მიერ ნაჩვენები შედეგი (72 მ, 71 სმ) მთელი ექვსი მეტრით აღემატებოდა ოლიმპიურ რეკორდს. მ. იარვინენის გამარჯვების უკვდავსაყოფად ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე აღმართეს კოშკი, რომლის სიმაღლე სპორტსმენის მიერ ნაჩვენები შედეგის ტოლია.ფარიკაობაში ქალთა შორის პირველობა არავის დაუთმო ავსტრალიელმა ელენ მიულერ-პრაისმა. მან მომდევნო ორ ოლიმპიადაზე 1936 და 1948 წლებში ბრინჯაოს მედლები მოიგო და თავისი სპორტული კარიერა დაასრულა 1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე 43 წლის ასაკში.

შვედმა მძიმეწონოსანმა მოჭიდაველ იუხან რიშტჰიფმა გაიმეორა ამსტერდამის წარმატება და ლოს-ანჯელესშიც ოქროს პრიზიორი გახდა, მისმა თანაგუნდელმა ივარ იუჰანსენმა ჯერ ოქროს მედალი მოიგო თავისუფალი სტილით ჭიდაობაში (79 კმ-მდე), შემდეგ კლასიკურში სცადა ბედი და იქაც გაიმარჯვა (75 კმ-მდე). მაგრამ ყველაზე ტიტულიანი შვედი მოჭიდავე იმ პერიოდისათვის მაინც კარლ ვესტერგრენია. მან ჯერ კიდევ 1920 წელს მოიგო პირველი ოქროს მედალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (75 კმ-მდე), შემდეგ ისევ ჩემპიონი გახდა პარიზის 1924 წ. ოლიმპიადაზე, ოღონდ ქვემძიმე წონაში 90კგ-მდე), ამჯერად კი მძიმე წონაში აჯობა ყველას.

მატი იარვინენი

ამერიკის კონტინენტზე შესანიშნავად გამოვიდნენ იტალიელი ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც 4 ოქროს 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიგეს. იტალიელებმა არც ველოსპორტში შეირცხვინეს თავი,ოლიმპიური პროგრამის ექვსი ნომრიდან მათ სამში მიალწიეს წარმატებას.

ძალოსნობაში ყველა ჩემპიონი ევროპის კონტინენტის წარმომადგენელი იყო. სამი გამარჯვება მოიპოვეს ფრანგებმა.

გუნდურ გამარჯვებას დამაჯერებლად დაეუფლენ მასპინძლები. აშშ-ს სპორტული დელეგაციის მონაგარი 103 მედალია (41 ოქრო, 32 ვერცხლი და 30 ბრინჯაო). იტალიელებს შესაბამისად 12 ოქრო, 12 ვერცხლი და 12 ბრინჯაო ერგოთ. მესამე იყო გერმანიის გუნდი - 21 მედალი (შესაბამისად 4,12,5)

1936

ბერლინი

1 აგვისტო - 16 აგვისტო

XI ოლიმპიური თამაშები

მიუხედავად რიგი ქვეყნების აქტიური პროტესტისა, 1936 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება ჰიტლერული გერმანიის დედაქალაქ ბერლინს მიეცა. ამ თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ - ბარსელონა, ალექსანდრია, ბუდაპეშტი, ბუენოს-აირესი, დუბლინი, კიოლნი, ნიუმბერგი, ფრანკფურტი, რომი და ჰელსინკი. საინტერესო ის არის, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებაც გერმანელებს ერგოთ და იგი გარმიშ-პარტენკირჰენში ჩატარდა.

დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობის მიუხედავად, გერმანიის ხელისუფლება დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მზადებას ოლიმპიური თამაშებისათვის. ჯერ კიდევ 1931 წლიდან, როდესაც გადაწყდა, რომ XI ოლიმპიადა ჩატარდებოდა ბერლინში, დაიწყო 100 000-იანი სტადიონის მშენებლობა. ამ ნაგებობის ავტორს ვერნერ მარხს ოქროს მედალი ერგო ოლიმპიადის ხელოვნების კონკურსში - არქიტექტურის ნომინაციაში.

ბერლინის 1936 წლის XI ოლიმპიურ თამაშებში 49 ქვეყნის 3936 (მათ შორის 328 ქალი) სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. გათამაშდა მედლების 129 კომპლექტი. ყველაზე მრავალრიცხოვანი გერმანიის გუნდი იყო (406 მონაწილე). მიუხედავად იმისა, რომ ბოიკოტით იმუქრებოდნენ, შეჯიბრებაში მაინც მიიღეს მონაწილეობა ამერიკისა და საფრანგეთის ნარმომადგენლებმა. პროტესტის ნიშნად ოლიმპიადა მხოლოდ რესპუბლიკური ესპანეთის დელეგაციამ დატოვა.

პირველად ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა ხელბურთი და ბაიდარებით ნიჩბოსნობა. კვლავ განახლდა შეჯიბრებები ქალთა ტანვარჯიშში. პირველად ოლიმპიადების ისტორიაში გერმანელთა დელეგაციას მედროშედ მიუძღოდა ქალი ანიტა ბერვირტი, რომელმაც ტანვარჯიშში (გუნდურ პირველობაში) ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ბედის ირონიით, "უმაღლესი რასის" ციტადელში, ნამდვილ გმირად მოევლინა ოლიმპიურ თამაშებს ზანგი სპორტსმენი ჯესი ოუენსი, რომელმაც ოთხი ოქროს მედალთან ერთად, ოთხი ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა - 100 და 200 მეტრზე სირბილში, ესტაფეტაში 4X100 მეტრზე და სიგრძეზე ხტომაში. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდში შემავალმა ათმა ზანგმა ათლეტმა საერთო ჯამში 11 მედალი მოიპოვეს, რომელთაგან ექვსი ოქროსი იყო.

საერთო აღფრთოვანება გამოიწვია იაპონელების გამარჯვებამ მარათონულ სირბილსა და სამმაგ ხტომაში. კიტეი სონმა 42 კმ და 195 მეტრიანი ტრასა ახალი ოლიმპიური რეკორდით დაამთავრა, ხოლო ნაოტო ტაძიმამ სამხტომში ოქროს მედალი მსოფლიო რეკორდით მოიგო და პირველმა მიაღწია 16 მეტრიან ზღვარს.

აღსანიშნავია ეგვიპტელი ძალოსნების მოჰამედ მესბას და კადრ ელ თუნის ორი ოქროს მედალი, რომელიც მათ ახალი მსოფლიო რეკორდებით მოიპოვეს.

ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიგეს აშშ-ის მოკრივეებმა. რვა წონითი კატეგორიიდან მხოლოდ არგენტინელმა ოსკარ კაზანოვასმა მოუტანა ოქროს მედალი ამერიკის კონტინენტს. დანარჩენ შვიდ წონაში ჩემპიონები ევროპელები გახდნენ (2 მოიგეს გერმანელებმა, 2 — ფრანგებმა, თითო უნგრელმა, ფინელმა და იტალიელმა).

ფარიკაობის ვაჟთა ტურნირში გათამაშებული 6 სახეობიდან ოთხში იტალიელებმა იმარჯვეს. მოფარიკავეთა ასპარეზობის გმირად იქცა იტალიელი ჯულიო გაუდინი, რომელმაც ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოი-

გო. გაუდინი ასპარეზობდა ამსტერდამის ოლიმპიადებზეც 1928 წელს (სადაც ოქრო და ბრინჯაოს მედალი ბვდა ნილად) და 1932 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე (სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაოს მედალი). აღსანიშნავია, რომ ჯულიო გაუდინი, 1929 წლიდან 1938 წლის ჩათვლით ათჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი რაპირაში, მათ შორის ორჯერ პირადში.

ცხენოსნობაში აშკარა იყო გერმანელების უპირატესობა მათ ექვსივე უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს. ასევე წარმატებული იყო მათთვის შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სადაც მვიდი სახეობიდან ხუთში მოიგეს ოქროს მედალი.

სამი ოქროს მედლის მფლობელი გახდა ფრანგი ველომრბოლელი რობერ შარპანტიე.

თავისებური რეკორდი დაფიქსირდა წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში. ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა ამერიკელმა მერჯორი გესტრინგმა, ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიურმა ჩემპიონმა იგი იმ დროისათვის 13 წლისა და 268 დღის იყო.

ხელოვნების კონკურსში, რომელიც უკვე ტრადიციულად ხუთ ნომინაციაში ტარდებოდა, ყველა უმაღლესი ჯილდო ევროპელებმა დაისაკუთრეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გერმანელების საუცხოოდ მომზადებულმა გუნდმა გაიმარჯვა მათ 89 მედალი ერგოთ (33 ოქრო, 26 ვერცხლი, 30 ბრინჯაო). მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ ამერიკელები 56 მედალი (შესაბამისად 24, 20, 12). მესამეზე იტალიელები გავიდნენ 22 მედალი (შესაბამისად 8, 9, 5).

ჯესი ოუენსი

1948

ლონდონი

29 ივლისი - 14 აგვისტო

XIV ოლიმპიური თამაშები

როგორც აღვნიშნეთ მეორე მსოფლიო ომის გამო არ ჩატარდა XII და XIII ოლიმპიური თამაშები 1940 და 1944 წლებში. ლონდონი, ანტვერპენის შემდეგ, მეორე ქალაქი იყო, რომელსაც მოუხდა ომის შემდგომ პერიოდში ემასპინძლა ასეთი მასშტაბური ღონისძიებისათვის.

4092 (მათ შორის 385 ქალი) სპორტსმენი გამოგზავნა მსოფლიოს 59 ქვეყანამ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე, რათა კიდევ ერთხელ დაედასტურებინა თავისი ერთგულება ოლიმპიური იდეალებისადმი.

1947 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტოკჰოლმის სხდომაზე წამოყენებულ იქნა წინადადება საბჭოთა კავშირის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის სოკ-ში გაწევრიანების შესახებ, მაგრამ ვინაიდან სსრ კავშირის მრავალი სპორტული ფედერაცია არ იყო გაწევრიანებული საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში, სსრკ-ს ეოკ-მა ვერ მოახერხა სოკ-ის ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილება და საკითხი გადაიდო მომავალი ოლიმპიადისათვის.

მცდელობა, მონაწილეობა მიეღო ლონდონის ოლიმპიური თამაშებში, ისრაელსაც ჰქონდა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან ბოიკოტის შიშით სოკ-მა არც ისინი დაუშვა თამაშებზე.

ლონდონის ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყო სპორტის 19 სახეობა, რომელშიც მედლების 136 კომპლექტი გათამაშდა.

თამაშების პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი ქალთა ბაიდარებით ნიჩბოსნობა. გაზრდილ იქნა მძლეოსნური პროგრამა ქალებისათვის.

ყველაზე შთამბეჭდავ გამარჯვებას ლონდონის ოლიმპიადაზე მიაღწია ჰოლანდიელმა მძლეოსანმა ქალმა ფრანსინა ბლანკერს-კუნმა, რომელმაც ოთხი ოქროს მედალი მოიგო. იგი პირველი იყო 100 მ, 200 მ, 80 მ თარჯრბენში და ესტაფეტაში 4X100 მეტრზე.

ბლანკერს-კუნი 1936 წელს მონაწილეობდა ბერლინის ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღნია. თორმეტი წლის შემდეგ კი ,უკვე ორი შვილის დედა, ყველამ ერთხმად აღიარა ლონდონის 1948 წლის ოლიმპიური თამაშების გმირად.

კვლავ წარმატებით იასპარეზეს აშშ-ს მძლეოსნებმა, რომლებმაც 24-დან 11 უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს. აღსანიშნავია შვედეთის მძლეოსნები, მათ ექვს სახეში მოიგეს ოქროს მედალი.

ლონდონში სხვა ოლიმპიადებისაგან განსხვავებით, წარმატებით იასპარეზეს აშშ ძალოსნებმა. მათ ექვსი წონითი კატეგორიიდან ოთხში გამარჯვება იზეიმეს. როგორც ბერლინის ოლიმპიადაზე, ამჟამადაც ორი ოქრო მოუტანეს თავის ქვეყანას ეგვიპტელმა ძალოსნებმა.

ლონდონში შედგა უნგრელი მოკრივის ლასლო პაპის დებიუტი, რომელმაც თავის ხანგრძლივ სპორტულ კარიერაში უნიკალურ შედეგებს მიაღწია: მან კიდევ ორჯერ (1952 და 1956) მოიპოვა ოქროს მედალი. შემდეგ იგი პროფესიონალებში გადავიდა და თავისი უკანასკნელი ოქროს მედალი, როგორც ევროპის ჩემპიონმა პროფესიონალებს შორის 1966 წელს 40 წლის ასაკში მოიგო.

უნიკალურია უნგრელი მოფარიკავე ქალის ილონა ელეკის შედეგიც. მან ჯერ კიდევ 1936 წელს მოიპოვა ოქროს მედალი და მსოფლიოში პირველი ქალი გახდა, ვინც 12 წლის შემდეგ შეძლო გაემეორებინა თავისი შედეგი.

ასევე უნიკალურია უნგრელი მსროლელის კაროი ტაკაჩის სპორტული ბიოგრაფია. უკვე საქვეყნოდ აღიარებულმა მსროლელმა (1936 წლის მსოფლიო ჩემპიონი) უბედური შემთხვევის გამო დაკარგა მარჯვენა ხელი. მიუხედავად ამისა, მან სპორტს თავი არ დაანება და დაიწყო ვარჯიში მარცხენა ხელით. სამი წლის შემდეგ 1939 წელს მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. 1948 წელს კი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო ოქროს მედალი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა პისტოლეტიდან 25 მეტრზე სროლაში.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე თავიანთ ავტორიტეტს საკმაოდ მყარი საფუძველი ჩაუყარეს თურქმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს.

კვლავ ოქროს მედლის გარეშე დარჩნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეები ერთადერთი, რაც მათ შეძლეს, ვერცხლის მედალის მოპოვება იყო.

გაიბრწყინეს შვეციის კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა რვა წონითი კატეგორიიდან მათ ანგარიშზე ხუთი ოქროს მედალია.

მამაკაცთა ტურნირზე ტანვარჯიშში მაყურებლები აღაფრთოვანეს ფინელმა და შვეიცარელმა სპორტსმენებმა. რვა სახეობიდან მათ შვიდში იმარჯვეს (4 ოქრო ფინელებმა მოიგეს, 3 შვეიცარიელებმა).

ტოლი არ ჰყავდათ აშშ-ს მამაკაცებს ცურვაში და წყალში ხტომაში, ყველა ოქროს მედალი მათი ნადავლი გახდა.

კაროი ტაკაჩი

ხელოვნების კონკურსში ისევე, როგორც ნინა ოლიმპიადაზე პირველები კვლავ ევროპელები იყვნენ.

1948 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშები საიუბილეო იყო დანიელი მოკრივის ივან ოზიესა და ნორვეგიელ აფროსნის მაგნუს კონოუსათვის: ისინი 40 წლის მანძილზე 1908 წლიდან მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები - 84 მედალი (38 ოქრო, 27 ვერცხლი, 19 ბრინჯაო). მეორეზე, შვედი ათლეტები 44 მედალი (შესაბამისად 16, 11,17). მესამე ადგილი წილად ხვდათ ფრანგებს 29 მედალი (შესაბამისად 10, 6, 13).

1952

ჰელსინკი

19 ივლისი - 3 აგვისტო

XV ოლიმპიური თამაშები

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე სახელოვანმა სპორტსმენმა, ლეგენდარულმა პაავო ნურმიმ ჰელსინკის ცენტრალურ სტადიონზე ცეცხლის ანთებით მსოფლიოს მორიგი XV ოლიმპიური თამაშების დაწყება აუწყა.

69 ქვეყნის 5429 (მათ შორის 518 ქალი) სპორტსმენმა მოიყარა თავი ჰელსინკის ოლიმპიადაზე, რათა სპორტის 17 სახეობის 149 დისციპლინაში შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ოლიმპიური თამაშების ჩატარება ჰელსინკში ჯერ კიდევ 1940 წლისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო, იგი ჩაიშალა.

მონაწილეთა რაოდენობით ეს თამაშები წინა ოლიმპიადებთან შედარებით სარეკორდო იყო.

პირველად თამაშებში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დანარჩენმა ქვეყნებმა.

1952 წელს დაიწყო ორი პოლიტიკური სისტემის დაპირისპირება. უმწვავესი ხასიათი მიიღო შეჯიბრებებმა სსრ კავშირისა და აშშ-ს შორის. დაიწყო ოლიმპიური მედლებისათვის და რეკორდებისათვის გააფრთებული ბრძოლა, დაპირისპირება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს, კაპიტალისტურსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის. რა თქმა უნდა ასეთი ატმოსფეროს შექმნაში მონაწილეობდნენ არა სპორტსმენები, არამედ აშშ-ს და სსრკ-ს პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელი და საბჭოთა სპორტსმენების მეტოქეობამ საბოლოო ჯამში საგრძნობლად აამაღლა ოლიმპიური თამაშების სპორტული შედეგები, გაზარდა ინტერესი თამაშებისადმი.

ჰელსინკის თამაშებზე დამყარებულ იქნა 66 ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 18 მსოფლიო რეკორდი იყო. აღსანიშნავია, ამერიკელი ერნესტ ბორის ჩეინის გამარჯვება აფროსნობაში (კლასი 5,5), რომელიც უკვე ქიმიის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი იყო. მან ა. ფლემინგთან და ჰ. ფლორისთან ერთად დაიმსახურა ეს ჯილდო პენიცილინის აღმოჩენისათვის.

ძველ ბერძნებს წესად ჰქონდათ, რომ ცალკეული ოლიმპიური თამაშებისათვის ეწოდებინათ სირბილში გამარჯვებული ათლეტის სახელი. თუ ჩვენ ამ ტრადიციას გავითვალისწინებდით, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებს ეწოდოს ემილ ზატოპეკის ოლიმპიადა. ჩეხოსლოვაკიელმა თავის ქვეყანას სამი ოქროს მედალი მოუპოვა 5 და 10 კმ რბენასა და მარათონში. აღსანიშნავია, რომ ემილ ზეტოპეკის მეუღლემ — დანამ ამავე თამაშებზე ოქროს მედალი მოიგო შუბის ტყორცნაში.

ტანვარჯიშში ძლიერად იასპარეზეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა, ვიქტორ ჩუკარინმა 4 ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

სენსაცია მოახდინეს უნგრელმა მოცურავეებმა, მათ 4 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიგეს.

წყალში ხტომაში ყველა ოქროს მედალი ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის ნადავლი გახდა.

ძალოსნობაში ბრძოლა მხოლოდ სსრ კავშირისა და აშშ-ს სპორტსმენებს შორის მიმდინარეობდა. შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში ამერიკელებმა იმარჯვეს, სამში კი საბჭოელებმა. ათი წონითი კატეგორიიდან კრივში ხუთი ოქროს მედალი მოიგეს აშშ-ს გუნდის წევრებმა.

თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა სპორტსმენებს ორი ოქროს მედალი ერგოთ, საშუალო წონაში გაიმარჯვა დავით ციმაკურიძემ, ხოლო მძიმე წონაში არსენ მეკოკიშვილმა. კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირს ოთხი ოქროს მედალი ერგო.

ემილ ზატოპეკი

ცხენოსნობაში, პროგრამის ექვსი სახეობიდან ოთხში იმარჯვეს შვეციის წარმომადგენლებმა.

ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს ფინელმა ნიჩბოსნებმა ბაიდარასა და კანოეში.

მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა მძლეოსანმა — ათჭიდელმა რობერტ მატიასმა. 1948 წელს ლონდონში მან გაიმარჯვა 7139 ქულით, ჰელსინკში კი 7887 ქულით ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი დაამყარა და მეორე ადგილზე გასულ თავის თანამემამულეს მილტონ კემპბელს 912 ქულით გაუსწრო.

კვლავ განაცვიფრა მსოფლიო უნგრელმა მსროლელმა კაროი ტაკაჩმა. ამ ცალხელა სპორტსმენმა ზედიზედ მეორე ოლიმპიადა მოიგო პისტოლეტით 25 მ. სროლაში.

ამერიკელებმა საერთო ჯამში 76 მედალი მოიგეს (40 ოქრო, 19 ვერცხლი და 17 ბრინჯაო), საბჭოთა კავშირს 71 მედალი ერგო (22 ოქრო, 30 ვერცხლი, 19 ბრინჯაო), უნგრეთის გუნდი - 42 მედლით მესამე ადგილზე გავიდა (16 ოქრო, 10 ვერცხლი, 16 ბრინჯაო).

1956

მელბურნი

22 ნოემბერი - 8 დეკემბერი

XVI ოლიმპიური თამაშები

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს 67 ქვეყანამ 3178 (მათ შორის 371 ქალი) სპორტსმენი მიავლინა. 17 სპორტის სახეობაში გათამაშდა მედლების 145 კომპლექტი.

ჯერ კიდევ 1949 წელს სოკ-ის სესიაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, XVI ოლიმპიური თამაშების მელბურნში ჩატარების შესახებ, ბევრი უკმაყოფილება გამოიწვია. პირველ რიგში ეს იყო მანძილი, რომელიც უდიდეს ხარჯებთან იყო დაკავშირებული. პრობლემები იყო სპორტულ ბაზებთან დაკავშირებითაც, ბევრი მათგანი არ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს. ავსტრალიაში აკრძალული იყო ნებისმიერი ცხოველის შეყვანა ექვს თვიანი კარანტინის გავლის გარეშე, რის გამოც ასევე პრობლემა შეიქმნა ცხენოსნობაში შეჯიბრების ჩატარებაზე და მათ შვეიცის დედაქალაქ სტოკჰოლმმა უმასპინძლა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ პერიოდისათვის მსოფლიოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებასაც, რომელიც უნგრეთისა და სუეცის არხის ცნობილ მოვლენებთან იყო დაკავშირებული. რიგი ქვეყნებისა ბოიკოტით იმუქრებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ სოკ-მა აღიარა ტაილანდის ჩინეთი, რის გამოც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უარი განაცხადა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. საერთაშორისო სპორტული პრესა უკვე მზად იყო გამოეცხადებინა ოლიმპიადის სიკვდილის შესახებ, მაგრამ ყველაფერი შედარებით მშვიდობიანად დამთავრდა, თუ არ ჩავთვლით ეგვიპტელების, ნიდერლანდების, ესპანელებისა და შვეიცარიელების უარს თამაშებში მონაწილეობაზე.

მიუხედავად საერთო დაძაბული ფონისა, ოლიმპიური თამაშები ჩატარდა და საკმაოდ წარმატებულადაც. პირველად მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე გაერთიანებული გუნდით იასპარეზეს გერმანიის დემოკრატიული და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებმა.

მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები ისტორიაში შევიდა, როგორც რეკორდების ოლიმპიადა. თამაშების მიმდინარეობის პროცესში დამყარებულ იქნა 77 ოლიმპიური რეკორდი, მათგან 24 მსოფლიო რეკორდი იყო.

მძლეოსნობაში 33 გათამაშებული ოქროდან 16 აშშ-ს ათლეტებმა მოიპოვეს, მაგრამ მძლეოსნური ტურნირის გმირად რუსი ვლადიმერ კუცი აღიარეს. პაავო ნურმისა და ემილ ზატოპეკის მემკვიდრემ, როგორც მას უწოდებდნენ — ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა 5 და 10 კმ-ზე სირბილში და ორივე სახეში გააუმჯობესა ოლიმპიური რეკორდები.

ძალოსნობაში ოთხი ოქროს მედალი ამერიკელებმა მოიგეს, სამი — სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. ამ ტურნირზე 11 ოლიმპიური რეკორდი დაამყარდა, რომელთაგანაც 5 მსოფლიო რეკორდი იყო.

თორმეტი ოლიმპიური რეკორდი, მათ შორის ხუთი მსოფლიოს, მოცურავეებმა დაამყარეს, სადაც დომინირებდნენ ავსტრალიელები. მათ რვა ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად.

კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვიქტორ ჩუკარინმა, რომელმაც წინა ოლიმპიადის ოთხ ოქროს და ორ ბრინჯაოს მედალს, აქ 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი დაუმატა. საერთოდ მელბურნის ოლიმპიადაზე საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა 15-დან 11 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრები გახდა. თავისუფალ ჭიდაობაში ერთადერთი ოქროს მედალი საბჭოთა კავშირს მირიან

ცალქალამანიძემ მოუტანა. სამაგიეროდ უფრო შთამბეჭდავი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოსვლა კლასიკურ ჭიდაობაში. მათ რვა წონითი კატეგორიიდან ხუთში იმარჯვეს. გამარჯვებულთა შორის იყო გივი კარტოზია.

სამი ოქროს მედალი მოიგო მძლეოსნობაში ავსტრალიელმა ელიზაბეტ კატბერტმა (100 მ, 200 მ და ესტაფეტა 4X100 მ).

XVI ოლიმპიური თამაშების შემდეგ 56 უნგრელმა სპორტსმენმა უარი განაცხადა სამშობლოში დაბრუნებაზე და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებს დაუკავშირა თავისი მომავალი.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებელ გამარვებას მიაღწიეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენდებმა, მათ 98 მედალი მოიპოვეს (37 ოქრო, 29ვერცხლი, 32 ბრინჯაო). აშშ-ს სპორტსმენების ანგარიშზეა 74 მედალი (შესაბამისად 32,25,17).მესამე ადგილზე გავიდნენ ავსტრალიელები 35 მედალი (შესაბამისად 13,8,14).

ვიქტორ ჩუკარინი

1960

რომი

25 აგვისტო - 11 სექტემბერი

XVII ოლიმპიური თამაშები

რომის ოლიმპიური თამაშები ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესოდ ორგანიზებული, რეკორდებისა და მრავალრიცხოვანი სენსაციების ოლიმპიადა.

რომის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას იღებდა 83 ქვეყნის 5313 (მათ შორის 610 ქალი) სპორტსმენი, სპორტის18 სახეობაში გათამაშდა მედლების 150 კომპლექტი.

ოლიმპიადაზე დამყარებულ იქნა 76 ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 30 მსოფლიოს რეკორდს აღემატებოდა.



ვილმა რუდოლფი

ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნური პრესტიჟი იხსნა ვილმა რუდოლფმა, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ამერიკელებმა დათმეს პოზიციები სპრინტერულ სახეებში. 100 მეტრზე ვაუებში გერმანელმა არმინ ჰარიმ, ხოლო 200 მეტრზე იტალიელმა ლუიჯი ბერუტიმ იმარჯვა. სენსაციად მონათლეს ესტაფეტაში 4X100 მეტრზე გერმანელთა გამარჯვება, რომლის ბოლო ეტაპზე ა.ჰარი გარბოდა. ფანტასტიკური გამარჯვება მოიპოვა მარათონში ეთიოპიელმა აბებე ბიკილამ, რომელმაც მთელი დისტანცია ფეხშიშველმა ირბინა.

სენსაციური გამარჯვება მოიპოვა რობერტ შავლაყაძემ სიმაღლეზე ხტომაში, მან დაძაბულ ბრძოლაში მსოფლიო რეკორდსმენს ამერიკელ ჯონ ტომასს და ევროპის რეკორდსმენს რუს ვალერი ბრუმელს აჯობა.

კრივში ოქროს მედალი ამერიკელმა მძიმე წონოსანმა კასიუს მარცელიუს კლეიმ, შემდეგში მოჰამედ ალის სახელით ცნობილმა უდიდესმა პროფესიონალმა მოიგო. მან თავისი ჯილდო ვიეტნამის ომის პროტესტის ნიშნად მდინარეში მოისროლა. 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, მუჰამედ ალის დაუბრუნა ჩემპიონის ოქროს მედალი.

შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით დამთავრდა. მრავალჭიდში კვარცხლბეკი მთლიანად საბჭოთა ქალებმა დაიკავეს. ჩემპიონი, როგორც ოთხი წლის უკან კვლავ ლარისა ლატინინა გახდა. ქალებმა გუნდურ შეჯიბრებაშიც იმარჯვეს და ოთხი სახეობიდან სამი ოქროც მოიგეს.

მამაკაცთა შორის მძაფრი ბრძოლა გაიმართა იაპონელ და საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს შორის. მრავალჭიდში იმარჯვა კიეველმა ბორის შახლინმა, რო-

მელმაც ცალკეულ იარაღებზე (ორძელზე და ტაიჭზე) კიდევ ორი ოქროს მედალი მოიპოვა, თუმცა გუნდური პირველობა და სამი ოქროს მედალი იაპონელებს ერგოთ.

აბებე ბიკილა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალში მხტომელმა ინგრიდ კრემერმა ორივე ოქროს მედალი მოიგო და დაარღვია ამერიკელთა ჰეგემონია, რომლებიც 1924 წლის ოლიმპიური თამაშებიდან სისტემატურად იმარჯვებდნენ.

რომის ოლიმპიადა მეხუთე იყო სახელმოხვეჭილი იტალიელი მოფარიკავე ე. მანჯეროტისათვის. მან აქაც მოიგო ოქროს მედალი გუნდურ შეჯიბრებაში, რომელიც მისთვის მეექვსე ოლიმპიური ოქრო იყო. ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე 13 ოლიმპიური (6 ოქრო, 5 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) და 20 მსოფლიო (13 ოქრო, 5 ვერცხლი და 2 ბრინჯაო) -ჩემპიონატების მედალი მოიპოვა.

უნიკალურ შედეგს მიაღწია დანიელმა აფროსანმა პაულიუ ელვესტრემმა, რომელმაც 1960 წელს რომში მეოთხე ოლიმპიადა მოიგო (ჩემპიონი იყო 1948, 1952 და 1956 წლებში). ელვესტრმა რვა ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა (1948-1960, 1968, 1972, 1984 და 1988 წლებში). ეს შედეგი კიდევ ორმა სპორტსმენმა გაიმეორა: იტალიელმა ცხენოსანმა რაიმონდო დინცეომ და აფროსანმა დავარდ ნოულსმა დიდი ბრიტანეთიდან.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა და მეორე ადგილზე გასულ აშშ-ს დელეგაციას დამაჯერებლად მოუგო. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა - 103 მედალი მოიპოვეს (43 ოქრო, 29 ვერცხლი და 31 ბრინჯაო). ამერიკელებს 71 მედალი ხვდათ წილად (34 ოქრო, 21 ვერცხლი და 16 ბრინჯაო), მესამე ადგილზე გერმანიის გაერთიანებული გუნდი გავიდა - 42 მედალი (12 ოქრო, 19 ვერცხლი და 11 ბრინჯაო).

1964

ტოკიო

10 - 24 ოქტომბერი



XVIII ოლიმპიური თამაშები

ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებში 93 ქვეყნის 5133 (მათ შორის 683 ქალი) სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. სპორტის 19 სახეობაში გათამაშდა მედლების 163 კომპლექტი. თამაშებზე დამყარებულ იქნა 81 ოლიმპიური და 32 მსოფლიო რეკორდი. პირველად, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღეს მოსღოლმა სპორტსმენებმა.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ უფრო გაიზარდა პროგრამა მძლეოსნობასა და ცურვაში. პირველად იქნა ჩაროული ფრენბურთი და ძიუდო. საგრძნობლად გაიზარდა კონკურენცია. ბევრმა ქვეყანამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ფავორიტებს და მედლების საკმაო რაოდენობა ნაიღო თავის სამშობლოში. საკმარისია იმის აღნიშვნა. რომ ოლიმპიური ოქროს მედლები 26 ქვეყანამ გაინაწილა, ხოლო სხვადასხვა სინჯის მედლები 41 ქვეყანის წარმომადგენელს ხვდა წილად.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ამერიკელმა მძლეოსნებმა და ბოცურაველებმა: მათ 21 ოქრო მოიგეს ამ სახეობებში გათამაშებული 50 მედლიდან. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია დონ შოლანდერმა, რომელმაც ცურვის ოთხ დისტანციაში იმარჯვა.

კვლავ განაცვიფრა მსოფლიო ეთიოპიელმა მარათონელმა აბებე ბიკილამ, რომელმაც ისევე, როგორც რომში, დიდი უპირატესობით მოიგო ეს სტაიერული დისტანცია. ბიკილა პირველი მარათონელია, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ტრაგიკული გამოდგა ბიკილას ბედი. ტოკიოს თამაშების მემდეგ იგი ავტოკატასტროფაში მოყვა და სამუდამოდ მიეჯაჭვა ინვალიდის ეტლს. თუმცა მას ფარხმალი არ დაუყრია და 1971 წელს კვლავ გამოჩნდა სპორტულ არენაზე.იგი ინვალიდების მსოფლიო თამაშებზე ასპარეზობდა მშვილდოსნობაში.

ოლიმპიური თამაშების ცხრა გზის ჩემპიონი ლარისა ლატინინა

1956 და 1960 წლებში მოპოვებულ სამ ოქროს მედალს, 1964 წელს ტოკიოში ერთი ოქრო დაამატა სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა მოცურავე ქალმა დონ ფრეზერმა. ქალთაგან იგი პირველია, რომელმაც 100 მეტრი თავისუფალი სტილით წუთზე სწრაფად გაცურა.

ტოკიოს თამაშები მესამე ოლიმპიადა გამოდგა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ლარისა ლატინინასა და ბორის შახლინისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჭიდში მათ მეორე ადგილები დაიკავეს, მაინც შეძლეს თითო ოქროს მოპოვება — ლატინინამ თავისუფალ ვარჯიშში, შახლინმა ღერძზე. ლატინინასათვის ეს მეცხრე ოქროს მედალი იყო. საერთოდ ლარისა ლატინინამ თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე სამ ოლიმპიურ თამაშებზე (მელბურნი, რომი, ტოკიო) 18 მედალი მოიპოვა (9 ოქრო, 5 ვერცხლი და 4 ბრინჯაო) - ეს შედეგი ჯერჯერობით აბსოლუტური რეკორდია ოლიმპიადების ისტორიაში. გარდა ამისა ლ. ლატინინა შვიდჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი. მესამე ოქროს მედალი მოიპოვა ნიჩბოსანმა ვიაჩესლავ ივანოვმა.

სსრ კავშირის გუნდმა 96 მედალი მოიპოვა (30 ოქრო, 31 ვერცხდი, 35 ბრინჯაო), აშშ-ს ნაკრებმა —90 მედალი (36 ოქრო, 26ვერცხლი და 28 ბრინჯაო), გერმანელებს წილად ხვდათ 50 მედალი (10 ოქრო, 22 ვერცხლი და 18 ბრინჯაო).

დონ შოლანდერი

1968

მეხიკო

12 - 27 ოქტომბერი



XIX ოლიმპიური თამაშები

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მასპინძლობის უფლება ლათინური ამერიკის ქვეყანას მიეცა. მეხიკოში მსოფლიოს 112 ქვეყნის 5498 (მათ შორის 780 ქალი) სპორტსმენი იქნა მივლენილი. სპორტის 19 სახეობაში გათამაშდა მედლების 172 კომპლექტი

ოლიმპიურ თამაშებში პირველად იასპარეზეს ბარბადოსის, ბრიტანეთის გონდურასის, ლიბიის, ნიკარაგუას, პარაგვაის, სალვადორის, სურინამის და სიერალეონეს სპორტსმენებმა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 1965 წლის მადრიდის სესიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მეხიკოს მე-19 ოლიმპიურ თამაშებში ცალ-ცალკე გუნდებით გამოვიდნენ გფრ-ისა და გდრ-ის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმ შიშისა, რომელსაც გამოთქვამდა მეცნიერთა დიდი ჯგუფი, მთის პირობებში (2400 მ ზღვის დონიდან) ასპარეზობასთან დაკავშირებით, მეხიკოში დამყარებულ იქნა 76 ოლიმპიური რეკორდი, რომელთა შორის 28 აღემატებოდა მსოფლიო რეკორდს.

პირველად ისტორიაში ოლიმპიური ცეცხლის დანთების პატივი ქალს - ნორმა ენრიკეტა ბასილიოს ხვდა წილად.

ყველაზე შთამბეჭდავი გამოდგა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც შემავალი 36 სახეობიდან 30-ში დამყარდა ოლიმპიური რეკორდი, მათ შორის 14 მსოფლიოსი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამერიკელი სიგრძეზე მხტომელის ბობი ბიმონის მსოფლიო რეკორდი 8,90 მეტრი. ნაკლებად ცნობილმა ზანგმა სპორტსმენმა მთელი 55 სმ-ით გააუმჯობესა არსებული მსოფლიო რეკორდი. მისმა თანამემამულემ ფოსბიურიმ თავისი ორიგინალური სტილით საფუძველი დაუდო სიმაღლეზე ხტომის ახალი სკოლის დაფუძნებას. ფურორი მოახდინა ჩეხოსლოვაკიელმა ტანმოვარჯიშე ქალმა ვერა ჩასლავსკამ, რომელმაც ოთხი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა.



ენრიკეტა ბასილიო

ზედიზედ მეოთხეჯერ გაიმარჯვა ამერიკელმა ბადროს მტყორცნელმა ალფრედ ორტერმა.

ველოტრეკზე ბრწყინვალედ იასპარეზეს ფრანგებმა დ. მორელონმა და პ.ტრანტენმა. მათ ორორი ოქროს მედალი მოიგეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა -107 მედალი (45ოქრო,28 ვერცხლი, 34 ბრინჯაო) მოიგო. მეორეზე გავიდა სსრკ ნაკრები ~ 91 მედალი (29ოქრო, 32

ვერცხლი, 30 ბრინჯაო). მეკამე ადგილი წილად ხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს. ანგარიშხეა 25 მედალი (9ოქრო,9 ვერცხლი, 7 ბრინჯაო).



ვერა ჩასლავსკა

ბობი ბიმონი

1972

მიუნხენი

26 აგვისტო - 11 სექტემბერი

XX ოლიმპიური თამაშები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 64-ე სესიის გადაწყვეტილებით (რომი, 26 აპრილი, 1966 წ.) თორმეტი წლის შემდეგ, სოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს კვლავ ევროპამ უმასპინძლა.

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოს 121 ქვეყნის 7121 (მათ შორის 1058 ქალი) სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. სპორტის 21 სახეობაში გათამაშდა მედლების 195 კომპლექტი.

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე გაუმჯობესებულ იქნა 94 ოლიმპიური რეკორდი, მათ შორის ~ 46 მსოფლიო.

პირველად ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღეს ალბანეთის, ზემო ვოლტის, გაბონის, დაგომეის და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა.

მიუნხენის ოლიმპიური თამაშების გმირად იქცა უკრაინელი ვალერი ბორზოვი, რომელმაც 100 და 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა.

ფინელი მორბენლების სახელოვანი ტრადიცია გააგრძელა ლ. ვირენმა. მან ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდებით მოიგო 5 და 10 კმ რბენა.

სენსაციად იქცა კუბელი მოკრივეების გამოსვლა, რომლებმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვეს.

თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში 9 ოქროს მედალი მოიგეს ᲪᲮსსრ კავშირის წარმომადგენლებმა. პირველი ოქროს მედალი ძიუდოში საბჭოთა გუნდს მოუტანა მოთა ჩოჩიშვილმა.

აღსანიშნავია ამერიკელი მოცურავის მარკ სპიტცის უნიკალური შედეგი.ის ერთადერთი სპორტსმენია მსოფლიოში, რომელმაც ერთ ოლიმპიურ თამაშებზე შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა, ამასთან ყველა მისი სტარტი ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდით დამთავრდა. მარკ სპიტცს ორი ოქროს მედალი უკვე მოპოვებული ჰქონდა 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში წყალბურთში გამარჯვება სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა.

ქალთა ტანვარჯიშში იმარჯვეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა. ოლგა კორბუტმა ორი ოქროს მედალი მოიპოვა (ძელზე და თავისუფალ ვარჯიშში). სსრ კავშირისა და იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაჟების დაპირისპირებაში აშკარა იყო იაპონელების უპირატესობა. მათ გაიმარჯვეს გუნდურ პირველობაზე და მრავალჭიდში დაიკავეს პირველი სამი ადგილი.

ბაიდარებსა და კანოეში პროგრამის შვიდი ნომრიდან ექვსში იმარჯვეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა. თავისებური სენსაცია მოახდინეს სსრ კავშირის კალათბურთელმა ვაჟებმა, რომლებმაც ფინალში ოლიმპიური თამაშების უცვლელი ჩემპიონი აშშ-ს გუნდი დაამარცხეს. გამარჯვებულთა ღირსებას სხვებთან ერთად ქართველი კალათბურთელები ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია იცავდნენ.

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ასპარეზობის მე-11 დღეს ტერორისტული ორგანიზაციის "შავი სექტემბრის" წევრებმა მძევლად აიყვანეს ისრაელის დელეგაციის წარმომადგენლები. კონფლიქტის დარეგულირების უხეირო მცდელობას თერთმეტი სპორტსმენის სიცოცხლე შეეწირა. ოლიმპიური თამაშები ცოტა ხნით შეჩერდა.

მეორე დღეს, 6 სექტემბერს დილის 10 საათზე ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნები კვლავ შეივსო. აქ შეკრებილ ხალხს გერმანიის პრეზიდენტმა გუს-

ტავ ჰეინემანმა და სოკ-ის პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა მიმართეს. მათ დაგმეს ტერორისტული აქტი და მოუნოდეს სიმშვიდისაკენ. ამასთან აღუთქვეს, რომ ოლიმპიზმის იდეებს ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს და რომ ოლიმპიადა არ გახდება პოლიტიკური აქციების, ან ტერორისტული, დანაშაულებრივი ქმედებების ასპარეზი.

ოლიმპიური თამაშების ცხრაგზის ჩემპიონი მარკ სპიტცი

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს სსრ კავშირის ნარმომადგენლებმა, რომლებმაც 99 მედალი მოიგეს (50ოქრო, 27ვერცხლი, 22 ბრინჯაო). ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს 91 მედალი ერგო(30 ოქრო, 31 ვერცხლი, 30 ბრინჯაო). 66 მედლით მესამე ადგილზე აღმოჩნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები (20ოქრო, 23ვერცხლი, 23ბრინჯაო).

1976

მონრეალი

17 ივლისი - 1 აგვისტო



XXI ოლიმპიური თამაშები

სოკ-ის 69-ე სესიაზე ხმების უმრავლესობით XXI ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება კანადის დედაქალაქ მონრეალს მიენიჭა.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 92 ქვეყნის 6043 (მათ შორის 1247 ქალი) სპორტსმენმა. სპორტის 21 სახეობაში გათამაშდა მედლების 198 კომპლექტი. პროგრამაში შეტანილი იქნა ხელბურთი და კალათბურთი ქალებისათვის.

მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებულ იქნა 88 ოლიმპიური, მათ შორის 36 მსოფლიო რეკორდი.

კვლავ ორი ოქროს მედალი მოიგო ფინელმა ლ. ვირენმა, რომელმაც როგორც მიუნხენში, 5 და 10 კმ-ზე იმარჯვა. ასევე ორი ოქროს მედალი ხვდა წილად კუბელ ა. ხუანტორენას (400 მ და 800მ რბენა). 800 მეტრზე მისი შედეგი კი მსოფლიოს რეკორდი იყო.

შესანიშნავად გამოვიდნენ მძლეოსნობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალები, რომლებმაც 14-დან 11 ოქროს მედალი მოიგეს.

კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში 20-დან 12 ოქროს მედალი სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

მონრეალში ოლიმპიური ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა. ჩემპიონები გახდნენ სსრ კავშირის ხელბურთელი ვაჟებიც, რომლის შემადგენლობაში თბილისელი ალექსანდრე ანპილოგოვიც იყო.

უხმოსავლიანი გამოდგა გერმანელი კორნელია ენდერის გამოსვლა, რომელმაც საცურაო ბილიკზე 4 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ტრიუმფით დამთავრდა საბჭოთა ათლეტებისათვის შეჯიბრება ძალოსნობაში. პირველად მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე თამაშდებოდა მედლები ორჭიდში (სწორედ აქ იქნა ამოღებული მესამე მოძრაობა აჭიმვა). მძიმე წონაში კვლავ უძლიერესი იყო საბჭოთა ძალოსანი ვასილი ალექსეევი, რომელმაც აკვრაში 255 კგ უჩვენა და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. მონრეალის ოლიმპიადაზე კიდევ ექვსმა საბჭოთა ათლეტმა დაიმშვენა მკერდი ჩემპიონის ოქროს მედლით.

კორნელია ენდერი

გუნდურ ჩავთლაში პირველი ადგილი სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა. მათ მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა - 125 დააგროვეს (49 ოქრო, 41 ვერცხლი და 35 ბრინჯაო). მეორე ადგილზე გასულ აშშ-ს ნაკრებს 94 მედალი ერგო(34 ოქრო, 35 ვერცხლი და 25 ბრინჯაო). მესამე ადგილზე 90 მედლით გდრ-ის გუნდი გავიდა - (40 ოქრო, 25 ვერცხლი, 25 ბრინჯაო).

ზედიზედ მესამე ოქროს მედალი მოიგო ვიქტორ სანეევმა



ვასილი ალექსეევი

1980

მოსკოვი

19 ივლისი -3 აგვისტო



XXII ოლიმპიური თამაშები

1974 წლის 23 ოქტომბერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვენის 75-ე სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი მოსკოვი იქნებოდა.

მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს 80 ქვეყნის 5283 (მათ შორის 1124 ქალი) სპორტსმენი მონაწილეობდა.სპორტის 21 სახეობაში მედლების 203 კომპლექტი გათამაშდა. იყო დიდი საშიშროება, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშები ჩაშლილიყო. საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრასთან დაკავშირებით,თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადეს აშშ-ს, ჩინეთის, იაპონიის, გფრ-ის და კიდევ 30 ქვეყნის ნაციონალურმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა. ამის გამო მონაწილე ქვეყნების რაოდენობით მოსკოვის ოლიმპიური თამაშები ჩამორჩებოდა მონრეალისა და მიუნხენის ოლიმპიადებს. თუმცა სპორტული თვალსაზრისით მოსკოვის ოლიმპიადა არაფრით ჩამოუვარდებოდა წინა თამაშებს. 74 ოლიმპიური და 36 მსოფლიო რეკორდი, ამის ნათელი დადასტურებაა.

კვლავ დამაჯერებლად გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები, რომლებმაც თავისუფალ სტილში 6 და კლასიკურში - 5 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ცნობილი უნგრელი მოკრივის ლასლო პაპის შედეგი გაიმეორა კუბელებმა თეოფილო სტივენსენმა, რომელმაც მოსკოვში მესამე ოლიმპიადა მოიგო. კუბელ მოკრივეებს XXII ოლიმპიადაზე ექვსი ოქროს მედალი ერგოთ

საფარიკაო ბილიკებზე ბრწყინავდნენ ფრანგი მუშკეტერები ოთხი ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი ასეთი იყო მათი ნადავლი.

ქეთევან ლოსაბერიძე

რბენა 5 და 10 კმ-ზე მოიგო ეთიოპიელმა მირუს იფტერმა. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში ნინა ორი ოლიმპიადის ოთხი ოქროს მედლის მფლობელი ფინელი მორბენალი ლასე ვირენი გამოდიოდა, რომელმაც მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა 10 კმ-ზე სირბილში, ხოლო მარათონში, საერთოდ გამოვიდა დისტანციიდან. მოულოდნელად დამთავრდა ქალთა ასპარეზობა სიმაღლეზე ხტომაში. ახალი ოლიმპიური რეკორდით ჩემპიონობა სრულიად უცხობმა იტალიელმა სარა სიმეონემ მოიპოვა.

ტანვარჯიშში რვა მედლის მფლობელი გახდა საბჭოთა ნაკრების წევრი ალექსანდრე დიტიატინი, რომელმაც 3ოქროს, 4 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

მოსკოვის ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედალი ერგო მეორე საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ნიკოლაი ანდრიანოვს. 1972 წლიდან ანდრიანოვმა ოლიმპიურ თამაშებზე სულ 15 მედალი მოიპოვა (მათ შორის 7 ოქროს) და ოლიმპიური სპორტის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესოთა შორის დაიკავა ადგილი.

მშვილდოსნობაში ჩემპიონის ოქროს მედალს ქეთევან ლოსაბერიძე დაეუფლა, რომელმაც ოთხი დისტანციიდან სამში პირველი ადგილი დაიკავა.

ცურვაში დომინირებდნენ საბჭოთა და გდრ-ის სპორტსმენები. ქალებში იმარჯვეს გერმანელებმა. რომლებმაც 11 ოქროს, 8

ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მამაკაცებში პირველობა კი საბჭოთა მოცურავეებს ხვდათ. მათ ანგარიშზე 7 ოქროს, 7 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი აღმოჩნდა. გუნდის ლიდერმა ვლადიმერ სალხიკოვმა კი სამი უმაღლესი ჯილდო მოიგო.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირის გუნდი გავიდა - 195 მედალი (80ოქრო, 69ვერცხლი, 46 ბრინჯაო),მეორე იყო გდრ-ის გუნდი -126 მედალი (შესაბამისად 47 37 42), 41 მედლით (8, 16, 17) მესამე ადგილზე ბულგარეთის ნაკრები გავიდა.

ნიკოლაი ანდრიანოვი

1984

ლოს-ანჯელესი

28 ივლისი - 12 აგვისტო

XXIII ოლიმპიური თამაშები

1984 წლის XXIII ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე მხოლოდ ერთი ქალაქი - ლოს-ანჯელესი აცხადებდა პრეტენზიას. როგორც ცნობილია, წინა ოლიმპიურ თამაშებს მოსკოვში მრავალმა ქვეყანამ,ამერიკის შეერთებული შტატების მოწოდებით, ბოიკოტი გამოუცხადა და ამიტომ ფიქრობდნენ, რომ სსრ კავშირი და სოციალისტური ბანაკის დანარჩენი ქვეყნები ადექვატური ნაბიჯით უპასუხებდნენ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადას. ასეც მოხდა, მაგრამ XXII ოლიმპიურ თამაშებში სარეკორდო რაოდენობამ 140 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, რომლებიც 6802 სპორტსმენით (მათ შორის 1567 ქალი) იყო წარმოდგენილი. გათამაშებული იქნა მედლების 221 კომპლექტი. ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური ცეცხლი სახელგანთქმულ რეფერ ჯონსონთან ერთად ბერლინის ოლიმპიური თამაშების გმირის, ჯესი ოუენსის შვილიშვილმა, ჯინა ჰემფილმა აანთო.

სპორტული თვალსაზრისით ეს ოლიმპიური თამაშები საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოსკოვის, მონრეალის, მიუნხენის და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებს. თუ წინა ოლიმპიადებზე 25-35 მსოფლიო რეკორდი მყარდებოდა, ლოს-ანჯელესში ეს ციფრი - 11 იყო. ცხადია საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის სპორტსმენების გარეშე ოლიმპიურ თამაშებს ის მიმზიდველობა და შინაარსი აღარ ჰქონდა, მაგრამ წინამორბედებს ცალკეული სპორტსმენების ბრწყინვალებით არც ეს ოლიმპიადა ჩამორჩა. პირველ რიგში აღსანიშნავია გამოჩენილი ამერიკელი მძლეოსანი კარლ ლუისი, რომელმაც რბენაში 100 და 200 მ., სიგრძეზე ხტომაში და ესტაფეტაში 4X100 მეტრზე, ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი დაიმსახურა.

კვლავ არავის დაუთმო უმაღლესი ჯილდო ინგლისელმა ათჭიდელმა დ. ტომპსონმა.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გარეშე ოქროს მედლები ვაჟთა შორის იაპონელმა და ჩინელმა სპორტსმენებმა გაინაწილეს (შესაბამისად 3 და 4). მრავალჭიდში გამარჯვება ჩინელმა კუჯი გუსიკენმა მოიპოვა. რომელმაც მეორე ოქროს მედალი რგოლებით ვარჯიშშიც მოიგო.

ძალოსნობაში დომინირებდნენ ჩინელი ათლეტები. მათ ანგარიშზე 4 ოქროს და ორი ვერცხლის მედალი აღმოჩნდა. ყველასათვის მოულოდნელად ძლიერად გამოვიდნენ რუმინელი ძალოსნები. მათ ორი ოქროს. ხუთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

წყალში ხტომის ორივე სახეობა (ტრამპლინი და კოშკურა) ვაჟთა შორის ამერიკელმა გრეგ ლუგანისმა მოიგო.

თავისუფალ ჭიდაობაში ათი წონითი კატეგორიიდან შვიდში გამარჯვება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა იზეიმეს.

ამერიკელი მოცურავეების ტრიუმფით დამთავრდა ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშები. მათ 21 ოქროს მედალი (9 - კაცებმა და 12 ქალებმა) მოიპოვეს. სამ-სამი უმაღლესი ჯილდო ერგოთ მარი მიგერის და რიკარდო კეირის.

ხელბურთში, როგორც ქალთა ისე მამაკაცთა ტურნირი მოიგეს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

კრივში გათამაშებული 12 ოქროს მედლიდან — ცხრაში იმარჯვეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების წევრებმა.

კარლოს ლოპეში ერთადერთი ათლეტია პორტუგალიის მძლეოსნობის ისტორიაში, ვინც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მას ბადალი არ ჰყავდა მარათონში.

გუნდურ ჩათვლაში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს აშშ-ს სპორტსმენებმა, რომლებმაც ორჯერ მეტი მედლები მოიპოვეს, ვიდრე მეორე ადგილზე გასულმა გფრ-ს ნაკრებმა. ამერიკელების ანგარიშზეა 174 მედალი (83 ოქროს, 61 ვერცხლის, 30 ბრინჯაოს). მეორე ადგილზე გფრ-ის ნაკრები გავიდა - 59 მედალი (მესაბამისად 17 19,23). რუმინეთის გუნდმა 53 მედლით მესამე ადგილი დაიკავა (მესაბამისად 20,16,17).

ოლიმპიური თამაშების ცხრაგზის ჩემპიონი კარლ ლიუისი

1988

სეული

17 სექტემბერი - 2 ოქტომბერი

XXIV ოლიმპიური თამაშები

სეულის ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოს 159 ქვეყნის 8473 (მათ შორის 2186 ქალი) სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც სპორტის 23 სახეობაში მედლების 237 კომპლექტისათვის იბრძოდნენ.

ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება სეულს სოკ-ის 1981 წლის სექტემბრის სესიაზე მიენიჭა. ამან გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის. ჩრდილოეთ კორეელები მოითხოვდნენ თამაშების ჩატარებას ორივე ქვეყანაში. სოკ-მა და მისმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა კატეგორიულად უარყვეს ეს წინადადება. ამ საბაბით კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე მეორედ (პირველად 1948 წელს) განაცხადა პროტესტი და ბოიკოტი გამოუცხადა სეულის თამაშებს. ამასთან ერთად მსოფლიოს 30 ქვეყანას არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა სამხრეთ კორეასთან. 1983 წელს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩამოგდებულმა სამხრეთ კორეის თვითმფრინავმა უკიდურესად დაძაბა ისედაც რთული დამოკიდებულება სსრ კავშირის და კორეის რესპუბლიკას შორის. როგორც სპორტის ფუნქციონერები ისე რიგი ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეები მოითხოვდნენ სეულის ოლიმპიადის გადატანას სხვა ქვეყანაში, მაგრამ სოკ-ის პრეზიდენტმა მეტად პრინციპული პოზიცია დაიკავა და განაცხადა "თამაშები ჩატარდება სეულში, ან არსად"

საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ლიდერებისა და საღად მოაზროვნე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების წყალობით და ხელშეწყობით, პირადად ხუან ანტონიო სამარანჩის მიერ დიდი სამუშაოს ჩატარებით, შესაძლებელი გახდა თამაშები სეულში გამართულიყო, რომელიც, როგორც შემდგომ გამოჩნდა, ოლიმპიური სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი გრანდიოზული იყო.

პროგრამაში შეტანილ იქნა ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. გარდა ამისა არსებულ სპორტის სახეებს 16 ახალი სახეობა დაემატა.

სეულის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებულ იქნა 104 ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 30 მსოფლიო რეკორდი იყო.

სეულის ოლიმპიურ თამაშებზე დაფიქსირდა ერთი თავისებური რეკორდი ქალთა შორის. შვედი მოფარიკავე კერსტინ პალმი ერთადერთი ქალია ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, რომელმაც მეშვიდედ იასპარეზა ოლიმპიადებში (1964 —1988), ხოლო დანიელი აფროსანი პოლ ელსტრომი, 40 წლის მანძილზე (1948 1988) მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში.

ოლიმპიადის ტრიუმფატორი გახდა გერმანელი მოცურავე ქალი კეტრინ ოტო, რომელმაც ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა. ასეთი შედეგი ქალთა შორის ოლიმპიადების ისტორიაში არავის უჩვენებია.

ოქროს ასოებით ჩაიწერა გერმანელი ცხენოსნის რაინერ კლიმკეს სახელი ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, რომელმაც 1964—1988 წლებში 6 ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი პოიპოვა. იგი ჩემპიონი გახდა 1964, 1968, 1976, 1984, 1988 წლებში.

აღსანიშნავია გდრ-ის გუნდის წარმომადგენლის კრისტა როტენბურგერის მიღწევები. იგი 1984 წელს ჩემპიონი გახდა 500 მეტრზე ციგურებით რბოლაში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სარაევოში, 1988 წელს კალგარიში იმარჯვა 1000 მეტრზე და ვერცხლის მედალი მოიგო 500 მეტრზე. შემდეგ კი

ზაფხულის ოლიმპიადაზე იასპარეზა სეულში და ველოტრეკზე სპრინტში მეორე ადგილი დაიკავა.

პირველად, სსრ კავშირის მძლეოსნებმა ოქროს მედლები ესტაფეტაში 4X100 მეტრზე რბენაში 1980 წელს მოსკოვში მოიგეს, სადაც ამერიკის და სხვა უძლიერესი ქვეყნების მძლეოსნები არ მონაწილეობდნენ. ამჯერად გამარჯვება მათ უძლიერესთა ჭიდილში მოიპოვეს.

ამ ოლიმპიადაზე სამი მედალი ორი ოქროს (100 მ სირბილში და სიგრძეზე ხტომაში) და ერთი ვერცხლის (200 მ) მოიგო ამერიკელმა კარლ ლუისმა. 6 ოქრო მას უკვე მოგებული ჰქონდა 1984 და 1988 წელს.

ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ამერიკელმა მოცურავემ მატ ბიონდიმ. ორი ოქროს მედალი ერგო ამერიკელ მძლეოსან ქალს ფ. გრიფიტ-ჯოინერს.

კეტრინ ოტო

თამაშების სენსაციად ჩათვალეს მასპინძლების გამოსვლა, რომლებმაც 12 ოქროს მედალი მოიპოვეს (მე-4 შედეგი) და გაუსწრეს გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, ბულგარეთის და უნგრეთის დელეგაციებს.

საბოლოოდ პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელმაც 132 მედალი მოიპოვა. (55 ოქრო, 31 ვერცხლი, 46 ბრინჯაო). მეორე ადგილზე 102 მედლით გდრ-ის გუნდი გავიდა (37 ოქრო, 35 ვერცხლი, 30 ბრინჯაო). მესამე ადგილზე 92 მედლით ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები აღმოჩნდა. (36 ოქრო, 31 ვერცხლი, 25 ბრინჯაო).

1992

ბარსელონა

23 ივლისი - 9 აგვისტო

XXV ოლიმპიური თამაშები

XXV ოლიმპიური თამაშები ყველაზე მასობრივი გამოდგა. მასში მსოფლიოს 169 ქვეყნის 9368 სპორტსმენმა (მათ შორის 2708 ქალი) მიიღო მონაწილეობა. Ესპორტის 25 სახეობაში გათამაშდა მედლების 257 კომპლექტი.

ბარსელონას ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს კუბელმა სპორტსმენებმაც (როგორც ცნობილია კუბის ნაციონალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ბოიკოტი გამოუცხადა სეულის თამაშებს) ოლიმპიურ ოჯახს კვლავ შეუერთდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ერთი გუნდით იასპარეზა გერმანიამ. დამოუკიდებელი ქვეყნების გაერთიანებული გუნდის სახელწოდებით იასპარეზეს ყოფილი სსრ კავშირის 12 რესპუბლიკის (ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გარდა) სპორტსმენებმა.

ბარსელონას ოლიმპიადა სპორტული თვალსაზრისითაც გამოირჩეოდა. კვლავ გაიბრწყინა ამერიკელმა მძლეოსანმა კარლ ლუისმა რომელმაც თავის კოლექციას კიდევ ორი ოქროს მედალი შემატა და, 1984 წლიდან მოყოლებული, მათი რიცხვი რვამდე გაზარდა. 1984-1992 წლებში ხუთი ოლიმპიური მედალი მოიპოვა ჯოინერ-კერსიმ, რომელთაგან სამი ოქროს, 1 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოსია.

პირველად შეიტანეს ბარსელონას ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ბეისბოლი და ჩემპიონები კუბელები გახდნენ.

სენსაცია მოახდინეს პოლონელმა ხუთჭიდელებმა, რომლებმაც გაიიმარჯვეს, როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში. გუნდის ლიდერმა ა. სკრჟიპაჩეკმა კი ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

კვლავ განაცვიფრეს მსოფლიო კუბელმა მოკრივეებმა, რომლებმაც შვიდი ოქროს მედალი მოიგეს.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მარათონულ სირბილში გამარჯვება კორეელმა იონგ ჩო ხვანგმა იზეიმა.

ბარსელონას ოლიმპიადის გმირად ბელორუსელი ტანმოვარჯიშე ვიტალი შჩერბო შერაცხეს, რომელმაც ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა. რუსმა მოცურავეებმა ე. სოდოვიომ — სამი, ხოლო ა. პოპოვმა - ორი ოქროს მედალი დაისაკუთრეს, რაც ასევე მოულოდნელ შედეგად იქნა მიჩნეული.

ზედიზედ მეორე ოლიმპიადა მოიგეს თურქმა ძალოსანმა ნ. სულეიმანოღლუმ და რუსმა მოჭიდავემ ა. კარელინმა.

პირველად ბარსელონაში იასპარეზეს ძიუდოისტმა ქალებმა, რომლებმაც მედლები შვიდ წონით კატეგორიაში გაითამაშეს. ოქროს მედლები წილად ხვდათ შვიდ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს.

ოთხი ოქროს ოლიმპიური მედლიდან სამი ჩინელმა წყალში მხტომელებმა მოიგეს. საერთოდ უნდა აღინიშნოს ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ჩინეთის დელეგაციის საკმაოდ წარმატებული გამოსვლა, სადაც მათ 16 ოქროს, 22 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

სეულის ოლიმპიადაზე სენსაციად მონათლეს სამხრეთ კორეის რესპუბლიკის მიერ მოპოვებული 12 ოქროს მედალი და ამას პირველ რიგში "საკუთარი კედლების" მიზეზით ხსნიდნენ. ბარსელონაში მათ დაამტკიცეს, რომ ბრძოლა სხვა ქვეყანაშიც შეუძლიათ. კორეელებმა 29 მედალი (მათ შორის 12 ოქრო) მოიპოვეს და მტკიცედ დაიკავეს ადგილი უძლიერესთა შორის.

ბარსელონას ოლიმპიადას სხვა სახის რეკორდსმენებიც ჰყავდა. ბრაზილიელი ნელსონ პესო ფილოსათვის ეს ოლიმპიადა რიგით მეათე იყო. პირვე-

ლად მან 1956 ხელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა.

თუ სეულის 1988 ხლის ოლიმპიურ თამაშებზე მედლები მსოფლიოს 46 ქვეყანამ გაიზანილ[illegible]ელონაში ამ რიცხვმა 64 მიაღნია.



ვიტალი შჩერბო

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება დამოუკიდებელი ქვეყნების გაერთიანებულმა გუნდმა იზეიმა, მან 112 მედალი მოიპოვა (45 ოქრო, 38 ვერცხლი, 29 ბრინჯაო). მეორე ადგილზე 108 მედლით აშშ-ს გუნდი გავიდა (შესაბამისად 37, 34, 37). მესამე გერმანიის ნაკრები იყო - 82 მედალი (33, 21, 8).

1996

ატლანტა

19 ივლისი - 4 აგვისტო



XXVI ოლიმპიური თამაშები

ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში 197 ქვეყნის 10332 სპორტსმენი (მათ შორის 3523 ქალი) მონაწილეობდა. თამაშების პროგრამაში სპორტის 28 სახეობაში მედლების 271 კომპლექტი გათამაშდა. ეს იყო საიუბილეო ოლიმპიადა. ზუსტად ასი წლის წინ I ოლიმპიური თამაშები ჩატარდა ათენში. ათენი ამჯერადაც მონაწილეობდა კონკურსში ოლიმპიადის მასპინძლობაზე, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა ხმების მეტი რაოდენობა ატლანტას მისცეს.

ატლანტის ოლიმპიური თამაშები განსაკუთრებული მოვლენაა საქართველოს სპორტის ისტორიაში. დამოუკიდებლობააღდგენილმა ჩვენმა ქვეყანამ პირველად იასპარეზა ოლიმპიურ თამაშებში.

პირველად პროგრამაში შეიტანეს: პლაჟის ფრენბურთი (ქალები, მამაკაცები), სოფტბოლი (ქალები) და ფეხბურთი (ქალები).

პლაჟის ფრენბურთში პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ აშშ-ს (მამაკაცები) და ბრაზილიის (ქალები) გუნდები. ფეხბურთში და სოფტბოლში (ქალები) იმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა.

მძლეოსნობაში დამაჯერებლად იასპარეზეს აშშ ვაჟებმა, რომლებმაც 10 ოქროს მედალი მოიპოვეს. მსოფლიოს ორი რეკორდი 200 და 400 მეტრზე დაამყარა მაიკლ ჯონსონმა.

თავისი მეცხრე მედალი მოიგო კარლ ლუისმა. აღსანიშნავია, რომ 1984 წლიდან მან ზედიზედ მეოთხედ მოიგო ოქროს მედალი სიგრძეზე ხტომაში.

მაგიდის ჩოგბურთში დომინირებდნენ ჩინელები, რომლებმაც ყველა თანრიგში იმარჯვეს და თავის გუნდს ოთხი ოქროს მედალი შესძინეს. მათ არც წყალში მხტომელები ჩამორჩნენ და ოთხიდან სამ დისციპლინაში მოიპოვეს უმაღლესი ჯილდოები.

მესამე ოლიმპიური თამაშებია, არავის უთმობენ ჩემპიონობას კორეელი მშვილდოსანი ქალები. მათ იმარჯვეს პირად და გუნდურ ჩათვლაში და 1988 წლიდან თავის ქვეყანას ექვსი ოქროს მედალი მოუტანეს.

არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას კუბელმა მოკრივეებმა, რომლებმაც ოთხი ოქროს მედალი მოიგეს.

ატლანტაში პირველად გაიმართა გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ესპანეთის გუნდი გახდა.

ფარიკაობაში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს რუსეთის ნაკრების ნევრებმა. მათ ლიდერს ს. პოზდნიაკოვს ორი უმაღლესი ჯილდო ხვდა წილად.

ჩოგბურთში პროგრამის ოთხი ნომინაციიდან სამში იმარჯვეს აშშ სპორტსმენებმა.

წინა ოლიმპიადაზე მოპოვებულ ორ ოქროს მედალს, ატლანტაშიც ორი მიუმატა რუსმა მოცურავემ ა. პოპოვმა, რომელმაც 50 და 100 მეტრზე იმარჯვა.

ამერიკელმა მოცურავეებმა 13 უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს.

ამ ოლიმპიადაზე პირველად გათამაშდა გუნდური პირველობა სინქრონულ ცურვაში, რომელშიც ოქროს მედალი აშშ-ს გუნდმა მოიპოვა.

ატლანტაში საუცხოოდ იასპარეზეს გერმანელმა ცხენოსნებმა, რომლებმაც პროგრამის 6 სახეობიდან ოთხში მოიგეს პირველი ადგილი. მათ იმარჯვეს ხედნილობასა (პირადი და გუნდური) და დაბრკოლებათა გადალახვაში (პირადი და გუნდური). ორ-ორი ოქროს მედლები მიიღეს ი. ვერტმა და უ. კირჰოფმა.

ატლანტაში ჩემპიონები გახდნენ ესპანელი წყალბურთელები. ოლიმპიური სპორტის ისტორიაში ეს მათი პირველი გამარჯვებაა.

ზედიზედ მესამე ოქროს მედალი მოიგო რუსმა მოჭიდავემ ალექსანდრე კარელინმა. ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში ყველაზე მეტი ოქროს მედალი - პოლონელებმა მოიგეს - 3. ასევე სამი ოქროს მედალი ხვდათ წილად ამერიკელ თავისუფალ მოჭიდავეებს.

სენსაცია მოახდინეს ხორვატმა ხელბურთელმა ვაჟებმა. მათ უძლიერესთა ჭიდილში შეძლეს ყველა მეტოქის დამარცხება და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

უშიშროების სამსახურების სანიმუშო საქმიანობის მიუხედავად, ატლანტის თამაშები მაინც ვერ დამთავრდა მშვიდობიანად. 27 ივლისს "თამაშების ასნლოვან" პარკში აფეთქდა ბომბი, რის შედეგადაც დაიღუპა 44 წლის ამერიკელი ქალი და 40 წლის თურქი კომენტატორი. რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდა. პრეზიდენტმა კლინტონმა დაგმო ეს უკეთური აქტი, ხოლო სოკ-მა გაავრცელა კომუნიკე, რომელშიც მოუწოდა გაეგრძელებინათ თამაშები, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპულებისა და დაშავებულებისათვის, დაეშვათ დროშები ყველა სარბიელზე და ობიექტებზე.

ალექსანდრე კარელინი

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს აშშ-ს წარმომადგენლებმა, რომლებსაც 101 მედალი ერგოთ (44 ოქრო, 32 ვერცხლი, 25 ბრინჯაო). მეორე ადგილი წილად ხვდა რუსეთის ნაკრებს 63 მედალი (26 ოქრო, 21 ვერცხლი, 16 ბრინჯაო). მესამე ადგილზე გავიდა გერმანიის გუნდი 65 მედლით (შესაბამისად 20, 18, 27).

2000

სიდნეი

16 სექტემბერი - 1 ოქტომბერი



XXVII ოლიმპიური თამაშები

სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშები უკანასკნელი იყო მე-20 საუკუნეში. სიდნეის ბატალიები რეკორდული იყო, როგორც მასში მონაწილე სპორტსმენთა ისე დელეგაციათა რაოდენობით.

ოლიმპიური თამაშების სპორტის 28 სახეობაში 199 ქვეყნის 10651 სპორტსმენი (მათ შორის 4069 ქალი) მონაწილეობდა, რომლებმაც მედლების 300 კომპლექტი გაითამაშეს.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი ისტორიული იყო, 50 წლის წინათ ორად გახლეჩილი კორეა პირველად ერთიანი დროშით გამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ეტაპზე ოლიმპიური ჩირაღდანი მხოლოდ ქალებს მოჰქონდათ, რომელიც მსოფლიოში სახელგანთქმულ სპორტსმენების ბეტი კათბერტის, დაინ ფრეზერის, შეინ გოულდის, რაელინ ბოლისა და დები ფლინტონ-კინგის ხელიდან გადაეცა ადგილობრივ მკვიდრს, აბორიგენს, მსოფლიოს ჩემპიონს 400 მეტრზე სირბილში კეტი ფრიმენს, რომელმაც აანთო მთავარი ოლიმპიური ცეცხლი. ოლიმპიური ფიციც ასევე ქალმა, ავსტრალიის ბალახის ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანმა რიჩელ ჰოუკსმა წარმოთქვა. ამით აღინიშნა ოლიმპიურ თამაშებში ქალთა მონაწილეობის 100 წლისთავი. სიდნეის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანილ იქნა ბატუტი (2 სახეობა), ტაეკვანდო (8 სახეობა) და ტრიატლონი (2 სახეობა).

ცურვაში 32 გათამამებული ოქროს მედლიდან ყველაზე მეტი ჰოლანდიელებს და ავსტრალიელებს ხვდათ. პირად პირველობაში სამ-სამი ოქროს მედალი მოიგეს ავსტრალიელმა ვაუმა იან ტორპმა და ჰოლანდიელმა ქალმა ინგე დე ბრუინმა.

ძალოსნობაში შვიდი ნონითი კატეგორიიდან ოთხი ოქროს მედალი ჩინელმა ქალებმა მოიგეს. თავის რიგით მესამე ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს საბერძნეთის გუნდის წევრებმა ძალოსნობაში - პიროს დიმასმა და კახი კახიაშვილმა. საგრძნობლად გაიზარდა სიდნეიში წყალში მხტომელთა პროგრამა. თუ ატლანტაში მედლების ოთხი კომპლექტი თამაშდებოდა, სიდნეიში უკვე რვა დისციპლინა იყო. ტრადიციულად ძლიერად გამოვიდნენ ჩინელი სპორტსმენები, რომლებმაც საერთო ჯამში 5 ოქროს და 5 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

მძლეოსნობაში, ტრადიციულად ძლიერები იყვნენ ამერიკელები, სიდნეიში მათ 10 ოქროს (4 ქალებმა და 6 ვაჟებმა) მედალი ერგოთ. ამ ათი მედლიდან მერიენ ჯონსმა - 3, მაიკლ ჯონსონმა და მორის გრინმა კი 2~2 მედალი მოიპოვეს.

სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ბერძენმა კონსტანტინოს კენტერისმა, რომელმაც ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში.

სტაიერული დისტანციები (5, 10 კმ და მარათონი) მოიგეს ეთიოპიელმა მორბენლებმა. 20 და 50 კმ სიარულში კი პოლონელმა რობერტ კორჟენიოვსკიმ გაიმარჯვა.

მხატვრულ ტანვარჯიშში, როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაზე იმარჯვეს რუსეთის წარმომადგენლებმა.

კონკურენციის გარეშე იყვნენ ჩინელი მაგიდის ჩოგბურთელები, რომლებმაც ოთხივე თანრიგში იმარჯვეს და გარდა 4 ოქროს მედლისა, სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაოც მოიგეს.

თავისი მესამე ოქროს მედალი მოიგო კუბელმა მოკრივემ ფელიქს სავონმა. წინა ოლიმპიურ თამაშებზე უკეთ იასპარეზეს რუსმა მოჭიდავეებმა - მათ თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ოთხი ოქროს მედალი მოიგეს.

ველოტრეკის 12 დისციპლინიდან ფრანგებმა ოთხში პირველობა და ოქროს მედლები მოიპოვეს.

დებიუტი ჰქონდათ წყალბურთელ ქალებს, სადაც ავსტრალიელებმა იმარჯვეს და პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

სიდნეიში ოლიმპიური მედლები 80 ქვეყნის სპორტსმენებს შორის განაწილდა. წინა თამაშებზე ეს რიცხვი 64-ს არ აღემატებოდა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა დაიკავა, მათ 97 მედალი მოიპოვეს (39 ოქრო, 25 ვერცხლი, 33 ბრინჯაო). მეორე ადგილი წილად ხვდა რუსეთის გუნდს - 88 მედალი (შესაბამისად 32~28~28).მესამე ადგილი ერგო საკმაოდ მომძლავრებულ ჩინეთის ნაკრებს, რომელმაც 59 მედალი დააგროვა (28 ოქრო, 16 ვერცხლი,15 ბრინჯაო).

იან ტორპი

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სტატისტიკა

ოლიმპიური თამაშების რიგითი №	ჩატარების თარიღი	ქვეყანა და ქალაქი	მონაწილე ქვეყნების რაოდენობა	გათამაშებული მედლების კომპლექტი	მონაწილეთა რაოდენობა		
					სულ	მათ შორის	
						ქალი	კაცი
I	1896 წ. 06.04-15.04	საბერძნეთი ათენი	14	43	245		245
II	1900 წ. 14.05-28.10	საფრანგეთი პარიზი	19	86	1078	19	1059
III	1904 წ. 01.07-23.11	აშშ სენტ-ლუისი	13	89	689	8	681
IV	1908 წ. 27.04-31.10	ინგლისი ლონდონი	22	107	2035	36	1999
V	1912 წ. 05.05-22.07	შვეიცია სტოკჰოლმი	28	102	2437	57	2380
VI	1916 წ.	-	-	-	-	-	-
VII	1920 წ. 20.04-12.09	ბელგია ანტვერპენი	29	152	2607	78	2529
VIII	1924 წ. 04.05-12.08	საფრანგეთი პარიზი	44	126	2972	136	2836
IX	1928 წ. 17.05-12.08	ჰოლანდია ამსტერდამი	46	109	2884	290	2594
X	1932 წ. 30.07-14.08	აშშ ლოს-ანჯელესი	37	117	1333	127	1206
XI	1936 წ. 01.08-16.08	გერმანია ბერლინი	49	129	3936	328	3608
XII	1940 წ.	-	-	-	-	-	-
XIII	1944 წ.	-	-	-	-	-	-
XIV	1948 წ. 29.07-14.08	ინგლისი ლონდონი	59	136	4092	385	3707
XV	1952 წ. 19.07-03.08	ფინეთი ჰელსინკი	69	149	5429	518	4911
XVI	1956 წ. 22.11-08.12	ავსტრალია[1] მელბურნი	67	145	3178	371	2807
XVII	1960 წ. 25.08-11.09	იტალია რომი	83	150	5313	610	4703
XVIII	1964 წ. 10.10-24.10	იაპონია ტოკიო	93	163	5133	683	4450

1. ცხენოსნობაში ასპარეზობა ჩატარდა სტოკჰოლმში 1956 წლის 10-17 იენისს

XIX	1968 წ. 12.10-27.10	მექსიკა მეხიკო	112	172	5498	780	4718
XX	1972 წ. 16.08-11.09	გერმანია მიუნხენი	121	195	7121	1058	6063
XXI	1976 წ. 17.07-01.08	კანადა მონრეალი	92	198	6043	1247	4796
XXII	1980 წ. 19.07-03.08	სსრ კავშირი მოსკოვი	80	203	5283	1124	4159
XXIII	1984 წ. 28.07-12.08	აშშ ლოს-ანჯელესი	140	221	6802	1567	5235
XXIV	1988 წ. 17.07-02.10	სამხრეთ კორეა სეული	159	237	8473	2186	6287
XXV	1992 წ. 25.07-09.08	ესპანეთი ბარსელონა	169	257	9368	2708	6660
XXVI	1996 წ. 19.07-04.08	აშშ ატლანტა	197	271	10332	3523	6809
XXVII	2000 წ. 16.09-01.10	ავსტრალია სიდნეი	199	300	10651	4069	6582
			სულ	3866	113084	21908	91176

1896 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებიდან 2000 წლის სიდნეის თამაშების ჩათვლით ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

1. აშშ — 2116 (871 ოქრო, 659 ვერცხლი, 586 ბრინჯაო);
2. სსრკ —1010 (395 ოქრო, 319 ვერცხლი, 296 ბრინჯაო)[1];
3. დიდ ბრიტანეთი — 661 (187 ოქრო, 237 ვერცხლი, 237 ბრინჯაო);

ერთ ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

1. აშშ — 244 მედალი (78 ოქრო, 84 ვერცხლი, 82 ბრინჯაო) — 1904 წ. სენტ-ლუისი. III ოლიმპიური თამაშები;
2. სსრკ — 195 (80 ოქრო, 69 ვერცხლი, 46 ბრინჯაო) 1980 წ. მოსკოვი XXII ოლიმპიური თამაშები;
3. აშშ — 174 (83 ოქრო, 61 ვერცხლი, 30 ბრინჯაოძ1984 წ. ლოს-ანჯელესი XXIII ოლიმპიური თამაშები;

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენები:

1. ლარისა ლატინინა (სსრკ, ტანვარჯიში) — 9 ოქრო, 5 ვერცხლი, 4 ბრინჯაო;
2. პაავო ნურმი — (ფინეთი, მძლეოსნობა) — 9 ოქრო, 3 ვერცხლი
3. მარკ სპიტცი — (აშშ, ცურვა) — 9 ოქრო, 2 ვერცხლი;
4. კარლ ლუისი — (აშშ, მძლეოსნობა) - 9 ოქრო;

1. სსრ კავშირი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 1952წლიდან 1988 წლის ჩათვლით (1984 წლის გამოკლებით).

ყველაზე მეტი მედალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მოიპოვეს:

18 მედალი — ლარისა ლატინინამ (9 ოქრო, 5 ვერცხლი, 4 ბრინჯაო);
15 მედალი — ნიკოლაი ანდრიანოვმა (შესაბამისად 7,5,3) — (ტანვარჯიში, სსრკ);
13 მედალი (7, 4, 2) — ბორის შახლინმა (ტანვარჯიში სსრკ);
13 მედალი (6, 5, 2) — ედოარდო მანჯიაროტიმ (ფარიკაობა, იტალია);
13 მედალი (5, 3, 5) — ტაკასი ონომ (ტანვარჯიში, იაპონია);

ყველაზე ნორჩი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ:

ქალებში:
13 წლის — მერჯორი ჯესთრინგი (აშშ, წყალში ხტომა) —1936წ. (ბერლინი);
14 წლის — კრისტინა ეგერსეგი (უნგრეთი, ცურვა) — 1988 წ. (სეული);
14 წლის — დებრა უოტსონი (აშშ, ცურვა) — 1964 წ. (ტოკიო);
მამაკაცებში:
13 წლის — კლაუს ზერტა (გდრ, ნიჩბოსნობა) — 1960 წ. (რომი);
14 წლის — ბერნარდ მალივუალი (საფრანგეთი, ნიჩბოსნობა) — 1952 წ. (ჰელსინკი);
14 წლის — კასიო კიტამურა (იაპონია, ცურვა) — 1932წ.(ლოს-ანჯელესი);

ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ:

64 წლის — ოსკარ სვანი (შვეცია, სროლა) — 1912 წ. (სტოკჰოლმი);
64 წლის — გელენ სპენსერი (აშშ, მშვილდოსნობა) — 1904 წ. (სტოკჰოლმი);
63 წლის — რობერტ უილიამსი (აშშ,მშვილდოსნობა) — 1904 წ. (სენტ-ლუისი)

ზედიზედ ოლიმპიური თამაშები მოიგეს:

6-ჯერ ალადარ გერევიჩმა (უნგრეთი, ფარიკაობა) — 1932, 1936, 1948, 1952, 1956, 1960 წლებში;
4-ჯერ პაულიუ ელვესტრემმა (დანია, აფროსნობა) — 1948,1952, 1956 და 1960 წლებში;
4-ჯერ ალფრედ ორტერმა (აშშ, მძლეოსნობა-ბადრო) — 1956, 1960, 1964 და 1968 წლებში;
4-ჯერ კარლ ლუისმა (აშშ, მძლეოსნობა-სიგრძეზე ხტომა) — 1984, 1988, 1992 და 1996 წლებში;

ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი ოქროს მედალი მოიპოვეს:

1. მარკ სპიტცმა (აშშ, ცურვა) — 7 მედალი (1972 წ. მიუნხენი);
2. კრისტინ ოტომ (გდრ, ცურვა) — 6 მედალი (1988 წ. სეული);
3. ვიტალი შჩერბომ (დქგგ, ტანვარჯიში) — 6 მედალი (1992 წ. ბარსელონა);

თავი VI

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში წამოაყენა პიერ დე კუბერტენმა და არა ერთხელ გამხდარა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მსჯელობის საგანი. მაგრამ ამ იდეას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც (1901 წლიდან) თავად ატარებდნენ ტრადიციულ "ჩრდილოეთის თამაშებს". ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ თამაშებზე ისედაც იკრიბებოდნენ ზამთრის სახეების უძლიერესი სპორტსმენები და რა საჭიროა პარალელური თამაშების გამართვაო.

შეჯიბრებები ზამთრის სპორტის სახეებში ჩართული იყო ჯერ კიდევ 1908 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში (ქალები და მამაკაცები, ფიგურული სრიალი).

1911 წელს შვეციამ წამოაყენა წინადადება 1912 წლის სტოკჰოლმის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პარალელურად ჩაეტარებინათ ზამთრის ოლიმპიური თამაშები. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს წინადადება არ მიიღო.

1920 წლის ანტვერპენის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კვლავ შეიტანეს ფიგურული სრიალი და დაამატეს შაიბიანი ჰოკეი.

პ. კუბერტენმა თავის საწადელს მაინც მიაღწია. ზამთრის ოლიმპიური თამაშების დამოუკიდებლად გამართვას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა 1924 წელს საფრანგეთის ქალაქ შამონში ზამთრის სპორტის სახეებში წარმატებით მონყობილმა "VIII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო სპორტულმა კვირეულმა".

1925 წელს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პრაღაში გამართულ სესიაზე გადაწყვიტა ჩაეტარებინათ ზამთრის ოლიმპიური თამაშები და ისტორიაში პირველი თამაშების სტატუსი შამონში გამართულ ასპარეზობას მიანიჭა.

შამონის შემდეგ ზამთრის ოლიმპიური თამაშები რეგულარულად იმართებოდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების წლებში. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები იქმნებოდა და 1992 წლიდან შეცვალა ზამ-

თრის თამაშების ჩატარების ციკლი. ამ მიზეზით ალბერვილის XVI (1992 წ.) და ლილეჰამერის XVII (1994 წ.) ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს შორის შუალედი მხოლოდ ორი წელი იყო. შემდეგი XVIII თამაშები ჩატარდა 1998 წელს იაპონიის ქალაქ ნაგანოში.

6.1. ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალი სპორტის სახეები

ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარებულ იქნა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ შეთანხმებულად შეიმუშავეს თამაშების პროგრამების ფორმირების ძირითადი პრინციპები. სწორად ამან განაპირობა, ზამთრის ოლიმპიური თამაშების შედარებით უფრო მაღალ დონეზე ჩატარება, ვიდრე ეს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საწყის ეტაპზე იყო.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამებში შედის სპორტის ისეთი სახეები, რომლებიც საკმაოდ პოპულარული და გავრცელებულია მსოფლიოში.

ბობსლეი — 1924 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პოგრამაში იყო მხოლოდ ერთი სახეობა — მამაკაცების ოთხეული.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ შვეიცარიელი სპორტსმენები (ე. შერერი, ა. ნევიე, ა. და ჰ. შლიოპები).

დღეისათვის თამაშდება მედლების ორი კომპლექტი მხოლოდ მამაკაცებისათვის (წყვილებში და ოთხეულებში).

ბობსლეისა და მოციგურავეთა საერთაშორისო ფედერაცია (FIBT) შეიქმნა 1924 წელს და აერთიანებს 48 ქვეყანას.

ბიატლონი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1960 წლიდან მხოლოდ მამაკაცებისათვის და თამაშდებოდა მედლების ერთი კომპლექტი 20 კმ-ზე. 1992 წლიდან ოლიმპიურ თამაშებში ქალებიც მონაწილეობენ. დღეისათვის თამაშდება მედლების 8 კომპლექტი (4 ქალებისა და 4 ვაჟების).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი 1960 წელს გახდა შვედი კლას ლესტანდერი.

თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირი (UIPMB) შეიქმნა 1948 წელს.

1993 წელს ბიატლონის საერთაშორისო ფედერაცია გამოეყო UIPMB-ს და შეიქმნა ცალკე ფედერაცია LBU, რომელიც აერთიანებს 23 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ბიატლონის ფედერაცია შეიქმნა 2002 წლის 26 ნოემბერს.

საქართველოს ბიატლონის ფედერაციის პრზიდენტია ნიკოლოზ ბუძიშვილი.

სათხილამურო რბოლები — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924 წლიდან. გათამაშდა მედლების ორი კომპლექტი-18 და 50 კმ-ზე მხოლოდ მამაკაცებისათვის.

ორივე დისტანციაზე. გამარჯვება მოიპოვა ნორვეგიელებმა ტურლეიფ ჰაუგმა და პირველი ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

1952 წლიდან თამაშების პროგრამაშია ქალთა რბოლა 10 კმ-ზე. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ფინელი ლიდია ვიდემანი. დღეისათვის თამაშდება მედლების ათი კომპლექტი ქალებისა და კაცებისათვის.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS) შეიქმნა 1924 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 98 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს, რომლის შემადგენლობაში შედის თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა, სათხილამურო ორჭიდი და სამთო-სათხილამურო სპორტი.

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 31 მაისს. 1992 წლიდან FIS-ის წევრია.

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია გოგი თოფაძე.

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924 წლიდან. მედლები მხოლოდ საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში გათამაშდა.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ნორვეგიელი იაკობ — ტულინ ტამსი.

დღეისათვის თამაშდება მედლების სამი კომპლექტი (ხტომები 90 და 120 მეტრიანი ტრამპლინიდან და გუნდური პირველობა 120 მეტრიანი ტრამპლინიდან).

სათხილამურო ორჭიდი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924 წლიდან. ორჭიდში შედის — 90 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა და 15 კმ-ზე თხილამურებით რბოლა.

პირველი ოლიმპიური ჩმპიონი გახდა ნორვეგიელი ტურლეიფ ჰაუგი.

დღეისათვის თამაშდება მედლების ორი კომპლექტი (პირადში და გუნდურში).

ციგურებით რბოლა — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924 წლიდან მამაკაცებისათვის და 1960 წლიდან ქალებისათვის. დღეისათვის პროგრამაშია 10 სახეობა.

მამაკაცებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა: 500 მეტრზე — ამერიკელი ჩარლზ ჯუთროუ.

ქალებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა გერმანელი ჰელგა ჰაასზე.

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირი (ISU) შეიქმნა 1892 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 64 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

შორტ-ტრეკი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1992 წლიდან, როგორც ქალთა ისე მამაკაცთა შორის. დღეისათვის მედლები თამაშდება ექვს დისციპლინაში.

ყველა ოქროს მედალი და პირველი ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვეს კორეელმა სპორტსმენებმა.

შორტ-ტრეკის საერთაშორისო ფედერაცია (ISU) შეიქმნა 1975 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 29 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

სამთო-სათხილამურო სპორტი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1936 წლიდან. მედლები გათამაშდა ორჭიდი ქალებისა და მამაკაცებისათვის..

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ქალებში — გერმანელი ხრისტელი კრანცი, მამაკაცებში - ასევე გერმანელი ფრანც პფნიური.

დღეისათვის თამაშდება მედლების 10 კომპლექტი.

საციგაო სპორტი —ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1964 წლიდან, თუმცა მისი წინამორბედი — სკელეტონი ორჯერ იყო პროგრამაში 1928 და 1948 წელს. დღეისათვის ორ სპორტულ დისციპლინაში სამი სახის შეჯიბრება ტარდება. ერთადგილიანი ციგა (ქალები და მამაკაცები) და ორადგილიანი ციგა (მამაკაცები).

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის გახდა გერმანელი — ორტრუნ ენდერლაიტი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მამაკაცთა შორის ასევე გერმანელი — ტომას კელერი გახდა. წყვილთა ციგაობა მოიგეს ავსტრიელებმა (ი. ფაიშტ მანტლმა და მ. შტენგლმა).

საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (IFIL) შეიქმნა 1957 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 46 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს საციგაო სპორტის ფედერაცია შეიქმნა 1998 წელს. საერთაშორისო ფედერაციის წევრია 1999 წლიდან.

საქართველოს საციგაო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტია ფელიქს ქუმარიტაშვილი.

ფიგურული სრიალი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1908 წლიდან, როდესაც იგი შეტანილი იქნა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. 1924 წლიდან კი ყველა თამაშების პროგრამაშია.. 1976 წლიდან პროგრამაში შეიტანეს სპორტული ცეკვები.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ქალებში დიდი ბრიტანელი მეჯ საიერსი, მამაკაცებში — შვედი ულრიხ სალხოვი.

წყვილთა ფიგურულ სრიალში პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ გერმანელები — ანა ჰიუბლერი და ჰენრიხ ბიურგერი.

სპორტულ ცეკვებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ლუდმილა პოხომოვამ და ალექსანდრე გორშკოვმა (სსრკ).

დღეისათვის ოლიმპიური მედლები თამაშდება სამი დისციპლინის ოთხ სახეში (1 ქალთა, 1 მამაკაცთა და 2 წყვილთა).

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირი შეიქმნა (ISU) 1892 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 71 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაცია შეიქმნა 1996 წელს. საერთაშორისო ფედერაციის წევრია 1998 ნლიდან.

საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტია ირაკლი ჯაფარიძე.

ჰოკეი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა 1920 ნლის ზაფხულის თამაშებზე. 1924 ნლიდან სისტემატურად არის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. 1998 ნლიდან პროგრამაში შეიტანეს ქალთა ჰოკეი.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები მამაკაცთა შორის გახდნენ კანადელები. ქალთა შორის — აშშ-ს ნაკრები.

ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ლიგა (LING) შეიქმნა 1908 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 53 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

ქარლინგი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1998 ნლიდან. თამაშდება მედლების ორი კომპლექტი (ქალებისა და მამაკაცებისათვის გუნდური).

ქალებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა კანადის გუნდი. მამაკაცებში — შვეიცარიის გუნდი.

ქარლინგის საერთაშორისო ფედერაცია (FIK) შეიქმნა 1950 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 31 ქვეყნას.

სნოუბორდინგი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1988 ნლიდან. სნოუბორდინგში თამაშდება მედლების 4 კომპლექტი.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ქალებში — ნიკოლა ტოსტი (გერმანია); მამაკაცებში — ჟან სიმენი (შვეიცარია).

სნოუბორდინგის საერთაშორისო ფედერაცია (LSF) -შეიქმნა 1995 წელს და შეუერთდა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას (FIS).

სკელეტონი — ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1928 წელს.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელი ჯენისონ ჰიტონი.

მეორედ სკელეტონი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა 1948 წელს. 1952 წელს იგი კვლავ ამოღებული იქნა პროგრამიდან, ხოლო 2002 ნლის ოლიმპიურ თამაშებზე მესამედ შეიტანეს პროგრამაში.

1957 წელს, შეიქმნა საციგაო სპორტის დამოუკიდებელი საერთაშორისო ფედერაცია და აერთიანებს მსოფლიოს 48 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

ფრისტაილი — ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1992 ნლიდან. 1994 ნლიდან შეჯიბრების პროგრამას დაუმატეს სათხილამურო აკრობატიკა.

პირველი ჩემპიონები გახდნენ: ქალებში --- აშშ-ს გუნდის წევრი დონა უეინბრეხტი. მამაკაცებში - ფრანგი ედგარ გროსპირონი.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო კომიტეტთან 1978 წელს შეიქმნა ფრისტაილის კომიტეტი. მასში გაერთიანებულია 34 ქვეყნის ნაციონალური ფედერაცია.

1924 -2002

ზამთრის ოლიმპიური თამაშები



1924

შამონი

25 იანვარი - 5 თებერვალი

ზამთრის I ოლიმპიური თამაშები

საფრანგეთის ალპების საკურორტო ქალაქ შამონში ჩატარდა თანამედროვეობის ზამთრის პირველი ოლიმპიური თამამები. მონაწილეობდა 16 ქვეყნის 258 სპორტსმენი (მათ შორის 13 ქალი). სპორტის ხუთ სახეობაში გათამაშდა მედლების 16 კომპლექტი.

ქალები მხოლოდ ფიგურულ სრიალში გამოდიოდნენ. სათხილამურო სპორტში ოთხი სახეობიდან ოთხივე ოქროს მედალი მოიპოვეს ნორვეგიელებმა. გუნდის ლიდერმა ტორლეიფ ჰაუგმა სამი ოქროს მედალი მოიგო. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიელმა მოთხილამურეებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი დაუთმეს ფინელ ტაპანი ნიკუს. ამ გამარჯვებით ჰაუგი გახდა ნორვეგიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადამიანი. პრესა ერთხმად უნოდებდა მას "თხილამურების მეფეს" ნორვეგიელებმა დიდი პატივი მიაგეს ტორლეიფ ჰაუგის ღვაწლს და მას თავის მშობლიურ ქალაქში კონგსბერგში სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი.

ხუთი შესაძლებლობიდან ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს ფინელმა სპორტსმენებმა ციგურებით სრიალში. ოთხი მედლიდან სამი წილად ხვდა კლას ტუნბერგს.

კლას ტუნბერგი

კონკურენციის გარეშე იყო შაიბიან ჰოკეიში კანადის გუნდი. მათ ზამთრის ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წევრი ჩარლზ ჯუთროუ, რომელმაც გაიმარჯვა ციგურებით 500 მეტრზე რბენაში. მან ორი მეათედი წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ნორვეგიელ — ოსკარ ოლსენს. შამონის თამაშებზე პირველად გამოჩნდა სახელგანთქმული ნორვეგიელი ფიგურული მოციგურავე სონია ჰენი, რომელმაც მართალია აქ მე-8 ადგილი დაიკავა, მაგრამ 12 წლის გოგონასათვის ეს იყო დიდი სკოლა და მიღწევაც, რომელიც მან მომდევნო ოლიმპიადებში კიდევ უფრო განამტკიცა და სამჯერ ზედიზედ (1928, 1932 და 1936 წ.) მოიგო ოქროს მედლები.

არაოფიციალურ გუნდურ ჩავთლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ნორვეგიის გუნდმა, რომელმაც 18 მედალი (4 ოქრო, 7 ვერცხლი, 7 ბრინჯაო) მოიპოვა. მეორეზე გავიდა ფინეთის ნაკრები 9 მედალი (შესაბამისად 4, 3, 2). მესამეზე აშშ-ს გუნდი დარჩა 3 მედალი (1 ოქრო და 2 ვერცხლი).

1928

სანკტ-მორიცი

11 - 19 თებერვალი

ზამთრის II ოლიმპიური თამაშები

ზამთრის მეორე ოლიმპიური თამაშები შვეიცარიის ქალაქ სანკტ-მორიცში ჩატარდა, რომელშიც 25 ქვეყნის 464 სპორტსმენი (მათ შორის 26 ქალი) მონაწილეობდა. სპორტის ექვს სახეობაში გათამაშდა მედლების 14 კომპლექტი. თამაშების პროგრამაში გამოჩნდა სპორტის ახალი სახეობა სკელეტონი (მთიდან დაშვება უსაჭო ციგით), რომელშიც ექვსი ქვეყნის 10 სპორტსმენი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ამერიკელმა ჯენისონ ჰიტონმა.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველად მიიღეს მონაწილეობა არგენტინის, გერმანიის, ლუქსემბურგის, მექსიკის, ნიდერლანდების, რუმინეთის, ესტონეთის და იაპონიის სპორტსმენებმა.

კვლავ შეუდარებელნი იყვნენ ნორვეგიელი მოთხილამურეები, რომლებმაც ოთხიდან სამი ოქროს მედალი მოიპოვეს. აქედან, ორი მოიგო იუჰან გრეტუმსბროტენმა (18 კმ სირბილი და სათხილამურო ორჭიდი).

1924 წლის შამონის ოლიმპიური თამაშების სამი ოქროს მედლის მფლობელმა ფინელმა კლას ტუნბერგმა სანკტ-მორიცშიც გაიბრწყინა და ოლიმპიური თამაშების 5 გზის გამარჯვებული გახდა.

ორი ოქროს მედალი მოიგეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა. ისინი უძლიერესები იყვნენ სკელეტონსა და ბობსლეიში.

ამ ოლიმპიურ თამაშებზე პირველად გაიბრწყინა სახელგანთქმულმა სონია ჰენიმ. რომელმაც მოიგო ქალთა ფიგურული სრიალი.

შეუდარებელნი იყვნენ კანადელი ჰოკეისტები, რომლებმაც კვლავ მოიპოვეს ოქროს მედლები.

თავისი პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვეს ფრანგმა სპორტსმენებმა. წყვილთა ფიგურულ სრიალში გაიმარჯვეს ანდრე ჟოლიმ და პიერ ბრიუნემ.

კვლავ იმარჯვა წინა ოლიმპიადაში გამარჯვებულმა შვედმა გილის გრაფსტრემმა ფიგურულ სრიალში. კაცებს შორის უშელავათო იყო მისი და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ვილჰელმ ბოიკლის ორთაბრძოლა. ტრავმის მიუხედავად (დაუზიანდა მენისკი) შვედმა ფიგურისტმა შეძლო დაემარცხებინა მრისხანე მეტოქე და ზედიზედ მესამედ იმარჯვა ოლიმპიურ თამაშებზე.

სონია ჰენი

ავსტრიელმა ფიგურისტებმა სამი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში, როგორც წინა ოლიმპიადაზე, გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა. მათ 15 მედალი დააგროვეს (5ოქრო, 5 ვერცხლი,5 ბრინჯაო). მეორე ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გავიდა - 6 მედალი (2, 2, 2). მესამე იყო შვეციის გუნდი - 5 მედალი (2, 2, 1).

1932

ლეიკ პლესიდი

4 - 15 თებერვალი

ზამთრის III ოლიმპიური თამაშები

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ამ ქალაქში ჩასვლა ევროპელებისათვის ფინანსური თვალსაზრისით ძალიან რთული იყო, მასში მაინც მიიღო მონაწილეობა 17 ქვეყანამ, თუმცა დელეგაციები ძალზე მცირერიცხოვანი იყო — ფინეთის გუნდში 7 სპორტსმენი იყო, შვეციისაში - 12 და ა.შ. სპორტის 5 სახეობაში გათამაშდა მედლების 14 კომპლექტი. ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადაზე მონაწილეობდა 252 სპორტსმენი (მათ შორის 21 ქალი). მონაწილეთა ნახევარი თითქმის კანადელები და ამერიკელები იყვნენ (150 კაცი).

ევროპელებმა ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიგეს ციგურებით ჩქაროსნულ სირბილში. ოთხივე ოქროს მედალი აშშ-ს წარმომადგენლებს დარჩათ. 500 და 1000 მეტრზე იმარჯვა ჯონ შიმ, 5 და 10 კმ-ზე კი ირვინგ ჯეფრიმ. საინტერესოა, რომ ასპარეზობა სპორტის ამ სახეობაში ჩატარდა არა საერთაშორისო წესებით, არამედ ამერიკულით. მოციგურავეებს გარბენები უხდებოდათ საერთო სტარტით და აფიქსირებდნენ მხოლოდ გამარჯვებულის დროს. ნიშანდობლივია, რომ ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან რამოდენიმე დღეში იმავე ლეიკ პლესიდში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ციგურობაში და უკვე ტრადიციული საერთაშორისო წესების მიხედვით. სკანდინავიელებმა არავითარი შანსი არ დაუტოვეს ამერიკელებს და ყველა ოქროს მედალი მოიპოვეს.

ლეიკ-პლესიდში პირველად გაიმართა შეჯიბრებები ბობსლეიში წყვილებსა და ოთხეულებში. ორივე დისციპლინაში ოქროს მედლები მოიპოვეს აშშ-ს წარმომადგენლებმა. კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზა ნორვეგიელმა სონია ჰენიმ, რომელმაც მეორე ოქროს მედალი მოიპოვა ფიგურულ სრიალში.

ამჯერადაც კარგად იასპარეზეს ნორვეგიელმა მოთხილამურეებმა. მათ ოქროს მედლები მოიპოვეს სათხილამურო ორჭიდში და ტრამპლინიდან ხტომაში. აღსანიშნავია, რომ სათხილამურო სპორტის ოთხივე დისციპლინაში იმარჯვეს სკანდინავიელებმა. ნორვეგიელებმა 7 მედალი მოიპოვეს (2 ოქრო, 2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო), შვედებმა - 2 (ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი), ფინელებმა - 3 (1 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო).

მართალია შაიბიან ჰოკეიში კვლავ კანადელები გახდნენ ჩემპიონები, მაგრამ მათი გამარჯვება აღარ იყო ისეთი შთამბეჭდავი, როგორც წინა თამაშებზე.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველები აშშ-ს წარმომადგნლები აღმოჩდნენ, რომლებმაც 12 მედალი მოიპოვეს (6 ოქრო, 4 ვერცხლი, 2 ბრინჯაო). 10 მედლით (შესაბამისად 3, 4, 3) მეორე ადგილზე ნორვეგიელები გავიდნენ. მესამე იყო კანადის გუნდი 7 მედალი (შესაბამისად 1, 1, 5).

1936

გარმიშ-პარტენკირჰენი

6 - 16 თებერვალი

ზამთრის IV ოლიმპიური თამაშები

მსოფლიო და კერძოდ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ მსოფლიოს 28 ქვეყანას გერმანიაში მიეკლინა 668 სპორტსმენი (მათ შორის 80 ქალი) და სპორტის ხუთ სახეობაში გაეთამაშებინათ მედლების 17 კომპლექტი.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად მიიღეს მონაწილეობა ავსტრალიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ლიხტენშტეინისა და თურქეთის წარმომადგენლებმა. ოლიმპიურ პროგრამაში პირველად შეიტანეს სამთო-სათხილამურო სპორტი, როგორც ქალთა ისე მამაკაცთა შორის (გათამაშდა მედლები ორჭიდში სლალომი და სწრაფდაშვება).

ნორვეგიელებმა აღადგინეს სტატუს-კვო. მათ დაამტკიცეს, რომ წინა ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ს სპორტსმენთა წარმატება შემთხვევითი იყო.

ივარ ბალანგრუდი

ზედიზედ მესამე ოლიმპიადა მოიგო სონია ჰენიმ, რომელსაც არც ამჯერად ჰყავდა ბადალი ფიგურულ სრიალში. ამ ოლიმპიადის შემდეგ სონია ჰენი პროფესიულ ბალეტში გადავიდა. იგი გადაღებულია 13 კინოფილმში.

IV ოლიმპიური თამაშების გმირად მაინც ნორვეგიელი ივარ ბალანგრუდი აღიარეს, რომელმაც სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ციგურებით რბენაში. მან მოიგო 500, 5 000 და 10 000 მეტრზე სირბილი და მეორე იყო 1 500 მეტრზე. ზედიზედ მეორე ოლიმპიადა მოიგო ტრამპლინიდან მოხტუნავე ბირგერ რუუდმა, ნორვეგიელი სპორტსმენი ერთადერთი იყო, რომელმაც ტრამპლინიდან ხტომაში მეორე ოლიმპიადაზე იმარჯვა.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დიდ წარმატებას მიაღწიეს გერმანელმა სპორტსმენებმა. მათ სამი ოქროს მედალი მოიგეს სამთო სათხილამურო ორჭიდში (2) და ფიგურულ სრიალში (წყვილებში).

გარმიშ-პარტენკირჰენის თამაშების სენსაციად მოინათლა ჰოკეიში კანადელების მარცხი, რომლებმაც წააგეს დიდი ბრიტანეთის გუნდთან და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ დიდი ბრიტანეთის ნაკრები ძირითადად თავისი დომინიონის — კანადის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს ნორვეგიელებმა, მათ 15 მედალი (7 ოქრო, 5 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) მოიგეს. მეორე ადგილი 6 მედლით გერმანელებმა დაიკავეს (შესაბამისად 3,3). მესამეზე გავიდნენ შვედები, რომლებმაც 7 მედალი მოიპოვეს (შესაბამისად 2, 2, 3).

1948

სანკტ-მორიცი

30 იანვარი - 8 თებერვალი

ზამთრის V ოლიმპიური თამაშები

ოცი წლის შემდეგ ოლიმპიური თამაშები კვლავ სანკტ-მორიცში გაიმართა. ცნობილია, რომ შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანა იყო და ამიტომაც შეაჩერა სოკ-მა არჩევანი ამ ქვეყანაზე.

ზამთრის V ოლიმპიურ თამაშებზე 28 ქვეყნის 669 სპორტსმენი (მათ შორის 77 ქალი) მონაწილეობდა. პირველად მიიღეს მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში დანიის, ისლანდიის, ლიბანის, ჩილეს და სამხრეთ კორეის გუნდებმა. სპორტის ხუთ სახეობაში გათამაშდა მედლების 22 კომპლექტი.

თხილამურებით რბოლაში სამი ოქროს მედალი მოიპოვეს შვედებმა. კონკურენციის გარეშე იყვნენ ნორვეგიელი ტრამპლინიდან მოხტუნავეები. სამივე მედალი მათი საკუთრება გახდა.

ციგურებით რბოლაში ისევ დომინირებდნენ ნორვეგიელები მათ ანგარიშზეა სამი ოქროს მედალი ოთხიდან. ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კვლავ ჩართეს სკელეტონი, სადაც პირველობა იტალიელებმა მოიპოვეს. ეს იყო ზამთრის თამაშების პირველი ოქროს მედალი იტალიელებისათვის.

პირველად ოკეანეს გაღმა წაიღეს ოქროს მედლები ფიგურულ სრიალში. ერთეულთა თანრიგში კანადელმა ბარბარა სკოტმა და ამერიკელმა რიჩარდ ბატონმა გაიმარჯვეს.

ბარბარა სკოტი

მორიგი სენსაციით დამთავრდა ტურნირი შაიბიან ჰოკეიში. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.თამაში ფრედ დამთავრდა. საორგანიზაციო კომიტეტმა გატანილი და მიღებული შაიბების სხვაობით გამოავლინა გამარჯვებული. იგი უკეთესი აღმოაჩნდა კანადელებს და ოქროს მედლებიც მათ გადასცეს.

საერთო გუნდური პირველი ადგილი 10 მედლით (4 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) დაიკავეს შვედეთის ნაკრების ნარმომადგენლებმა. მეორე-მესამე ადგილი შვეიცარიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა გუნდებმა გაიყვეს (შესაბამისად 3 - 3 ოქრო, 4 - 4 ვერცხლი, 2 2 ბრინჯაო).

1952

ოსლო

14 - 25 თებერვალი

ზამთრის VI ოლიმპიური თამაშები

პირველად ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქში. ნორვეგიის მთავრობისა და ოსლოს მუნიციპალიტეტის მიერ ბრწყინვალედ ორგანიზებული თამაშები ზამთრის სპორტის გრანდიოზულ ფესტივალად გადაიქცა. თამაშების დაწყების წინ მნყობრში ჩადგა ზამთრის ახალი სტადიონი, ბობსლეის თანამედროვე ტრასა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ტრამპლინს.

ოსლოს თამაშებში მონაწილეობა მიიღო 30 ქვეყნის 694 სპორტსმენმა (მათ შორის 109 ქალმა). პირველად ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ახალი ზელანდიის, პორტუგალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებმა იასპარეზეს.

როგორც წინა თამაშებში, აქაც სპორტის ხუთ სახეობაში გათამამდა მედლების 22 კომპლექტი.

პირველ რიგში თვალსაცემი იყო შვედების საკმაოდ სუსტი გამოსვლა სათხილამურო სპორტში, რომლებმაც მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხეს. ოქროს და ვერცხლის მედლები კი გაინაწილეს ნორვეგიელმა და ფინელმა სპორტსმენებმა. 18 გათამაშებული მედლიდან მათ 16 მოიგეს, რომელთაგან 3-3 ოქრო იყო.

არც ამჯერად დაარღვიეს ტრადიცია ნორვეგიელმა მოციგურავეებმა, რომლებმაც ოთხიდან სამი ოქროს მედალი მოიგეს და სამივე იალმარ ანდერსენის ანგარიშზეა.

ორი ოქროს მედლის მოპოვებით აღნიშნეს თავიანთი დებიუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბობსლეისტებმა. მათ დიდი უპირატესობით მოიგეს წყვილთა და ოთხეულთა თანრიგი. გერმანელებმა მოიგეს ასპარეზობა ფიგურულ სრიალშიც წყვილთა შორის.

თავისი მეორე ოლიმპიური თამაშები მოიგო ამერიკელმა ფიგურული სრიალის ოსტატმა რიჩარდ ბატონმა.

ორი ოქროს მედალი მოიგო ამერიკელმა სამთო მოთხილამურე ქალმა ანდრეა მიდ ლორენსმა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ დისტანციაზე მიდ ლორენსი დაეცა, მაგრამ წამოდგა, გააგრძელა შეჯიბრება და ოქროს მედალიც მოიგო. ასეთი რამ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში არასოდეს მომხდარა. კანადელმა ჰოკეისტებმა მეხუთედ მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა ნორვეგიელებს ხვდათ, რომლებმაც 16 მედალი მოიპოვეს (7 ოქრო, 3ვერცხლი, 6ბრინჯაო). მეორეზე აშშ-ს გუნდი გავიდა, მათ ანგარიშზეა 11 მედალი (შესაბამისად 4, 6, 1). 9 მედლით მესამე ადგილზე ფინელები გავიდნენ (შესაბამისად 3, 4, 2).

1956

კორტინა დ'ამპეცო

26 იანვარი - 5 თებერვალი

ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები

საკურორტო ქალაქ კორტინა დ'ამპეცოში თავი მოიყარა მსოფლიოს 32 ქვეყნის 820 სპორტსმენმა (მათ შორის 132 ქალმა).

სპორტის 5 სახეობაში გათამაშდა მედლების 24 კომპლექტი. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველად მიიღეს მონაწილეობა ბოლივიის, ირანის, გერმანიის გაერთიანებული გუნდისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა.

თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები ამოღებულ იქნა სათხილამურო რბოლა 18 კმ-ზე და მის ნაცვლად 15 და 30 კმ-ზე სირბილი შეიტანეს. დამატებულ იქნა ქალებისათვის ესტაფეტა 3X5 კმ-ზე.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოლიმპიური ფიცის ტექსტი წარმოთქვა ქალმა ჯულიანა კენალ მინუცომ.

VII ოლიმპიური თამაშების გმირად აღიარეს ავსტრიელი სამთო-მოთხილამურე 19 წლის ტონი ზაილერი, რომელმაც თავის ქვეყანას სამი ოქროს მედალი შესძინა.

ტონი ზაილერი

სენსაციად მონათლეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების დებიუტი ციგურებით რბოლაში. სპორტის სახეში, სადაც დომინირებდნენ სკანდინავიის ქვეყნები, საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხიდან სამ სახეში იმარჯვეს. თუმცა ერთ სახეში, 1 500 მეტრზე ევგენი გრიშინმა და იური მიხაილოვმა ერთნაირი შედეგი (2. 08,6) აჩვენეს, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდი იყო და ორი ოქროს მედალი მიიღეს.

წარმატებულად იასპარეზეს საბჭოთა ჰოკეისტებმა მათ ყველა მეტოქე დაამარცხეს და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. აღსანიშნავია, რომ 1952 წელს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი ვსევოლოდ ბობროვი, კორტინა დ ამპეცოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც კაპიტნობდა საბჭოთა ჰოკეისტების ნაკრებს და ერთ-ერთი საუკეთესო იყო ტურნირზე.

ბობსლეიში თითო ოქროს მედალი მოიპოვეს იტალიელებმა და შვეიცარიელებმა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, ზამთრის ოლიმპიური თამაშების დებიუტანტმა, სსრ კავშირის გუნდმა 16 მედალი მოიგო (7 ოქრო, 3 ვერცხლი, 6 ბრინჯაო). მეორე ადგილი წილად ხვდა ავსტრიის ნაკრებს — 11 მედალი (შესაბამისად 4, 3, 4). მესამე ადგილი დაიკავეს ფინეთის წარმომადგენლებმა 7 მედალი (შესაბამისად 3, 3, 1).

1960

სკვო-ველი

18 - 28 თებერვალი

ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშები

ზამთრის ოლიმპიური თამაშები მეორედ ჩატარდა ამერიკის კონტინენტზე. ორგანიზატორებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ ზამთრის სპორტის ეს უდიდესი ღონისძიება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს დაახვედრეს ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დონეზე აშენებული ყინულის სასახლე, ოთხი საციგურაო მოედანი, ოლიმპიური სოფელი და სხვა აუცილებელი შენობა ნაგებობები.

თამაშების გახსნის ცერემონიალი მასშტაბურობით და სანახაობით საუკეთესო იყო. მისი რეჟისურა და ხელმძღვანელობა ჰოლივუდის ცნობილ პროდიუსერს უილტ დისნეის დაევალა.

სკვო-ველის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო 30 ქვეყნის 665 სპორტსმენმა (მათ შორის 143 ქალმა). სპორტის 7 სახეობაში გათამაშდა მედლების 27 კომპლექტი.

პირველად ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი იქნა ბიატლონი და პირველი ოქროს მედალი მოიპოვა შვედმა ბიატლონისტმა კ. ლესტანდერმა.

ლიდია სკობლიკოვა

დიდი უპირატესობით მოიგეს ციგურებით სირბილი საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც პროგრამის რვა სახეობიდან ექვსში მოიპოვეს ოქროს მედლები. გარდა ამისა, მათ 3 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალიც ხვდათ. ორ-ორი ოქროს მედალი მოიგეს ევგენი გრიშინმა და ლიდია სკობლიკოვამ.

ფიგურულ ციგურაობაში სამივე ოქროს მედალი ამერიკის კონტინენტზე დარჩა. აქედან ორი ერგოთ აშშ-ს სპორტსმენებს და ერთი კანადელებს (ნყვილი).

ტრამპლინიდან ხტომა მოიგო გერმანიის გაერთიანებული გუნდის წევრმა ჰელმუტ რეკნაგელმა, რომელიც ადრე საკმაოდ წარმატებული ფეხბურთელი იყო.

ჰოკეიში თავისი პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა აშშ-ს გუნდმა, რომელმაც დაამარცხა ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდეგ კანადის ჰოკეისტები.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კვლავ დამაჯერებლად მოიპოვა პირველი ადგილი სსრ კავშირის სპორტულმა დელეგაციამ 21 მედალი (7 ოქრო, 5 ვერცხლი, 9 ბრინჯაო). მეორე ადგილზე გასულმა აშშ-ს ნაკრებმა 10 მედალი (3 ოქრო, 4 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) მოიპოვა. შვედებმა 7 მედალი მოიგეს (შესაბამისად 3, 2, 2) და მესამე ადგილს დასჯერდნენ.

1964

ინსბრუკი

29 იანვარი - 9 თებერვალი



ზამთრის IX ოლიმპიური თამაშები

IX ოლიმპიური თამაშები სარეკორდო იყო, როგორც მონაწილეთა რაოდენობით, ისე პროგრამის მრავალფეროვნებით.

თამაშებში მონაწილეობა მიიღო 36 ქვეყნის 1091 სპორტსმენმა (მათ შორის 200 ქალმა) შვიდ სახეობაში მედლების 34 კომპლექტი გათამაშდა.

პირველად ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღეს ინდოეთის, კსდრ-ს და მონღოლეთის გუნდებმა.

სათხილამურო სპორტში ტრადიციულად ძლიერები იყვნენ ჩრდილოეთის ქვეყნების წარმომადგენლები. ორი ოქროს მედალი მოიპოვა ფინელმა ე. მიანტურანტამ (15 და 30 კმ სირბილში). ყველა განაცვიფრა შვედმა მოთხილამურემ - სიკსტენ ერნბერგმა, რომელმაც ჯერ კიდევ 1956 წელს კორტინა დ ამპეცოში იმარჯვა 50 კმ რბენაში. იგი უძლიერესი იყო ამავე დისტანციაზე ინსბრუკში და მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი.

სამთო-სათხილამურო სპორტში ავსტრიელი და ფრანგი სპორტსმენები დომინირებდნენ. მათ ყველა დისტანციაში გაიმარჯვეს და სამშობლოში 3-3 ოქროს მედალი წაიღეს.

სამი ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ქალმა კ. ბოიარსკიხმა, რომელმაც მოიგო 5 და 10 კმ-ზე თხილამურებით რბოლა და თანაგუნდელებთან ერთად გაიმარჯვა ესტაფეტაში 3X5 კმ-ზე.

ნამდვილ სენსაციად იქცა საბჭოთა მოციგურავე ქალების გამოსვლა ინსბრუკში. გათამაშებული 12 მედლიდან მათ ცხრა მოიგეს, ხოლო ლიდია სკობლიკოვამ ოთხივე დისტანციაში იმარჯვა. იგი პირველი ქალია ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, ვისაც მოგებული აქვს ექვსი ოქროს მედალი. თავისი პირველი ოქროს მედალი ფიგურულ სრიალში ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა მოიპოვეს.

ჰოლანდიელები ყოველთვის მონაწილეობდნენ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ მათი ათლეტების საპრიზო ადგილებზე ყოფნა იშვიათობას წარმოადგენდა. ამ თამაშებამდე მათ არასდროს არ მოეგოთ ოქროს მედალი. ინსბრუკში ეს ტრადიცია დაარღვია ჰოლანდიელმა ფიგურულმა მოციგურავემ 22 წლის შაუკე დეიკსტრამ.

შაიბიან ჰოკეიში დაიბრუნეს უძლიერესის წოდება საბჭოთა ჰოკეისტებმა, რომლებსაც ყველა მეტოქე დაამარცხეს და მეორედ გახდნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე კვლავ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გავიდა. მათ ყულაბაში 25 მედალი (11 ოქრო, 8 ვერცხლი, 6 ბრინჯაო) აღმოჩნდა. მეორე ადგილზე ნორვეგიის გუნდი გავიდა- 15 მედალი (შესაბამისად 3, 6, 6). მესამე ადგილი ავსტრიელებს ხვდათ -12 მედალი (შესაბამისად 4, 5, 3).

1968

გრენობლი

6 - 18 თებერვალი

ზამთრის X ოლიმპიური თამაშები

გრენობლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე 37 ქვეყნის 1158 სპორტსმენი (მათ შორის 211 ქალი) მონაწილეობდა. ზამთრის სპორტის 7 სახეობაში გათამაშებული იქნა მედლების 35 კომპლექტი.

პირველად ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღეს მაროკოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებმა.

ჟან კლოდ კილი

გრენობლის ოლიმპიური თამაშების მშვენება იყო ფრანგი სამთო მოთხილამურე ვაჟი ჟან კლოდ კილი, რომელმაც სამივე დისციპლინა მოიგო და გაიმეორა ავსტრიელი ტონი ზაილერის მიღწევა. ამ გამარჯვებას კილისაგან ყველა ელოდა, რადგან ოლიმპიადის წინა, 1966 და 1967 წლებში, მან მსოფლიოს უდიდესი 30 შეჯიბრებებიდან 23 მოიგო.

სენსაციურად დაიწყო თხილამურებით რბოლა 30 კმ-ზე მამაკაცთა შორის. როგორც წინა ოლიმპიურ თამაშებზე ფავორიტებად აქაც ნორვეგიელი, შვედი, ფინელი და სსრკ-ს სპორტსმენები ითვლებოდნენ, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ფინიშის ხაზი პირველმა იტალიელმა ფრანკო ნონესმა გადაკვეთა. თავის შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც აშკარად დათმეს პოზიციები და მხოლოდ ხუთი ოქროს მოპოვება შესძლეს.

სათხილამურო რბოლა დამთავრდა ნორვეგიელთა სრული ტრიუმფით, მათ 6 უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს.

ჰოლანდიელები უძლიერესნი იყვნენ ციგურებით რბოლაში. მათ სამი ოქროს მედალი მოიგეს.

უძლიერესის სახელი, უკვე მეორედ, მოიპოვეს ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა.

შვედმა მოთხილამურე ქალმა ტოინი გუსტაფსონმა არავითარი შანსი არ დაუტოვა თავის მონინააღმდეგეებს და დიდი უპირატესობით მოიგო 5 და 10 კმ-ზე რბოლა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი ნორვეგიელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს 14 მედალი (6 ოქრო, 6 ვერცხლი, 2 ბრინჯაო). საბჭოთა კავშირის გუნდმა 13 მედლით (5 ოქრო, 5 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) მეორე ადგილი დაიკავა. მესამეზე გავიდა ავსტრიის ნაკრები -11 მედალი (შესაბამისად 3, 4, 4).

1972

საპორო

3 - 13 თებერვალი

ზამთრის XI ოლიმპიური თამაშები

პირველად ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა აზიის კონტინენტზე. 1928 წლიდან 1968 წლამდე იაპონელებს მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალი ჰქონდათ მოპოვებული (1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში იგი სამთო მოთხილამურე ტიჰარუ იგაიამ მიიღო). საპორო შესანიშნავად მომზადებული შეხვდა თამაშებს.

XI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო 35 ქვეყნის 1006 სპორტსმენმა (მათ შორის 206 ქალმა), რომლებმაც სპორტის შვიდი სახეობის 35 დისციპლინაში გაითამაშეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

პირველად ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონანილეობა მიიღეს ფილიპინელმა სპორტსმენებმა.

საპოროს თამაშების გმირებად აღიარეს ნიდერლანდელი მოციგურავე არნდ სხენკი და რუსი გალინა კულაკოვა. სხენკმა სამი ოქროს მედალი მოიგო, ხოლო კულაკოვამ იმარჯვა თხილამურებით რბოლაში. ორი ოქროს მედალი მოიგო რუსმა ვიაჩესლავ ვედენინმა, იგი პირველი საბჭოთა მამაკაცი სპორტსმენია, რომელმაც სათხილამურო რბოლაში მოიპოვა გამარჯვება. იგი უძლიერესი აღმოჩნდა 30 კმ-ზე რბოლაში და ესტაფეტაში.

იაპონელთა ტრიუმფით დასრულდა 70 მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობა - მათ პედიესტალის სამივე საფეხური დაიკავეს. იუკიო კასაი გახდა იაპონიის ზამთრის სპორტის ისტორიაში პირველი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ძლიერად გამოვიდნენ ოლიმპიადაზე გდრ-ის სპორტსმენები. მიუხედავად იმისა, როს ისინი მეორედ მონანილეობდნენ დამოუკიდებელი გუნდით, მათ 14 მედალი მოიპოვეს 4 ოქრო, 3 ვერცხლი და 7 ბრინჯაო იყო.

არნდ სხენკი

პირველი ოქროს მედალი მოიპოვეს ზამთრის ოლიმპიადაზე ესპანელებმა, ფრანცისკო ფერნანდეს ოჩოიამ ყველას აჯობა სლალომში.

პირველად ზამთრის თამაშების ისტორიაში სსრკ-ს სპორტსმენებმა ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვეს საციგურაო რბოლებში.

შაიბიან ჰოკეიში ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც ზედიზედ მესამედ იმარჯვა თამაშებში.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაიბრუნა სსრკ-ს ნაკრებმა, რომელმაც 16 მედალი მოიპოვა (8 ოქრო, 5 ვერცხლი და 3 ბრინჯაო) მეორე ადგილი გდრ-ის გუნდმა დაიკავა -14 მედალი (შესაბამისად 4, 3, 7). მესამეზე 12 მედლით ნორვეგიელები გავიდნენ (2,5,5).

1976

ინსბრუკი

4 - 15 თებერვალი



ზამთრის XII ოლიმპიური თამაშები

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მიენიჭა ამერიკის შერთებული შტატების ქ. დენვერს, მაგრამ 1972 წელს კოლორადოს შტატის მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა არ მისცა დენვერში ოლიმპიური თამაშების ჩატარებას და სოკ-ი იძულებული გახდა შემცვლელი ეძებნა. ამის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თავიათი კანდიდატურები წარუდგინეს ინსკბრუკმა, ტამპერემ, შამონიმ და ლეიკ-პლესიდმა. სოკ-მა არჩევანი ინსბრუკზე შეაჩერა.

ავსტრიის ეს საკურორტო ქალაქი 12 წლის შემდეგ კვლავ გახდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 37 ქვეყნის 1123 სპორტსმენმა (მათ შორის 231 ქალმა), რომლებმაც მედლების 37 კომპლექტი გაითამაშეს.

ოლიმპიურ თამაშებში პირველად მიიღეს მონაწილეობა ანდორის, ისლანდიისა და სან-მარინოს წარმომადგენლებმა.

უძლიერესები იყვნენ გერმანელი სპორტსმენები ტრამპლინიდან ხტომასა და სათხილამურო ორჭიდში. 70 მეტრიან ტრამპლინზე იმარჯვა ჰანს-გეორგ აშენბახმა, ორჭიდში კი კონკურენციის გარეშე იყო ულრიხ ველინგი, რომელმაც ზედიზედ მეორე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო 1972 წელს საპოროშიც.

ბიატლონში აშკარა იყო საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა, რომლებმაც იმარჯვეს, როგორც პირად პირველობაში, ისე ესტაფეტაში 4X7,5 კმ-ზე, ხოლო ნ. კრუგლოვამ ორი ოქროს მედალი მოიგო. ორი ოქროს მედალი ხვდა საბჭოთა მოთხილამურეებს, რომლებმაც 15 და 30 კმ-ზე რბოლაში იმარჯვეს. ორი ოქროს მედალი ერგოთ ქალებსაც, მათ გაიმარჯვეს 10 კმ-ზე რბოლაში და ესტაფეტაში 4X5 კმ-ზე. საბჭოთა გუნდის ლიდერმა რ. სმეტანინამ 2 ოქრო და 1 ვერცხლის მედალი მოიგო. ოთხიდან სამი ოქროს მედალი მოიპოვეს საბჭოთა მოციგურავე ქალებმა, ისინი პირველები იყვნენ 1000 მ (ტ. ავერინა), 1500 მ (გ. სტეპანსკაია) და 3000 მ დისტანციაზე (ტ. ავერინა). ტ. ავერინამ ორ ოქროს მედალს კიდევ ორი ბრინჯაოს მედალი დაუმატა 500 და 1500 მეტრზე ციგურობაში. აღსანიშნავია, რომ რაისა სმეტანინამ, რომელმაც ზამთრის ოთხ ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა, მოიპოვა 3 ოქროს, 5 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი.

აღსანიშნავია ამერიკელი მოციგურავე ქალი შეილ იანგი, რომელმაც თითო ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიგო. იმავე წლის გაზაფხულზე კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ველოსპორტში (სპრინტი).

ინსბრუკის ზამთრის XII ოლიმპიურ თამაშებზე პირველად ჩატარდა შეჯიბრება ყინულზე ცეკვებში. დებიუტი იღბლიანი გამოდგა საბჭოთა დუეტისათვის. ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი გახდნენ პირველი ოლიმპიური ჩემპიონები. კვლავ გაიმარჯვეს ფიგურულ სრიალში ი. როდნინას და ა. ზაიცევის წყვილმა. კონკურენციის გარეშე იყვნენ საბჭოთა ჰოკეისტები, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს და ზედიზედ მეოთხედ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 27 მედლით (13 ოქრო, 6 ვერცხლი, 8 ბრინჯაო) საბჭოთა კავშირის ნაკრებმა საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ გდრ-ის სპორტსმენებს, რომლებმაც 19 მედალი მოიგეს (შესაბამისად 7, 5,7). მესამე ადგილზე გავიდა აშშ-ს ნაკრები 10 მედალი (3, 3, 4).

1980

ლეიკ პლესიდი

13 - 24 თებერვალი

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ლეიკ პლესიდმა მეორედ უმასპინძლა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს (პირველად 1932 წელს), სადაც მსოფლიოს 37 ქვეყნის 1072 სპორტსმენი (მათ შორის 233 ქალი) მონაწილეობდა. სპორტის 7 სახეობაში გათამაშდა მედლების 38 კომპლექტი.

ლეიკ პლესიდის ოლიმპიური თამაშების გმირად აღიარეს ამერიკელი ციგურებით მორბენალი — ერიკ ჰეიდენი, რომელმაც ყველა დისტანცია მოიგო და ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. მან ფაქტიურად განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის საერთო წარმატება და სამეულში მოხვედრა.

ძლიერად გამოვიდა სსრ კავშირის ნაკრების მოთხილამურე ნიკოლაი ზამიატოვი, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიგო (30 კმ, 50 კმ და ესტაფეტა 4X10 კმ) და პირველი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია რუს მოთხილამურეებს შორის. მესამე ოქროს მედლი მოიპოვა საქვეყნოდ აღიარებულმა ფიგურული ციგურაობის ოსტატმა ირინე როდნინამ, რომელიც 1972 და 1976 წელსაც თავის ძველ მეწყვილესთან ალექსანდრე ზაიცევთან ერთად იყო ოლიმპიადის ლაურეატი.

ერიკ ჰეიდენი

საბჭოთა ბიატლონისტმა ა. ტიხონოვმა მეოთხედ მოიგო ოლიმპიური თამაშები (იგი ჩემპიონი იყო 1968, 1972 და 1976 წლებში).

მართალია ლეიკ პლესიდში საპრიზო ადგილების მოპოვება ვერ შეძლო შვედმა კარლერიკ ერიკსონმა, მაგრამ ეს 53 წლის ბობსლეისტი მეექვსე ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდა.

ჩინებულად იასპარეზეს გერმანელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც 10 ოქროს მედალი მოიპოვეს. შეუდარებელი იყო ორჭიდელი ულრიხ ველინგი, რომელიც ზედიზედ მესამედ გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

მოულოდნელობად აღიარეს აშშ-ს ჰოკეისტთა ახალგაზრდული გუნდის გამარჯვება. ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს გუნდი მთლიანად დაიშალა, რადგან ყველა მისი წევრი პროფესიულ კლუბებში გადავიდნენ.

საკმაოდ სუსტად გამოვიდნენ ნორვეგიელი ოლიმპიელები. ლეიკ პლესიდში პირველად ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მათ მხოლოდ ერთი ოქროს მედალი მოიგეს, ხოლო სათხილამურო სპორტში საერთოდ უმედლოდ დარჩნენ.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი გდრ-ის გუნდმა დაიკავა რომელმაც 24 მედალი მოიპოვა (10 ოქრო, 7 ვერცხლი, 7 ბრინჯაო) ამჯერად მეორე ადგილზე სსრკ-ს ნაკრები გავიდა, მათ ანგარიშზეა 22 მედალი (შესაბამისად 10, 6 6). მესამე ადგილზე 12 მედალით აშშ-ს ნაკრები დარჩა (შესაბამისად 6, 4, 2).

1984

სარაევო

8 - 19 თებერვალი



ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშები

იუგოსლავიის ზამთრის საკურორტო ქალაქ სარაევოში თავი მოიყარა 49 ქვეყნის 1274 სპორტსმენმა (მათ შორის 274 ქალმა), რომლებმაც სპორტის 7 სახეობაში მედლების 39 კომპლექტი გაითამაშეს.

ციგურებით რბოლაში გდრ-ის სპორტსმენები დომინირებდნენ. მათ სხვადასხვა სინჯის 11 მედალი მოიგეს. გდრ-ის ქალთა გუნდმა ოთხივე დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო 3000 მეტრზე რბოლაში მთელი პოდიუმი დაიკავა. გუნდის ლიდერმა კარინ ენკემ ორი ოქროს (1000და 1500მ) და ორი ვერცხლის (500 და 3000 მ) მედალი მოიგო.

მარია-ლიზა ჰამალაინენი

ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი ნილად ხვდა კანადელ მოციგურავე ვაუს გაეტან ბუშეს.

სამი ოქროს მედალი ერგო ფინელ მოთხილამურე მარია-ლიზა ჰამალაინენს, რომლის შესანიშნავმა გამოსვლამ ფაქტიურად განაპირობა ფინეთის გუნდის მესამე ადგილზე გასვლა. ორი ოქროს მედალი მოიპოვა შვედ-მა მოთხილამურემ გუნდე სვანმა.

ტრამპლინიდან ხტომაში მედლები ორ დისციპლინაში თამაშდებოდა ორივე ტრამპლინზე (70 და 90 მეტრიანები) ვერცხლის და ოქროს მედალი ორ სპორტსმენს ხვდა.70 მეტრზე გდრ-ის გუნდის წევრმა იენს ვეის-ფლოგმა გაიმარჯვა, მეორე ადგილზე ფინე-ლი მატი ნიუკიანენი გავიდა. 90 მეტრიან ტრამპლინზე კი მათ ადგილები გაცვალეს.

მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ე.წ. ალპური ქვეყნების ათლეტებს სამთო-სათხილამურო სპორტში აშშ-ს სპორტსმენებმა, რომლებმაც ყველაზე მეტი (5) მედალი მოიგეს და აქედან 3 ოქროს და 2 ვერცხლის იყო. ორი ოქროს მედალი იტალიელებმა წაიღეს და ორიც შვეიცარიელებმა.

კონკურენციის გარეშე იყვნენ გდრ-ის ბობსლეისტები, რომლებმაც ორ და ოთხ-ადგილიან კლასში ორი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ვოლფგანგ ჰოპე და დიტმარ შაუერჰამერი.

ჰოკეის ტურნირში იმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა 25 მედლით სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა (6 ოქრო, 10 ვერცხლი, 9 ბრინჯაო). მეორე ადგილზე გდრ-ი გავიდა — 24 მედლით (9 ოქრო, 9 ვერცხლი, 6 ბრინჯაო), 13 მედლით მესამე იყვნენ ფინელები (შესაბამისად, 4, 3, 6).

1988

კალგარი

13 - 28 თებერვალი



ზამთრის XV ოლიმპიური თამაშები

ოლიმპიური თამაშების კალგარიში ჩატარების თხოვნით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ადრე ექვსჯერ მიმართა კანადის ოლიმპიურმა კომიტეტმა. მეშვიდე ცდა კალგარისთვის იღბლიანი გამოდგა და 13-28 თებერვალს მსოფლიოს 57 ქვეყანამ 1423 (მათ შორის 313 ქალი) სპორტსმენი მოავლინა ოლიმპიურ თამაშებზე. სპორტის 10 სახეობაში გათამაშდა მედლების 46 კომპლექტი.

პირველად ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა სამთო-სათხილამურო სპორტის ოთხი ახალი დისციპლინა (ქალებისა და მამაკაცებისათვის სლალომი-სუპერგიგანტი და ალპური ორჭიდი), ტრამპლინიდან ხტომაში და სათხილამურო ორჭიდში გუნდური შეჯიბრებები და ქალებისათვის ციგურებით 5000 მ-ზე რბოლა.

სათხილამურო სპორტში ყველაზე ძლიერად სსრკ-ს გუნდი გამოვიდა. მათ 15 მედალი მოიგეს, მათ შორის 5 ოქრო. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა თამარა ტიხონოვმა.

ორგზის ჩემპიონი გახდა შვედი მოთხილამურე გუნდე სვანი, რომელსაც წინა თამაშებზეც ორი ოქროს მედალი უკვე მოპოვებული ჰქონდა და ოლიმპიური თამაშების ოთხგზის გამარჯვებული გახდა. კვლავ შეუდარებელი იყო ფინელი ტრამპლინიდან მოხტუნავე მატი ნიუკიანენი, რომელმაც მოიგო 70 და 90 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა და თავისი წვლილი შეიტანა ფინეთის გუნდის გამარჯვებაში. ეს მისი მეოთხე ოლიმპიური ოქროს მედალი იყო.

სამთო-სათხილამურო სპორტში თავისი რეპუტაცია აღიდგინეს ალპურმა სახელმწიფოებმა. შვეიცარიელებმა 11 მედალი (მათ შორის 3 ოქრო) მოიპოვეს. ავსტრიელებს 3 ოქროს მედალი ხვდათ, იტალიელებს 2, გფრ-სა და საფრანგეთს კი თითო-თითო. მეორედ იზეიმა ჩემპიონობა მსოფლიო თასის შვიდგზის მფლობელმა იტალიელმა ალბერტო ტომბამ.

სამი ოქროს მედლის მფლობელი გახდა ჰოლანდიელი მოციგურავე ქალი ივონა ვან ჰენიპი, რომელმაც გაიმარჯვა 1500, 3000 და 5000 მეტრზე რბოლაში.

ორი მედალი (ოქრო და ვერცხლი) მოიპოვა გდრ-ის სპორტსმენმა ქალმა კრისტი როტენბურგენ-ლუდინგმა, რომელმაც ამავე წელს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სეულში ვერცხლის მედალი მოიგო ველოტრეკზე — სპრინტში.

ბიატლონში ორივე დისტანცია გერმანელმა ფრანც-პეტერ რიოჩმა მოიგო. მეექვსე ოლიმპიური თამაშები მოიგო ბიატლონის ესტაფეტაში სსრ კავშირის ნაკრებმა. ჰოკეიში ჩემპიონი კვლავ სსრკ-ს გუნდი გახდა.

მაღალი შედეგები უჩვენეს სსრკ-ს წარმომადგენლებმა ფიგურულ სრიალში. მათ ორი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს.

ზედიზედ მეორე ოლიმპიური თამაშები მოიგო გერმანელმა კატარინა ვიტმა, რომელიც უძლიერესი იყო ქალთა ერთეულთა თანრიგში.

არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე 29 მედლით (11 ოქრო, 9 ვერცხლიმ, 9 ბრინჯაო) სსრკ-ს ნაკრები გავიდა. გდრ-ის გუნდმა 25 მედლი მოიგო და მეორე ადგილი დაიკავა (შესაბამისად 9,10, 6). მესამეზე აღმოჩნდა შვეიცარიის გუნდი — 15 მედალი (5, 5, 5).

1992

ალბერვილი

8 - 23 თებერვალი



ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშები

ალბერვილის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო 64 ქვეყნის 1801 სპორტსმენმა (მათ შორის 488 ქალი), რომლებმაც სპორტის 12 სახეობაში მედლების 57 კომპლექტი გაითამაშეს.

კალგარის 1988 წლის თამაშებთან შედარებით მონაწილე ქვეყნების რაოდენობა შვიდით გაიზარდა.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამას დაემატა. ქალების ბიატლონი, სათხილამურო რბოლა 30 კმ-ზე (20 კმ-ის ნაცვლად), ფრისტაილი, შორტ-ტრეკი, 120 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა, ქარლინგი.

პირველად ერთი გუნდით გამოვიდა გაერთიანებული გერმანია. ასევე გაერთიანებული გუნდით გამოვიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები დქგგ-ს სახელწოდებით.

თუ 1988 წელს კალგარიში ოქროს მედლები 11 ქვეყნის წარმომადგენლებმა გაინაწილეს, ალბერვილში ეს რიცხვი 14-მდე გაიზარდა, ყველა სინჯის მედალი კი 20 ქვეყნის ათლეტებმა მოიპოვეს (კალგარიში 17).

ვეგარდ ულვანგმა

ზამთრის სპორტის სახეებში გამოჩნდნენ ჩემპიონები და პრიზიორები კორეიდან და ახალი ზელანდიიდან.

აღსანიშნავია, რომ ალბერვილის ოლიმპიურ თამაშებზე სტუმრის სტატუსით იმყოფებოდნენ 1932 წლის ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი ციგურებით რბოლაში 84 წლის ჯეკ ში, და 95 წლის ჩარლზ ჯუთროუ 1924 წლის შამონის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 500 მეტრზე ციგურებით სრიალში.

ბრწყინვალე შედეგს მიაღწიეს ნორვეგიის მამაკაცმა მოთხილამურეებმა, რომლებმაც ყველა დისტანციაზე და ესტაფეტაში 4X10 კმ-ზე იმარჯვეს და ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს. თავი ისახელა ვეგარდ ულვანგმა, რომელმაც სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ბიატლონში სამი ოქროს მედალი მოიგეს გერმანელმა სპორტსმენებმა, მათ ასევე იმარჯვეს საციგურაო რბოლებში, რომელშიც 5 ოქროს მედალი დაიმსახურეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა გერმანიის სპორტსმენებმა დაიკუთრეს, მათ ანგარიშზეა 26 მედალი (10 ოქრო, 10 ვერცხლი, 6 ბრინჯაო). მეორე ადგილი წილად ხვდა დქგგ-ს ნაკრებს - 23 მედალი (9, 6, 8 შესაბამისად). 20 მედლით (9, 6, 5) მესამე ადგილზე ნორვეგიელი ოლიმპიელები გავიდნენ.

1994

ლილეჰამერი

12 - 27 თებერვალი



ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშები

ნორვეგიამ ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მეორედ უმასპინძლა ოლიმპიადას. ლილეჰამერის თამაშებში მონაწილეობა 67 ქვეყნის 1739 სპორტსმენმა (მათ შორის 522 ქალმა) მიიღო, რომლებმაც სპორტის 12 სახეობაში მედლების 61 კომპლექტი გაითამაშეს.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში დამოუკიდებელი გუნდებით ასპარეზობდნენ უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, ჩეხეთი, საქართველო, სლოვაკეთი და სხვა ქვეყნები.

ამ ოლიმპიადაზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ნორვეგიელმა მოციგურავემ ოლავ კოსმა, რომელმაც ოთხი დისციპლინიდან სამში იმარჯვა და სამივე სახეობაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ასევე სამი ოქროს მედალი მოიპოვა რუსმა მოთხილამურემ ლ. ეგოროვამ. ამ ლენინგრადელმა სპორტსმენმა 1992 წელს საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ალბერვილშიც სამი ოქროს მედალი მოიგო. იგი ერთ-ერთი ტიტულოვანი სპორტსმენი გახდა რუსეთში.

ოლავ კოსი

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად გაიმარჯვეს შვედეთის ჰოკეისტებმა, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს.

სენსაციად იქნა მონათლული იტალიელი მოთხილამურე ქალის მ. დიჩენტას გამარჯვება.

აღსანიშნავია შვეიცარელი სამთო მოთხილამურე ვ. შნაიდერი, რომელმაც 1988– 1994 წლებში სლალომს და გიგანტურ სლალომში 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გუნდური გამარჯვება წილად ნორვეგიელებს ხვდათ — 26 მედალი (10 ოქრო, 11 ვერცხლი, 5 ბრინჯაო). მეორეზე გერმანიის გუნდი გავიდა — 24 მედლით (შესაბამისად 9-7-8), ხოლო მესამეზე რუსეთის ნაკრები — 23 მედალი (შესაბამისად 11-8-4).

1998

ნაგანო

8 - 22 თებერვალი

ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშები

იაპონიამ 1972 წელს საპოროს ოლიმპიური თამაშების შემდეგ მეორედ უმასპინძლა ზამთრის სპორტის წარმომადგენლებს. ნაგანოში თავი მოიყარეს 72 ქვეყნის 2177 სპორტსმენმა (მათ შორის 814 ქალმა). სპორტის 14 სახეობაში, მედლების 68 კომპლექტი გათამაშდა.

ზამთრის ეს თამაშები XX საუკუნეში უკანასკნელი იყო.უნდა აღინიშნოს, რომ ნაგანოს თამაშების წინ პოლიტიკური სიტუაცია მსოფლიოში საგრძნობლად დაიძაბა. საქმე ეხებოდა ერაყის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და ოლიმპიადის ჩატარებას ხელი არაფერმა შეუშალა.

ბიორნ დელი

ოლიმპიადის მონაწილეთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნორვეგიელი მოთხილამურე ბიორნ დელი, რომელმაც წინა თამაშებზე მოპოვებულ ხუთ ოქროს მედალს ნაგანოში კიდევ სამი შეეშმატა და ზამთრის ოლიმპიური სპორტის ისტორიაში პირველი სპორტსმენი გახდა, რომელსაც რვა უმაღლესი ტიტული აქვს მოპოვებული.

ნაგანოშიც ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობდა გერმანიის, ნორვეგიისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

რუსეთის მოთხილამურე ქალებმა ყველა დისტანცია მოიგეს და ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს. აქედან სამი ლ. ლაზუტინამ მოიგო. მოთხილამურეებს არც ფიგურული ციგურაობის ოსტატები ჩამორჩნენ. მათ ოთხი დისციპლინიდან სამში გამარჯვება იზეიმეს.

ჰოკეისტთა ტურნირზე პირველად ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ჩემპიონობა ჩეხეთის ნაკრებმა მოიპოვა, მათ გადამწყვეტ ბრძოლაში რუსეთის გუნდს სძლიეს.

არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე, 29 მედლით (12 ოქრო, 9 ვერცხლი და 8 ბრინჯაო) გერმანელი სპორტსმენები გავიდნენ. მეორე ადგილზე ნორვეგიელი ოლიმპიელები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მედლების 25 კომპლექტი დაისაკუთრეს (10 ოქრო, 10 ვერცხლი, 5 ბრინჯაო) მესამე ადგილი კი 15 მედლით რუსეთის ნაკრებს ხვდა წილად (9 ოქროს, 6 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი).

2002

სოლტ ლეიკ სიტი

8 - 24 თებერვალი

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშები

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეოთხედ უმასპინძლა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. სოლტ ლეიკ სიტიში მსოფლიოს 77 ქვეყნის 2399 სპორტსმენი (მათ შორის 886 ქალი) ასპარეზობდა. სპორტის 15 სახეობაში გათამაშდა მედლების 78 კომპლექტი.

თამაშების გახსნა მოხდა ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც 44500 მაყურებელს იტევდა. საღამოს შვიდ საათზე სტადიონის ყინულის საფარზე, რომელიც მარილის დიდ ტბას წააგავდა, გამოჩდნენ სპორტსმენები დროშებით, რომლებზეც ყველა თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქი იყო წარწერილი — შამონიდან - სოლტ ლეიკ სიტამდე. შემდეგ დადგა საზეიმო და ამავე დროს სამგლოვიარო წუთი. მოედანზე გამოვიდა აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, სოკის პრეზიდენტი ჟაკ როგი და ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშების ორგკომიტეტის ხელმძღვანელი მიტ რომნი. არენაზე შემოიტანეს დროშა, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთ ცათამბჯენზე იყო აღმართული 2001 წლის 11 სექტემბერს. ეს დროშა ამერიკელებისათვის ხატად გადაიქცა. მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო იმ საშინელი ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას. შემდეგ შემოიტანეს ოლიმპიური დროშა, რომელიც ხელთ ეპყრათ პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტს ლეხ ვალენსას, რეჟისორ და პროდიუსერ სტივენ სტილბერგს, აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლ ბიშოპ დესმონდ ტუტუს, ყოფილ კოსმონავტს და სენატორს ჯონ გლენს, 1968 წლის გრენობლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონს სამთომოთხილამურეს ჟან კლოდ კილის და სიდნეის ოლიმპიადის გმირს, მწვანე კონტინენტის აბორიგენს კეტი ფრიმენს. სპორტი ნამდვილად აერთიანებს კონტინენტებს — ერთი ოლიმპიური დროშა ხელთ ეპყრათ ხუთი მატერიკის წარმომადგენლებს.

ოლე ეინარ ბიორდალენ

ოლიმპიური ცეცხლის დანთება არაორდინალური იყო. რამოდენიმე წუთის მანძილზე ოლიმპიური ჩირაღდანი ხელიდან ხელში გადადიოდა. მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები ფიგურული მოციგურავეები პეგი ფლემინგი და სკოტ ჰემილტონი, ოლიმპიადების ყოფილი მონაწილეები ჯიმ ში — უფროსი და მისი ვაჟი, დღევანდელი ოლიმპიელი ჯიმში უმცროსი გადასცემენ მას კემი გრანატოს და პიკაბო სტრიტს, რომლებიც ჩირაღდნით ხელში მიდიან სტადიონზე აღმართულ ფიალასთან. აქვე მოდიან 1980 წელს ჰოკეის ტურნირში გამარჯვებული ოლიმპიური

ჩემპიონების გუნდის წევრები, თავისი კაპიტნის – მაიკ ერუზინის თავკაცობით და ყველა ერთდროულად ანთებენ ოლიმპიურ ცეცხლს.

რაც შეეხება სპორტულ ასპარეზობას, სოლტ ლეიკ სიტიში ბრძოლა ძირითადად ორ გუნდს შორის მიმდინარეობდა. გერმანელებმა და ამერიკელებმა,რომლებმაც შესაბამისად 35 და 34 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს, გააუმჯობესეს სსრკ-ს (1988 წლის) და გერმანიის (1998 ნ) შედეგი, როდესაც მათ 29~29 მედალი მოიპოვეს.

ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ნორვეგიელმა ბიატლონისტმა ოლე ეინარ ბიორდალენმა, რომელმაც ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა.

სამი ოქროს მედალი ფინელ ორჭიდელს – სამპა ლაუნენს ხვდა წილად. თუ წინა ოლიმპიურ თამაშებზე შორტ-ტრეკში დომინირებდნენ კორეელი სპორტსმენები, სოლტ ლეიკ სიტიში კანადელმა მარკ განიონმა 2 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიგო.

ოლიმპიადის გმირად ხორვატი ქალი იანიცა კოსტელიჩი შერაცხეს, რომელმაც სამთო-სათხილამურო სპორტში სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

გერმანელმა ბიატლონისტმა კატი ვილპელმმა ბიატლონში ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიგო.

გერმანელმა საბინა ფელკერმაც 2 ოქრო და 1 ვერცხლი მოიგო ციგურებით რბოლაში.

ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს რუსმა ქალებმა თხილამურებით რბოლასა და ბიატლონში. აქედან ორი ოქროს მედალი მოიგო ლარისა ლაზუტინამ, რომელსაც წინა თამაშებში (1998 წელი ნაგანო) უკვე მოგებული ჰქონდა სამი ოქროს მედალი.

სენსაციად იქცა შვეიცარელი ტრამპლინიდან მოხტუნავე სიმონ ამანის წარმატება, რომელმაც ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

არანაკლებ სენსაციური იყო ესპანელი მოთხილამურის იოჰან მიულეგის გამარჯვება ორ დისტანციაზე.

ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა ჰოლანდიელმა მოციგურავემ იოჰემ იტდეჰაგემ.

სამთო-სათხილამურო სპორტში ნორვეგიელმა კეტილ-ანდრე ომოტმა ორი ოქროს მედალი მოიგო.

იანიცა კოსტელიჩი

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა გერმანელმა ოლიმპიელებმა მოიპოვეს. მათ ანგარიშზეა 35 მედალი,(შესაბამისად 12 ოქრო, 16 ვერცხლი და 7 ბრინჯაო). მეორე ადგილი ხვდა წილად აშშ-ს ნაკრებს - 34 მედალი (10, 13, 11). მესამეზე 24 მედლით ნორვეგიის გუნდი გავიდა (შესაბამისად 11, 7, 6).

ზამთრის ოლიმპიური თამაშების სტატისტიკა

ოლიმპიური თამაშების რიგითი №	ჩატარების თარიღი	ქვეყანა და ქალაქი	მონაწილე ქვეყნების რაოდენობა	ჯათამაშებული მედლების კომპლექტი	მონაწილეთა რაოდენობა		
					სულ	მათ მორის	
						ქალი	კაცი
I	1924 წ. 25.01-05.02	საფრანგეთი შამონი	16	16	258	13	245
II	1928 წ. 11.02-19.02	შვეიცარია საკტ-მორიცი	25	14	464	26	438
III	1932 წ. 04.02-15.02	აშშ ლეიკ-პლესიდი	17	14	252	21	231
IV	1936 წ. 06.02-16.02	გერმანია გარმიშ-პარტენკირპენი	28	17	668	80	588
V	1948 წ. 30.01-08.02	შვეიცარია საკტ-მორიცი	28	22	669	77	592
VI	1952 წ. 14.02-25.02	ნორვეგია ოსლო	30	22	694	109	585
VII	1956 წ. 26.01-05.02	იტალია კორტინა-დამპეცო	32	24	820	132	688
VIII	1960 წ. 18.02-28.02	აშშ სკვო-ველი	30	27	665	143	522
IX	1964 წ. 29.01-09.02	ავსტრია ინსბრუკი	36	34	1091	200	891
X	1968 წ. 06.02-18.02	საფრანგეთი გრენობლი	37	35	1158	211	947
XI	1972 წ. 03.02-13.02	იაპონია საპორო	35	35	1006	206	800
XII	1976 წ. 04.04-15.02	ავსტრია ინსბრუკი	37	37	1123	231	892
XIII	1980 წ. 13.02-24.02	აშშ ლეიკ-პლესიდი	37	38	1072	233	839
XIV	1984 წ. 08.02-19.02	იუგოსლავია სარაევო	49	39	1274	274	1000
XV	1988 წ. 13.02-28.02	კანადა კალგარი	57	46	1423	313	1110
XVI	1992 წ. 08.02-23.02	საფრანგეთი ალბერვილი	64	57	1801	488	1313
XVII	1994 წ. 12.02-27.02	ნორვეგია ლილეჰამერი	67	61	1739	522	1217
XVIII	1998 წ. 07.02-22.02	იაპონია ნაგანო	72	68	2177	814	1488
XIX	2002 წ. 08.02-24.02	აშშ სოლტ ლეიკ სიტი	77	78	2399	886	1413
				სულ	20743	4979	15764

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, 1924 წლიდან 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის თამაშების ჩათვლით, გათამაშდა მედლების 684 კომპლექტი.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

1. ნორვეგიამ — 263 მედალი (94 ოქრო, 94 ვერცხლი, 75 ბრინჯაო);
2. აშშ-მ — 241 მედალი (94 ოქრო, 73 ვერცხლი, 74 ბრინჯაო);
3. გერმანიამ — 182 მედალი (65 ოქრო, 66 ვერცხლი, 51 ბრინჯაო);

ერთ ოლიმპიადაზე ყველაზე მეტი მედალი მოიგეს:

1. გერმანიამ — 35 მედალი (12 ოქრო, 16 ვერცხლი, 7 ბრინჯაო) — 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტი;
2. აშშ-მ — 34 მედალი (შესაბამისად 10, 13, 1) — 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტი.
3. სსრკ-მ — 29 მედალი (11, 9, 9 — 1988 წ.), კალგარი.

ერთ ოლიმპიადაზე ყველაზე მეტი ოქროს მედალი მოიგეს:

1 სსრკ-მ — 13 (1976 წ.) ინსბრუკი;
2 გერმანიამ — 12 (1998 წ.) ნაგანო;
3 გერმანიამ — 12 (2002 წ.) სოლტ ლეიკ სიტი;

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენები:

1 ბიორნ დელი (ნორვეგია, მოთხილამურე) — 8 ოქრო, 4 ვერცხლი;
2 ლიუბოვ ეგოროვა (რუსეთი, მოთხილამურე) — 6 ოქრო, 3 ვერცხლი;
3 ლიდია სკობლიკოვა (სსრკ, ციგურები) — 6 ოქრო;
4 ლარისა ლაზუტინა (რუსეთი, მოთხილამურე) — 5 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო;
5 კლას ტუნბერგი (ფინეთი, ციგურები) — 5 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო;
6 ოლე-ეინარ ბიორდალენი (ნორვეგია, ბიატლონი) — 5 ოქრო, 1 ვერცხლი;
7 ბონი ბლეიერი (აშშ, ციგურები) — 5 ოქრო, 1 ვერცხლი;
8 ერიკ ჰაიდენი (აშშ, ციგურები) — 5 ოქრო;

ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

12 — ბიორნ დელიმ (8 ოქრო, 4 ვერცხლი).
10 — რაისა სმეტანინამ (შესაბამისად (4, 5, 1) — (სსრკ, მოთხილამურე);
9 — ლიუბოვ ეგოროვამ (6, 3, 0) (რუსეთი, მოთხილამურე);
9 — ლარისა ლაზუტინამ (5, 3, 1) (რუსეთი, მოთხილამურე);
9 — სიკსტენ ერნბერგმა (4, 3, 2) (შვეცია, მოთხილამურე);
9 — სტეფანია ბელმონდომ (2,_3, 4) (იტალია, მოთხილამურე);

ყველაზე ნორჩი ოლიმპიური ჩემპიონები:

ქალები:

15 წლის — სონია ჰენი (ნორვეგია, ფიგურული სრიალი) — 1928 წელი (სანკტ-მორიცი);
15 წლის — მაქს ჰერბერი (გერმანია, ფიგურული სრიალი) — 1936 წელი, (გარმიშ-პარტენკირჰენი);
15 წლის — ტარა ლიპინსკი (აშშ, ფიგურული სრიალი) — 1998 წელი (ნაგანო);
15 წლის — კო გი ჰიუნი (კორეა, შორტ-ტრეკი) — 2002 წელი (სოლტ ლეიკ სიტი);

ვაჟები:

16 წლის — უილიამ ფისკი (აშშ, ბობსლეი) — 1928 წელი (სანკტ-მორიცი);
16 წლის — ტონი ნიემინენი (ფინეთი, ტრამპლინიდან ხტომა) — 1992 წელი (ალბერვილი);
17 წლის — მანფრედ შტენდლი (ავსტრია, ციგა) — 1964 წელი (ინსბრუკი);
17 წლის — მიკა ლაიტინენი (ფინეთი, ტრამპლინიდან ხტომა) — 1992 წელი (ალბერვილი);

თავი VII

ოლიმპიური მოძრაობა საქართველოში

1993 წლამდე, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მის მუდმივ წევრად ცნო, საქართველო იყო სსრ კავშირის ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოლიმპიური მოძრაობა და ოლიმპიზმის იდეები უცხო იყო საქართველოსათვის. მისი წარმომადგენლები იმ დროს მონაწილეობდნენ საბერძნეთისა და შავი ზღვისპირა სახელმწიფოებში გამართულ სპორტულ ასპარეზობებში, როცა ზოგ ქვეყნებს, სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშანწყალიც არ ჰქონდათ.

სპორტის ისტორიაში არის ცნობები იმის შესახებ, რომ იმ პერიოდში, როდესაც ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშები იმართებოდა, საქართველოში, კერძოდ ცხრა წყაროს მიდამოებში, ყოველ ოთხ წელიწადში ტარდებოდა სრულიად საქართველოს თამაშები ბერძნული ოლიმპიადის პროგრამით. ისტორიული წყაროები იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ სინოპელ ქართველებს - ეკლეკტასა და რუფუსს მესამე საუკუნეში ჩვენს ერამდე გაუმარჯვიათ ბერძნულ ოლიმპიადებში. ჰერმესის დიდ სპორტულ დღესასწაულებში, რომლის პროგრამაში მხოლოდ ერთი სახეობა — საშუალო მანძილზე რბენა შედიოდა, იმარჯვებდნენ ქუთაისელი და მესხი მორბენლები.

მას შემდეგ ოცდასამმა საუკუნემ განვლო და მხოლოდ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან საქართველოს სპორტსმენები კვლავ ოლიმპიური მოძრაობის აქტიური მონაწილეები ხდებიან.

სამწუხაროდ საქართველოს სპორტსმენებს 1952 წლამდე უფლება არ ჰქონდათ გამოსულიყვნენ ოლიმპიურ თამაშებზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დამოუკიდებლობა დაკარგული ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და მხოლოდ მისი სახელით შეეძლო ეასპარეზა ყველა სახის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

1951 წლის 23 აპრილს შეიქმნა სსრკ-ის ოლიმპიური კომიტეტი. იმავე წლის 7 მაისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვენის სესიამ ოფიციალურად გააწევრიანა სსრკ-ს ოლიმპიური კომიტეტი თავის შემადგენლობაში. 1951 წლის 15-16ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა ახლადშექმნილი ოლიმპიური კომიტეტის პირველი სესია, რომელმაც გადაწყვიტა ჰელსინკის XV ოლიმპიურ

თამაშებში მონაწილეობა. იმავე წლის დეკემბერში ჰელსინკის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა მოსკოვიდან ოფიციალური განაცხადი მიიღო თამაშებში მონაწილეობის თაობაზე.

ამ თავში მოგითხრობთ ყველა ოლიმპიური თამაშების შესახებ, რომელშიც უასპარეზიათ საქართველოს ნარმომადგენლებს.

7.1. საქართველოს სპორტსმენები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე

XV ოლიმპიური თამაშები
ჰელსინკი, 1952 წ., 19 ივლისი - 3 აგვისტო

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან 14 სპორტსმენი მონაწილეობდა. ისინი 9 სახეობაში ასპარეზობდნენ.

1. მძლეოსნობა — ნინო დუმბაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ელენე გოკიელი, ლევან სანაძე;
2. კალათბურთი — ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია;
3. ფეხბურთი — ავთანდილ ღოლობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი;
4. თავისუფალი ჭიდაობა - დავით ციმაკურიძე;
5. ძალოსნობა — რაფაელ ჩიმიშკიანი;
6. ტანვარჯიში — მზია ჯუღელი;
7. ფარიკაობა — აკაკი მეიფარიანი;
8. ცურვა — ვლადიმერ ლავრინენკო;
9. ველოსპორტი — ოთარ დადუნაშვილი;

საქართველოს წარგზავნილებიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი

გახდა მოჭიდავე დავით ციმაკურიძე. აღსანიშნავია, რომ სსრკ-დან თავისუფალი სტილით ჭიდაობაში სულ ორი სპორტსმენი გახდა ჩემპიონი და ორივე ქართველი იყო. თბილისელი — დავით ციმაკურიძე და მოსკოველი არსენ მეკოკიშვილი. დავით ციმაკურიძემ ოლიმპიური ტურნირი მარცხით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალში ირანელ ფალავანს გულამ — რეზა ტახტის დაუპირისპირდა. ჩვენმა მოჭიდავემ მაღალ დონეზე ჩაატარა ეს შეხვედრა და დაამარცხა მეტოქე. დ. ციმაკურიძე პირველი სპორტსმენია საქართველოს სპორტის ისტორიაში, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან ქალთა შორის გახდა მედეა (მზია) ჯუღელი. იგი ასევე პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც ორი ოლიმპიური მედალი მოიპოვა.

ძალოსნობაში ბადალი არ ჰყავდა რაფაელ ჩიმიშკიანს. 21 ქვეყნის ოცდაორ ძალოსანთა შორის იგი პირველი იყო 60 კგ-მდე წონაში. რაფაელ ჩიმიშკიანმა ოლიმპიური ოქროს მედალი ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რე-

კორდით მოიგო.ვერცხლის მედალი ხვდა წილად მძლეოსან ლევან სანაძეს ესტაფეტაში 4X100 მეტრზე სირბილში.

კალათბურთელებმა ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ ვერცხლის მედლები მოიპოვეს. საბჭოთა ნაკრებმა ფინალში დათმო შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან. ბრინჯაოს მედლები მოიგეს ბადროს მტყორცნელმა ნინო დუმბაძემ და მორბენალმა ნადეჟდა ხნიკინა — დვალიშვილმა (200 მ).

1952 წელს ჰელსიკნის XV ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მოიპოვეს:

ოქროს — 3 მედალი;
ვერცხლის — 4 მედალი;
ბრინჯაოს — 2 მედალი;

XVI ოლიმპიური თამაშები
მელბურნი, 1956 წ., 22 ნოემბერი - 8 დეკემბერი

ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისაგან განსხვავებით მელბურნში საქართველოს წარმომადგენლობა უფრო ნაკლები იყო — სულ 10 სპორტსმენი. საქართველოს წარგზავნილები ასე გამოიყურებოდა:

1. თავისუფალი ჭიდაობა—მირიან ცალქალამანიძე, ვახტანგ ბალავაძე, გიორგი სხირტლაძე;
2. კლასიკური ჭიდაობა — გივი კარტოზია, რომან ძნელაძე;
3. მძლეოსნობა — ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი;
4. ცურვა — ბორის ნიკიტინი;
5. წყალბურთი — ნოდარ გვახარია;
6. ფარიკაობა — რევაზ ცირეკიძე, იური ოსიპოვი;

ორი ოქროს მედალი მოიპოვეს ქართველმა ფალავნებმა. ირანელი მოჰამედ ხოჯესტეპურსა და თურქ ჰუსეინ აკბასთან უკომპრომისო ბრძოლაში გაიმარჯვა მირიან ცალქალამანიძემ და უმჩატეს წონაში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა.

ასევე ყველა მეტოქე დაამარცხა გივი კარტოზიამ და საშუალო წონაში პირველობას დაეუფლა. ბრინჯაოს მედლები მოიგეს მოჭიდავეებმა ვახტანგ ბალავაძემ, გიორგი სხირტლაძემ და რომან ძნელაძემ.

ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე იასპარეზა ნადეჟდა ხნიკინა — დვალიშვილმა სიგრძეზე ხტომაში და ბრინჯაოს მედალი მოიგო.

მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები ერგოთ ჩვენი წყლის სახეების წარმომადგენლებს. ნოდარ გვახარიამ სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში მიაღწია ამ წარმატებას, ხოლო მოცურავე ბორის ნიკიტინმა ესტაფეტაში 4X200 მეტრზე მიიღო ბრინჯაოს მედალი.

1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს:

ოქროს — 2 მედალი;
ბრინჯაოს — 6 მედალი;

XVII ოლიმპიური თამაშები
რომი, 1960 წ., 25 აგვისტო - 11 სექტემბერი

რომში ჩვენი რესპუბლიკიდან 16 სპორტსმენი გამოდიოდა, ისინი სპორტის შვიდი სახეობის წარმომადგენლები იყვნენ:

1. მძლეოსნობა — რობერტ შავლაყაძე, ალექსანდრე შჩერბინა, რევაზ ქოჩაკიძე, იური დიაჩკოვი;
2. კლასიკური ჭიდაობა — ავთანდილ ქორიძე, გივი კარტოზია;
3. თავისუფალი ჭიდაობა — გიორგი სხირტლაძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ვახტანგ ბალავაძე;
4 წყალბურთი — გივი ჩიქვანაია, ლერი გოგოლაძე;
5. კალათბურთი — ვლადიმერ უგრეხელიძე, გურამ მინაშვილი;
6. ფარიკაობა — გურამ კოსტავა, ნუგზარ ასათიანი;
7. ცურვა - ბორის ნიკიტინი;

სენსაციად მოინათლა ქართველი მძლეოსნის რობერტ შავლაყაძის გამარჯვება სიმაღლეზე ხტომაში. მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენები — ამერიკელი ჯონ ტომასი და რუსი ვალერი ბრუმელი გამოდიოდნენ, შავლაყაძე 216 სმ გადებულ თამასას გადაევლო და პირველი მძლეოსანი გახდა ქართული სპორტის ისტორიაში ვინც ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

მეორე ოქროს მედალი საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ ავთანდილ ქორიძემ მოუტანა. იგი პირველ ქვესაშუალო წონით კატეგორიაში გამოდიოდა, სადაც მსოფლიოს 23 საუკეთესო ფალავანი იყო თავმოყრილი. ფინალურ ეტაპზე მან ჯერ შვეიცარიელი გ. ფრეი და შემდეგ იუგოსლაველი ბ. მარტინოვიჩი დაამარცხა და დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის სახელი. სამწუხაროდ წინა ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა გივი კარტოზიამ რომში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა აშკარად ფავორიტი იყო, რადგან მას ამ დროისათვის უკვე სამჯერ ჰქონდა მოგებული მსოფლიო პირველობა.

წყალბურთში ვერცხლის მედალი ერგოთ სსრ კავშირის ნაკრების წევრებს გივი ჩიქვანაიას და ლერი გოგოლაძეს. კვლავ მეორე ადგილზე გავიდნენ საბჭოთა კალათბურთელები, რომლის შემადგენლობაში ვლადიმერ უგრეხელიძე და გურამ მინაშვილი გამოდიოდნენ. ამ შესანიშნავმა ტანდემმა ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას შედეგი გაიმეორა და საქართველოს კალათბურთს ორი ვერცხლის მედალი მოუტანა. გიორგი სხირტლაძემ წააგო ფინალური ორთაბრძოლა თურქ ჰ. გიუნგერთან და წინა ოლიმპიადზე აღებულ ბრინჯაოს, ვერცხლი მიუმატა.

მესამე ადგილზე გავიდა ვლადიმერ რუბაშვილი, რომლის წონაშიც (მჩატე წონა) მონაწილეთა ყველაზე მეტი რაოდენობა —25 იყო.

ქართული ფარიკაობის ისტორიაში პირველი მედალი მოიპოვა გურამ კოსტავამ (ბრინჯაო). საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მან იმარჯვა დაშნით გუნდურ ასპარეზობაში.

ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს:
ოქროს — 2 მედალი;
ვერცხლის — 5 მედალი
ბრინჯაოს — 3 მედალი;

XVIII ოლიმპიური თამაშები
ტოკიო, 1964 წ., 10 - 24 ოქტომბერი

ტოკიოს ოლიმპიადაზე სსრ კავშირის დელეგაციაში საქართველო სარეკორდო რიცხვით - 18 სპორტსმენით იყო წარდგენილი. ისინი სპორტის 11 სახეში ასპარეზობდნენ:

1. თავისუფალი ჭიდაობა — გურამ საღარაძე, ნოდარ ხოხაშვილი, შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი;
2. კლასიკური ჭიდაობა — დავით გვანცელაძე, როსტომ აბაშიძე, რომან რურუა;
3. ძიუდო — ანზორ კიკნაძე, ფარნაოზ ჩიკვილაძე;
4. ფარიკაობა — ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა;
5. ფრენბურთი — ვაჟა კაჭარავა;
6. ტყვიის სროლა — შოთა ქველიაშვილი;
7. ცურვა — ალექსანდრე ტუტაკაევი;
8. წყალში ხტომა — ბორის პოლულიახი
9. ველოსპორტი — ომარ ფხაკაძე;
10. კალათბურთი — ლევან მოსეშვილი;
11. მძლეოსნობა — რობერტ შავლაყაძე;

ნუგზარ ასათიანი პირველი ქართველი მოფარიკავეა,რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იგი ხმლით ასპარეზობდა და გადამწყვეტ ბრძოლაში იტალიელებთან სწორედ მისმა გამარჯვებამ მოუტანა ოქროს მედალი საბჭოთა ნაკრებს.

ვაჟა კაჭარავა დღეისათვის ერთადერთი ქართველი ფრენბურთელია, რომელიც ოქროს ოლიმპიურ მედალს და ჩემპიონის ტიტულს ატარებს.

ტრადიციულად მეორე იყვნენ საბჭოთა კალათბურთელები, რომლის შემადგენლობაში თბილისელი ლევან მოსეშვილი თამაშობდა. ეს ქართველი კალათბურთისათვის მე-5 ვერცხლის ოლიმპიური მედალი იყო.

თითო ნაბიჯი დააკლდათ ჩემპიონობამდე სახელოვან მოჭიდავეებს: რომან რურუას და გურამ საღარაძეს, მათ ვერცხლის მედლები ერგოთ.

მსოფლიოს 18 ქვეყნის 30 სპორტსმენი გამოდიოდა 300 მეტრზე შაშხანით (3X40 გასროლა) სროლაში. უძლიერესთა ჭიდილში ვერცხლის მედალი მოიპოვა შოთა ქველიაშვილმა, რომელმაც 1144 ქულა მოაგროვა და 9 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ ამერიკელ გ. ანდერსონს, რომლის შედეგიც (1153 ქულა) ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი იყო.

ტოკიოს ოლიმპიადაზე დებიუტი ჰქონდა სპორტის ახალ სახეობას — ძიუდოს. დებიუტანტებმა ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიკვილაძემ ბრინჯაოს

მედლები მოიპოვეს და სათავე დაუდეს ქართველი ძიუდოისტების შემდგომ წარმატებებს.

კვლავ, უკვე მეორე ოლიმპიადაზე, მესამე იყო გურამ კოსტავა, რომელმაც ამჯერად პირად პირველობაში შეძლო ბრინჯაოს მედლის მოპოვება დაშნით ფარიკაობაში.

საქართველოს წარგზავნილებმა ტოკიოში მოიპოვეს:

ოქროს — 2 მედალი;
ვერცხლის — 4 მედალი;
ბრინჯაოს — 5 მედალი;

XIX ოლიმპიური თამაშები
მეხიკო, 1968 წ. 12 - 27 ოქტომბერი

საქართველოს 14 სპორტსმენი იქნა შეყვანილი სსრ კავშირის დელეგაციაში. მეხიკოში ისინი სპორტის 9 სახეობაში გამოდიოდნენ:

1. კლასიკური ჭიდაობა — რომან რურუა;
2. მძლეოსნობა —ვიქტორ სანეევი, ლუდმილა ივლევა, გურამ გუდაშვილი, იგორ დელაროსა;
3. თავისუფალი ჭიდაობა — შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი;
4. კალათბურთი — ზურაბ საკანდელიძე, სერგეი კოვალენკო;
5. ძალოსნობა — დიტო შანიძე;
6. ტყვიის სროლა — შოთა ქველიაშვილი;
7. ველოსპორტი — ომარ ფხაკაძე;
8. ცურვა — თინათინ ლეკვეიშვილი;
9. წყალში ხტომა — ბორის პოლულიახი;

კლასიკურ ჭიდაობაში — მჩატე წონაში მსოფლიოს 23 ქვეყნის წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს ოლიმპიურ ჯილდოებს. ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი რომან რურუამ.

მსოფლიოს ახალი და ოლიმპიური რეკორდი დაამყარა ჩვენმა თანამემამულემ ვიქტორ სანაევმა, რომელმაც ბოლო ცდაზე 17,39 მეტრი უჩვენა და სამხტომში სათავე დაუდო იმ გამარჯვებებს, რომლებსაც მან მიაღწია თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე.

მეორე ადგილზე გავიდა ქართველი ძალოსანი დიტო შანიძე, რომელმაც სამჭიდის ჯამში მხოლოდ 2,5 კგ-ით წააგო იაპონელ იოსინობუ მიაკესთან და რაფაელ ჩიმიშკიანის შემდეგ მეორე სპორტსმენი გახდა, ვინც საქართველოს მედალი მოუტანა ძალოსნობაში.

საკმაოდ ძლიერად გამოვიდა მეხიკოში მოჭიდავე შოთა ლომიძე, რომელმაც მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო მინიმალური უპირატესობით თურქ ა. აიკთან და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამჯერად უღალატეს ტრადიციას საბჭოთა კალათბურთელებმა და მეხიკოში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდნენ. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ზურაბ საკანდელიძე და სერგეი კოვალენკო იყვნენ.

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს:
ოქროს — 2 მედალი;
ვერცხლის — 2 მედალი;
ბრინჯაოს — 2 მედალი;

XX ოლიმპიური თამაშები
მიუნხენი, 1972 წ., 26 აგვისტო - 11 სექტემბერი

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან 16 სპორტსმენი ასპარეზობდა. ისინი სპორტის 12 სახის წარმომადგენლები იყვნენ:

1. თავისუფალი ჭიდაობა — ლევან თედიაშვილი;
2. კლასიკური ჭიდაობა — ჯემალ მეგრელიშვილი;
3. ძიუდო — შოთა ჩოჩიშვილი, გივი ონაშვილი, გურამ გოგოლაური;
4. მძლეოსნობა — ვიქტორ სანეევი;
5. კალათბურთი — ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია;
6. ნიჩბოსნობა — ვიქტორ კრატასიუკი;
7. ძალოსნობა — დიტო შანიძე;
8. ველოსპორტი — ომარ ფხაკაძე;
9. ფეხბურთი — მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი;
10. მშვილდოსნობა — ქეთევან ლოსაბერიძე;
11. ცურვა — თინათინ ლეკვეიშვილი;
12. სანიჩბოსნო სლალომი — გიორგი ნასყიდაშვილი;

ქართველი ოლიმპიელებისათვის მიუნხენის ოლიმპიური თამაშები ყველაზე უხვმოსავლიანი გამოდგა.

თავის მეორე ოქროს მედალი მოიპოვა ვიქტორ სანეევმა. თუმცა მან წინა ოლიმპიურ თამაშებზე უარესი შედეგი უჩვენა (17,35 მ), მაგრამ იგი საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ სანეევმა ამ შედეგს აქაც უკანასკნელ ცდაზე მიაღწია.

თავისუფალ ჭიდაობაში აშკარა იყო ლევან თედიაშვილის უპირატესობა, მან ფინალურ სტადიაში დამაჯერებლად მოუგო რუმინელ ვ. იორგის და ამერიკელ ჯ. პიტერსონს.

სენსაციად მონათლეს გორელი ძიუდოისტის შოთა ჩოჩიშვილის ოქროს მედალი, რომელიც მან ქვემძიმე წონაში მოიპოვა. სსრ კავშირის ნაკრების ექვსი წევრიდან მხოლოდ შოთა ჩოჩიშვილმა მიაღწია ასეთ წარმატებას. მესამე ადგილი წილად ხვდა ჩვენს მძიმეწონოსანს გივი ონაშვილს, რომელმაც მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო მომავალ ჩემპიონთან — მსოფლიოში სახელგანთქმულ ჰოლანდიელ ვ. რიუსკასთან.

ბოლოს და ბოლოს კალათბურთელებმა დაარღვიეს "მუდმივი მეორე" ადგილის ტრადიცია და ფინალური მატჩი მეტად დრამატულ შეხვედრაში დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი და პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში მოიპოვეს ოლიმპიური ჩემპიონების ოქროს მედლები. ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია პირველი ქართველი კალათბურთელებია, რომლებსაც მკერდს ოლიმპიური ოქრო უმშვენებს.

მიუნხენის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენებიდან მეექვსე ოქროს მედალი მოიპოვა ფოთელმა ნიჩბოსანმა — ვიქტორ კრატასიუკმა. ორადგილიან ბაიდარებში. ის ნ. გორბაჩოვთან ერთად უძლიერესი იყო 25 ქვეყნის სპორტსმენებს შორის.

ძალოსნობაში პირველ მოძრაობაში ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა დიტო შანიძემ, მაგრამ სამჭიდის ჯამში კვლავ 2,5 კგ-ით ჩამორჩა გამარჯვებულს, ამჯერად ბულგარელ ნ. ნურიკიანს და მეორედ მოიპოვა ვერცხლის მედალი.

პირველი ოლიმპიური მედალი მოუტანა საქართველოს ველოსიპედისტებს მსოფლიო ჩემპიონმა ომარ ფხაკაძემ. სახელგანთქმულ ფრანგ სპრინტერებთან დ. მორელონთან და გ. ტრანტენთან ჭიდილში მან III ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიგო.

ასევე პირველი მედლები მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა. მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ.

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარგზავნილთა მონაგარი ასეთია:

ოქროს — 6 მედალი;
ვერცხლის — 1 მედალი;
ბრინჯაოს — 4 მედალი;

XXI ოლიმპიური თამაშები
მონრეალი, 1976 წ., 17 ივლისი - 1 აგვისტო

მონრეალის ოლიმპიადაზე სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოდან 11 სპორტსმენი ასპარეზობდა. ამჯერად ისინი სპორტის 8 სახეობაში იბრძოდნენ ოლიმპიური ჯილდოსათვის:

1. თავისუფალი ჭიდაობა — ლევან თედიაშვილი;
2. ძიუდო—რამაზ ხარჩილაძე, შოთა ჩოჩიშვილი, ოლეგ ზურაბიანი;
3. ცურვა — იგორ ომელჩენკო, იგორ კუშპელიოვი;
4. მძლეოსნობა — ვიქტორ სანეევი;
5. ხელბურთი — ალექსანდრე ანპილოგოვი;
6. კალათბურთი — მიხეილ ქორქია;
7. წყალბურთი — ვლადიმერ ისელიძე;
8. ტყვიის სროლა — მარლენ პაპავა;

ვიქტორ სანეევმა კვლავ უკანასკნელ ცდაზე უჩვენა საუკეთესო შედეგი სამმაგ ხტომაში და ზედიზედ მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი.

თანაგუნდელს არც ლევან თედიაშვილი ჩამორჩა. თუ 1972 წელს იგი პირველ საშუალო წონაში ასპარეზობდა, მონრეალში წონამომატებული მეორე საშუალო წონაში გამოვიდა და ჩემპიონი გახდა. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონისათვის ეს მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი იყო

იღბლიანი გამოდგა სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟებისათვის მონრეალის არენა. ფინალში ისინი დაუპირისპირდნენ მსოფლიო ჩემპიონებს რუმინელებს. საბჭოთა ნაკრებმა, რომლის ძირითად შემადგენლობაში თბილისელი ალექსანდრე ანპილოგოვიც იყო, დაამარცხა მეტოქე და პირველად მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი.

ოლიმპიური დებიუტი ჰქონდა ქართველ ძიუდოისტს ქვემძიმე წონაში რამაზ ხარშილაძეს, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა ნააგო იაპონელ კ. ნინომიასთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

პოზიციები დათმო მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა შოთა ჩოჩიშვილმა, ამჯერად ის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

თავისი მეორე ოლიმპიური მედალი, ამჯერად ბრინჯაოსი, მოიპოვა კალათბურთელმა მიხეილ ქორქიამ.

ჩვენმა ათლეტებმა მოიპოვეს:

ოქროს — 3 მედალი;
ვერცხლის — 1 მედალი;
ბრინჯაოს — 2 მედალი.

XXII ოლიმპიური თამაშები
მოსკოვი, 1980 წ., 19 ივლისი - 3 აგვისტო

მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის 11 სახეობაში საქართველოდან 16 სპორტსმენი მონაწილეობდა:

1. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — ვახტანგ ბლაგიძე;
2. ძიუდო — შოთა ხაბარელი, თეიმურაზ ხუბულური, თამაზ ნამგალაური;
3. მშვილდოსნობა — ქეთევან ლოსაბერიძე;
4. მძლეოსნობა — ვიქტორ სანეევი, საიდა გუნბა;
5. ხელბურთი — ალექსანდრე ანპილოგოვი;
6. წყალში ხტომა — ლიანა ცოტაძე;
7. კალათბურთი — ნიკოლოზ დერიუგინი;
8. ფეხბურთი — ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ჩელებაძე;
9. სასტენდო სროლა — თამაზ იმნაიშვილი;
10. ცურვა — ირინა გერასიმოვა;
11. კრივი — დავით კვაჭაძე;

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ფავორიტად მშვილდოსნობაში ქეთევან ლოსაბერიძეს მიიჩნევდნენ, რომელმაც იმედები გაამართლა და პირველმა სსრ კავშირისა და საქართველოს სპორტის ისტორიაში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება.

ქართველ მოჭიდავეთა სახელოვანი ტრადიცია გააგრძელა ვახტანგ ბლაგიძემ. ქვეჯგუფში მან ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ოთხი წმინდად მოიგო. ფინალში ასევე წმინდად დაამარცხა უნგრელი ლაშ რაცი და 52 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიგო.

მოსკოვის ოლიმპიადაზე ოქროს მედალს დაეუფლა შოთა ხაბარელიც. მან 78 კგ წონაში ყველა მეტოქე დაამარცხა.

მეოთხე ოლიმპიადაზე გამოდიოდა სამგზის გამარჯვებული ვიქტორ სანეევი. მას არც აქ შეურცხვენია თავი და ვერცხლის მედალი მოიგო.

მეორე ადგილზე გავიდა ძიუდოისტი თემურ ხუბულური.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ხელბურთელმა ალექსანდრე ანპილოგოვმა.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ფეხბურთელებმა ა. ჩივაძემ, თ. სულაქველიძემ და რ. ჩელებაძემ.

ლიანა ცოტაძე პირველი ქართველი წყალში მხტომელია, რომელმაც ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მესამე ადგილი ხვდა სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟებს, რომლის შემადგენლობაში ნიკოლოზ დერიუგინი გამოდიოდა.

მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლებმა მედლების 12 კომპლექტი მოიპოვეს, მათ შორის:

3 — ოქრო;
4 — ვერცხლი;
5 — ბრინჯაო.

XXIV ოლიმპიური თამაშები[1]
სეული, 1988 წ., 17 სექტემბერი - 2 ოქტომბერი

სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საქართველოდან 16 სპორტსმენი იყო. ისინი სპორტის 14 სახეობაში გამოდიოდნენ:

1. თავისუფალი ჭიდაობა — დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი;
2. კლასიკური ჭიდაობა — გურამ გედეხაური;
3. ძიუდო — ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი თენაძე;
4. ტყვიის სროლა — ნინო სალუქვაძე;
5. ფარიკაობა — ვლადიმერ აფციაური;
6. ტანვარჯიში — ვლადიმერ გოგოლაძე;
7. ფეხბურთი — გელა კეტაშვილი;
8. თანამედროვე ხუთჭიდი — ვახტანგ იაგორაშვილი;
9. წყალბურთი — მიხეილ გიორგაძე;
10. მძლეოსნობა — მაია აზარაშვილი;
11. წყალში ხტომა — გიორგი ჩოგოვაძე;
12. სინქრონული ცურვა — ქრისტინა ფალასანიდი;
13. ჩოგბურთი — ლეილა მესხი;
14. სასტენდო სროლა — თამაზ იმნაიშვილი;

საქართველოს სპორტსმენებიდან ტყვიის სროლაში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ნინო სალუქვაძემ. იგი ჩემპიონი გახდა სპორტული პისტოლეტით სროლაში და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა აქვე ნინომ ვერცხლის მედალი მოიგო პნევმატური პისტოლეტით სროლაში.

1. XXIII ოლიმპიურ თამაშებში სსრკ-ს ნაკრებს მონაწილეობა არ მიუღია

თავისუფალი სტილით მოჭიდავემ მძიმე წონოსანმა დავით გობეჯიშვილმა ექვსი შეხვედრა ჩაატარა სეულში და ექვსივეში დიდი უპირატესობით მოიპოვა გამარჯვება. ფინალში იგი 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ბრუს ბაუმგარტნერს შეხვდა, დაამარცხა იგი ქულებით და ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ვლადიმერ აფციაური ქართველი მოფარიკაველებიდან მეორე სპორტსმენი (ნ. ასათიანის შედეგ) გახდა, რომელმაც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოიგო გუნდური ასპარეზობა და ოქროს მედალი მოიპოვა.

გელა კეტაშვილი პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა.

მამაკაცებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძე.

საქართველოს სპორტს სეულის ოლიმპიადაზე მეორე ვერცხლის მედალი ლერი ხაბელოვმა მოუტანა. მან ფინალამდე ხუთი შეხვედრიდან სამი წმინდად და ორი ქულებით მოიგო და მხოლოდ ფინალში მინიმალური სხვაობით წააგო და მეორე ადგილზე გავიდა.

ხუთი ბრინჯაოს მედალი ხვდათ: ამირან ტოტიკაშვილს (ძიუდო), გიორგი თენაძეს (ძიუდო), ვახტანგ იაგორაშვილს (თანამედროვე ხუთჭიდი), მიხეილ გიორგაძეს (წყალბურთი) და მაია აზარაშვილს (მძლეოსნობა).

1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან წარგზავნილმა 16 სპორტსმენმა მოიპოვა:

ოქროს — 5 მედალი;
ვერცხლის — 2 მედალი;
ბრინჯაოს — 5 მედალი.

XXV ოლიმპიური თამაშები
ბარსელონა, 1992 წ., 25 ივლისი — 9 აგვისტო

ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე უკანასკნელად გამოდის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნაკრები — დამოუკიდებელი ქვეყნების გაერთიანებული გუნდის სახელწოდებით (დქგგ). ამჯერად საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში 12 სპორტსმენი სპორტის 11 სახეობაში ცდიდა ძალებს:

1. თავისუფალი ჭიდაობა — ლერი ხაბელოვი, დავით გობეჯიშვილი;
2. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — გიორგი კოლუაშვილი;
3. ძიუდო — დავით ხახალეიშვილი;
4. ძალოსნობა — კახი კახიაშვილი;
5. ჩოგბურთი — ლეილა მესხი;
6. კრივი — რამაზ ფალიანი;
7. მშვილდოსნობა — ხათუნა ქვრივიშვილი;
8. ტყვიის სროლა — ნინო სალუქვაძე;
9. აფროსნობა — გურამ ბიგანიშვილი;
10. წყალში ხტომა — გიორგი ჩოგოვაძე;
11. მძლეოსნობა — ოლეგ სტრიჟაკოვი;

თავისი პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ძალოსანმა კახი კახიაშვილმა.

ამჯერად შეუდარებული იყო წინა ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ლერი ხაბელოვი. ბარსელონას ოლიმპიადაზე იგი როგორც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი წარსდგა, ექვსივე წრეში არავითარი შანსი არ დაუტოვა მოწინააღმდეგეებს და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა განაცვიფრა ძიუდოს სამყარო, მან ფინალამდე ყველა მეტოქე ქულებით დაამარცხა და ფინალში იაპონელ ნაოია ოგავას შეხვდა. ერთ წუთსა და ოთხ წამში ხახალეიშვილმა წმინდად დაამარცხა იაპონელი და ქართველი ძიუდოისტების ოლიმპიური ოქროს მედლები სამამდე გაზარდა.

არ გაუმართლა კენჭისყრაში დავით გობეჯიშვილს. უკვე მესამე წრეში შეხვდა ამერიკელ ბრუს ბაუმგარტნერს და უშელავათო ბრძოლაში დათმო ორთაბრძოლა და საბოლოო ჯამში მესამე ადგილზე გავიდა.

პირველი ოლიმპიური მედალიერგო ქართველ ჩოგბურთელს. ლეილა მესხმა ბელორუს ნატალია ზვერევასთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

პირველი ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოუტანა ქართულ კრივს რამაზ ფალიანმა.

ხათუნა ქვრივიშვილი მეორე ქართველი მშვილდოსანი ქალია, რომელმაც ქ. ლოსაბერიძის ოქროს შემდეგ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბარსელონას 1992 წლის თამაშებზე საქართველოს სპორტსმენებს 8 მედალი ერგოთ, აქედან:

ოქრო — 3;

ბრინჯაო — 5.

XXVI ოლიმპიური თამაშები
ატლანტა, 1996 წ., 19 ივლისი - 4 აგვისტო

პირველად ქართული ოლიმპიური სპორტის ისტორიაში საქართველომ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი გუნდით მიიღო მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნის დელეგაცია რაოდენობრივად სარეკორდო იყო ყველა დანარჩენი ოლიმპიური თამაშებისაგან განსხვავებით. 36 სპორტსმენი სპორტის 15 სახეობას წარმოადგენდა:

1. თავისუფალი ჭიდაობა — ელდარ კურტანიძე, ავთანდილ გოგოლაშვილი, ზაზა თურმანიძე, ზაზა ტყეშელაშვილი;
2. ბერძნული-რომაული ჭიდაობა — კობა გულიაშვილი, გელა პაპაშვილი, ბაკურ გოგიტიძე, ტარიელ მელელაშვილი;
3. ძიუდო — სოსო ლიპარტელიანი, გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, ვლადიმერ დგებუაძე, მევლუდ ლობჟანიძე, გიორგი წმინდაშვილი, დავით ხახალეიშვილი;
4. კრივი — კობა გოგოლაძე, გიორგი კანდელაკი, აკაკი კაკაურიძე, ბესიკ ვარძელაშვილი, თენგიზ მესხაძე;
5. მძლეოსნობა — მაია აზარაშვილი, ელვირა ურუსოვა;
6. სასტენდო სროლა — თამაზ იმნაიშვილი;

7. ძალოსნობა — ბიძინა მიქიაშვილი, მუხრან გოგია;
8. აფროსნობა — გურამ ბიგანიშვილი, ვლადიმერ გრუზდევი;
9. თანამედროვე ხუთჭიდი — ვახტანგ იაგორაშვილი;
10. მხატვრული ტანვარჯიში — ეკა აბრამია;
11. სპორტული ტანვარჯიში — ილია გიორგაძე;
12. ტყვიის სროლა — ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე;
13. მშვილდოსნობა — ხათუნა ქვრივიშვილი;
14. წყალში ხტომა — ნანა ყაზარაშვილი, გოჩა გახარია;
15. ფარიკაობა — არჩილ ლორთქიფანიძე;

სამწუხაროდ მხოლოდ ორმა სპორტსმენმა შეძლო ოლიმპიური მედლის მოპოვება.

ელდარ კურტანიძე, მას შემდეგ, რაც პირველ წრეში წმინდად დაამარცხა ბულგარელი კოლოიან ბაევი, სრულიად მოულოდნელად მარცხდება კორეელ იკ-ჰიკიმთან და მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ოთხ — შეხვედრას დიდი უპირატესობით იგებს, III ადგილზე გადის და ბრინჯაოს მედალს იღებს.

სოსო ლიპარტელიანმაც თავისი გამოსვლა წმინდა მოგებით დაიწყო და მეორე წრეში შეხვდა კანადელ მორგანს. მოულოდნელად იპონით მარცხდება და დამამშვიდებელ ჯგუფში აღმოჩნდა. მან აქ სამი შეხვედრა ზედიზედ წმინდად მოიგო და მესამე ადგილისათვის 18 წამში ასევე წმინდად დაამარცხა გერმანელი შტეფან დოსტი და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ატლანტის ოლიმპიადა იყო ერთადერთი, სადაც საქართველოს წარგზავნილებმა ოქროსა და ვერცხლის მედალი ვერ მოიპოვეს.

XXVII ოლიმპიური თამაშები
სიდნეი, 2000 წ., 15 სექტემბერი - 1 ოქტომბერი

როგორც ატლანტაში, სიდნეიშიც საქართველოს სპორტული დელეგაცია წარმოდგენილი იყო 36 სპორტსმენით. ისინი სპორტის 13 სახეობაში ასპარეზობდნენ:

1. თავისუფალი ჭიდაობა — დავით პოღოსიანი, ოთარ თუშიშვილი, ემზარ ბედინეიშვილი, გურამ მჭედლიძე, ელდარ კურტანიძე და ალექსი მოდებაძე;
2. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — ალექსანდრე ცერცვაძე, კობა გულიაშვილი, აკაკი ჩაჩუა, ტარიელ მელელაშვილი, მუხრან ვახტანგაძე, გენადი ჩხაიძე, მირიან გიორგაძე;
3. ძიუდო — ნესტორ ხერგიანი, გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, გია გუგავა, ივერი ჯიქურაული, ალექსი დავითაშვილი;
4. ძალოსნობა — გიორგი ასანიძე, მუხრან გოგია, ვალერი სარავა;
5. კრივი — თემურ ხურცილავა, ვლადიმერ ჯანტურია;
6. ტყვიის სროლა — ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე;
7. მშვილდოსნობა — ხათუნა ლორიგი, ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე;

8. ტანვარჯიში ილია გიორგაძე;
9. ბატუტი რუსუდან ხოფერია;
10. მხატვრული ტანვარჯიში — ინგა თავდიშვილი;
11. მძლეოსნობა თამარ შანიძე, რუსლან რუსიძე;
12. ცურვა ზურაბ ბერიძე;
13. წყალში ხტომა — ნანა ნებიერიძე;

ატლანტის ოლიმპიადასთან შედარებით სიდნეიში სპორტსმენები უკეთ გამოვიდნენ და მათ ექვსი მედალი მოიპოვეს, რომელთაგან ოთხი მოჭიდაველებზე მოდის და თითოც კრივსა და ძალოსნობაზე.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მე-3 ადგილი და ბრინჯაოს მედლები ხვდათ აკაკი ჩაჩუას და მუხრან ვახტანგაძეს. ჩაჩუამ მესამე ადგილისათვის ბრძოლაში შვეიცარელი ბეატ მოტცერი წუთსა და 57 წამში წმინდად დაამარცხა. მუხრან ვახტანგაძემ კი ნახევარფინალში დათმო შეხვედრა მომავალ ჩემპიონთან თურქ ჰამზა ერლიქაიასთან და მესამე ადგილისათვის მოუხდა შეხვედრის ჩატარება ნორვეგიელ ფრინც აანსენთან, რომელიც იოლად მოიგო და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

მძიმე ბრძოლები გადახდა ელდარ კურტანიძეს. სიდნეის ოლიმპიურ სარბიელზე იგი მსოფლიოს ოთხ ჩემპიონსა და პრიზიორს დაუპირისპირდა და საბოლოოდ მესამე ადგილისათვის ბრძოლა პოლონელ გარმულევიჩს მოუგო და მასაც ბრინჯაოს მედალი ერგო.

ნამდვილად სიურპრიზი იყო ფოთელი მოკრივის ვლადიმერ ჭანტურიას გამოსვლა სიდნეის რინგზე. მეოთხედ ფინალში ჩვენმა მოკრივემ კარგ სტილში სძლია მსოფლიო ჩემპიონს უზბეკ რუსლან ჩაგაევს და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

რამდენადაც მოულოდნელი და სასიამოვნო იყო ჭანტურიას წარმატება, იმდენად დასანანი იყო ძალოსან გიორგი ასანიძის მეორე ადგილი. სამმა სპორტსმენმა ორჭიდის ჯამში 390 390 კგ. დააგროვეს და გ. ასანიძე, რომელიც 64 გრამით მძიმე იყო გამარჯვებულ ბერძენ პიროს დიმასზე და 48 გრამით გერმანელ მარკ ჰუსტერზე, მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

რიგით მეორე ოლიმპიადა ქართველებისათვის ექვსი ბრინჯაოს მედლის მოპოვებით დამთავრდა, რაც რა თქმა უნდა წინგადადგმული ნაბიჯია ატლანტასთან შედარებით.

7.2. საქართველოს სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით ძალზე მოკრძალებულია ქართველი სპორტსმენების შედეგები ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზზე.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებიდან ზამთრის ოლიმპიური თამაშების არენა პირველად კობა წაქაძემ მოსინჯა. იგი ერთადერთი სპორტსმენია საქართველოდან, რომელიც მონაწილეობდა ოლიმპიადებში სსრ კავშირის ნაკრების სახელით. 1952 წლიდან 1972 წლის ჩათვლით კობა წაქაძემ მონაწილეობა მიი-

ღო ოთხ ოლიმპიადაში. (1956 წელს კორტინა დამპეცოში, 1960 წელს სკვო-ველში, 1964 წელს ინსბრუკში და 1972 წელს საპოროში).

1994 წლიდან უკვე დამოუკიდებლობა აღდგენილმა საქართველომ ცალკე გუნდად მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში და ლილეჰამერის XVII თამაშებში გამოვიდნენ: ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი (სამთო სათხილამურო სპორტი), კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი (ორადგილიანი ციგა).

კობა წაქაძე

ქართველებისათვის მეორე ოლიმპიური თამაშები, რომელიც 1998 წელს იაპონიის ქ. ნაგანოში ჩატარდა, კვლავ ოთხი სპორტსმენის მიელინებით შემოიფარგლა: სფიო ახმეტელი, ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი (სამთო-სათხილამურო სპორტი), კახა წაქაძე (ტრამპლინიდან ხტომა).

2002 წელს სოლტ ლეიკ სიტის XIX თამაშებზე საქართველოდან წარგზავნილ იქნენ: სოფიო ახმეტელი და რობერტ მახარაშვილი (სამთო-სათხილამურო სპორტი), კახა წაქაძე (ტრამპლინიდან ხტომა) და ვახტანგ მურვანიძე (ფიგურული ციგურაობა).

როგორც ვნახეთ, ზამთრის ოლიმპიური თამაშებში ოთხ ოლიმპიადაზე იასპარეზა ბაკურიანელმა კობა წაქაძემ. მისმა ვაჟმა კახამ, ისევე, როგორც ზურაბ ჯიჯიშვილმა და სოფიო ახმეტელმა, ორ ოლიმპიადაზე იასპარეზა. სამი ოლიმპიური თამაშების მონაწილეა ლევან აბრამიშვილი.

ამ სპორტსმენებიდან ყველაზე საუკეთესო ადგილი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული აქვს კობა წაქაძეს, რომელმაც 1960 წელს სკვო-ველის VIII და 1972 წელს საპოროს XI ოლიმპიადაზე ერთნაირი — მეცხრე შედეგი უჩვენა.

ოლიმპიური ჩემპიონები საქართველოდან

ვიქტორ სანკეევი
ოლიმპიური თამაშების ორგზის
ჩემპიონი.
მძლეოსნობა. 1968, 1972, 1976

ლევან თედიაშვილი
ოლიმპიური თამაშების
ორგზის ჩემპიონი.
თავისუფალი ჭიდაობა.
1972, 1976.

დავით ცისკარიძე
თავისუფალი ჭიდაობა. 1952

მეფეა ჯუღელი
სპორტული ტანვარჯიში. 1952.

რაფაელ ჩიმიშკიანი
ძალოსნობა. 1952.

მირიან ცალქალამანიძე
თავისუფალი ჭიდაობა. 1956.

გივი კარტოზია
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 1956.

რობერტ ძაღლაყაძე
მძლეოსნობა. 1960.

ავთანდილ ქორიძე
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
1960.

ვაჟა კაჭარავა
ფრენბურთი. 1964.

[illegible]

რომან რურუა
ბერძნ ულ-რომაული ჭიდაობა
1968

ზურაბ საკანდელიძე
კალათბურთი. 1972.



მიხეილ ქორქია
კალათბურთი. 1972.

შოთა ჩოჩიმვილი
ძიუდო. 1972.

ვიქტორ კრატასიუკი
ნიჩბოსნობა, ბაიდარა. 1972.

ალექსანდრე ანპილოგოვი
ხელბურთი. 1976.

ქეთევან ლოსაბერიძე
მშვილდოსნობა. 1980.

ვახტანგ ბლიაძე
ბერძნულ-რომაული ფიდაობა. 1980

შოთა ხაბარელი
ძიუდო. 1980.

ნინო სალუქვაძე
ტყვიით სროლა. 1988.

გელა კეტაშვილი
ფეხბურთი. 1988.

დავით გობეჯიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა. 1988.

ვლადიმერ აფციაური
ფარიკაობა 1988.

ვლადიმერ გოგოლაძე
სპორტული ტანვარჯიში. 1988.

დავით ხახალეიშვილი
ძიუდო. 1992.

ლერი ხაბელოვი
თავისუფალი ქიდაობა. 1992.

კახი კახიაშვილი
ძალოსნობა. 1992.

ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე თ. "10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში". გამ-ბა "სამშობლო", თბილისი, 1999 წ., 169 გვ.
2. გაჩეჩილაძე თ. "ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება", თბილისი,
3. გელოვანი ა. "მითოლოგიური ლექსიკონი". გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1983 წ., 719 გვ.
4. გიორგაძე მ. ფიზიკური კულტურის ისტორია. გამ-ბა "განათლება", თბილისი, 1965 წ., 268 გვ.
5. გორდეზიანი რ. "ბერძნული ცივილიზაცია". გამ-ბა "მერანი". თბილისი, 1988 წ., წიგნი 1, 318 გვ.
6. გურასაშვილი ა. ალპინიზმი, ოლიმპიზმი, ნუდიზმი და ქალები. გამ-ბა "გლობალ-პრინტი". თბილისი, 2000 წ., 96 გვ.
7. გურასაშვილი ა. ჰელსინკი, 1952, გამომ-ბა "გლობალ-პრინტი". თბილისი, 2002 წ., 129 გვ.
8. გურასაშვილი ა. ოლიმპია ღმერთები და ნახევრადღმერთები, გამ-ბა "გლობალ-პრინტი". თბილისი, 2003 წ., 130 გვ.
9. ზენაიშვილი თთე. "გადარბენა კალმით, უკალმოდ და დარდით". გამ-ბა "გლობალ-პრინტი". თბილისი, 2002 წ., 200 გვ.
10. ნაცვლიშვილი პ. "ოლიმპიური ჩემპიონის თეორია". თბილისი, 1988 წ.,
11. ოლიმპიური ენციკლოპედია. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. ავტორი-შემდგენელი ნოდარ გუგუშვილი. გამ-ბა "სამშობლო", თბილისი, 1997 წ.
12. ოლიმპიური ჩემპიონები გ. აკოფოვი, შ. ახვლედიანი. თბილისი, 1991 წ., "სვობოდნაია გრუზია".
13. ოლიმპიური ქარტია. გამ-ბა "სამშობლო", თბილისი, 1996 წ.
14. ციბაძე ა. "ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია". თბილისი, 1991 წ., 82 გვ.
15. ციბაძე ა., კინნურაშვილი დ. "ოლიმპიზმი". გამ-ბა "ლიგა", თბილისი, 1998 წ., 163 გვ.
16. ციბაძე ა., კინნურაშვილი დ. "ოლიმპიზმი საქართველოში". გამ-ბა "სამშობლო", თბილისი, 1996 წ., 83 გვ.
17. Все о спорте (справочник). – М.: ФиС, Т.3., 1976.
18. История физической культуры и спорта: Учебник для тех. физ. культ. (под рук. В.В. Столбова). – Изд. 2-е доп., перераб. – М.: Физкультура и спорт, 1984. – 272 с., ил.
19. Кун Л. «Всеобщая история физической культуры и спорта». - М.: – «Радуга», 1982г, 399 с.
20. Мельникова Н.Ю., Мягкова С.Н., Трескин А.В. Изд. ФиС. – М.: - 1999,
21. Мезе Ф. «Шестьдесят лет Олимпийских игр». ФиС, М.: 1961, с. 346.
22. От Афин до Москвы. 2-е издание, исправленное и дополненное. Автор-составитель В. Штеинбах. М: Физкультура и спорт. – 1983, - 304 с. илл.
23. Пиндар. Оды (Пиндар. Ваюхуилид. Оды. Фрагменты). –М., 1980.
24. Платонов В.Н. «Общая теория подготовки спортсменов в олимапийском спорте». Учебнин – К.: Олимапийская литература, 1997. – 583 с.
25. Платонов В.Н., Гуськов С.И. «Олимапийский спорт». Учебник (в 2 т.). –К.: Олимпийская литература, 1994. 0 49 с.
26. Платонов В.Н. «Теория спорта». Киев: Головное изд-во издательского объединения «Вища школа», 1987.

27. Платонов В.Н. Розы и шипы олимпийской революции Хуана Антонио Самаранча. Журнал Наука в олимпийским спорте №1, с. 3-20, Киев, 1999.
28. Пьер де Кубертен. «Олимпийские игры 1896 года». В сб. «Международное спортивное и олимпийское движение. – ЦООНТИ. –М.: «ФиС», 1990, №4, с. 28-29.
29. Пьер де Кубертен. Олимпийские мемуары. Киев: Олимпийская литература, 1997.
30. Сарафа М.Я. «Спорт в культуре XX века (становление и тенденции развития). Журнал Теория и Практика физической культуры, 1997, №7, с. 5-12.
31. Соболев П.А., Калинин Н.К. Олимпийские игры. – М.: ФиС, 1995, 152 с.
32. Справочник – сост. А. Добров, 2-е издание. «Все о спорте», I, II, III том, Москва, ФиС, 1998 г.
33. Столбов В.В, Финогенова Л.А., Мельникова Н.Ю. История физической культуры и спорта (под ред. В.В. Столбова. –3-е изд., пере-раб. и доп. – М.: Физкультура и сплрт, 2000, - 423 с., илл.
34. Суник А.Б. «Сто лет назад в Сорбоне». Газета «Советский спорт», 1992 г, 25 ноября.
35. Суник А.Б. «Российский спорт и олимпийское движение на рубеже XIX-XX веков. –М.: Советский спорт, 2001, - 664 с.
36. Твой Олимпийский учебник: Учеб. пособие для учреждений образования России. 2-е, Московское изд. /В.С. Родиченко и др.; Олимпийский комитет России. – М.: Советский спорт, 1998. – 144 с..: илл.
37. Хавин Б.М. «Все об Олимпийских играх». 2-е изд. –М.; Физкультура и спорт, 1979, 607 с.
38. Чернецкий Ю.М. История олимпийского движения; – Челябинск: , 1991,
39. Cuttmann A. The Olimpics. A history, Illinois Press, Urbana and Chicago. – 1992.
40. The Olympic Spirit, 100 Years of the Games.Tehabi Books, 1995,180p.
41. The Olympic Centery. Vol.1-23. IOC, the USOC, and WSRP, World Sport Research and Publications,2000.

სარჩევი

წინათქმა 3
ავტორისაგან 4
ზოგიერთ ტერმინთა და შემოკლებათა განმარტება 5
თავი I. ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში 7
1.1. მითები და ლეგენდები 7
1.2. ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია და პროგრამა 11
თავი II. თანამედროვე ოლიმპიური თამაშები 16
2.1. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების წინაპირობები 16
2.2. პიერ დე კუბერტენი 21
2.3. ოლიმპიური თამაშების აღორძინების კონგრესი 26
2.4. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) 28
2.5. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (ეოკი). 30
2.6. ოლიმპიური დროშა 32
2.7. ოლიმპიური დევიზი და სიმბოლო 34
2.8. ოლიმპიური ცეცხლი 34
2.9. ოლიმპიური ფიცი 37
2.10. ოლიმპიური ჰიმნი 39
2.11. ოლიმპიური ჯილდოები. 40
2.12. საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია. 42
2.13. ოლიმპიური მუზეუმი 44
თავი III. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტები.. 47
თავი IV. ოლიმპიური თამაშების ჩატარების ორგანიზაცია და პროგრამა 57
4.1. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევნები. 57
4.2. ოლიმპიური თამაშების ჩატარების წესი 59
4.3. ოლიმპიური თამაშების პროგრამები 62
4.4. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალი სპორტის სახეები 64
4.5 სპორტის სახეობები, რომლებიც სხვადასხვა დროს შედიოდნენ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 75
4.6. ხელოვნების კონკურსები ზაფხლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.. 77
4.7. კონტინენტალური, რეგიონალური, პარაოლიმპიური და სოკ-ის ეგიდით ჩატარებული და სხვა თამაშები 78
4.1.1. პარაოლიმპიური თამაშები. 79
4.1.2. სპეციალური ოლიმპიური თამაშები. 81
თავი V. ზაფხულის ოლიმპიური თამაშები და მათი სტატისტიკა 83
თავი VI. ზამთრის ოლიმპიური თამაშები... 163
6.1. ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალი სპორტის სახეები 164
ზამთრის ოლიმპიური თამაშების სტატისტიკა 210
თავი VII. ოლიმპიური მოძრაობა საქართველოში. 213
7.1. საქართველოს სპორტსმენები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე 214
7.2. საქართველოს სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. 226
ოლიმპიური ჩემპიონები საქართველოდან 229